ბერძნული მითების სამყარო

# ზღვა და მიწისქვეშეთი

•

# მცირე ღვთაებანი

თხრობა და კომენტარები
ვიქტორია ჯულელისა

დაამტკიცა საქართველოს განათლების სამინისტრომ
დამხმარე სახელმძღვანელოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის
მოსწავლეთათვის

სერიის სარედაქციო კოლეგია

*რისმაგ გორდეზიანი (მთავარი რედაქტორი)*
*ლაშა ბერაია (მთავარი რედაქტორის მოადგილე)*

*ვალერი ასათიანი*
*ნანა ტონია*
*მანანა ფხაკაძე*
*მანანა ღარიბაშვილი*
*რუსუდან ცანავა*
*გიორგი ხომერიკი*

ლიტერატურული რედაქტორი ლაშა ბერაია

სერიის წიგნები გამოდის პროგრამის
„ბერძნული ენა საქართველოს სკოლებში" ფინანსური ხელშეწყობით.

© პროგრამა „ლოგოსი", 1998

ISBN 99928-65-11-3 (სერია)
ISBN 99928-65-33-4

*პროგრამა „ლოგოსი"*
*ილია ჭავჭავაძის გამზირი 13*
*(თსუ VIII კორპ.), ოთ. 14, 380079 თბილისი*
*ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81*
*ელ.ფოსტა logos@caucasus.net*

---

გარეკანზე: პოსეიდონ არტემისიელი. ბრინჯაოს ქანდაკების დეტალი. ძვ.წ. 460 წ. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი

## შინაარსი

1. წყლის სტიქიის მეუფენი 7

ოკეანოსის მოდგმა: მდინარეები, წყაროები, ოკეანიდები (7), მდინარე სტიქსი (8), ქალღმერთი მეტისი – ზევსის მეუღლე (9), ტიტანი ატლასი (10), ჰესპერიდების ბაღი (11), კენტავრი ქირონი (13), პონტოსის მოდგმა. ნერევსი და ნერეიდები (14), ქალჩიტა ჰარპიები (15), ფორკისისა და კეტოს შთამომავალი ურჩხულები (16), გრაიები (16), გორგონები (17), სამთავიანი გერიონი (17), ფრთოსანი რაში პეგასოსი (18), ქიმერა (18), ქალ-გველი ექიდნე და მისი შთამომავლობა (19), ნემეას ლომი (19), ლერნეს ჰიდრა (20), სფინქსი (20)

2. პოსეიდონი – ზღვათა მეუფე 21

პოსეიდონი ქორწინდება (24), პოსეიდონის მოკვდავი შვილები (24), ლამია (25), პოსეიდონის საჩივარი (26), პოსეიდონის ბრძოლა ქალაქებზე მეუფებისათვის (27), პოსეიდონი ამიმონეს შველის (28), სელაპთა მწყემსი პროტევსი (29), სკილა და ქარიბდისი. გლავკოსი (31), თევზკაცი ტრიტონი (34), სირენები – მომღერალი ქალჩიტები (35), პლანქტებსა და სიმპლეგადებს შორის (37), ეოლოსის კუნძული – ქართა სამეფო (38), პოსეიდონის აღმზრდელი ჯადოქარი ტელქინები (41)

3. მიწისქვეშეთის იდუმალი სამყარო 44

მიწისქვეშეთის მეუფე – უხილავი ჰადესი (44), პერსეფონეს მოტაცება (45), ჰადესის სასიყვარულო თავგადასავლები (48), ჰადესი დიდსულოვნებას იჩენს (48), ჰადესს ატყუებენ (50), როგორ დაჭრეს ჰადესი (51), ჰადესის საბრძანებელი – მიწისქვეშა სამყარო (51), ჯადოსანი ქალღმერთი ჰეკატე (55),

ჰადესის პირქუში მებორნე ქარონი (56), კერბეროსი – მიწისქვეშეთის კარიბჭის მცველი (57)

4. მცირე ღვთაებანი 59

*ციური ღმერთები* 59

ვარდისფერთითება ეოსი (59), მზე-ღმერთი ჰელიოსი (61), ფაეთონი მზის ეტლს ამსხვრევს (64), მთვარე-სელენე (67), მონადირე ორიონი (69), პლეიადები და ჰიადები (72), ქარები და ღრუბლები (73)

*ზევსისა და ოლიმპიელთა გარემომცველნი* 77

მართლმსაჯულების ქალღმერთი თემისი (77), ჰორები დროს მართავენ (78), ევრინომე და ქარიტები (79), მუზები (80), ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი (82), სიყმაწვილის ქალღმერთი ჰებე (83), ღმერთების მაცნე ირისი (84), ზევსს ცაში აჰყავს განიმედესი (85)

*ხვედრის ღვთაებანი* 86

მოირები საზღვრავენ ბედს (86), ატე (87), შმაგი ლისა (88), ჰიბრისი (88), შურისმაძიებელი ნემესისი (89), ტიქე (90)

*დაბადებისა და მკურნალობის ღვთაებანი* 90

მელოგინეთა ღვთაება ილითიია (90), მკურნალი ღმერთი ასკლეპიოსი (91)

*მიწის ღვთაებანი* 94

რეა-კიბელე (94), კურეტები (95), კორიბანტები და კაბირები (96), იდას დაქტილები (97), ნიმფები (98), პრიაპოსი (99), თხისჩლიქებიანი პანი (100), პანი და სირინგსი (102), როგორ შეეჯიბრა პანი აპოლონს (103), შურისმაძიებელი ერინიები (104), ჰიპნოსი და თანატოსი (105)

კომენტარები 109

სახელთა საძიებელი 177

## ❶ წყლის სტიქიის მეუფენი

### ოკეანოსის მოდგმა: მდინარეები, წყაროები, ოკეანიდები

თვალუწვდენელია ქვეყნიერება, მაგრამ არა უკიდეგანო. ვეებერთელა მდინარე ერტყმის გარს დედამიწას და უკიდურეს დასავლეთში ერთმანეთისაგან მიჯნავს სიცოცხლისა და სიკვდილის სამყაროებს. ხან მშვიდი, ხანაც კი მღელვარე ტალღებით ელამუნება იგი ხმელეთს და მზის ბრწყინვალე სხივების ქვეშ ალმასებივით კიაფობენ ქვიშაზე დაცემული მისი შხეფები. ამ მდინარეს ოკეანოსი ჰქვია სახელად. იგი ურანოსისა და გეას უფროსი ვაჟი, ღმერთების შვილი და ღმერთების წინაპარია. აქ, ქვეყნიერების დასალიერში ცხოვრობს ოკეანოსი თავის თვალწარმტაც დასთან, ურანოსისა და გეას ასულ ტეთისთან ერთად, რომელიც ამავე დროს მისი ცოლიცაა.

სხვა ტიტანების, თავისი და-ძმების მსგავსად, ოკეანოსი არ ამხედრებია ზევსს და არ მიუღია მონაწილეობა ტიტანებთან ბრძოლაში (ტიტანომაქიაში). ამის გამო მან თავისი ძალაუფლებაც შეინარჩუნა და ოლიმპიელთა ნდობაც. ოკეანოსის ყველაზე უფრო დიდი სურვილია, ყველგან მშვიდობა სუფევდეს და თანხმობა იყოს გამეფებული. ამიტომ ცდილობდა ასე ხშირად იგი ზევსისა და პრომეთეს ერთმანეთთან შერიგებას. ამიტომაც შეი-

ფარეს ოკეანოსმა და ტეთისმა თავისი ძმისშვილი ჰერა ზევსისა და კრონოსის მომხრეთა შეტაკების დროს. ახალგაზრდა გოგონა მოხიბლა ოკეანოსისა და მისი მეუღლის უშურველმა სტუმართმოყვარეობამ, მან გულწრფელად შეიყვარა თავისი გადამრჩენელნი და შემდგომში სიკეთეს სიკეთითვე უხდიდა: ხანდახან, როდესაც ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნება ჩამოვარდებოდა, ჰერა სამყაროს დასალიერს ეწვეოდა ხოლმე მეუღლეთა შესარიგებლად.

არაერთ მოდგმას დაუდეს დასაბამი ოკეანოსმა და ტეთისმა. მათი შვილები არიან მდინარეები, აგრეთვე სამი ათასი ვაჟი კამკამა წყარო და სამი ათასი მომხიბლავი ასული — ოკეანისი. მრავალი ლამაზლაწვება ოკეანისი გახდა ბერძენი ღმერთებისა და სახელგანთქმული გმირების დედა თუ წინაპარი, მაგალითად, იდიია (მედეას დედა), კალიროე (გერიონის დედა), კალიფსო (ლატინოსისა და ავსონოსის დედა), ასია (პრომეთეს დედა), კლიმენე (ატლასის, ეპიმეთეს, მენოიტიოსის დედა), მეტისი (ათენას დედა), ევრინომე (ქარიტებისა და ასოპოსის დედა) და მრავალი სხვა. ოკეანიდებს ზევსმა ახალგაზრდების აღზრდა დაავალა. სწორედ მათი დიდი მზრუნველობის ქვეშ იზრდებოდა ცხრა წლის განმავლობაში პაწია ჰეფესტო, დედის, ჰერას მიერ გადმოსროლილი ოლიმპოსიდან.

## მდინარე სტიქსი

მშვენიერნი არიან ოკეანიდები. მდინარის ანკარა ტალღებზე ლივლივებენ მათი ოქროსფრად მოლაპლაპე თმები. სიამოვნებთ ზეციერებს ამ მშვენიერ ზღვის ასულთა ჭვრეტა.

ოკეანიდებს შორის არის ერთი ქალღმერთი, რომლისაც ყველაზე უფრო ეშინიათ ღმერთებსა და მოკვდავებს, და მის და-ძმებს შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. ეს ქალღმერთია ოკეანისი სტიქსი. იმქვეყნიური სამყაროს ეს მდინარე ზევსის ბრძანებით ციურ ქმნილებათა უმთავრესი საფიცარი გახდა. ღმერთთა შორის განხეთქილების ჩამოვარდ-

ნისას ღმერთების მაცნეს, ქალღმერთ ირისს მიწისქვეშა სტიქსის მუქი ტალღებიდან ოლიმპოსზე აქვს ხოლმე წყალი. ზეციერს, რომელიც ამ წყლის პკურებისას ცრუ ფიცს წარმოთქვამს, საშინელი სასჯელი ელის: უსიცოცხლოდ უნდა იწვეს იგი ერთი წლის განმავლობაში, შემდეგი ცხრა წელი ოლიმპოსიდან მოშორებით უნდა დაჰყოს და მხოლოდ მეათე წელს მიეცემა ნება, კვლავ შეუერთდეს ღმერთების დასს. სტიქსის სახელი ასეთი დიდი საფიცარი მას შემდეგ გახდა, რაც ტიტანებთან ბრძოლის დროს სტიქსმა ზევსის მხარე დაიკავა და ამის შედეგად შეინარჩუნა თავისი მდგომარეობა, ღირსება და პატივისცემა.

სტიქსი სიყვარულით დაუკავშირდა პალასს, ტიტანების კრიოსისა და ევრიბიეს ვაჟს და შვა ძელოსი („შური"), ნიკე („გამარჯვება"), კრატოსი („ძალა") და ბიე („ძლიერება"). სტიქსის ეს შვილები ძვირფასნი არიან ზევსისათვის და ისინი უზენაესი ღმერთის გარემოცვაში იმყოფებიან მარად.

## ქალღმერთი მეტისი – ზევსის მეუღლე

ბრძენი ქალღმერთი მეტისი, ზევსის პირველი მეუღლე, ოკეანოსისა და ტეთისის ქალიშვილი იყო. გრძნეულებაში ღრმად განსწავლულმა ასულმა ჯადოსნური სასმელის მეშვეობით ამოანთხევინა მამა-კრონოსს ხუთი გადაყლაპული შვილი. მეტისი თავადაც გადაყლაპეს: როდესაც ზევსმა ურანოსისა და გეასაგან შეიტყო, რომ მეტისისაგან ნაშობ ძეს მისთვის ძალაუფლება უნდა წაერთმია, ღიმილით მიუახლოვდა ფეხმძიმე მეუღლეს თალამოსში, დათაფლული სიტყვებით მიმართა, მიუალერსა და უცებ შთანთქა, რათა ქალღმერთს ვერც ათენა გაეჩინა და ვერც ის ძლიერი და გონიერი ღმერთი, რომელიც ათენას შემდეგ უნდა დაბადებულიყო და, წინასწარმეტყველების მიხედვით, სამეფო ძალაუფლება წაერთმია ზევსისათვის. მიუხედავად ამისა, ათენა მაინც მოევლინა ქვეყნიერებას. ეს ქალღმერთი ზევსის თხემიდან იშვა და საკუთარ თავში დედისა და მამის სიბრძნე გააერთიანა.

## ტიტანი ატლასი

ოკეანოსის ასული კლიმენე ტიტან იაპეტოსს შეეუღლა და ოთხი დევგმირი მოუვლინა ქვეყნიერებას: საოცრად ღონიერი ატლასი, მოხერხებული პრომეთე, ეპიმეთე — ადამიანთათვის უბედურებათა მომტანი პანდორას მეუღლე, და ძლევამოსილი მენოიტიოსი (პრომეთეს, ეპიმეთესა და პანდორას შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები").

როგორც ზოგიერთები მოგვითხრობენ, ატლასი, უფროსი ძმათა შორის, მართავდა მამისეულ სამფლობელოს, ატლანტიდას, სამეფოს, რომელიც ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე აფრიკა და აზია ერთად აღებული. ატლანტიდა მდებარეობდა ჰერაკლეს სვეტებს უკან და დანარჩენი კონტინენტებისაგან მრავალი წვრილ-წვრილი კეთილნაყოფიერი კუნძულით იყო გამოყოფილი. ვეებერთელა დაბლობებს ამუშავებდნენ ატლანტიდის მაცხოვრებლები, აგებდნენ დარბაზებს, აბაზანებს, ნავსადგურებს, ტაძრებს, მშვიდობიან დროს ასპარეზობდნენ, ომიანობის ჟამს კი იბრძოდნენ. მრავალი შეტაკება ჰქონიათ მათ არა მხოლოდ დასავლეთით, მეზობელ კონტინენტებზე მოსახლეებთან, არამედ აღმოსავლელებთან — ეგვიპტელებსა და იტალიელებთანაც.

თავდაპირველად მეტად ქველნი და საოცრად მდიდარნი, ატლანტიდელები ერთ მშვენიერ დღეს სიხარბემ და სისასტიკემ დალუპა. ზევსის ნებართვით, ათენელებმა ისინი სულ ადვილად დაამარცხეს. ამავე დროს ღმერთებმა მოავლინეს დიდი წყალდიდობა, რომელმაც ერთ დღე-ღამეში ჩაძირა ატლანტიდა, ისე რომ ნავსადგურები, ტაძრები და ყველაზე უფრო მაღალი ხეებიც კი ტალახით აღმოჩნდნენ დაფარულნი.

იაპეტოსი და მისი შვილები მხარში ედგნენ კრონოსსა და ტიტანებს მათ წარუმატებელ ომში ოლიმპიელთა წინააღმდეგ. ხანგრძლივი და ქანცგამცლელი შერკინების შემდეგ ზევსმა მე-

ნოიტიოსს ელვა და მეხი დაატეხა თავს და იაპეტოსთან ერთად მიწისქვეშეთში ჩაამწყვდია.

გონიერი პრომეთე ზევსის მომხრეთა მიმართ ძალის გამოყენების წინააღმდეგი იყო. ამიტომ მას ამ ღმერთებთან არ უბრძოლია, თუმცა კი მისი ჭკუის წინაშე ზევსი ხშირად დამარცხებულა.

ტიტანომაქიაში მონაწილეობის გამო ზევსმა ატლასი დასაჯა – უკიდურეს დასავლეთში, ჰესპერიდების ბაღთან შეუყენა ცის თაღს, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე უნდა მდგარიყო. ერთადერთხელ ჰქონდა ატლასს ამ სასჯელისაგან თავის დახსნის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ჰერაკლემ მას ჰესპერიდების ბაღიდან ოქროს ვაშლების მოტანა სთხოვა. დათანხმდა ატლასი, გმირს მხრებით ცის თაღი დააკავებინა და მცირე ხანში ვაშლებიც მოუტანა. ესიამოვნა ატლასს შემსუბუქებული მხრები და გადაწყვიტა, ჰერაკლე დაეტოვებინა ცის თაღის მტვირთველად, ფერხთით დაუდო ვაშლები და გაცლა დააპირა. მაშინ ჰერაკლემ შესთხოვა დევკაცს, ერთი წუთით, სანამ ბალიშს დავიდებ მხრებზე, ცის თაღს შეუდექიო. ენდო ჰერაკლეს ატლასი და შეუსრულა თხოვნა. ჰერაკლემ კი წამოავლო ხელი ოქროს ვაშლებს და თავის გზას გაუდგა. ასე დარჩა ატლასი ცის თაღის მტვირთველად სამარადისოდ.

ზოგნი ამბობენ, რომ ჰერაკლემ თავად მოიპოვა ჰესპერიდების ვაშლები და განგმირა ბაღის მცველი ურჩხული ლადონი, რომელიც შემდეგ ჰერამ ვარსკვლავებს შორის მოათავსა. მოგვიანებით, გმირმა პერსევსმა გორგო მედუზას თავის მეშვეობით ატლასი გადააქცია მთად, რომელსაც ვარსკვლავებიანი ცა ემყარება.

## ჰესპერიდების ბაღი

სამყაროს დასალიერში, უკიდურეს დასავლეთში, ღამის საზღვართან, ოკეანოსის ნაპირას თვალწარმტაცი წალკოტი ყვავის. შუაგულ ბაღში თვალს სტაცებენ მნახველს მარადიული სიყ-

მაწვილის ვაშლები, საქორწინო საჩუქრად რომ მიიღო ჰერამ დედამიწის ქალღმერთ გეასაგან. ატლასის ასულები, ჰესპერიდები დარაჯობენ მათ: ეგლე („ბრწყინვალება"), ერითია („წითელი") და ჰესპერა („საღამო"). მშვენიერი, გულშიჩამწვდომი გალობა ისმის ჰესპერიდების ბაღიდან. ნეტარებით უსმენს დამატკბობელ ჰანგებს ოქროს ვაშლების მცველი გველი ლადონი, ზღვის ურჩხულთა, ფორკისისა და კეტოს ვაჟი, მოკვდავთა ენის მცოდნე. ხეს შემოგრაგნილი, ჩუმად ღიღინებს და ხმას აყოლებს იგი ჰესპერიდების სიმღერას. ზოგჯერ შეწყვეტს ღიღინს და სხვადასხვაგვარ არსებათა ხმებს ბაძავს, ისე რომ მსმენელს ჰესპერიდების ბაღი სამყაროს ყველა ქმნილებით სავსე ჰგონია.

ორჯერ შეაშინეს გმირებმა ჰესპერიდები. პირველად მაშინ, როცა ჰერაკლემ ლერნეს ჰიდრას შხამში დასველებული ისრით განგმირა გველი ლადონი. ამან საშინლად დააფრთხო ჰესპერიდები და ისინი ბაღში მიმოიმალნენ. ჰერაკლემ მათ ყურადღებაც არ მიაქცია, მოწყვიტა ვაშლები და მეფე ევრისთევსისაკენ გაემართა. გავიდა თუ არა ბაღიდან ჰერაკლე, ღმერთების გაძარცულ წალკოტს არგონავტები ეწვივნენ. მტვრად გარდაისახნენ შეშინებული ჰესპერიდები. მაგრამ ბერძენ გმირებს გულში ავი არა სდებიათ რა, დამაშვრალთ მხოლოდ სასმელი წყლის მოპოვება სურდათ. დიდხანს ეხვეწნენ გმირები შველას უხილავ ჰესპერიდებს, დიდხანს არწმუნებდა მათ ორფევსი, რომ არავითარი საფრთხე არ ელოდათ. ბოლოს, მრავალი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ, ჰესპერიდებმა ირწმუნეს არგონავტების ნათქვამი და მშვენიერ ხეებად გადაიქცნენ: ჰესპერა ალვის ხედ იქცა, ერითია — თელად, ხოლო ეგლე — ტირიფად. შემდეგ კი მათ თავიანთი ნამდვილი სახე მიიღეს და დახმარება გაუწიეს ვაჟკაცებს. დიდხანს არ დარჩენილა ოქროს ვაშლების გარეშე ჰესპერიდების ბაღი. ათენამ ისინი კვლავ ატლასის ასულებს დაუბრუნა.

## კენტავრი ქირონი

კრონოსისა და ოკეანოსის ასულ ფილირეს ვაჟი ქირონი ქვეყანას კენტავრის (ცხენკაცის) სახით მოევლინა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ კრონოსს თავის მეუღლე რეასაგან უჩუმრად სურდა ფილირესთან შეუღლება. ფხიზლად იყო რეა, დაედევნა ქმარს და დოინჯშემოყრილი სწორედ იმ დროს მიუახლოვდა შეყვარებულ წყვილს, როდესაც კრონოსი თავის სასურველს შემოეხვია. არ დაიბნა კრონოსი და მყის ცხენად გარდაისახა. სწორედ ამის გამო იშვა ქირონი სანახევროდ ადამიანად და სანახევროდ ცხენად.

ქირონი თესალიაში, პელიონის მთაზე ცხოვრობდა. იგი გარშემომყოფთა უზომო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. არაერთი სახელგანთქმული გმირი აღზარდა ქირონმა, მათ შორის თესევსი, იასონი, აქილევსი, დიოსკურები — კასტორი და პოლიდევკესი. მკურნალობის ღმერთ ასკლეპიოსსაც მან ასწავლა ექიმობის ხელოვნება. გონიერი მრჩეველი იყო ქირონი. პელევსმა მისგან შეიტყო, როგორ დაემორჩილებინა და შეერთო ცოლად ქალღმერთი თეტისი (ამის შესახებ მოგითხრობთ წიგნში „ტროას ომი“).

ქირონს თავადაც ჰყავდა ცოლ-შვილი: მეუღლე — ლამაზღაწვება ქარიკლო და ქალიშვილი — ენდეისი. ზოგნი პელევსს ენდეისის ვაჟად და, შესაბამისად, ქირონის შვილიშვილად მიიჩნევენ. როგორც ამბობენ, სწორედ ამ მიზეზით იყო განპირობებული ის დახმარება, რომელიც ქირონმა გაუწია ბერძენ ვაჟკაცს: აკასტოსის ცოლს შეუყვარდა თავისი სტუმარი — პელევსი და მისგან უარყოფილმა ცილი დასწამა თავის ქმართან. აკასტოსმა თავად ვერ აღმართა ხელი სტუმარზე, ამიტომ პელიონის მთაზე სანადიროდ წაიყვანა და მძინარეს დანა ამოაცალა ჯიბიდან. აუცილებლად მოკლავდნენ პელევსს პელიონზე მცხოვრები მძვინვარე კენტავრები, ქირონს რომ არ ეშველა მისთვის.

მძიმე სიკვდილი ხვდა წილად ქირონს. ლაპითების მიერ პელიონიდან დევნილი ბრძენი კენტავრი მალეას კონცხთან დასახლდა. აქ, კენტავრებთან ბრძოლისას, ჰერაკლემ მომხდურებს ლერნეს ჰიდრას მომაკვდინებელ შხამში ამოვლებული ისრები დაუშინა. ერთ-ერთმა კენტავრმა ქირონის გამოქვაბულს შეაფარა თავი და იმ დროს, როდესაც კრონოსის ვაჟი მომხდურის გარეთ გაგდებას ცდილობდა, იგი ჰერაკლეს ნატყორცნმა ისარმა გაკაწრა. საშინლად იტანჯებოდა საბრალო ქირონი უკურნებელი ჭრილობისაგან, მაგრამ ვერაფერს შველოდა თავს და იცოდა კიდეც, რომ ნაიარევს ვერ მოირჩენდა. სიკვდილს ნატრობდა ქირონი, მაგრამ არ შეეძლო — მამის, კრონოსის მსგავსად უკვდავი იყო იგი და ეს უკვდავება სატანჯველად ექცა მას. გაწამებულმა ქირონმა სიკვდილი გამოსთხოვა ზევსს და თავისი უკვდავება პრომეთეს გათავისუფლების სანაცვლოდ შეაძლია. ღმერთთა შორის უზენაესს მთლიანად არ წაურთმევია უკვდავება ბერძენ გმირთა აღმზრდელისათვის, ვარსკვლავიან ცაზე აიყვანა იგი და კენტავრის თანავარსკვლავედად აქცია.

## პონტოსის მოდგმა. ნერევსი და ნერეიდები

უნაყოფო ზღვაა პონტოსი, მაგრამ მისი შვილები საოცარი ნაყოფიერებით გამოირჩევიან. პონტოსის ვაჟს, ზღვის ღვთაება ნერევსს ჰყავს ორმოცდაათი ლამაზღაწვება ასული, რომლებიც ბერძენ გმირთა დედები გახდნენ. „ზღვის მოხუცი“, ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილი ღვთაება ნერევსი გონივრულ და საჭირო რჩევებს აძლევს ხოლმე გმირებს. მისი რჩევები მით უფრო ღირებულია, რომ იგი წინასწარმეტყველურ ნიჭს ფლობს და სიმართლის მოყვარეა. ნერევსი ადვილად იცვლის გარეგნობას, რის გამოც მისი მოხელთება და მისგან რჩევის გამოძალვა არცთუ ისე იოლი საქმეა. ჰერაკლემ, რომელსაც ჰესპერიდების ბაღისაკენ მიმავალი გზის გაგება სურდა, მართალია, მოახერხა თოკით შეებოჭა ზღვის ნაპირას მშვიდად მთვლემარე მოხუცებული, მაგრამ მაინც ბევრი იწვალა, რათა ხელიდან არ გაეშვა

იგი — გმირისაგან თავის დასაღწევად ნერევსი მრავალ სხვადასხვა არსებად გარდაისახა.

ოკეანოსის ასულ დორისისაგან ნერევსს ზღვასავით ცვალებადი, ერთიმეორეზე უფრო თვალწარმტაცი და სახელმოხვეჭილი ორმოცდაათი ასული ჰყავს, რომელთაგანაც ყველაზე ცნობილი ზღვათა მეუფის, პოსეიდონის მეუღლე ამფიტრიტეა. ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილნი, ნერეიდები ზოგჯერ მოკვდავებსაც მიჰყვებიან ცოლად, როგორც, მაგალითად, თეტისი, რომელმაც პელევსს აქილევსი უშვა. თეტისთან ერთად მხიარულობენ და მასთან ერთად ღვრიან ცრემლებს ზღვის ფსკერზე ან ზღვიდან ამოწვდილ კლდეებზე მსხდომი მშვენიერი ნერეიდები.

ერთ-ერთ ნერეისს, სილამაზით ღმერთების დარ რძისფერ გალატეას გული შეუვარდა ტყის ღმერთ პანის ვაჟზე, აკისზე. საშინელი ბოღმით შეპყრობილმა ამაზრზენი გარეგნობის სიცილიელმა კიკლოპმა პოლიფემოსმა, რომლის სიყვარულიც ადრე უარჰყო მომხიბლავმა გალატეამ, კლდით გასრისა ვაჟი. მწუხარებისაგან გონი დაკარგა ნერეისმა, ღაპაღუპით სდიოდა ცრემლები საბრალოს. ბოლოს ისღა მოახერხა, რომ შეყვარებული (ან, უფრო ზუსტად, მისი სისხლი) ანკარა მდინარედ გარდასახა.

## ქალჩიტა ჰარპიები

ზღვის ღმერთ თავმასს ოკეანოსის ასულ ელექტრასაგან ხუთი ქალიშვილი ჰყავდა, საზიზღარი გარეგნობის მქონე ველური ქალჩიტები, ჰარპიებს რომ უწოდებდნენ სახელად. ეს საშინელი ქალჩიტები იყვნენ აელა („გრიგალი“), აელოპე („გრიგალის მსგავსი“), პოდარგე („ფეხმარდი“), ოკიპეტე („სწრაფი“) და კელენო („პირქუში“). ეს ავი ქალღმერთები, რომლებიც ბავშვებსა და ადამიანთა სულებს იტაცებდნენ, გრიგალივით უეცრად მოევლინებოდნენ ხოლმე ცოცხალ ქმნილებებს და ასევე სწრაფად ქრებოდნენ. ჰარპიები თრაკიის ქალაქ სალმიდესის დიდებულ მეფე ფინევსს მტრობდნენ. ულმობელი ქალღმერთები ერთ-

ბაშად დააცხრებოდნენ ხოლმე მას თავს და ართმევდნენ არა მხოლოდ მაგიდაზე დალაგებულ ძვირფას და იშვიათ საჭმელს, არამედ პირთან მიტანილ ლუკმასაც კი, ისე რომ ქვეყნიერების ზურგზე ერთ-ერთმა უმდიდრესმა მეფემ კინაღამ შიმშილით დალია სული. გახდა და დაილია საბრალო ფინევსი, სისუსტისა და სიგამხდრისაგან აჩრდილს დაემსგავსა. დიდი გაჭირვებით გარეკეს ფინევსის ნათესავმა არგონავტებმა, ძეტესმა და კალაისმა, უწყალო ჰარპიები. მათ ქალჩიტების ამოწყვეტა სურდათ, და დახოცავდნენ კიდეც, ჰარპიების დას, ღმერთების მაცნე ირისს რომ არ შეეშალა მათთვის ხელი.

ჰარპიები თავდაპირველად ეგეოსის ზღვაში, სტროფადის კუნძულებზე სახლობდნენ. მოგვიანებით კი მათი ადგილსამყოფელი მიწისქვეშეთი, ჰადესი გახდა.

ერთ-ერთ ჰარპიას, პოდარგეს დასავლეთის ქარ ზეფიროსისაგან შეეძინა შვილები, ღვთაებრივი ცხენები, რომლებიც ერთგულად და თავდადებით ემსახურებოდნენ თავიანთ პატრონს, აქილევსს.

## ფორკისისა და კეტოს შთამომავალი ურჩხულები

გეასა და პონტოსს სხვა შვილებიც ჰყავთ: ზღვის ღვთაებები ფორკისი და კეტო. ზღვის უფსკრულია ფორკისი, მისი მეუღლე კეტო კი — ზღვის ურჩხული. ფორკისისა და კეტოს ქორწინების შედეგად მრავალი ურჩხული მოევლინა ქვეყნიერებას: გრაიები და გორგონები, ექიდნე და ურჩხული ლადონი.

## გრაიები

უკიდურეს დასავლეთში, ჰესპერიდების ბაღთან ცხოვრობენ თოვლისფერთმიანი დები გრაიები. გედებს ჰგვანან ზაფრანისფერპეპლოსიანი ენიო, პემფრედო და დინო. დაბადებიდან ჭაღარათმიანებს, მათ ერთადერთი თვალი და ერთადერთი კბილი აქვთ საზიაროდ და რიგრიგობით ათხოვებენ ხოლმე ერთიმეო-



ჰერაკლეს უჭირავს ცის თაღი, ატლასი კი აწვდის მას ჰესპერიდების ბაღიდან მოტანილ ოქროს ვაშლებს. ჰერაკლეს უკან დგას მისი მფარველი, ქალღმერთი ათენა, რომელიც გმირს ცის თაღის შეკავებაში ეხმარება. ზევსის ტაძრის მეტოპა. ოლიმპია. არქეოლოგიური მუზეუმი.



ჰესპერიდების ბაღი. ჰესპერიდები შემოჰხვევიან სასწაულებრივ ხეს, რომელიც ქალღმერთმა გეამ საქორწინო საჩუქრად მიუძღვნა ზევსსა და ჰერას. ერთ-ერთი ჰესპერისი საჭმელს აწვდის გველ ლადონს, რომელიც ხეს იცავს. კრატერი. ძვ.წ. IV ს. რუვო. ჯატას მუზეუმი.



ზღვის დრაკონზე ამხედრებული ნერეისი. ძვ.წ. IV ს. ნეაპოლი. არქეოლოგიური მუზეუმი.



ერთ-ერთი გველისთმიანი გორგო მისდევს პერსევსს, თავისი დის, გორგო მედუზას მკვლელს. წითელფიგურული ამფორა, დაახლ. ძვ.წ. 490 წ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



გორგო მედუზა თავის შვილებთან, პეგასოსთან და ქრისაორთან ერთად. კერკირაზე მდებარე არტემისის ტაძრის დასავლეთი ფრონტონი. დაახლ. ძვ.წ. 580 წ. კერკირა. არქეოლოგიური მუზეუმი.



პოსეიდონის ვაჟები: ფრთოსანი ცხენი პეგასოსი და გმირი ბელეროფონტესი. წითელფიგურული ბეოტიური კანთაროსი. ძვ.წ. V ს-ის დასასრული. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



მტაცებელ ქალჩიტა ჰარპიებს, აელოსა და ოკიპეტეს ებრძვიან ბორეადები, ძეტესი და კალაისი. ეზოთერული ლაკონიური კილიქსი. ძვ.წ. 560-550 წწ. რომი. ვილა ჯულია.



ნემეას ლომისა და ჰერაკლეს ორთაბრძოლა. იქვე მოჩანს ჰერაკლეს ძმისწული იოლაოსი. წითელ და შავფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ლერნეს ჰიდრასა და ჰერაკლეს ორთაბრძოლა. წითელფიგურული სტამნოსი. ძვ.წ. 480-470 წწ. პალერმო. ნაციონალური მუზეუმი.



„ტამანის სფინქსი“. ფიგურული ლეკითოსი ფანაგორიიდან, ძვ.წ. V ს-ის ბოლო მეოთხედი.



პოსეიდონის ტაძარი პესტუმში. შიდა ხედი. ძვ.წ. 475-460 წწ.



პოსეიდონის ტაძარი პესტუმში. სამხრეთ-დასავლეთი ხედი.

რეს. ერთხელ გრაიების ადგილსამყოფელს გმირი პერსევსი ეწვია. პონტოსის ასულებს მან თვალიცა და კბილიც წაართვა და მხოლოდ მაშინ დაუბრუნა უკან, როდესაც ქალღმერთებმა მას იმ ნიმფებისაკენ მიასწავლეს გზა, მფრინავ სანდლებს, უჩინმაჩინის ქუდსა და ყოვლისჩამტევ აბგას რომ ფლობდნენ.

## გორგონები

გრაიებთან ახლოს ცხოვრობდნენ გორგონები, გრაიების სამი და: სთენო, ევრიალე და მედუზა. სთენო და ევრიალე მარად ყმაწვილნი და უკვდავნი იყვნენ, მედუზა კი – მოკვდავი. მეტად მომხიბლავნი იყვნენ სამივენი, სანამ ერთ ღამეს მედუზამ სარეცელი არ გაიზიარა პოსეიდონთან. ათენამ, განრისხებულმა იმით, რომ მათ საამისოდ მისი ერთ-ერთი ტაძარი გამოიყენეს, საშინელ ურჩხულებად გადააქცია მედუზაცა და მისი დებიც. მას შემდეგ ამაზრზენი სანახავები იყვნენ გორგონები, ვეებერთელა ფრთები ჰქონდათ გამობმული ბეჭებზე, სხეული ქერცლით დაფარვოდათ, პირში კბილების ნაცვლად ეშვები ამოსვლოდათ, მშვენიერი თმების მაგიერ კი მათ თავებზე გველები სისინებდნენ. მათი დანახვისას ადამიანები შიშისაგან ქვავდებოდნენ. ამიტომ იყო, რომ გმირ პერსევსს გორგო მედუზას დამარცხებაში დაეხმარა თვით ამ ურჩხულთა „შემოქმედი“ ათენა, რომელმაც შემდგომ მისი თავისა და ტყავისაგან სახელგანთქმული ეგისი გაიკეთა. მედუზას სიკვდილის ჟამს მისი სისხლისაგან იშვნენ ოქროსმახვილიანი ქრისაორი და ფრთოსანი ცხენი პეგასოსი, პოსეიდონისა და მედუზას სიყვარულის ნაყოფნი.

## სამთავიანი გერიონი

მედუზას შვილი ქრისაორი ურჩხულის მამა გახდა, თუმცა კი მომხიბლავი ოკეანისი კალიროე ჰყავდა ცოლად. მას კალიროესაგან სამთავიანი და სამტანიანი გველეშაპი გერიონი შეეძინა. ეს ურჩხული სამყაროს უკიდურეს დასავლეთში, კუნძულ ერი-

თიაზე ცხოვრობდა. მეფე ევრისთევსის დავალებით, ჰერაკლეს მისთვის ძროხები უნდა წაერთმია. მან დავალება შეასრულა და თანაც სიცოცხლეს გამოასალმა ნახირის მცველები და მწყემსი ევრიტიონი, მოკლა ორთავიანი ძაღლი — ექიდნეს ვაჟი ორთროსი და ბოლოს თავად გერიონიც განგმირა ისრით.

## ფრთოსანი რაში პეგასოსი

ქრისაორის ძმამ, პეგასოსმა ჰელიკონის მთაზე ფლოქვის ერთი დარტყმით წარმოშვა წყარო ჰიპოკრენე („ცხენის წყარო"), რომელიც აღმაფრენით ავსებს პოეტებს. ღვთაებრივი ცხენი დასახლდა ოლიმპოსზე, სადაც იგი ელვასა და მეხს აწვდის ზევსს. პეგასოსი ღმერთებმა გმირ ბელეროფონტესს აჩუქეს. მასზე ამხედრებული ბელეროფონტესი ჰაერში აფრინდა და ჰაერშივე მოკლა საშინელი ურჩხული ქიმერა, ქვეყანას რომ აოხრებდა.

## ქიმერა

საშინელი სანახავი იყო ქიმერა. თავზარს სცემდა იგი მნახველებს. თუკი ვინმე ქიმერას ცოცხალი გადაურჩებოდა, გაოგნებულს აღარც ახსოვდა კარგად, როგორი იყო ეს ურჩხული. ზოგი ამტკიცებდა, რომ მას, ლომისთავიანს, თხისტანიანსა და გველისკუდიანს, ამ სამივე ცხოველის თავი ება კისერზე და სამივე თავიდან ცეცხლს აფრქვევდა. ზოგს ქიმერას თხის ერთი თავი ბევრად ეჩვენებოდა, ზოგი კი სხვებს უამბობდა, რომ ეს თავები მას წელზე ჰქონდა ამოზრდილი.

თავისი გველური ბუნებით ქიმერა წააგავდა დედას, ქალგველ ექიდნეს, ფორკისისა და კეტოს ასულს, ურჩხულის გარეგნობით კი მამას — ტიფონს. ქიმერა გაზარდა ამისოდაროსმა, კარიის მეფემ. მაგრამ თანდათანობით იგი ისეთი საზარელი გახდა, რომ გარშემო ყველაფრის განადგურება დაიწყო და მეზობელ სახელმწიფოებსაც მისწვდა. ლიკიის მეფემ მისი მოკვლა დაავალა თავის სტუმარ ბელეროფონტესს. ბერძენმა გმირმა

ჭკუა იხმარა, მახვილზე ტყვიის ზოდი დაამაგრა, ფრთოსანი რაშით ჰაერში აიჭრა და მახვილი ქიმერას ესროლა. ქიმერამ ნატყორცნ მახვილს ცეცხლი შეაფრქვია, ტყვია მყისვე დადნა, დაბჩენილ ხახეში ჩაეღვარა და თვალის დახამხამებაში მოკლა. სიკვდილის შემდეგ მიწისქვეშეთში დაიბუდა ქიმერამ და ძრწოლით ავსებს მიცვალებულთა სულებს.

## ქალ-გველი ექიდნე და მისი შთამომავლობა

ნახევრად ქალი და ნახევრად გველი ექიდნე ღრმა მიწისქვეშა გამოქვაბულში ცხოვრობდა, აქ ჩაითრევდა ხოლმე გამვლელებს და შთანთქავდა მათ. მრავალი შვილი-ურჩხული შეეძინა მას ტიფონისაგან. ბოლოს კი იგი, მძინარე, ასთვალა არგუსმა გამოასალმა სიცოცხლეს. ტიფონისა და გერიონისაგან ექიდნემ შვა ურჩხულები: ორთავიანი ძაღლი ორთროსი, კერბეროსი — ბეწვების ნაცვლად რომ გველები ასხია ტანზე, არწივი, რომელიც პრომეთეს ღვიძლს უკორტნიდა, ნემეას ლომი, ლერნეს ჰიდრა, სფინქსი და მრავალი სხვა.

## ნემეას ლომი

ექიდნეს თავისი შვილის, ორთროსისაგან ლომი შეეძინა. ეს ლომი ჰერამ გაზარდა და ღმერთებმა იგი ნემეასთან დაასახლეს, რათა ამ ადგილისა და მახლობელი ბემბინას მაცხოვრებლები დაესაჯათ ღმერთებისადმი გამოჩენილი უყურადღებობის გამო — დიდი ხანი იყო, რაც ისინი უკვდავებს მსხვერპლს აღარ სწირავდნენ. გამოქვაბულში დასახლდა ლომი და გარშემო ყველა ცოცხალ ქმნილებას ანადგურებდა. საოცარი ტყავი ჰქონდა მას, ისრებისა და შუბებისათვის უწყლადი. იგი უიარაღოდ, შიშველი ხელებით მოგუდა ჰერაკლემ მას შემდეგ, რაც უშედეგოდ შეამსხვრია ზედ უამრავი ისარი (ამ ამბავს შეგიძლიათ დაწვრილებით გაეცნოთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“).

## ლერნეს ჰიდრა

ექიდნეს მეორე შვილი, ლერნეს ჰიდრაც ჰერაკლემ გამოასალმა სიცოცხლეს. ჰიდრას ბუნაგი ჰქონდა წაბლის ხის ქვეშ, შვიდ წყაროსთან, რომლებიც მდინარე ამიმონეში ჩაედინებოდნენ. ზოგნი კი მის საცხოვრებელ ადგილად უძირო ლერნეს ტბას ასახელებდნენ. ვეებერთელა ძაღლის სხეული და ცხრა თავი ჰქონდა ჰიდრას. ამას გარდა, იგი ისეთი შხამიანი იყო, რომ ერთი მისი ამოსუნთქვა, მისი ნაკვალევის სუნიც კი ღუპავდა ყველაფერ ცოცხალს. ცხრათავიან ურჩხულს ერთ-ერთი თავი უკვდავი ჰქონდა, სისხლის მაგიერ კი შხამი უმოძრავებდა ძარღვებში. ჰერაკლესთან ორთაბრძოლისას ჰიდრას ყოველი მოკვეთილი თავის ადგილას ორი ახალი ამოსდიოდა. ჰერაკლეს თავისი დისწული იოლაოსი მიეშველა. იგი ჰიდრას მოკვეთილი თავების ადგილას გაჩენილ ჭრილობებს ანთებული მუგუზლით უწვავდა და ურჩხულს ახალი თავები ველარ ამოსდიოდა. უკანასკნელი, უკვდავი თავი რომ წააცალა, ჰერაკლემ ის, ჯერ კიდევ მოსისინე, ღრმად ჩაფლა მიწაში და მძიმე ლოდი დააფარა, მისი სხეული კი დაანაკუწა (დაწვრილებით ამ მითს გადმოგცემთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდან გმირები“).

## სფინქსი

სფინქსი, სხვაგვარად რომ ფიქსსაც უწოდებენ, ექიდნესა და ტიფონის შვილი იყო. მას სახე და მკერდი ქალისა ჰქონდა, ლომის სხეულზე კი ფრინველის ფრთები ჰქონდა ამოზრდილი. თებესთან ახლოს მდებარე მთასთან დაიდო მან ბინა და გამვლელ-გამომვლელს ერთსა და იმავე კითხვას უსვამდა: „ცოცხალ არსებათაგან რომელი დადის დილით ოთხ, დღისით ორ და საღამოს სამ ფეხზე?“ მას, ვინც ვერ შეძლებდა ამის გამოცნობას, სფინქსი უწყალოდ შთანთქავდა ხოლმე. ვერავინ აძლევდა სწორ პასუხს ურჩხულს და მანაც მრავალი მოკვდავი იმსხვერპლა. სფინქსის გამოცანა გამჭრიახმა ოიდიპოსმა გამოიცნო. „ადამიანიო“, — წარმოთქვა თუ არა, სასოწარკვეთილი სფინქსი უფ-

სკრულში გადაეშვა და სიცოცხლეს გამოესალმა (ამის შესახებ უფრო ვრცლად მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „შვიდბჭიანი თებე“).

## ❷ პოსეიდონი – ზღვათა მეუფე

აღელვებულია ზღვა. მიქრის ეტლით მის ზურმუხტისფერ ტალღებზე თვალუწვდენელი სიმაღლის ვეებერთელა ღმერთი. ეს ზღვის მეუფეა, ლურჯკულულებიანი მომხიბლავი ვაჟკაცი, პოსეიდონი. დიდი ამალა მისდევს ხელმწიფეს – დელფინები, თინუსები, ტრიტონი, რომელიც საყვირში ჩაბერვით აზვირთებს ტალღებს. ჯიშიანი გრძელფაფრიანი ცხენები ჰყავს ზღვათა მბრძანებელს შებმული ეტლში. თავისი ოქროს სასახლისაკენ მიემართება ზღვათა მეუფე. ელვარებს მზის სხივებზე პოსეიდონის ვეებერთელა სამკაპი. დაასობს სამკაპს მის წინ აღმართულ რომელიმე კლდეს და წვრილ-წვრილ ნამსხვრევებად აქცევს მას. ძლევამოსილი პოსეიდონის ფეხთა ქვეშ თრთიან ტყეები. თრაკიის მთებიდან თავის სასახლეში მისასვლელად ბუმბერაზ ღმერთს სულ სამი-ოთხი ნაბიჯის გადადგმა ჰყოფნის.

ზღვის მეუფე, მიწისმრყეველი პოსეიდონი ერთ-ერთი მთავარი ოლიმპიელი ღმერთია. იგი თავისი და-ძმების, ჰადესის, ჰერას, ჰესტიასა და დემეტრეს მსგავსად, ოდესღაც მამამ, კრონოსმა გადაყლაპა, შემდეგ კი ზევსის მეშვეობით ხელმეორედ მოევლინა ქვეყნიერებას. კრონოსის ვაჟებმა ტიტანების დამარცხების შემდეგ წილი ჰყარეს და სამყარო გაინაწილეს. პოსეიდონს საბრძანებლად ერგო ზღვა, რომელშიც მან მაშინვე ააგო თეთრად მოქათქათე სასახლე, საგანგებო თავლაში დააბა თავისი თეთრი, სპილენძისფლოქვებიანი და ოქროსფაფრიანი ცხენები, და ოქროს ეტლი დააყენა.

თუმცა კი მიწისმრყეველმა პოსეიდონმა ცნო თავისი უმცროსი ძმის, ზევსის უზენაესობა, მაგრამ არ შერიგებია ამ ამბავს, რადგანაც თავს შთამომავლობითი უფლებებით ზევსის თანასწორად მიიჩნევდა და ამიტომ მარად ცის მეუფებას ელტვო-

და. იგი პირველი შემთხვევისთანავე შეუერთდა ზევსის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებას. პოსეიდონის საუბედუროდ, შეთქმულება დამარცხდა, მისი მონაწილენი დაისაჯნენ და ბორკილებისაგან ზღვათა მეუფე მხოლოდდამხოლოდ მშვენიერმა ნერეისმა, თეტისმა იხსნა.

უზენაეს მეუფეს ძმა დაუსჯელი არ დაუტოვებია. მან შეთქმულების მონაწილეებს, პოსეიდონსა და აპოლონს უბრალო მიწიერებივით ტროელთა მეფის, ლაომედონის სამსახური — ქალაქ ტროას გალავნის აშენება გადაუწყვიტა. პოსეიდონი, რომელიც ისედაც განრისხებული იყო ასეთი დამცირების გამო, ტროელთა მეფემ კიდევ უფრო გააშმაგა. ლაომედონმა ის არ აკმარა პოსეიდონსა და აპოლონს, რომ მოატყუა და გალავნის აშენების გასამრჯელო არ გადაუხადა, იგი აპოლონს დაემუქრა, რომ მონად გაყიდდა და ყურებსაც დააჭრიდა მას და პოსეიდონს.

პოსეიდონის მძვინვარებას საზღვარი არა ჰქონდა. ზღვის მბრძანებელმა ლაომედონის სამფლობელოს დიდი უბედურება დაატეხა თავს. მისი ბრძანებით, ტროელებს განადგურება დაუწყო ზღვის საშინელმა ურჩხულმა, რომლისგანაც თავის დახსნა მხოლოდ ლაომედონის ღვთაებრივი სილამაზის ქალიშვილის, ჰესიონეს მსხვერპლშეწირვით შეიძლებოდა. კლდეზე მიჯაჭვული ცრემლიანი ჰესიონე საშინელი სიკვდილისაგან ჰერაკლემ იხსნა.

თუმცა კი ბევრს ეცადა ზევსი, მაგრამ ტროაში სამუშაოდ გაგზავნის შემდეგ ძმა ბოლომდე მაინც ვერ შემოირიგა. ამიტომ იყო, რომ პოსეიდონი, ზევსის სურვილის საწინააღმდეგოდ, ტროას ომის დროს ფარულად ეხმარებოდა ბერძენთა ჯარს და ზევსის რისხვას შეურიგებელი მტრობის მუქარით პასუხობდა.

ყოველგვარ საზღვარს სცილდება გაშმაგებული პოსეიდონის რისხვა. ეს უკვდავებმა კარგად იციან. ბუმბერაზ ღმერთს შეუძლია ზღვის ზედაპირზე მოტივტივე გემი კლდედ აქციოს და თვალის დახამხამებაში მიასრისოს ხელისგულით ზღვის

ფსკერს, ისე, როგორც ეს მან განრისხების ჟამს ფეაკების ხომალდს დამართა. ათი წელი დასჭირდა ღმერთების საყვარელ ოდისევსს სამშობლოში დასაბრუნებლად – მან ხომ პოსეიდონს ვაჟი, პოლიფემოსი დაუბრმავა. ისინი, ვინც ოდისევსს ხელი გაუმართა, პოსეიდონმა შეუბრალებლად დასაჯა. ბერძენ გმირს ხეტიალის დრო ვერ შეუმცირეს უკვდავებმა, მას ამაში ვერ დაეხმარა თავად ზევსიც კი, თუმცა თვლიდა, რომ პოსეიდონი არ უნდა შეწინააღმდეგებოდა სხვა ღმერთებს და არ უნდა მოქცეულიყო თვითნებურად.

პოსეიდონის რისხვამ შეიწირა აიაქს ოილევსის ძის სიცოცხლე. დამნაშავე აიაქსს, რომელმაც ტროას მეფის ასულ კასანდრას ათენას ტაძარში, ქალღმერთის ქანდაკების ფეხთით აჰხადა ნამუსი, ზღვების მბრძანებელმა ჯერ ხომალდი დაუმსხვრია, შემდეგ კი სამკაპით გააპო კლდე, რომელსაც ბერძენი გმირი ეჭიდებოდა და ასე დაღუპა.

როდესაც მშვიდ გუნებაზეა, პოსეიდონი კეთილია მოკვდავთა მიმართ და ხშირად შველის ხოლმე მათ. მან საშინელი სიკვდილისგან იხსნა ინო, რომელმაც ჩვილ მელიკერტესთან ერთად წყალში გადახტომა არჩია ჰერას მიერ გაგიჟებული ქმრის ხელში ჩავარდნას. მანვე აქცია მეზღვაურთა მფარველებად და გრიგალთა დამაცხრობლებად ბერძენი გმირები, ძმები კასტორი და პოლიდევკესი.

ზღვის ზღაპრულად ლამაზ სივრცეებში ცხოვრობს პოსეიდონი თავის მეუღლე ამფიტრიტესთან ერთად. უკვდავი ცხენებით ამოცურდება ხოლმე იგი ზღვის ზედაპირზე. გზას უთმობენ მას თევზები, ზღვის ნათელმხილველი მოხუცი ღვთაებები ნერევსი და პროტევსი, ზღვის ღმერთი, წინასწარმეტყველი გლავკოსი და მის ეტლს კუდების ტყლაშუნით მიჰყვებიან გვერდზე.

როდესაც პოსეიდონი განრისხებულია და სამკაპს მოიქნევს, ზღვა ღელვას იწყებს და უზარმაზარი ტალღები ძირავენ გემებს, სხვა დროს კი ზღვის ტალღები ისეთი კამკამაა და გამ-

ჭვირვალე, რომ იოლად შეიძლება ზღვაში მოცურავე მრავალ-ფერადი თევზების დანახვა.

## პოსეიდონი ქორწინდება

ერთხელ პოსეიდონმა კუნძულ ნაქსოსზე ნერევსის თვალ-წარმტაცი ასულები შენიშნა, მთვარის შუქზე გატაცებით რომ ცეკვავდნენ. თავდავიწყებით შეუყვარდა პოსეიდონს მზის სხი-ვივით მშვენიერი ნერეისი ამფიტრიტე და მოისურვა, შემოესვა თავის ეტლზე. შეშინებული ასული ლურჯკულულებიან ვაჟ-კაცს ხელიდან გაუსხლტა და სხვა ნერეიდებთან ერთად დაემა-ლა — ტიტან ატლასის მთებს შეაფარა თავი.

დიდხანს ეძებდა შეყვარებული ღმერთი თავის სატრფოს, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნო. გადაეწურა სასურველის პოვნის იმედი ზღვათა მეუფეს და დახმარებისათვის დელფინს მიმართა. სულ მოკლე ხანში იპოვა დელფინმა ამფიტრიტეს თავშესაფარი და ისე ოსტატურად წაიყვანა საქმე, რომ ქალ-წულმა უარის თქმა ვერ მოახერხა.

გახარებულმა პოსეიდონმა მყისვე მოსტაცა ატლასს ნერევ-სის მშვენიერი ასული და დაქორწინდა მასზე, დელფინი კი მად-ლიერების ნიშნად თანავარსკვლავედად აქცია.

ამფიტრიტეს პოსეიდონისაგან სამი შვილი ჰყავდა: პირვე-ლი. ნიმფა როდა, მზის ღმერთ ჰელიოსის მეუღლე იყო; მეორე, ბენთესიკიმე, ცოლად ჰყავდა ეთიოპელ ენდიასს; მესამე შვილს კი ტრიტონს უწოდებენ სახელად. ტრიტონი ზღვის სიღრმეთა ღვთაებაა, ზღვის ფსკერზე აშენებულ ოქროს სასახლეში ცხოვ-რობს და თავისი ნიჟარა-საყვირით საშინელ ქარაშოტებს იწვევს ზღვაზე.

## პოსეიდონის მოკვდავი შვილები

პოსეიდონი ბერძენი გმირების წინაპარია. იგი ათენის მეფე ეგევ-სის ვაჟის, გმირი თესევსის ღვთაებრივ მამად ითვლება (ბერძენ გმირთა უმეტესობას მითები ორ-ორ მამას მიაწერენ ხოლმე,

ერთს მიწიერსა და ერთს ზეციერს. მაგალითად, ენდიმიონის მიწიერი მამა იყო აეთლიოსი, ზეციერი — ზევსი; მინოტავროსის მიწიერი მამა კი იყო მინოსი, ხოლო ღვთაებრივი — პოსეიდონი). მდინარის ღმერთის სახით პოსეიდონმა ლამაზლაწვება ტიროს შეეუღლა და პელიასისა და ნელევსის მშობელი გახდა (აქილევსისა და ნესტორის ბაბუა). პოსეიდონის ვაჟები იყვნენ გმირი არგონავტები: ევფემოსი, ერგინოსი და ანკევსი, აგრეთვე ტყუპები: ბელოსი და აგენორი, მშვენიერი ევროპეს მამა.

შიშს ჰგვრიან გარშემომყოფებს ზღვათა მეუფის შვილები: გოლიათები სარპედონი, ორიონი და ანთეოსი, კიკლოპი პოლიფემოსი, ძმები ალოადები — ოტოსი და ეფიალტესი, ხარკაცი მინოტავროსი, ყაჩაღები კერკიონი და სკირონი, ლამია, მეფე ბუსირისი და მოკრივე ამიკოსი, რომლებიც კლავდნენ თავიანთ ქვეყანაში ჩამოსულ უცხოელებს. პოსეიდონის შვილები ცხენებიც არიან — პოსეიდონს ხომ, სურვილისამებრ, ცხენის ან ხარის სახის მიღება შეუძლია — არეიონი (დემეტრესგან) და ფრთოსანი პეგასოსი (გორგო მედუზასაგან).

ზღვათა მეუფეს შვილები ჰყავდა ქირონის შვილიშვილის, მელანიპესაგან — ტყუპი ძმები ბეოტოსი და ეოლოსი. ძვირად დაუჯდა პოსეიდონის სიყვარული მელანიპეს. როდესაც მამამისმა, დესმოტესმა ქალიშვილის ფეხმძიმობის ამბავი შეიტყო, ჯურღმულში ჩაამწყვდია იგი, ხოლო მისი ახალშობილი ვაჟები კი თავიდან მოიცილა — პელიონის მთაზე დაყარა. ბეოტოსი და ეოლოსი იპოვეს და აღზარდეს მწყემსებმა. როდესაც ძმები გაიზარდნენ, მათ ტყვეობიდან იხსნეს დედა.

## ლამია

ღმერთქალივით მშვენიერი იყო პოსეიდონის ასული ლამია. ლიბიის სამეფოს მართავდა ბრძენი ქალიშვილი. მისმა სილამაზემ თავად უზენაეს ღმერთსაც კი მოსტაცა თვალი და დედამიწაზე ჩამოიყვანა მასთან შესაუღლებლად. ლამიამ ზევსს რამდენიმე ასული უშვა. ეჭვიანმა ჰერამ შეიტყო ქმრის ღალატი და ზევსი-

სა და ლამიას ყველა შვილი გამოასალმა სიცოცხლეს, სკილასა და სიბილას გარდა. შვილებმკვდარი დედა ენით აუწერელმა შურისძიების წყურვილმა შეიპყრო. იგი გამოქვაბულში დაიმალა და ისეთი სისასტიკით კლავდა სხვების ბავშვებს, რომ თანდათანობით სახე შემზარავი გაუხდა, თავად კი სისხლისმსმელ ურჩხულად გადაიქცა.

იმის გარდა, რომ შვილები დაუხოცა, ჰერამ ლამიას ძილიც წაართვა და უბედური ქალი გაბოროტებული დაძრწოდა ღამღამობით. ზევსმა შეიბრალა იგი და იმ დიდი სიყვარულის გამო, რომელიც ლამიას მის მიმართ ჰქონდა გულში, პოსეიდონის ასული იშვიათი ნიჭით დააჯილდოვა. ამიერიდან ქალს შეეძლო უპეებიდან ამოელო თვალები და დაეძინა. მხოლოდ ძილის დროს იყო იგი უვნებელი მოკვდავთათვის. მოგვიანებით ლამია შეუერთდა ემპუსებს და მძინარე ახალგაზრდებს სწოვდა სისხლს.

## პოსეიდონის საჩივარი

პოსეიდონს ნიმფა ევრიტესაგან ჰყავდა მამაცი ვაჟი ჰალიროთიოსი. ერთ დღეს ჰალიროთიოსს გზად შემოხვდა ომის ღმერთ არესისა და ლამაზლაწვება აგრავლოსის კალმით ნახატი ასული ალკიპე. გულში ჩაუვარდა იგი ახოვან ვაჟკაცს და აგორებული ტალღის სისწრაფით გამოეკიდა სასურველს.

გარბის ალკიპე ტყეში, სახე ტოტებმა დაუსერეს, შემოეფლითა ქიტონი, ფეხებიდან სანდლები გასძვრა და სისხლიანი ნაკვალევი დაამჩნია დედამიწას. გამოელია ძალ-ღონე ქალწულს და შესძახა: „მამაჩემო არეს, თუკი ოდესმე ჩემთვის სიკეთე გდომებია, გადამარჩინე სირცხვილს, მიშველე, გეხვეწები!“

გაიგონა არესმა ქალიშვილის ხმა, საბრძოლო ეტლით დაეშვა დედამიწაზე და შუბით განგმირა ჰალიროთიოსი.

განრისხდა პოსეიდონი არესის საქციელზე და იგი არეოპაგოსის წინაშე დაადანაშაულა თავისი ვაჟის მკვლელობაში. მცირე ხანს ბჭობდა საკრებულო ამ შემთხვევის შესახებ და ბოლოს არესი გაამართლა, რადგანაც მომხდარის მოწმე არავინ

იყო. რაღა უნდა ექნა პოსეიდონს, დატოვა არეოპაგოსი და ზღვისკენ გაემართა. მრავალი ხომალდი ჩაძირა გაშმაგებულმა, სანამ სასახლეში დაბრუნდებოდა.

## პოსეიდონის ბრძოლა ქალაქებზე მეუფებისათვის

ბერძენ ღმერთებს საბერძნეთის სხვადასხვა კუთხეში ჰქონდათ დაქვემდებარებული მხარეები, სადაც მათ განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც მეუფებდა პოსეიდონი და მისი ამაყი შთამომავლობა, რომელიც ზევსმა შემდეგ ჰიბრისის ანუ ქედმაღლობის გამო დასაჯა, იყო კუნძული ატლანტიდა. პოსეიდონი ცდილობდა, მოეპოვებინა სხვა მხარეებიც, სადაც მას პატივს მიაგებდნენ. ასე, მაგალითად, მას ჰელიოსისათვის კორინთოსის წართმევა ეწადა, მაგრამ ამ ბრძოლაში დამარცხდა და მხოლოდ ისთმოსის ყელი დაინარჩუნა, მაშინ, როდესაც ჰელიოსმა უზენაესი მეუფისაგან აკროპოლისი მიიღო საჩუქრად; კუნძულ ეგინადან პოსეიდონი გააძევა ზევსმა, ნაქსოსიდან — დიონისემ, დელფოდან — აპოლონმა, ტროიძენიდან კი — ათენამ.

ათენასა და პოსეიდონს ატიკისა და ათენის მფლობელობაზეც ჰქონიათ დავა. ზევსმა ბრძანა, მათი დავა ოლიმპიელთა ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე განსჯილიყო. მას იმ ღმერთისთვის უნდა ებოძებინა ქალაქი, ვინც ათენს რაიმე მეტად მნიშვნელოვანს შესძენდა. დაარჭო პოსეიდონმა ათენის აკროპოლისზე კლდეს თავისი სამკაპი და კლდიდან ზღვის მარილიანმა წყალმა გადმოხეთქა. ამით ღმერთმა ქვეყნიერებას ამცნო ატიკაზე თავისი ბატონობის შესახებ. ჩაარჭო შუბი მიწაში ათენამ, სიბრძნის ქალღმერთმა და წყაროს გვერდით სიმდიდრის სიმბოლო — პირველი ზეთისხილის ხე ამოზარდა.

ღმერთები პოსეიდონს მიემხრნენ, ქალღმერთებმა კი ათენას დაუჭირეს მხარი. მხოლოდ ზევსს არ გამოუთქვამს თავისი შეხედულება სადავო საკითხზე. ერთი ხმის უპირატესობით

გაიმარჯვა ათენამ. ეს ხმა ეკუთვნოდა კეკროფსს, ათენის მეფეს, რომელიც ზევსს კრებაზე ჰყავდა მოწვეული. ვეებერთელა ზვირთები გაგზავნა პოსეიდონმა მაშინ ათენისაკენ. ზღვათა მეუფის რისხვის დასამშვიდებლად ზევსმა ათენელ ქალებს არჩევნებისას ხმის მიცემის უფლება წაართვა, ათენელ მამაკაცებს კი დედის სახელის ტარება აუკრძალა.

პოსეიდონმა ვერც არგოსი დაისაკუთრა. მან მოიწადინა, ჰერასათვის წაერთმია ეს მხარე და საბრძოლველადაც მზად იყო. ოლიმპიელებს სურდათ, მოდავეთა უთანხმოება მშვიდობიანად გადაეწყვიტათ, მაგრამ პოსეიდონს არ უნდოდა, წარმდგარიყო ღმერთების წინაშე, რადგანაც მიაჩნდა, რომ ოლიმპიელები მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი. ამის გამო ზევსმა პოსეიდონს მოსამართლეებად დაუნიშნა მდინარის ღმერთები ინაქოსი, კეფისოსი და ასტერონი, რომლებმაც დავა მაინც ზღვათა მბრძანებლის საწინააღმდეგოდ გადაჭრეს. ყველაზე მეტად პოსეიდონი განარისხა ინაქოსმა, რომელმაც ზღვათა მეუფე არად ჩააგდო და არგოსში ჰერას აუგო ტაძარი. რაკილა პოსეიდონს აკრძალული ჰქონდა, წყალდიდობით ეძია შური თავის მსაჯულებზე, ამიტომ მან სრულიად საწინააღმდეგო ხერხი აირჩია მათ დასასჯელად: ყოველ ზაფხულს კალაპოტებს უშრობს ამ მდინარეებს და ისინი მხოლოდ წვიმის წყლითღა საზრდოობენ.

არგოსის მეფე დანაოსმა და მისმა ორმოცდაათმა ასულმა, ინაქოსის მსგავსად, თავიანთი ქალაქი არა პოსეიდონის, არამედ ჰერას კუთვნილებად გამოაცხადეს. ამით გაშმაგებულმა პოსეიდონმა ამ ქალაქს ჯერ სასმელი წყალი მოაკლო, შემდეგ გვალვა დაატეხა თავს და ბოლოს — ზღვის ბობოქარი ტალღები.

## პოსეიდონი ამიმონეს შველის

მტანჯველი გვალვის დროს მეფე დანაოსმა თავისი ასულები წყაროს საძებრად გაგზავნა. დანაოსის ერთ-ერთმა ასულმა, სახელად ამიმონემ, წყაროს ძებნისას შურდული ესროლა ირემს და უნებურად სატირს მოახვედრა. სატირმა მასთან შეუღლება

მოისურვა. განწირული ამიმონე შემთხვევით გამოჩენილმა პოსეიდონმა იხსნა. ღმერთის დანახვისთანავე სატირმა ზურგი აქცია ამიმონეს და თავი ტყეს შეაფარა. ზღვის მბრძანებელმა სატირს სამკაპი ესროლა, მაგრამ მის ნაცვლად მოახვედრა კლდეს, რომლიდანაც ანკარა წყარომ გადმოხეთქა. ამ წყაროს ჯერ ამიმონეს, შემდეგ კი ლერნეს სახელი ეწოდა.

ამიმონეს პოსეიდონისაგან შეეძინა მხარბეჭიანი ვაჟკაცი ნავპლიოსი, რომელმაც არგოლისში ქალაქი ნავპლიონი დააარსა.

## სელაპთა მწყემსი პროტევსი

პოსეიდონის შვილი, ჭაღარა მოხუცი პროტევსი ნათელმხილველი ღვთაებაა და ზღვის სხვა ღმერთების მსგავსად, სახეცვალებადობის ნიჭით არის დაჯილდოვებული. იგი ხან წყალში ნებივრობს, ხან კი ხმელეთზე, გამოქვაბულში წამოწვება ხოლმე დასასვენებლად და თავის სელაპებს გადაავლებს თვალს.

პროტევსმა ერთხელ მენელაოსს ამცნო მისი მომავალი. როდესაც მენელაოსი თავის ხელმეორედ მოპოვებულ მეუღლე ელენესთან ერთად სამშობლოში ბრუნდებოდა, ღმერთებმა იგი კუნძულ ფაროსზე შეაყოვნეს — მენელაოსს დავიწყებოდა ოლიმპიელებისათვის დაპირებული ჰეკატომბეს (ასი ხარის) შეწირვა მსხვერპლად. ოცი დღე იდგა უქარო ამინდი, ოცი დღე იდო ნაპირზე წყლიდან ამოგდებული თევზივით ბერძენთა იალქნიანი ნავი, ოცი დღე იყვნენ კუნძულზე უსაგზლოდ დარჩენილი მშიერი მეზღვაურები და არავინ იცოდა, როდის შესძლებდნენ გზის გაგრძელებას. ბოლოს პროტევსის ასულს, ლამაზღაწვება ეიდოთეას შეებრალა ზღვაოსნები, ურჩია, პროტევსისაგან უკვდავთა წყრომის მიზეზი შეეტყოთ და საამისო ხერხიც ასწავლა. ქალღმერთმა დაწვრილებით გააცნო მენელაოსს პროტევსის ჩვევები და გააფრთხილა, რა სახეც არ უნდა მიეღო ზღვის ღმერთს, ხელი არ გაეშვა მისთვის. მენელაოსს მხოლოდ მაშინ უნდა გაეთავისუფლებინა პროტევსი, როდესაც იგი თავის ნამდვილ, ახლადგამოღვიძებული მოხუცის სახეს მიიღებდა.

დადგა შუადღე, პროტევსი ამოვიდა ზღვიდან, მივიდა გამოქვაბულში გაწოლილ თავის სელაპებთან, გადათვალა ისინი და ზედ მიათვალა მენელაოსიცა და მისი სამი მეგობარიც, რომლებიც ეიდოთეას მიერ მოტანილ სელაპების ტყავებში იყვნენ გახვეულები და სულგანაბულნი იწვნენ ზღვის ცხოველებს შორის. თვლა რომ დაასრულა, პროტევსი თვითონაც სელაპებს შორის წამოწვა. თვალი მოხუჭა თუ არა, ჩასაფრებულები გამაყრუებელი ყვირილით დაესხნენ მას თავს და მაგრად ჩასჭიდეს ხელი. არ დაიბნა ზღვის ღმერთი, საზარელ ლომად გარდაისახა და მისმა ღრიალმა ცის კაბადონს ზანზარი დააწყებინა. არ გაუშვეს პროტევსს ხელი გმირებმა. მაშინ იგი ვეებერთელა გველეშაპად, შემდეგ კი ჯიქად და საზარელ ტახად გარდაისახა. მაინც არ შეშინდნენ ვაჟკაცები და რაც უფრო მეტად ცდილობდა თავის გათავისუფლებას ღმერთი, მით უფრო მაგრად უჭერდნენ მკლავებს. კიდევ ერთხელ გაიბრძოლა პროტევსმა და წყლად დაიღვარა გმირების ხელებს შორის. არც ამან უშველა. მაშინ დატოტვილ ხედ გადაიქცა მოხუცი. არც ახლა უშვეს ხელი მას ზღვაოსნებმა. რაღა უნდა ექნა, გადაეწურა იმედი პროტევსს, თავისი ნამდვილი სახე მიიღო და მენელაოსის ყველა შეკითხვას უპასუხა.

ყოველთვის უკვდავი როდი იყო პროტევსი. იგი ღმერთად ოლიმპიელებმა აქციეს. წარმოშობით ანატოლიელი, პროტევსი საბერძნეთში ჩამოჰყვა კადმოსს, რომელიც თავის მოტაცებულ დას, ევროპეს ეძებდა. დიდი ხნის დამქანცველი მოგზაურობის შემდეგ პროტევსმა ქალკიდიკეს პალენეს მიაღწია. აქ იგი სტუმრად მიიღო ძლევამოსილმა სითონიის მეფემ კლიტოსმა და ცოლად გაატანა თავისი ქალიშვილი ქრისონოე. კლიტოსი დაეხმარა პროტევსს, გაეთავისუფლებინა ზღვის საშინელი მაცხოვრებლებისაგან თრაკიის ბისალტია და ამ ადგილას თავისი სამეფო დაეარსებინა. აქ მრავალი წლის განმავლობაში მშვიდად მეფობდა პროტევსი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს თრაკიაში ჩამოვიდა ჰერაკლე და ორთაბრძოლაში დახოცა პრო-

ტევსის ვაჟები, ტელეგონოსი და პოლიგონოსი. პროტევსმა ვეღარ გაუძლო მწუხარებას და ზღვას მისცა თავი. ღმერთებმა თანაგრძნობის გამო იგი უკვდავი გახადეს და თავის წრეში მიიღეს. ძველი მეზღვაურები ამბობენ, რომ ამ ამბის შემდეგ ზღვის მოხუცს აღარც ღიმილი ეკარებოდა სახეზე და აღარც თვალზე ცრემლი. ზღვის ყველა არსება მიაგებდა პატივს პროტევსს, როგორც თავის მფარველს და გლავკოსის, ნერევსისა და ტრიტონის მსგავსად, მოწიწების ნიშნად მასაც „მხცოვანს" უწოდებდნენ.

მას შემდეგ ზღვის ღმერთია მოხუცი პროტევსი. მწყემსავს თავის სელაპებს და ნათელმხილველურ პასუხს სცემს ყველას, ვინც კი მის ხელში ჩაგდებას მოახერხებს.

## სკილა და ქარიბდისი. გლავკოსი

ვიწრო სრუტის ორ მხარეს, იმ ადგილთან ახლოს, სადაც ვეებერთელა მთები, სიმპლეგადები ერთმანეთს გრუხუნით ეჯახებიან, ორი საზარელი ურჩხული, სკილა და ქარიბდისი ცხოვრობს. დღეში სამჯერ შთანთქავს და ამოანთხევს ვიწრო სრუტის შავ წყლებს ქარიბდისი – საშინელი მორევი. რაც ქარიბდისს გადაურჩება, მას ღუპავს ურჩხული სკილა, სრუტის მეორე მხარეს რომ ცხოვრობს. ცოტას უნახავს სკილა და კიდევ უფრო ცოტა გადარჩენია მას ცოცხალი. ზოგი ამბობს, რომ თორმეტფეხიან სკილას ექვს კისერზე ექვს-ექვსი ძაღლის თავი აბია სამ მწკრივად ჩარიგებული კბილებით, სხვანი კი გადმოგვცემენ, რომ მას მშვენიერი სახე და წერწეტი ტანი აქვს, ხოლო წელზე კერბეროსის მსგავსი შემზარავი ძაღლები ჰყავს ამოზრდილი.

თავად პოსეიდონიც კი ვერ დაიხსნის ადამიანს, რომელიც სკილასა და ქარიბდისს შორის მოხვდება. მათი კლანჭებიდან თავის დაღწევა მხოლოდ ოდისევსმა და არგონავტებმა მოახერხეს. დიდი გაჭირვებით დააღწია თავი ამ ურჩხულებს ოდისევსმა, მაგრამ ყველა თანამგზავრი დაელუპა. ლეღვის ტოტზე ჩამოკიდებული, იგი კარგა ხანს ეკიდა უფსკრულის თავზე, და როდესაც ქარიბდისმა

უკან ამოანთხია ოდისევსის ხომალდის ანძა, ბერძენი გმირი მოეჭიდა მას და ასე გააგრძელა გზა უკიდეგანო ზღვაში.

ოდისევსამდე სკილასა და ქარიბდისს არგონავტები დაუსხლტნენ ხელიდან. პერძენ გმირებს ზეციერები ედგნენ მხარში: თეტისს თავად ეჭირა ხომალდის საჭე, ნერეიდები გემს შემოხვეოდნენ გარს და საჭირო მიმართულებით სვლაში უწყობდნენ ხელს, ციდან კი საყვარელ გმირებს აღელვებული, შიშის ზარითა და ელდით მოცული უკვდავთა უზენაესი დედოფალი ჰერა დასცქეროდა.

შესანიშნავი გარეგნობის ქალწული ყოფილა ქარიბდისი, პოსეიდონისა და გეას ასული, სანამ მას ურჩხულად აქცევდნენ. ერთი ნაკლი ჰქონდა მხოლოდ – უჩვეულოდ ღორმუცელა იყო. ერთ მშვენიერ დღეს მან ჰერაკლეს ხარი მოჰპარა და თვალის დახამხამებაში შეთქვლიფა. აიმღვრა ზევსი, შეზიზღდა ქალწული, მეხი ესროლა, ზღვაში ჩაუძახა და ყოვლისშთამნთქმელ ურჩხულად აქცია.

არც სკილა ყოფილა ყოველთვის თავზარდამცემი გარეგნობისა. პირიქით, საოცარი სილამაზის ქალწულს მრავალი თაყვანისმცემელი ჰყოლია. ზღვათა ნიმფების რჩეული, სკილა მათ უამბობდა ხოლმე უარყოფილ ჭაბუკთა შესახებ.

ერთ-ერთი ასეთი ყმაწვილი იყო პოსეიდონისა და წყლის ნიმფას ვაჟი გლავკოსი. დაბადებით მოკვდავმა და ხელობით მეთევზემ ერთხელ ნაპირთან, ბალახებში დაყარა ნადავლი. გაოცებამ შეიპყრო გლავკოსი, როცა იხილა, როგორ შეინძრნენ და გაჰყვნენ ტალღებს წუთის წინ უსიცოცხლო თევზები, მოწყვიტა ბალახი და კბილით გაკვნიტა. უეცრად წყალში გადაშვების მძაფრი სურვილი იგრძნო, გარეგნობა შეეცვალა – ხერხემალი დაუგრძელდა და თევზის კუდად ექცა, ჟანგისფერი ბალანი და წვერი ამოეზარდა და გაეხლართა მხრებამდე ერთბაშად ჩამოზრდილ თმაში.

მეტისმეტად მოულოდნელი იყო ზღვის ღმერთად გარდასახვა გლავკოსისათვის. თავიდან წუხდა, ნაღვლობდა, შემდეგ



*ზღვათა მეუფე პოსეიდონი და მისი მეუღლე – ნერეისი ამფიტრიტე. პოსეიდონს ხელში უჭირავს სამკაპი, რომელიც მას ტელქინებმა გამოუჭედეს. კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 430 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.*



პოსეიდონი ებრძვის გიგანტ ეფიალტესს, ჭეჭყავს მას კლდის ნატეხით, რომელიც სამკაპით მოაჩეხა ერთ-ერთ კუნძულს. წითელფიგურული კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 480 წ. ვენა. ხელოვნების ისტორიის მუზეუმი.



ძლევამოსილი „პოსეიდონ არტემისიელი“. ბრინჯაოს ქანდაკება. ძვ.წ. 460 წ. ათენი. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



ქალაქ ათენზე მეუფეებისათვის პოსეიდონისა და ათენას დავის ერთ-ერთი ეპიზოდი. პოსეიდონი სამკაპით ეყრდნობა მიწას, იგი მშვიდად დგას და ესაუბრება ათენას, რომელიც სურათზე არ მოჩანს. შავფიგურული ამფორა. ძვ.წ. 540-530 წწ. პარიზი. ნაციონალური ბიბლიოთეკა.



*პოსეიდონის ქანდაკება კუნძულ მილოსიდან. მარმარილო. დაახლ. ძვ.წ. 130 წ. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.*



ზღვის ურჩხული სკილა, რომელიც წელს ზემოთ ქალია, წელს ქვემოთ – თევზი, წელზე კი ძაღლების თავები და წინა თათები ამოზრდია. ძვ.წ. V ს-ის მეორე მესამედი. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



ზღვის ღმერთი ტრიტონი, გვირგვინით თავზე. ცალ ხელში კვერთხი უჭირავს, მეორეში – დელფინი. წითელფიგურული ამფორა. ძვ.წ. 500-480 წწ. ჰარვარდის უნივერსიტეტის მუზეუმი.



*ნერეიდების ქორო შეჰყურებს ტრიტონისა და ჰერაკლეს ორთაბრძოლას. შავფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 550 წ. ტარკვინია. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.*

*სირენები უმღერიან ოდისევსსა და მის მეზღვაურებს. ერთ-ერთი სირენა უკრავს ავლოსზე, მეორე კი ლირაზე. ღვინის შავფიგურული ხაპი. ძვ.წ. 500-475 წწ. სტოკჰოლმი. თრონეჰოლსტის კოლექცია.*





მიწისქვეშეთის მბრძანებელი ჰადესი თავის მეუღლესთან, პერსეფონესთან ერთად. ჰადესს ცალ ხელში უჭირავს სიუხვის რქა, მეორეში კი – ფიალა. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 440 წ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.



კორე. კვიპროსის მუზეუმი.



ჰადესი იტაცებს პერსეფონეს. იქვე არიან ჰერმესი და ჰეკატე, რომელიც გზას უნათებს ეტლს. კრატერი. ძვ.წ. 360-350 წწ. ლონდონი. ბრიტანეთის მუზეუმი.

კი ნელ-ნელა მიეჩვია ახალ ყოფას. მშვიდად იცხოვრებდა კიდეც იგი ზღვაში მარადის, ერთხელ ზღვის ნაპირას ჩამოსული სკილასათვის რომ არ შეესწრო თვალი. გულში ჩაუვარდა ვაჟკაცს მარმარილოს ქანდაკებასავით მოხდენილი ასული და გამოეკიდა. შეშინდა სკილა, გაექცა მდევარს და თვალის დახამხამებაში აირბინა მთის მწვერვალზე, უკიდეგანო ზღვას რომ გადაჰყურებდა. დააკვირდა მდევარს სკილა, მაგრამ ვერ მიხვდა, ადამიანი იყო იგი, ნადირი თუ რაიმე სხვა არსება. ხმამაღლა ეძახდა მას გლავკოსი, უყვებოდა თავის ღმერთად ქცევის ამბავს, მაგრამ ამაოდ. ქალწულმა არ მოუსმინა მას და, ღმერთის გარეგნობით შეშინებულმა, თავს გაქცევით უშველა.

დაღონებულმა გლავკოსმა ბევრი იფიქრა, რა ხერხისათვის მიემართა თავისი სატრფოს გული საპასუხო სიყვარულით რომ ალევსო და, ბოლოს, გრძნეულ კირკესთან გაეშურა. მუხლმოდრეკით სთხოვა ღმერთმა შემწეობა ჰელიოსის ასულს. გულმხურვალედ ევედრებოდა, რომ ქალღმერთს მომხიბლავი სკილას გულში მისი სიყვარული ჩაენერგა. კირკე შეაკრთო გლავკოსის თხოვნამ.

— განა არა სჯობს, ჰპოვო ასული, რომელიც შენი სიყვარულით არის შეპყრობილი?! — წამოიძახა კირკემ და გული გადაუშალა. დიდი ხანია, ეს ახოვანი ვაჟკაცი მისთვის საოცნებო გმირი გამხდარიყო.

— უმალ ფოთლებს გამოისხამს ზღვა, ვიდრე სკილას სიყვარულს ვუღალატებ, — წამოიძახა გლავკოსმა.

განრისხდა კირკე, მაგრამ სატრფოს ვერაფერი დაუშავა. მაშინ ჯადო-წამლები მოამზადა, მივიდა ზღვის პირას მდებარე გამოქვაბულთან, სადაც სკილა ხშირად ისვენებდა ხოლმე, ჩაასხა მორევში ჯადოსნური სითხე და გრძნეული ბაგით შელოცვები წარმოთქვა. მალე სკილამაც ჩამოირბინა გამოქვაბულთან, ნაპირს მიუახლოვდა, მზერა მიაპყრო ზღვისა და ზეცის გასაყარს, საიდანაც ნელა-ნელა ამოდიოდა სავსე მთვარე. მშვენიერი სანახავი იყო ღმერთქალთა დარი ასულის გაღიმებული ბაგე.

წინ წადგა ნაბიჯი სკილამ და უეცრად წელამდე ჩაიძირა. როდესაც მყეფარე ურჩხულებით გარშემორტყმული იხილა თავისი მშვენიერი წელი, ერთბაშად ვერც კი მიხვდა, რომ ეს მისი ახალი სხეული იყო და გაქცევა განიზრახა, მაგრამ რასაც გაურბოდა, თან მიჰქონდა ისიც... ამის მხილველ გლავკოსს ცრემლებით აევსო თვალები და ნანახით სულშეძრულმა ზღვას მისცა თავი.

სკილა გამოქვაბულში დამკვიდრდა და ამის შემდეგ იგი და ქარიბდისი ღუპავენ ყოველ ხომალდს, რომელიც ამ ვიწრო სრუტის გავლას გაბედავს.

## თევზკაცი ტრიტონი

როდესაც ზღვა მშვიდია და მზე მის კამკამა ტალღებს სხივებით ეალერსება, ზღვის ზედაპირიდან გარკვევით მოჩანს მის სიღრმეში აგებული ოქროს სასახლე, რომელიც პოსეიდონისა და ამფიტრიტეს ვაჟს, ტრიტონს ეკუთვნის. თავისი ზეციური სამფლობელოდან სტუმრად ძმასთან, ტრიტონთან, ხშირად ჩამოდის ნიმფა როდა, მზის ღმერთ ჰელიოსის მეუღლე.

თევზკაცია ტრიტონი. უკვდავთა მსგავსად, თეთრი ფერისა აქვს ფერდები, თეძოებს ქვემოთ კი ახალ მთვარესავით მორკალული და წაწვეტებული, მოქნილი და ქერცლიანი, უზარმაზარი გაორებული კუდი ეშვება. მარად ზღვაშია ტრიტონი, დიდი სიყვარულით ზრუნავს პოსეიდონის ეტლსა და ცხენებზე. ლვინისმოყვარე, ხანდახან ზღვაში მონებივრე ნერეიდების გუნდს შეერევა და მიესიყვარულება, ზურგზე შეისვამს თავის ერთ-ერთ რჩეულს ან თავისკენ მიიზიდავს რომელიმე მომხიბლავ ქალღმერთს და ამით მხიარულ სიცილ-ხარხარს იწვევს. ტრიტონი თან ახლავს ხოლმე ოლიმპიელ ღმერთებს, რომლებსაც ზღვის გადაცურვა სწადიათ. იგი წინ უძღოდა ხარად გარდასახულ ზევსს ევროპეს ზღვაზე გადაყვანისას და ლეტოს, რომელიც დელოსისაკენ მიემართებოდა არტემისისა და აპოლონის მოსავლენად მზის სინათლეზე.

ტრიტონი ხშირად ეხმარება მეზღვაურებს და რჩევა-დარიგებას არ აკლებს მათ, ვინც შველას შესთხოვს. ერთხელ გრიგალმა ხომალდი „არგო" ლიბიაში, ტრიტონის ტბისაკენ გაიტაცა და მეზღვაურები მთელი დღის განმავლობაში ეძებდნენ აქედან გასასვლელ უჩინარ გზას. ორფევსის რჩევით, არგონავტებმა აპოლონის სამფეხი უძღვნეს მინდორთბატონ ღმერთებს, რათა მათ მეზღვაურებისათვის ხელი შეეწყოთ. შესწირეს თუ არა მსხვერპლი, არგონავტთა წინაშე მყის აღიმართა პირმშვენიერი ვაჟკაცი. ეს ტრიტონი იყო. ცალ ხელში შეწირული სამფეხი ეკავა, მეორეში კი მიწის ბელტი, რომელიც საჩუქრად უძღვნა არგონავტებს (ამ მიწისაგან შემდგომ კუნძული თერა წარმოიშვა). ტრიტონმა გზა უჩვენა არგონავტებს და ტბის სიღრმეში გაუჩინარდა. მადლიერმა მეზღვაურებმა კი გემი ტბაში შეაცურეს თუ არა, მსხვერპლად გემბანზევე შესწირეს თავიანთ გადამრჩენელს საუკეთესო ცხვარი. გახარებულმა ზღვის ღმერთმა თვითონ დაიკავა ხომალდის საჭე, არგონავტები ტბის გასასვლელამდე მიაცილა, ზღვაში გაუშვა, გზა დაულოცა და ისევ ტბის ფსკერზე ჩაბრუნდა.

ნიჟარის ჩაბერვის ხმა ისმის ხოლმე ზღვაზე. ჰანგი ნაპირზე აღმართულ მთებს მოირბენს და უკან ექოდ უბრუნდება ზღვას. ეს ტრიტონი ერთობა. ნიჟარიდან გამოსული ჰანგები იმდენად მრავალხმოვანია, რომ ზოგიერთებს ეჩვენებათ, თითქოს ქვეყნად ერთი კი არა, მრავალი ტრიტონი ცხოვრობს.

## სირენები – მომღერალი ქალჩიტები

შუაგულ ზღვაში ერთი კუნძული მდებარეობს, ანთემოესა, რომელსაც მეზღვაურები სირენათა კუნძულს უწოდებენ. აქ სახლობენ თვალწარმტაცი სილამაზის ქალჩიტები, სირენებს რომ ეძახიან. მდინარე აქელოოსისა და მუზა ტერფსიქორეს ქალიშვილებმა მამისაგან ველური სტიქიურობა, დედისაგან კი ღვთაებრივი, სულისშემძვრელი და მომნუსხველი ხმა მიიღეს მემკვიდრეობით. სამნი არიან სირენები. ერთ-ერთი მათ-

განი კითარაზე უკრავს, მეორე გალობს, მესამე კი ფლეიტას აჟღერებს.

სირენების საცხოვრისი კლდეები მათივე მსხვერპლთა ძვლებითა და გამომშრალი ტყავებით არის მოფენილი. მაგრამ, ქალჩიტა ჰარპიებისაგან განსხვავებით, სირენები ადამიანებს თავს არ ესხმიან. სირენათა მსხვერპლი თავად იღუპავს თავს, როდესაც ქალღმერთებისაკენ მიეშურება.

თავდაპირველად სირენები თავიანთი ღვთაებრივი ხმით ქალღმერთ დემეტრესა და პაწია პერსეფონეს ატკბობდნენ, შემდეგ კი მეზღვაურების მოხიბლვა იწყეს. ცოტა ვინმე თუ გადარჩენია მათ გულშიჩამწვდომ გალობას. ერთხელ, როდესაც არგონავტებმა სირენათა კუნძულს ჩაუარეს, ქალღმერთებმა სიმღერა იწყეს და გემთან ახლოს მიფრინდნენ, ხელებს იწვდიდნენ მეზღვაურებისაკენ, თავიანთი კუნძულისაკენ უხმობდნენ და სიყვარულს ეფიცებოდნენ. ორფევსმა უმალ ლირა იპყრო ხელთ, დაკვრითა და სიმღერით გადაფარა სირენათა ხმა და თანამგზავრები უეჭველ დაღუპვას გადაარჩინა. ერთ-ერთი მეზღვაური, ბუტოსი მაინც გადაეშვა ზღვაში და რომ არა აფროდიტე, რომელსაც იგი შეებრალა და ლილიბეაში დაასახლა, მისი ძვლები სირენათა კუნძულზე დაყრილი სხვა მსხვერპლთა ძვლების გროვას შეემატებოდა. ჯადოსან კირკეს რჩევით, მოხერხებულმა ოდისევსმა თავის მეზღვაურებს სანთლით ამოუვსო ყურები, საკუთარი თავი კი გემის ანძაზე მიაბმევინა და სირენებს ამგვარად გადაურჩა, თანაც მათი გალობაც მოისმინა.

თავიანთი დამატყვევებელი ხმით მეტისმეტად გაამაყებულ სირენებს მუზები გამოუწვევიათ შეჯიბრში. აჯობეს მუზებმა სირენებს სიმღერაში და გამარჯვების ნიშნად მათი ბუმბულებისაგან გაკეთებული გვირგვინით შეიმკეს ამაყი თავები. სირენებმა წყალს მისცეს თავი და სიცოცხლეს გამოესალმნენ — ბედისწერის მიხედვით, მათ სიცოცხლე მანამ ეწერათ, სანამ გალობაში არ დამარცხდებოდნენ. ღმერთებმა სირენები კლდეებად აქციეს და ისინი კუნძულ ანთემოესასთან არიან აღმართულნი.

სირენა პართენოპეს გვამი ზღვის ტალღებმა ერთ-ერთ სანაპიროზე გამორიყეს. იქ მის პატივსაცემად დაარსდა ქალაქი პართენოპე, რომელსაც მოგვიანებით ნეაპოლი ეწოდა.

## პლანქტებსა და სიმპლეგადებს შორის

ძველად მეზღვაურებს ზღვაზე მრავალგვარი ხიფათი შეიძლებოდა შეხვედროდათ. მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდნენ საშინელი დაბრკოლებები, მაგალითად, მცურავი მთები პლანქტები და სიმპლეგადები – მთები, ერთიმეორეს რომ ეჯახებიან.

პლანქტები და სიმპლეგადები ჰელესპონტის შესასვლელთან ხვდებოდნენ ხომალდებს. ცეცხლითა და ბოლით გარემოცული პლანქტები აზვირთებულ ზღვაში იმ მიმართულებით მიცურავდნენ, საითაც ქარები დაუბერავდნენ ხოლმე. მათ სიახლოვეს მყოფი ვერცერთი ხომალდი ვერ გადარჩებოდა უვნებლად. უეცრად აღიმართებოდნენ ხოლმე პლანქტები მეზღვაურთა თვალწინ. პლანქტების გამოჩენას ისეთი წყვდიადი ახლავდა თან, თითქოს მზე გამქრალიყო ცის კაბადონიდან. მათ დანახვაზე შეძრწუნებული მესაჭე გეზს კარგავდა და სანამ მეზღვაურები გონს მოვიდოდნენ, ხომალდი უკვე მთელი ძალით ენარცხებოდა პლანქტებს და ნამსხვრევებად იქცეოდა.

პლანქტებს შორის გაფრენა ფრინველებისთვისაც არ იყო უხიფათო. ჩვილი ზევსისათვის ამბროსია შვიდ მტრედს მიჰქონდა ხოლმე. მათგან მხოლოდ ექვსი ახერხებდა მცურავი მთებისთვის თავის დაღწევას, მეშვიდე მტრედი კი ყოველ ჯერზე ახლით იცვლებოდა.

ერთადერთი ხომალდი, რომელიც პლანქტებს გადაურჩა, ბერძენთა „არგო“ იყო. კოლხეთიდან დაბრუნებული ეს ხომალდი გაექცა სირენებს, გასცდა სკილასა და ქარიბდისს და მეზღვაურებს თავი უკვე სამშვიდობოს ეგონათ, როდესაც მათ სიახლოვეს დანისლული ღრუბლებიდან პლანქტები აღიმართნენ. მხოლოდდამხოლოდ ზეციერთა მეშვეობით შეძლო ხომალდმა სამშვიდობოს გაეღწია.

პლანქტების შემდეგ „არგოს“ გასავლელი რჩებოდა სიმპლეგადები. ეს უშველებელი, ცის სიმაღლე მთები მალიმალ ენარცხებოდნენ ერთიმეორეს. თითოეულ მათ შეჯახებას შემაძრწუნებელი გრგვინვა-გრუხუნი და ქარტეხილები სდევდა თან. უბედური იქნებოდნენ მეზღვაურები, რომელთა ხომალდიც მთებს შორის მოჰყვებოდა. რაოდენ მკვიდრად ნაშენიც არ უნდა ყოფილიყო გემი, მთები მას მაინც ნამსხვრევებად აქცევდნენ. დალეწილ ხომალდთა ნაშთებით იყო მოფენილი სივრცე სიმპლეგადების გარშემო. შემაძრწუნებულ სანახავს წარმოადგენდა ზღვაში მოტივტივე ანძების ნაწილები, იალქნების ნაფლეთები, მეზღვაურთა დამახინჯებული გვამები. სიმპლეგადების არა მხოლოდ დანახვა, არამედ შეჯახებით გამოწვეული ზათქი და ზანზარი, ზღვის აზვირთებული ტალღები მრავლისმხილველ გამოცდილ მეზღვაურებსაც კი შორიდანვე აშინებდა.

არგონავტებმა წინასწარ იცოდნენ, როგორ უნდა გაევლოთ სიმპლეგადებს შორის. ჰერას დახმარებითა და ბორეასის ვაჟების, ძეტესისა და კალაისის მიერ გადარჩენილი მეფე ფინევსის რჩევის წყალობით, მათ იოლად დააღწიეს ამ საზარელ მთებს თავი. ერთი წამით გაასწრო მთების შეჯახებას „არგომ“. გაღწია თუ არა ხომალდმა სიმპლეგადებს, მთებმა მოძრაობა შეწყვიტეს და ასე დარჩნენ სამარადისოდ, უსაფრთხონი მეზღვაურთა და მოგზაურთათვის (არგონავტების მოგზაურობას ეძღვნება ჩვენი სერიის წიგნი „არგონავტები“).

## ეოლოსის კუნძული – ქართა სამეფო

ქარების მეუფეა ეოლოსი. გრძელი ჭაღარა თმა აქვს დაყრილი მხრებზე ახოვან მოხუცს. ეოლოსის საცხოვრისი, მცურავი კუნძული ეოლია, მიუდგომელია მოკვდავებისათვის. აულებელი სპილენძის კედლითა აქვს გარშემორტყმული იგი ღმერთს, ზღვის ნაპირებზე კი მიუვალი ფრიალო კლდეებია აღმართული. თორმეტი შვილი ჰყავს ეოლოსს მშვენიერლაწვება ენა-

რეტესაგან, კუნძულის პირველი მეფის, ლიპაროსის ასულისაგან, ექვსი ნათელსახოვანი ქალიშვილი და ექვსი ძლიერი ვაჟკაცი. ერთად მიუსხდებიან ხოლმე იშვიათი საჭმელებით დახუნძლულ მაგიდას დედ-მამა და თორმეტი შვილი.

თავდაპირველად ეოლოსი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, შესანიშნავი მეზღვაური, რომელმაც გამოიგონა იალქნები და რომელსაც ადვილად შეეძლო მოსალოდნელი ამინდის გამოცნობა. მას ზევსმა ქარების მართვის ძალაუფლება მიანიჭა. ეოლოსს ქარები გამოქვაბულში ჰყავდა ჩაკეტილი და შეეძლო გამოეშვა, როდესაც მოისურვებდა, ან როდესაც ღმერთები უბრძანებდნენ ამას. როდესაც ზღვაზე ქარტეხილი იყო საჭირო, ეოლოსი შუბს ესროდა კლდეს და წარმოქმნილი ნახვრეტიდან ქარები იწყებდნენ ბერვას მანამ, სანამ ისევ არ დაახშობდა. ეოლოსი ისე კარგად ასრულებდა თავის მოვალეობას, რომ როდესაც მისი გარდაცვალების ჟამი დადგა, ზევსმა იგი ჰადესში არ გაუშვა და ქარების გამოქვაბულში სამეფო ტახტზე დასვა. ქარების მმართველად ეოლოსი ჰერას სურვილით იქცა და უზენაესი დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ თავისი კეთილსინდისიერებისათვის ეოლოსმა ღმერთების ნადიმებზე მონაწილეობის უფლებაც დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, პოსეიდონი ზღვასა და მის ზემოთ არსებულ ჰაერს თავის საკუთრებად თვლიდა და რომელიმე სხვა ღმერთის მიერ ზღვაზე ქარტეხილების გამოწვევის უფლებას სადავოდ მიიჩნევდა. პოსეიდონი აცხადებდა, რომ ეოლოსისათვის ღვთაებრივი უფლებების მიცემა ამ მოკვდავის მიერ ღმერთების, განსაკუთრებით კი ზღვათა მბრძანებლის უფლებათა ხელყოფას წარმოადგენდა. ამავე აზრისა იყვნენ სხვა ოლიმპიელებიც.

მიუხედავად მსგავსი წინააღმდეგობებისა, ეოლოსი მაინც გახდა ქართა მეუფე და შეინარჩუნა კიდეც ეს მოვალეობა სამარადისოდ.

კუნძულ ეოლიას ნაპირს ერთ მშვენიერ დღეს ოდისევსი მიადგა. დიდი პატივისცემით შეხვდა ბერძენ გმირს ქართა მეუფე,

მთელი თვე მასპინძლობდა ოდისევსსა და მის თანამგზავრებს. ბოლოს, გაცილებისას, ღმერთმა ცხრა წლის ხარის ტყავის ტომარას, რომელშიაც ქარები იყვნენ მოთავსებულნი, ვერცხლის ძაფით მოუკრა თავი და ბერძენ გმირს გადასცა, გარდა ამისა, მან სიცოცხლის მომტან დასავლეთის ქარს, ზეფიროსს უბრძანა, სწრაფად და მშვიდობით მიეყვანა სამშობლომდე მისი სტუმრის ხომალდი. გაისტუმრა ეოლოსმა ოდისევსი და კვლავ სუფრას მიუჯდა ცოლ-შვილთან ერთად.

გავიდა ათი დღე. ეოლოსის ბრწყინვალე სასახლეში კარი გაიღო და დარბაზის ზღურბლზე ოდისევსი და მისი ერთ-ერთი თანამგზავრი ჩამოსხდნენ. გაოცდა ეოლოსი და მთელი მისი ოჯახი. წარბი შეიკრა ქართა მეუფემ. ოდისევსი მწუხარებით მოუყვა, როგორ მიუახლოვდნენ სამშობლოს, როგორ მოსტაცა თვალი უცებ ძილმა ათი დღის უძინარს და როგორ გახსნეს ქართა ტომარა მისმა ხარბმა თანამგზავრებმა, რომლებსაც შიგ ოქრო-ვერცხლი ეგულებოდათ.

— სწორედ ამ გრიგალებმა მოაგდეს ხომალდი კვლავ თქვენს კუნძულზე, ასეთი ავია ჩემი ბედიო, — მწუხარებდა ოდისევსი.

განრისხდა ეოლოსი და თავისი კუნძულის დატოვება უბრძანა ოდისევსს.

— წადი, ულირსო! — ბრძანა გულფიცხმა ღმერთმა, — ახლავე დატოვე ჩემი კუნძული! ჩვენ ვერ გავუწევთ მფარველობას ადამიანს, რომელიც ასე აშკარად სძულთ უკვდავებს! წადი! — გაუმეორა მან, — ნეტარი ღმერთებისათვის საძულველი არსება ჩვენთვისაც საძულველია!

მშვიდად ცხოვრობდნენ ენარეტე და ეოლოსი თავის შვილებთან ერთად სპილენძის გალავნით დაცულ სასახლეში. მათი სიცოცხლე დღესასწაულივით სულ მხიარულებასა და ცეკვა-სიმღერაში გადიოდა. მაგრამ ერთხელ ეოლოსმა შეიტყო, რომ მისი უმცროსი ვაჟი, მაკარევსი თავის დასთან, კანაკესთან იზიარებდა სარეცელს. შეძრწუნებულმა ძალლებს გადაუგდო მათი სიყვარულის ნაყოფი, კანაკეს კი გაუგზავნა მახვილი, რომელიც ასულმა

დანიშნულებისამებრ გამოიყენა. ამის შემდეგ ეოლოსმა შეიტყო, რომ მისი დანარჩენი შვილებიც უკვე დიდი ხანია წყვილ-წყვილად ცხოვრობდნენ და თავს ცოლ-ქმრად თვლიდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, რომ სისხლის აღრევა ღმერთებს არ სიამოვნებდათ. არ სურდა ეოლოსს, განერისხებინა ზევსი, რომელიც თვლიდა, რომ ახლო ნათესავებთან სასიყვარულო კავშირი მხოლოდ ოლიმპიელთათვის არის დაშვებული. ამიტომ მან თავის ოთხ ვაჟს სახლიდან წასვლა უბრძანა, თავის სასახლეში კი მხოლოდ უფროსი ვაჟი დატოვა, რომელსაც ლიპარას სამეფო ტახტი მემკვიდრეობით უნდა დარჩენოდა. ეოლოსის დანარჩენი ვაჟები დასახლდნენ იტალიასა და სიცილიაში, სადაც დააარსეს სამეფოები და, მამის მსგავსად, სამართლიანობითა და სიმკაცრით გამოირჩეოდნენ.

## პოსეიდონის აღმზრდელი ჯადოქარი ტელქინები

ძველად კუნძული როდოსი ჯადოქართა და გრძნეულთა სამყოფელი იყო. ერთიმეორეზე უფრო მეტად იზიდავდნენ მნახველებს მაღალი, მოშვილდული წარბების მქონე ამაყი ცისფერთვალება ვაჟები, ჯადოსანი ტელქინები. ბრძენმა ჭაბუკებმა პირველებმა დაამუშავეს რკინა და სპილენძი და ისე დაოსტატდნენ ამ საქმეში, რომ მთელ სამყაროში გაითქვეს სახელი, როგორც მჭედლობის საკვირველმა ოსტატებმა. ისინი განსაკუთრებით ცნობილნი გახდნენ მას შემდეგ, რაც კრონოსს ურანოსის წინააღმდეგ საბრძოლველი ნამგალი გამოუჭედეს. ღმერთებსაც და ადამიანებსაც ერთნაირად ატკბობდა ტელქინთა ნახელავი ოქროს ნატიფი ნივთები, თავად აფროდიტეც კი ვერავითარ წუნს ვერ დასდებდა მათ. მშვენიერი სანახავი იყო ზეციერთა უძვირფასესი გამოსახულებანიც, რომლებიც ტელქინებმა პირველებმა შექმნეს. თვალს ვერ აშორებდნენ მოკვდავნი აპოლონ ტელქინიოსს, ათენა ტელქინიასა და ჰერა ტელქინიას.

იმდენად სახელმოხვეჭილნი იყვნენ ტელქინები, რომ როდოსს მათ საპატივცემულოდ ხანდახან ტელქინისსაც უწოდებ-

დნენ ხოლმე. თუმცა კი ტელქინებმა ამ კუნძულზე ქალაქები კამეიროსი, იალისოსი და ლინდოსი დააარსეს, ყველა მათგანი როდი დარჩა სამშობლოში სამარადისოდ, ზოგი რეასა და ჩვილ ზევსს ახლდა კუნძულ კრეტაზე და კურეტების სახელიც მიიღო.

გარდა ზევსისა, რეამ ტელქინებსა და მათ დას, კაფეირას, ყმაწვილი პოსეიდონი ანდო გასაზრდელად. პაწაწინა ღმერთს ტელქინებმა სამკაპი გამოუჭედეს საჩუქრად, რომელსაც ღმერთი განუშორებლად ატარებდა თან გულკეთილი აღმზრდელების სამახსოვროდ.

როდესაც პოსეიდონი წამოიზარდა, თავდავიწყებით შეუყვარდა ტელქინების და, ჰალია, და მისგან ექვსი ვაჟი და ერთი ასული, როდა შეეძინა. თანდათანობით დავაჟკაცდნენ პოსეიდონის შვილები. ყველა როდოსელს უყვარდა გულისხმიერი ჭაბუკები, მაგრამ ერთხელ, როდესაც მშვენიერი აფროდიტე კითერადან კვიპროსზე მოგზაურობის დროს როდოსზე შეჩერდა, ყმაწვილებმა შემთხვევით შეურაცხყოფა მიაყენეს ზევსის ასულს. განრისხებულმა ქალღმერთმა ჭკუიდან შეშალა შეურაცხმყოფელნი. უგონოქმნილმა ვაჟებმა მრავალი ბოროტება მოუტანეს კუნძულის მაცხოვრებლებს და საკუთარ დედაზეც კი იხმარეს ძალა. პოსეიდონმა შვილები მიწისქვეშეთში ჩაგზავნა, სადაც ისინი დემონებად გარდაისახნენ, გაუბედურებულმა ჰალიამ კი ზღვას მისცა თავი და, როგორც ზოგიერთები ამბობენ, ქალღმერთ ლევკოთეად იქცა.

ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილი ტელქინები ადვილად კურნავდნენ ავადმყოფებს, მაგრამ მრავალმხრივი ღრმა ცოდნისა და არაჩვეულებრივი ოსტატობის გამო მათ ძალიან ბევრი ავისმზრახველი და მოშურნე გამოუჩნდათ. მრავალ დაუჯერებელ ამბავს ჰყვებოდნენ მათზე. ამბობდნენ, მაგალითად, თითქოს მათ, როგორც ზღვის შვილებს, ფარფლები ჰქონდათ ხელების მაგივრად. ერთხელ კი ცილიც დასწამეს, ტელქინები ცხოველებსა და მცენარეებს გოგირდში შერეული სტიქსის წყლით ღუპავენო.

მეტად ძლევამოსილნი იყვნენ ჯადოსანი ტელქინები, ყოვლისშემძლეებს ამინდის მართვაც კი არ უჭირდათ. შელოცვებით, სხვადასხვა თილისმებითა და გრძნეულებით ადვილად შეეძლოთ გამოეწვიათ წვიმა, თოვლი, ღრუბლიანობა და სეტყვა. ამასთან, ისიც იცოდნენ, როგორ უნდა გარდასახულიყვნენ სხვა არსებებად და ხან თევზები იყვნენ, ხან ადამიანები, ხან ბატები, ხანაც ქვეწარმავლები.

ზევსმა ტელქინების ძლევამოსილება საკუთარი უზენაესობისათვის დიდ საფრთხედ მიიჩნია და მათი დახოცვა განიზრახა. კეთილი ჯადოქრები არტემისმა გააფრთხილა, მათაც არ დააყოვნეს და თავს უშველეს. ზოგი მათგანი ბეოტიაში გაიქცა, სადაც ათენა თევმესას ტაძარი აუგეს, ზოგი სიკიონში, ლიკიაში, სადაც აპოლონ ლიკიელის ტაძარი ააშენეს, ზოგი კი ორქომენოსში, სადაც, გადმოცემის მიხედვით, ძაღლებად იქცნენ და არტემისის შეურაცხმყოფელი ყმაწვილი აქტეონი ნაწილ-ნაწილ დაფლითეს. ზევსმა კიდევ უფრო შეურაცხყოფილად ჩათვალა თავი იმის გამო, რომ ტელქინებმა ათენას აუგეს ტაძარი, მას კი — არა. ამიტომ, თუმცა კი ჯადოქრებმა სცადეს ეამებინათ უზენაესი ღმერთისათვის და ტაძარი მიუძღვნეს, გვიანღა იყო — კრონოსის ძემ წყალდიდობა მოუვლინა თევმესელ ტელქინებს და ერთიანად დაახრჩო. მას შემდეგ, ერთადერთ ადგილად, სადაც ეს ჯადოქრები ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ, სიკიონი ითვლებოდა.

როდესაც ტელქინებმა სამშობლო მიატოვეს, ნიმფა როდა მარტო დარჩა კუნძულზე. წყალდიდობის შემდეგ, როცა როდოსი ხელმეორედ ამოვიდა ზღვიდან, კუნძულს მისი შვიდი ვაჟი მართავდა. ჭაბუკებს ერთადერთი და ჰყავდათ, სახელად ელექტრიო, რომელიც ქალწულად მოკვდა და რომელსაც ქალღმერთის დარ თაყვანს სცემდნენ კუნძულზე. როდას ვაჟები ცნობილი ვარსკვლავთმრიცხველები გახდნენ და ღრმად შეისწავლეს ყველასათვის დაფარული ეს მეცნიერება. მათაც საშინელი უბედურება ხვდათ წილად. ერთ-ერთმა ვაჟმა, რომელიც მისნობის

ამ ხელოვნებას ძმებს შორის ყველაზე უფრო სრულყოფილად ფლობდა, თავისი ცოდნით მათი შური გამოიწვია. ძმებმა სასტიკად მოკლეს იგი და ამ ამბის მიჩქმალვა სცადეს, მაგრამ ყველაფერი გამოირკვა და ისინი კუნძულიდან გააძევეს. სხვადასხვა მხარეს გაემართნენ ძმები. ერთ-ერთი მათგანი, სახელად აქტისი, დასახლდა ეგვიპტეში, სადაც ქალაქი ჰელიოპოლისი დააარსა და ეგვიპტელებს ვარსკვლავთმრიცხველობა ასწავლა.

## ❸ მიწისქვეშეთის იდუმალი სამყარო

### მიწისქვეშეთის მეუფე – უხილავი ჰადესი

უსაზარლესი ღმერთთა შორის, ზევსის ძმა ჰადესი აჩრდილთა სამეფოს მბრძანებელი და თავად აჩრდილთა სამეფოცაა. მას შემდეგ, რაც კრონოსის წიაღიდან გათავისუფლდა და მზის სინათლე იხილა, მას შემდეგ, რაც სხვა ღმერთების მხარდამხარ ტიტანები დაამარცხა, კრონოსისა და რეას ვაჟმა თავის ძმებთან, პოსეიდონთან და ზევსთან ერთად ქვეყნიერება გაინაწილა. მას სამფლობელოდ ერგო უზარმაზარი მიწისქვეშა სამყარო, სადაც არასოდეს აღწევს მზის სხივები და სადაც მარადი სიბნელე და შიში არის გამეფებული.

არასოდეს ტოვებს საბრძანებელს მარად საქმიანობაში გართული ჰადესი. მან არასოდეს იცის, რა ხდება დედამიწის ზურგზე, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც ადამიანები მიწაზე ხელის დარტყმით ფიცს ამბობენ და მის სახელს წარმოთქვამენ.

ჰადესის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი კუთვნილებაა უჩინმაჩინის ჩაჩქანი, რომელიც მას კიკლოპებმა გამოუჭედეს, როცა ზევსის ბრძანების თანახმად ჰადესი მათ გათავისუფლებას დათანხმდა. ეს ჩაჩქანი იმდენად ძვირფასია, რომ მიწისქვეშეთის მეუფისათვის იგი სხვა ღმერთებსაც უთხოვიათ (მაგალითად, ათენას პერსევსისა და დიომედესისათვის). მეტად იშვიათად იხსნის მიწისქვეშეთის მეუფე უჩინმაჩინის ჩაჩქანს და ამიტომ მოკვდავები მას უხილავ ჰადესსაც უწოდებენ ხოლმე.

დიდძალ სიმდიდრეს ფლობს ჰადესი მიწისქვეშეთში, მიწის ზემოთ კი მას სულ ერთი-ორი ტაძარი თუ ეძღვნება. ცნობილია, რომ აჩრდილთა მეუფის საკულტო მხარე საბერძნეთში იყო ელისი. აქ მდგარი ღმერთის ტაძარი წელიწადში ერთხელ იღებოდა სიმბოლოდ იმისა, რომ ადამიანები ერთადერთხელ ჩადიან მიცვალებულთა სამყაროში. ამ ტაძარში შესვლა მხოლოდ ჰადესის ქურუმებს შეეძლოთ.

ყველას ეშინია იმქვეყნიურ სამყაროში მოხვედრისა, მოკვდავებსაც და უკვდავ ღმერთებსაც. ამიტომ ყველა ძრწის მის წინაშე და ყველა ეკრძალვის მას, დიდებულ ჰადესს, შავ მეუფეს მიწისქვეშეთისა.

## პერსეფონეს მოტაცება

როდესაც ზევსმა და მისმა ძმებმა ტიტანები ტარტაროსში ჩაყარეს და ტიფონს, ბრიარეოსს, ენკელადოსსა და სხვა ურჩხულებს სძლიეს, ამ მძიმე არსებათა მიწაზე დანარცხებამ ისე შეარყია დედამიწა, რომ ჰადესიც კი შეაძრწუნა. შეფიქრიანდა მიწისქვეშეთის მეუფე, შეშინდა, ჩემს სამფლობელოში დღის სინათლემ ხომ არ შემოაღწიაო. შეშფოთებული სასწრაფოდ შეახტა თავის ოქროს ეტლს, რომელშიც ქარზე მალი ცხენები ჰყავდა შებმული, ავიდა დედამიწაზე და თავის სამფლობელოს შემოუარა, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისმა სამეფომ გაუძლო ამ მძლავრ შეზანზარებას.

როდესაც ჰადესი საკუთარი საბრძანებელის დათვალიერებით იყო დაკავებული, აფროდიტემ, ერიქსის მთაზე თავის ვაჟ ეროსს რომ ეთამაშებოდა, თვალი შეასწრო მიწისქვეშეთის უფალს და პაწია ონავარი შეაგულიანა.

— საყვარელო შვილო, — უთხრა მას, — აიღე შენი ისრები, რომლითაც ყველასა და ყველაფერზე, თავად ზევსზეც კი შეგიძლია მოიპოვო გამარჯვება და ესროლე აჩრდილთა მეუფეს, ჰადესში რომ ბრუნდება. განავრცე ჩვენი საბრძანებელი. ვერ ხედავ, რამდენი არსება დაგვისხლტა ხელიდან? — ბრძენი ათე-

ნა, მონადირე არტემისი, ახლა კი დემეტრეს ასული პერსეფონეც მათ მაგალითს მიჰყვება. ნუთუ შენ მას ნებას დართავ, იმ ორ ქალღმერთს მიჰბაძოს?

თვალები გაუბრწყინდა ცელქ ეროსს, გახარებულმა გაუღიმა დედას, აიღო მშვილდ-ისარი და მთიდან ღრუბლებში აიჭრა.

ენას დაბლობში ერთი გასაოცრად მშვენიერი ტბა მდებარეობს, მის გარშემო მარად გაზაფხულია და მინდორ-ველი ყოველთვის მრავალფერადი ყვავილებით არის მოფენილი. აქ თამაშობდა პერსეფონე თავის მეგობრებთან, ოკეანიდებთან და ნიმფებთან ერთად, აგროვებდა ვარდებსა და გვირილებს და მოწნულ კალათში ათავსებდა. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა განსაკუთრებული სილამაზით დემეტრეს ასული, ამიტომ დედამ იგი უსაფრთხოებისათვის სიცილიის ამ ნაკლებად დასახლებულ კუთხეში წამოიყვანა. რაც უფრო იზრდებოდა, უფრო და უფრო მშვენდებოდა პერსეფონე, აოცებდა და ხიბლავდა მნახველებს თავისი გარეგნობით და სახელიც შორს გაუვარდა ამის გამო.

როდესაც ჰადესმა თვალი შეასწრო ჰაეროვანი ქიტონით მოსილ თვალწარმტაც პერსეფონეს, ერთბაშად იგრძნო, როგორ ღრმად ჩაესო ეროსის უხილავი ისარი გულში. სასურველზე უფრო სასურველად მოეჩვენა ასული მიწისქვეშეთის მეუფეს. თვალის დახამხამებაში აიტაცა იგი ეტლზე და ცხენები გააქროლა. შეშინებულმა პერსეფონემ საშველად უხმო დედასა და მეგობრებს. ძირს დავარდნილი კალათისა და დაფანტული ყვავილების გამო ბავშვური მწუხარებით აღსავსე, იგი კიდევ უფრო უბედურად გრძნობდა თავს.

გააქროლა შავი ცხენები შავმა მეუფემ, დაარტყა მიწას შუბი, დედამიწა გაირღვა და გზა მისცა ჰადესის ოქროს ეტლს მისი მიწისქვეშა საბრძანებლისაკენ.

დემეტრე, მიწის ნაყოფიერების ქალღმერთი, დიდხანს ეძებდა შვილს. ბოლოს შეიტყო მომხდარი, აიჭრა ზევსთან ცაში და მოსთხოვა, განესაჯა მისი ქალიშვილის მოტაცების ამბავი. დიდი

ყოყმანის შემდეგ ზევსი დათანხმდა, უკან დაებრუნებინა მისი ქალიშვილი, თუკი პერსეფონეს მიწისქვეშეთში ჯერ კიდევ არა ეჭამა რა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვა მან, ბედისწერის ქალღმერთები მასაც კი არ დაანებებდნენ მიწისქვეშეთში მოხვედრილი არსების უკან დაბრუნებას.

ოლიმპოსის მბრძანებელმა ჰერმესი გაგზავნა ჰადესთან პერსეფონეს წამოსაყვანად. ღმერთების მაცნემ ჰადესს ზევსის უზენაესი ნება ამცნო. შავმა მეუფემ ჩაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დახარა. მან პერსეფონეს დედამიწაზე ასვლის წინ ქორწინების სიმბოლო, ბროწეულის მარცვალი გადააყლაპა, რათა მას ქმარი არ დავიწყებოდა. და მართლაც, პერსეფონეს არათუ დაავიწყდა ქმარი, უფრო მეტადაც კი შეუყვარდა. ეს ბროწეულის მარცვალი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ პერსეფონეს სრულ გათავისუფლებას ბედისწერის ქალღმერთები წინ აღდგომოდნენ. მაშინ ზევსმა გადაუწყვიტა პერსეფონეს, წლის ორი მესამედი დედასთან გაეტარებინა, ერთი მესამედი კი ქმართან.

ძალიან უყვარს ჰადესს პერსეფონე. მეტად განრისხდა იგი, როდესაც მიწისქვეშეთში ჩამოსულმა გმირებმა, თესევსმა და პეირითოოსმა განუცხადეს, რომ პერსეფონეს წაყვანა სურდათ დედამიწაზე, სადაც მას ერთ-ერთი მათგანი ცოლად შეირთავდა. არ შეიმჩნია გაბრაზება ჰადესმა, მშვიდად მოისმინა მათი თავხედური მოთხოვნა და დაჯდომა ანიშნა. თესევსი და პეირითოოსი დასხდნენ მითითებულ ადგილას, რომელიც დავიწყების ტახტი აღმოჩნდა. გმირები ტახტს ზედ მიეზარდნენ. სისინებდნენ მათ გარშემო გორგლებად დახვეული გველები, ლურსმნებიან მათრახს ურტყამდნენ მათ ერინიები, კერბეროსი კი კბილებს ასობდა. დამცინავი ღიმილით უცქერდა მათ ტანჯვას მიწისქვეშეთის მეუფე. მაინც სიკეთე გამოიჩინა ჰადესმა თესევსის მიმართ. მან და პერსეფონემ თესევსის გათავისუფლების ნება დართეს ჰერაკლეს, რომელიც ოთხი წლის შემდეგ ჩავიდა მიწისქვეშეთში. ეს რომ არა, თესევსი პეირითოოსივით ჰადესში

დარჩებოდა მარად. პეირითოოსის გათავისუფლების უფლება ჰადესმა არ მისცა ჰერაკლეს, რადგანაც პერსეფონეს ცოლად შერთვა სწორედ მას ეწადა (ამის შესახებ უფრო ვრცლად გიამბობთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები").

## ჰადესის საყვარელი თავგადასავლები

ერთ მშვენიერ დღეს აჩრდილთა მეუფემ მოხიბლა წყაროს ნიმფა — ნაიადა მინთე თავისი კუპრივით შავი ოთხი ცხენისა და ოქროს ეტლის ბრწყინვალებით და იოლად შეაცდენდა კიდეც მას, პერსეფონე რომ არ გამოჩენილიყო წამიერად. მყისვე სიცოცხლეს გამოასალმა ასული მიწისქვეშეთის დედოფალმა. მინთეს დაღუპვის ადგილას სურნელოვანი ბალახი პიტნა ამოიზარდა.

ერთხელ ჰადესს სხვა ასულიც მოეწონა. მან თოვლისფერ ოკეანისს — ლევკეს მოჰკრა თვალი, გულში ჩაუვარდა კალმით ნახატი ქალწული და მოიტაცა. სიკვდილის შემდეგ ელისეს მინდვრებში დარჩა ლევკე, ჰადესმა იგი ალვის ხედ გარდასახა და მახსოვრობის წყალთან მიუჩინა ადგილი. ყველა მიაგებს მას პატივს. იმქვეყნიურ სამყაროში ჩასულმა ჰერაკლემ ამ ხის ტოტების გვირგვინით შეიმკო თავი.

## ჰადესი დიდსულოვნებას იჩენს

მომღერალ ორფევსს გველმა დაუგესლა ახალშერთული მეუღლე, მშვენიერი ევრიდიკე და იგი ტაინარონის გამოქვაბულიდან ჩავიდა ჰადესში, რათა ცოლის უკან დაბრუნება ეთხოვა სულთა მეუფისათვის. არ შეიძლებოდა ჰადესში შესვლა ცოცხალი ადამიანისათვის. არ გადაჰყავდა ორფევსი მდინარეებზე პირქუშ მებორნე ქარონს. არც ჰადესის კარიბჭის მცველი, სამთავიანი კერბეროსი უშვებდა მას სულეთში. მაშინ ჩამოჰკრა ორფევსმა ლირას სიმებს ხელი, ჯადოსნური ჰანგებით დაატყვევა ორივე და გზა განაგრძო.

და აი, დამწუხრებული მომღერალი ჰადესის მეფე-დედოფლის წინაშე წარსდგა. ააჟღერა ლირა ორფევსმა, მღერის იგი

ევრიდიკესადმი თავისი სიყვარულის შესახებ, მღერის ბედნიერების წუთების სიმოკლესა და თავის გატეხილ გულზე. აღარ ისმის აჩრდილთა კვნესა ჰადესში, შეწყდა ტანჯვა ბნელეთის სამფლობელოში. შეჩერდა იქსიონის ბორბალი, შეწყვიტეს ლვიძლის კორტნა ფრთოსნებმა, ჩამოჯდა თავის ლოდზე სისიფოსი. ყველა სულგანაბული უსმენს მომღერალს: შურისძიების ქალღმერთები – ერინიები, აჩრდილთა სამეფოს მსაჯულები – მინოსი, რადამანთისი და ეაკოსი, სიკვდილის ღმერთი – თანატოსი, მისი ძმა ჰიპნოსი და კერები – ბედისწერის საზარელი ქალღმერთები. ერთ ადგილას გაშეშდნენ საზარელი მოჩვენება – სისხლისმწოველი ემპუსა და ბავშვების მომტაცებელი – ლამია, აცრემლებულ თვალებზე ხელს იფარებს მოჩვენებათა და ურჩხულთა დედოფალი – ჯადოსანი ქალღმერთი ჰეკატე, პერსეფონე კი ქმარს მკერდზე აყრდნობს თავს და ცრემლები ლაპალუპით ჩამოსდის თვალთაგან.

ჰკითხა ჰადესმა ორფევსს:

– რისთვის ჩამოსულხარ, მოკვდავო, ჰადესში, თქვი, ნუ შიშობ, შეგისრულებ სურვილს!

მაშინ ორფევსმა მიუგო მას:

– აჩრდილთა მეუფევ, მიწისქვეშეთის მბრძანებელო, ჰადეს, შენც ხომ ასეთი დამწუხრებული იქნებოდი, შენი მშვენიერი მეუღლე რომ წაერთმიათ შენთვის. დამიბრუნე ევრიდიკე, ჩვენ ხომ სულ მცირე ხანს ვხარობდით ერთად. სულ მალე ჩამოვა ევრიდიკე ჰადესში, ადამიანის ცხოვრება ხომ ძალზე მოკლეა!

ცრემლიანი პერსეფონე შეევედრა საყვარელ მეუღლეს:

– სულზე უტკბესო, სათაყვანებელო, თუკი ოდესმე გყვარებივარ, შეუსრულე თხოვნა ამ შესანიშნავ მომღერალს. ასე მგონია, ჩვენ დაგვაშორეს ერთიმეორეს!

გადახედა მრავალსახელიანმა მეუღლეს, ჩაფიქრდა და მომღერალს უპასუხა:

– კარგი, იყოს ასე, ორფევს, დაგიბრუნებ ევრიდიკეს, მაგრამ იცოდე, თუკი მანამდე მოიხედავ უკან, სანამ შენი ცოლი

აჩრდილთა სამეფოს გასცდება, ევრიდიკეს სამუდამოდ დაკარგავ!

ჰერმესი ჰადესის სამეფოს გასასვლელისაკენ გაუძღვა ბედნიერ ორფევსს, ევრიდიკეს აჩრდილი ქმარს უკან დაედევნა. ორფევსი ჯერ სიხარულმა აავსო, შემდეგ კი ეჭვის ჭია გაუჩნდა გულში. მოისურვა დარწმუნებულიყო, რომ ევრიდიკე არ ჩამორჩა მას და მართლაც მიჰყვებოდა უკან. ველარ მოითმინა და მიიხედა. მაგრამ მიიხედა თუ არა, ევრიდიკე გაქრა. თავზარი დაეცა ორფევსს. გაოგნდა შემწუხებისაგან. როდესაც გონს მოეგო, დიდხანს ევედრა ქარონს, კვლავ გადაეყვანა იგი სტიქსზე, დიდხანს მღეროდა, მაგრამ ამაოდ, ქარონი გულგრილი დარჩა მისი სიმღერის მიმართ და აღარც ჰადესს დაუბრუნებია ევრიდიკე მისთვის (ორფევსის შესახებ ვრცლად მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები").

## ჰადესს ატყუებენ

ერთხელ ერთმა მოკვდავმა, მოხერხებულმა სისიფოსმა მის წასაყვანად მოსული სიკვდილის ღმერთი თანატოსი დაატყვევა, რის შედეგადაც სამი წლის განმავლობაში არავინ კვდებოდა დედამიწაზე. იცოდა სისიფოსმა, რომ ოდესმე მაინც ჩაიყვანდნენ ჰადესში და ცოლს დაუბარა, არამც და არამც მისი სიკვდილის შემდეგ არ შეეწირა მსხვერპლი ჰადესისა და პერსეფონესათვის. გავიდა სამი წელი. ჰადესი მეტისმეტად შეაწუხა მიცვალებულთა აჩრდილების ჩამოუსვლელობამ მიწისქვეშეთში. მას აღარც მსხვერპლს სწირავდნენ, აღარც ძრწოდნენ მისი სახელის გაგონებისას და ლამის მისი არსებობაც კი დავიწყებოდათ დედამიწაზე. ზევსს შესთხოვა ჰადესმა სიკვდილის ღმერთის გათავისუფლება. უზენაესმა მეუფემ შეიწყნარა მისი თხოვნა და თანატოსი არესს დააზხნევინა. გათავისუფლების შემდეგ თანატოსმა თავის პირველ მსხვერპლად სისიფოსი აირჩია.

მოკვდა სისიფოსი. დიდხანს ელოდა ჰადესი მიცვალებულის მეუღლის მიერ მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელთათვის შეწირულ მსხვერპლს, მაგრამ ამაოდ. გაოცებულმა ამის მიზეზი სისიფოსს ჰკითხა. მოხერხებულმა სისიფოსმა კი პასუხად ჰადესს დედამიწაზე დაბრუნების უფლება გამოსთხოვა, რათა ცოლი სამაგალითოდ დაესაჯა. მოტყუვდა ჰადესი, გაუშვა სისიფოსი აჩრდილთა სამეფოდან, მაგრამ იგი უკან აღარ დაბრუნებულა და არც ცოლი დაუსჯია, პირიქით, დიდხანს და თავაწყვეტილად ნადიმობდა მეგობრებთან ერთად.

სულ ცეცხლებს ჰყრიდა თვალებიდან მოტყუებული ჰადესი. ხელმეორედ გაუგზავნა თანატოსი სისიფოსს, სიცოცხლეს გამოასალმა და დანაშაულთათვის მიწისქვეშეთში საშინელი სასჯელი მიუსაჯა: სისიფოსს ვეებერთელა ლოდი აქვს ციცაბო აღმართზე, მაგრამ როდესაც მთავრდება აღმართი და სამუშაო უნდა დასრულდეს, ლოდი სწყდება ადგილს, ჩამოქანდება მთის ძირში და სისიფოსიც იძულებულია, ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ვერასოდეს მიაღწევს იგი თავის მიზანს — მთის მწვერვალს.

## როგორ დაჭრეს ჰადესი

ერთხელ ჰადესი დაჭრეს კიდეც: მიწისქვეშეთში ჩასულმა ჰერაკლემ მას ისარი სტყორცნა და ვეებერთელა ლოდიც ესროლა. მხარში მოხვდა ისარი ჰადესს. ჭრილობამ მიწისქვეშეთის მეუფეს ისეთი ტკივილი მიაყენა, რომ მან ველარ გაუძლო ტანჯვას, თვალის დახამხამებაში დატოვა სამფლობელო და ოლიმპოსზე აიჭრა. აქ ღვთაებრივმა მკურნალმა პეონმა აჩრდილთა მბრძანებელს დიდი სიფრთხილით ამოაძრო ისარი, მის იარას უაქიმა და გამოჯანსაღებული დააბრუნა მიწისქვეშა სამეფოში.

## ჰადესის საბრძანებელი — მიწისქვეშა სამყარო

მიცვალებულთა სულები მარტონი არ ჩადიან ჰადესის სამეუფოში — გზას ვერ გაიგნებენ. მათ ჰერმესი უწევს მეგზურობას

და აცილებს მიწისქვეშა სამყაროსაკენ თეთრი კლდის, მზის ჭიშკრის გავლით, მიჰყავს ისინი დასავლეთის შორ გზაზე, იქით, სადაც დედამიწას ოკეანოსი ერტყმის გარს. შავი ალვის ხეების ჭალაა ოკეანოსის ნაპირას. მასთან ახლოს ჰადესის შესასვლელია. აქ აჩრდილებმა უნდა გაიარონ ნელი და მდუმარე მდინარეები, ჰადესის სახელგანთქმული საზარელი სტიქსი („საძულველი") და მისი შენაკადები, ერთიმეორეზე უფრო საშინელი ლეთე („დავიწყება"), კოკიტოსი („მკვნესარე"), აქერონი („მწუხარების ნაკადი"), აორნოსი („სადაც ფრინველები არ ადიან") და ცეცხლოვანი პირიფლეგეთონი („მოგიზგიზე"), მთელს ჰადესს რომ ერტყმის გარს, მათთან ერთად სტიგიის ჭაობი ან აქერონის ტბა, რომელშიაც კოკიტოსი და პირიფლეგეთონი ჩაედინებიან.

პირქუში მებორნე ქარონი შველის აჩრდილებს მდინარეებზე გადასვლაში. შველის მათ, ვინც გადაუხდის თითო ობოლს (ობოლი ბერძნული წვრილი ფულია). ისინი, ვისაც ფული არა აქვს, რჩებიან ნაპირზე ან გაურბიან ჰერმესს და ჩადიან ჰადსში რომელიმე დაფარული შესასვლელიდან, როგორიცაა, მაგალითად, ლაკონიური ტენარონი ან თესპროტიული აორნოსი. საშინელი ძაღლი, სამთავიანი კერბეროსი იცავს სტიქსის მეორე ნაპირსა და ჰადესის ჭიშკარს მიწისქვეშეთის სამყაროში შეღწევას მოწადინებული ცოცხალი ადამიანებისა და სამზეოზე დაბრუნების მსურველი აჩრდილებისგან. ერთბაშად გაკრთება ხოლმე აჩრდილთა ლანდი ჰადესის შესასვლელში და ჰერმესის მოლოდინში გაირინდება.

ჰადესის პირველი ნაწილი უსიხარულო ასფოდელოსის ბაღებს წარმოადგენს, ბაღებს, სადაც ველური ტიტები, ასფოდელოსები ყვავიან. აქ გმირთა სულები მარად მოწყენილნი არიან და მხოლოდ ორიონს აქვს შერჩენილი ირმის აჩრდილზე ნადირობის ხალისი. აჩრდილები გლოვობენ თავიანთ არსებობას მიწისქვეშეთში, სადაც არც სინათლეა და არც სურვილები შეიძლება იყოს. აჩრდილთა ერთადერთი სიამოვნებაა სისხლი

მსხვერპლისა, რომელსაც მათ მოკვდავები უძღვნიან. როდესაც სისხლს სვამენ, აჩრდილები თითქმის ნამდვილ ადამიანებად აღიქვამენ ხოლმე თავს.

ასფოდელოსის ველებთან მდებარეობენ ერებოსი და ჰადესისა და პერსეფონეს ფართოჭიშკრებიანი სასახლე. სასახლის მარცხნივ ხარობს თეთრი კვიპაროსი და მისი ჩრდილი ეცემა ლეთეს მდინარეს, სადაც ჩვეულებრივი აჩრდილები იხრებიან წყლის დასალევად. ნაზიარები სულები კი გვერდს უვლიან მას და ამჯობინებენ შესვან მახსოვრობის წყალი, რომელიც თეთრი ალვის ხის ქვეშ ჩამოედინება.

ყოველი ახალმოსული აჩრდილი უნდა განისაჯოს. მიცვალებულთა მსაჯულნი არიან ქვეყნად ყველაზე უფრო სამართლიანი მოკვდავები: მინოსი, რადამანთისი და ეაკოსი. ისინი აჩრდილებს გზაჯვარედინზე, სამი გზის გასაყართან განსჯიან. რადამანთისი აზიელებს განსჯის, ეაკოსი – ევროპელებს, ხოლო რთულ შემთხვევებში ორივე მათგანი მეფე მინოსს მიმართავს ხოლმე. ყოველი გადაწყვეტილების შემდეგ, ჩადენილ დანაშაულთა მიხედვით, აჩრდილები დაადგებიან სამიდან ერთ-ერთ გზას: გზას ასფოდელოსის ველებისაკენ, თუკი ისინი არც კეთილნი და არც ბოროტნი არიან; გზას ელისეს მინდვრებისაკენ, თუკი მათი ცხოვრება სიკეთით იყო აღსავსე; ან გზას ტარტაროსის მარად წყვდიადით მოცული ველებისაკენ, თუკი მათ მრავალი ბოროტი საქმე ჩაუდენიათ.

აჩრდილთა სასჯელი მიწისქვეშეთში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მაგალითად, როგორც ზემოთაც გიამბეთ, სისიფოსს მარადჟამ მთის მწვერვალზე აქვს უზარმაზარი ლოდი, რომელიც მუდამ უკან, მთის ძირას ვარდება და მას თავიდან აწყებინებს სამუშაოს.

სისიფოსის მთის მწვერვალიდან მოჩანს ტანტალოსი, რომელიც ყელამდე წყალში დგას და მუდამ სწყურია, რადგან დაიხრება თუ არა დასალევად, წყლის ნაკადი ერთბაშად მცირდება, ქრება და შავ ფსკერს გამოაჩენს; ტანტალოსის ცხვირწინ

ქარვისფერი მსხლებითა და ვაშლებით, ბროწეულებითა და ლეღვებით დახუნძლული ტოტებია, მაგრამ ხელს გაიწვდენს თუ არა, ხეები მაღლა სწევენ ტოტებს და ტანტალოსს მუდამ მშიერს ტოვებენ.

ტანტალოსთან ახლოს მიწაზეა გართხმული გოლიათი ტიტიასი, რომელსაც ორი ძერა უკორტნის ღვიძლს. ზევსის ვაჟმა ქალღმერთ ლეტოზე სცადა ძალადობა, მაგრამ ქალღმერთი შვილებმა იხსნეს სირცხვილისაგან და ტიტიასი ისრებით განგმირეს.

იქვე, ტარტაროსში არიან დანაიდები. ქმრების მკვლელობის გამო მათაც მარადიული სასჯელი აკისრიათ: განუწყვეტლივ ავსებენ ისინი გახვრეტილძირიან სასმისებს.

დასჯილია ჰერასთან შეუღლების მსურველი ლაპითების მეფე იქსიონიც: იგი შეუჩერებლივ მბრუნავ ცეცხლოვან ბორბალს არის მიჯაჭვული.

ტარტაროსში არიან ყველაზე უფრო საზარელი არსებები – ტიტანები. მარადიულ წყვდიადში არიან ისინი გახვეულნი და ასხელა მცველები (ჰეკატონხეირები) დარაჯობენ მათ. ჰადესის სამფლობელოს გვერდით მდებარეობს ელისეს მინდვრები, რომლებსაც კრონოსი მართავს. ისინი მახსოვრობის წყალს ესაზღვრებიან, მაგრამ ჰადესის სამფლობელოს ნაწილს არ წარმოადგენენ. ეს ბედნიერი მიწაა, სადაც არც სიცივეა და არც თოვლი, სადაც თამაში, მხიარულება და დამათრობელი ჰანგები არასოდეს წყდება და სადაც მის მაცხოვრებლებს თავად შეუძლიათ აირჩიონ, სად და როდის სურთ ხელახლა დაბადება. ელისეს მინდვრებში ცხოვრობენ, მაგალითად, კადმოსი და ჰარმონია, თებეს დამაარსებელი მეფედედოფალი.

ელისეს მინდვრების ახლოს მდებარეობს ნეტართა კუნძულები, რომლებიც იმათთვის არის განკუთვნილი, ვინც უკვე სამჯერ დაიბადა და სამჯერ მიაღწია ელისეს მინდვრებს. ნეტართა კუნძულებზე ბინადრობენ მშვენიერი ელენე და აქილევსი,

აგრეთვე ლიკოსი, პოსეიდონის ვაჟი, რომელიც მამამისმა დაასახლა აქ. როგორც ზოგიერთები გადმოგვცემენ, არსებობს შავი ზღვის ნეტართა კუნძულებიც, რომელთაც ლევკონს უწოდებენ.

ჰადესი იშვიათად ტოვებს ხოლმე სამფლობელოს, არც არავის აძლევს გაქცევის საშუალებას. ძალზე ცოტას, ვისაც უხილავს მისი სამფლობელო, შეუძლია აღწეროს მიწისქვეშეთი. ეს კი ჰადესს ყველასათვის საძულველ ღმერთად აქცევს.

ფართოჭიშკრებიან სასახლეში, ოქროს ტახტზე ზის ჰადესი თავის მშვენიერ მეუღლესთან, პერსეფონესთან ერთად. მას ერინიები, შურისძიების ქალღმერთები ემსახურებიან. ჰადესის გვერდით სხედან მსაჯულები: ეაკოსი, მინოსი და რადამანთისი, და მათთან ერთად ზის შავფრთიანი და შავსამოსიანი, ცეცხლისთვალებიანი სიკვდილის ღმერთი თანატოსი. აქვეა თანატოსის უმცროსი ძმა, ძილის ახალგაზრდა მეუფე, ჰიპნოსი.

## ჯადოსანი ქალღმერთი ჰეკატე

ღამეა. ცას გაცრეცილი და თითქმის მილეული მთვარე ანათებს. მქრქალ სხივებს აფენს საფლავებსა და ძაღლებს, რომლებიც გაანჩხლებით უყეფენ მას. თმებში გველებითა და ორი ანთებული ჩირაღდნით ხელში საფლავებს შორის დაძრწის ღამეული მოჩვენებების, ზმანებებისა და ჯადოქრობის ქალღმერთი ჰეკატე, ტიტან პერსესისა და ასტერიეს ასული. ძრწოლასა და შიშნარევ სიზმრებს აგზავნის იგი დედამიწაზე და ანგრევს ადამიანთა ცხოვრებას. ძაღლების ხროვა დაჰყვება ჰეკატეს უკან. საფლავებთან მოდიან მიტოვებული შეყვარებულები, გაწბილებული მეუღლეები და საგანგებო შელოცვებით დასახმარებლად მოუხმობენ მათთვის უხილავ აჩრდილთა ქალღმერთს. ურანოსისა და ზევსისაგან მინიჭებულ უდიდეს ძალაუფლებას ფლობს ჰეკატე. იგი მონაწილეობს დედამიწის, ზღვის, მიწისქვეშეთისა თუ ცის საქმეთა გადაწყვეტაში და ყველანი, მოკვდავნი და

ღმერთები, პირველ რიგში კი ზევსი, მიაგებენ პატივს ამ ძლევამოსილ ქალღმერთს.

სამი გზის გასაყარის ქალღმერთია ჰეკატე. აქვე, გზაჯვარედინებზე დგამენ ხოლმე მის სამსხეულიანსა და სამსახოვან ქანდაკებებს, სამ გზას რომ გაჰყურებენ. მოკვდავები მას მსხვერპლად სწირავენ ძაღლებს, რათა ქალღმერთმა ისინი ჯადოქრებისა და გრძნეულებისაგან დაიცვას.

## ჰადესის პირქუში მებორნე ქარონი

ჰადესის მდინარეებს მიცვალებულთა სულები თვითონ ვერ გადასცურავენ, ისინი მოხუცმა მებორნემ, უხეში ტილოს სამოსელით ტანშემოსილმა ქარონმა უნდა გადაიყვანოს თავისი ბორნით. მეტიჩეობა ქარონის სასჯელი არ არის, ეს მისი ხელობაა და ამიტომაც მას უფასოდ კი არ გადაჰყავს მიცვალებულთა აჩრდილები, არამედ თითო ობოლს ართმევს სულებს. ეს იციან მიცვალებულთა პატრონებმა და დაკრძალვისას მათ ენის ქვეშ მონეტას უდებენ.

ქარონს ის მიცვალებულები გადაჰყავს მდინარეებზე, ვინც დაკრძალულია. სულები ვერ მიაღწევენ ჰადესს, სანამ მათი ძვლები მიწით არ დაიფარება. სწორედ ამიტომ არის, რომ მდინარის ნაპირებზე ქარონის მიმართ მრავალი მავედრებელი ხელი არის გამოწვდილი. მკაცრია ქარონი. არ შეუძლია შებრალება მას, რადგანაც ჰადესის ურღვევ კანონებს უნდა დაემორჩილოს. ამიტომაცაა, რომ არავინ გადაჰყავს პირქუშ ქარონს თავისი ბორნით ისეთი, ვისთვისაც ეს აკრძალულია.

წარმოუდგენელია ცოცხალი ადამიანისათვის სიკვდილის სამეუფოში შესვლა. მხოლოდ პერსეფონეს ჭალაში მოწყვეტილ ოქროს ტოტს შეუძლია გაუხსნას გზა ცოცხალ არსებას სიკვდილის საბრძანებელისაკენ. ამ ტოტის მოწყვეტა მოახერხა გმირმა ენეასმა ჯადოსანი წინასწარმეტყველი ქალის, სიბილას დახმარებით. ჰადესში ჩასვლისას სიბილამ ეს ტოტი ქარონს

აჩვენა და ამით აიძულა, მდინარეებზე გადაეყვანა ენეასი. შესციცინა ქარონმა ოქროს ტოტს, დაისვა ბორანზე ტროელი გმირი და მეორე ნაპირისაკენ გაემართა.

ოქროს ტოტის გარეშე, ძალით გადააყვანინეს თავი ქარონს ბერძენმა გმირებმა პეირითოოსმა და თესევსმა, შემდეგ კი ჰერაკლემ, რომლის მძვინვარე გამოხედვისა ისე შეეშინდა მებორნეს, რომ სასწრაფოდ გადაიყვანა სტიქსზე და გასამრჯელოც კი არ მოსთხოვა. მწარედ იხსენებდა ქარონი ამ ძალადობებს სიბილასთან საუბარში. ისიც აგონდებოდა, რომ მდინარეებზე ჰერაკლეს გადაყვანისათვის, ჰადესის ბრძანებით, ერთი წლის განმავლობაში იყო შებორკილი.

მშობლების, სტიქსისა და ერებოსის მსგავსად, ქარონი მარად წარბებშეჭმუხნულია და პირქუში. იგი მიცვალებულთა აჩრდილებს მდინარეების გადალახვაში ეხმარება და ჰადესის ნებართვით, გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ ის სულებიც გადაჰყავს, რომელთა ძვლებიც დაუკრძალავი იყო.

## კერბეროსი – მიწისქვეშეთის კარიბჭის მცველი

ჰადესის შესასვლელში მყოფ ურჩხულთა ხილვისას მიწისქვეშა სამყაროში ჩასული სულები შიშით ძრწიან, ვიდრე თავიანთ საუკუნო განსასვენებელს მიაღწევენ. ყველაზე უფრო სულისშემძვრელ შიშს იწვევს ჰადესის შესასვლელში დარაჯად მდგარი კერბეროსი, ექიდნესა და ტიფონის შვილი.

სამთავიანი ძაღლია ჰადესის მცველი კერბეროსი, სხეული გველებით აქვს დაფარული და კუდიც გველისა აქვს, ვეებერთელა ენაგადმოგდებული ხახებიდან კი შხამიანი ნერწყვი ჩამოსდის.

მიუხედავად ასეთი საზარელი გარეგნობისა, მოკვდავ გმირს, ჰერაკლეს არ შეშინებია კერბეროსისა და სამზეოზე აიყვანა იგი. ბევრს ცდილობდა კერბეროსი თავი დაეღწია გმი-

რისაგან, მაგრამ ამაოდ. თავისი გველის კუდით სცადა მისი დაკბენა, მაგრამ ჰერაკლეს ნემეას ლომის უწყვლადი ტყავი ჰქონდა მოსხმული და კერბეროსის გაავებული კბენა არც კი უგრძვნია. სამზეოსაკენ მიმავალი ჰერაკლე შებოჭილ კერბეროსს ხან თოკით მიათრევდა, ხან კი ხელში აყვანილი მიჰყავდა. საშინელ წინააღმდეგობას უწევდა ჰადესის მცველი მას. ტყვე და დამტყვევებელი ჰადესიდან ტროიძენის ნაპრალის გზით გამოვიდნენ ცისქვეშეთში. აქ კერბეროსი სულ მთლად გამძვინვარდა, თვალს არიდებდა მზის სინათლეს და სამივე ხახით ყეფდა და ყმუოდა. კერბეროსის შხამიანი ნერწყვი ამწვანებულ ველებზე ჩამოდიოდა. ამ ნერწყვისაგან წარმოიშვა მცენარე აკონიტისი, რომლითაც ჯადოსანი მედეა თავის სასწაულებრივ ნაყენებს ამზადებდა. კერბეროსი ჰერაკლემ მიათრია მეფე ევრისთევსთან, რომელიც შიშისაგან დაიმალა და უბრძანა გმირს, ჰადესის მცველი უკანვე დაებრუნებინა აჩრდილთა სამეფოში. ზოგნი ამტკიცებენ, რომ გმირმა არა მხოლოდ კერბეროსს, არამედ თავად ბრძოლაში დამარცხებულ ჰადესსაც კი დაატოვებინა მიწისქვეშეთი.

რაც არ უნდა გასაოცარი იყოს, ჰადესის საზარელი მცველი მუსიკის მიმართ არ არის გულგრილი. ზემოთ უკვე გიამბეთ, ევრიდიკეს სამზეოზე აყვანის მსურველმა მომღერალმა ორფევსმა თავისი საოცარი ხელოვნებით როგორ მოხიბლა კერბეროსი, რომელმაც დაუბრკოლებლივ შეუშვა იგი მიწისქვეშეთის სამყაროში.

კერბეროსი მოუტყუებიათ კიდეც. როდესაც ტროელი ენეასი აჩრდილთა სამეფოში ჩადიოდა, ჯადოქარმა სიბილამ ძილისმომგვრელი ბალახით შეზავებული ნაზუქი გადაუგდო ძაღლს და დააძინა, ხოლო გმირმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე განვლო ჰადესის საშინელი შესასვლელი.

და მაინც, ეს შემთხვევები გამონაკლისი იყო. ყველასათვის საშინელი და ამაზრზენია კერბეროსი. არავის უშვებს იგი ჰადესში მიწისქვეშეთის მეუფის უზენაესი ნებართვის გარეშე.

## ❹ მცირე ღვთაებანი

### *ციური ღმერთები*

### ვარდისფერთითება ეოსი

თენდება. ოდნავ განათდა აღმოსავლეთი. აკიაფდა აისის მაუწყებელი ვარსკვლავი, ეოსფოროსი. უფრო და უფრო ენთება აღმოსავლეთი, და აი, დგება სარეცლიდან ვარდისფერლაწვება ეოსი, ტოვებს თავის შეყვარებულს, ტროელი მეფის, ლაომედონის მშვენიერ ვაჟს, ტითონოსს. ვარდისფერი თითებით აღებს ჭიშკარს, რომლიდანაც სულ მალე გამოაჭენებს ცხენებს მზის ღმერთი ჰელიოსი. ვარდისფერ სამოსში გამოწყობილი, მშვენიერ ეტლში შებმული თეთრი ან წითელი ცხენებით, ლამპოსითა და ფაეთონით, აფრინდება თოვლისფერწამწამა, მანათობელი, მხიარული, ოქროსფეხებიანი ეოსი თავისი შვილების, ქარების თანხლებით ვარდისფრად განათებულ ცაზე, პირველ სხივებს ოლიმპოსს მიანათებს, ოქროს ჭურჭლიდან ცვარს დაღვრის დედამიწაზე და ბალახებსა და ყვავილებს ალმასებივით მბრწყინავი წვეთებით დაამშვენებს, პირს მოჰბანს მთელს დედამიწას, რომელიც სიხარულით ეგებება ამომავალ მზეს.

ეოსი ჰელიოსისა და სელენეს და არის, ტიტანების – ჰიპერიონისა და თეიას შვილი. ომის ღმერთი, მშვენიერი ვაჟკაცი არესი შეუყვარდა ქალღმერთს და მასთან სარეცელი გაიზიარა. გაშმაგებულმა აფროდიტემ იეჭვიანა და შური იძია ეოსზე იმით, რომ მოკვდავთა მიმართ მარადიული სურვილი ჩაუნერგა გულში. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ქალღმერთი ტრფობით ალინთო ორიონის, კეფალოსისა და კლეიტოსის მიმართ.

ვარდისფერლაწვება ეოსმა ღრუბლებიდან დაინახა კეფალოსი ნადირობის ჟამს, მოიტაცა იგი და წაიყვანა შორს ათენიდან, დედამიწის დასალიერში. კეფალოსს მხოლოდ თავისი მეუღლე, პროკრისი უყვარდა, მხოლოდ მასზე ფიქრობდა და მასთან დაბრუნებაზე ოცნებობდა. დანაღვლიანებული ევე-

დრებოდა ქალღმერთ ეოსს, გაეშვა სამშობლოში. ეოსი ჯერ ცდილობდა თავისი სინაზით ამოეგდო ვაჟის გულიდან მიწიერი მეუღლე, ბოლოს კი, რომ ველარაფერი მოახერხა, გაბრაზდა და უთხრა:

— კარგი, იყოს ისე, როგორც შენ გწადია, დაბრუნდი ცოლთან, მაგრამ ოდესმე ძალიან ინანებ, რომ მასზე დაქორწინდი! (კეფალოსისა და პროკრისის შესახებ დაწვრილებით მოგითხრობთ წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები"). ზოგნი ამბობენ, რომ ფაეთონი სწორედ ეოსისა და კეფალოსის შვილი იყო და არა კლიმენესა და ჰელიოსისა.

ეოსმა ცად აიყვანა ულამაზესი მოკვდავები — განიმედესი და ტითონოსი. დაინახა განიმედესი ზევსმა, შეუყვარდა და ეოსს წაართვა. მაშინ ქალღმერთმა უზენაეს მეუფეს უკვდავება გამოსთხოვა მეორე სატრფოსათვის. შეუსრულა თხოვნა ზევსმა ეოსს, მაგრამ შეცდა ქალღმერთი, დაავიწყდა, სასურველისათვის მარადიული სიყმაწვილეც მოეპოვებინა. გავიდა ხანი. ტითონოსისაგან ეოსს შეეძინა მემნონი — ეთიოპიის მეფე და ტროას ომის გმირი. მალე კი ეოსის სატრფოს ასაკის მომატება შეეტყო. შეშინებულმა ქალღმერთმა ტითონოსს ამბროსიით დაზელვა დაუწყო და ყველანაირად ცდილობდა, სიყმაწვილე შეენარჩუნებინა მისთვის, მაგრამ ამაოდ, ტითონოსის ხანში შესვლა სულ უფრო შესამჩნევი ხდებოდა. მაშინ ეოსმა იგი საწოლ ოთახში ჩაკეტა. სულ უფრო და უფრო ადრე დგებოდა ქალღმერთი სარეცლიდან, სატრფოს დანაოჭებული სახე რომ აღარ ეხილა. მალე ტითონოსი სიბერისაგან ისე დაპატარავდა, რომ ჭრიჭინად გადაიქცა.

ეოსს სხვა ჭაბუკებიც უყვარდა, მაგალითად, კლეიტოსი, მანტიასის ვაჟი მელამპიდების გვარიდან, რომელიც ქალღმერთმა ცად აიყვანა, რათა ეზიარებინა იგი უკვდავთა ცხოვრებისათვის.

ეოსის ქმარია ტიტანთა შთამომავალი ასტრევსი („ვარსკვლავებით მოჭედილი ცა"). მისგან შეეძინა ეოსს მოციმციმე

ვარსკვლავები და ქარები – ბორეასი, ნოტოსი და ზეფიროსი (ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის ქარები), აგრეთვე, როგორც ამბობენ, ეოსფოროსიცა და ფოსფოროსიც.

ვარდისფერია ცა გამთენიისას. ეს ვარდისფერლაწვება ეოსი მობრძანდება ცის კაბადონზე.

## მზე-ღმერთი ჰელიოსი

ტიტანების ჰიპერიონისა და თეიას ვაჟი, ოქროსჩაჩქნიანი ჰელიოსი ოკეანოსის ნაპირიდან ადის ლაჟვარდოვან ცაში ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი ოქროს ეტლით, რომელშიც ოთხი ოქროსფაფრიანი ცხენია შებმული. ჰელიოსი წმინდა ფრინველის, მამლის მეშვეობით ამცნობს ქვეყანას თავის მობრძანებას. ვარდისფერლაწვება ეოსია მისი მაცნე, იგი უღებს ჭიშკარს ჰელიოსის brწყინვალე ეტლს. აღმოსავლეთიდან ამოდის მზე-ღმერთი, ძვირფასი თვლებით შემკული თვალწარმტაცი სასახლიდან, კოლხეთთან ახლოს რომ მდებარეობს და დასავლეთის მშვენიერი სასახლისაკენ მიემართება, იქით, ნეტართა კუნძულებისაკენ, სადაც ბალახს ძოვენ მისი ცხენები. გაივლის ჰელიოსი თავის ყოველდღიურ გზას ცის კაბადონზე და ბოლოს ოკეანოსის წმინდა ტალღებთან ეშვება. აქ მას ოქროს ხომალდი ელოდება, რომლითაც აღმოსავლეთისაკენ, მზის ქვეყანაში, თავისი brწყინვალე სრასასახლისაკენ მიცურავს. აქ თვალისმომჭრელი სინათლით გარემოცული ჰელიოსი თავისი ძვირფასი ქვებით შემკულ ტახტზე ისვენებს წლის დროთა ქალღმერთების, ჰორების გარემოცვაში, ქვეყნად კი ღამე დგება. ძლევამოსილია მზე-მეუფე, მას შეუძლია სიცოცხლე მიანიჭოს მოკვდავებს, წაართვას ან დაუბრუნოს მათ თვალისჩინი. ანთებული, საშინელი თვალები აქვს მზე-ღმერთს. ყოვლისმხედველია ჰელიოსი, სწორედ მას უხმობენ ხოლმე მოწმედ და შურისმაძიებლად მოკვდავები.

ჰელიოსის თოვლივით თეთრი, მეტად ნაპატივები, მსუქანი ხარების ნახირი მითიურ კუნძულ ტრინაკრიის ტყეებში არის მიშვებული საძოვარზე. აკრძალულია მათი ხელის ხლება.

ერთხელ ოდისევსის თანამგზავრებმა მზე-ღმერთის რამდენიმე ხარი დაკლეს და შეჭამეს. მზის ასულმა მაშინვე შეატყობინა მომხდარი მამას და განრისხებული ჰელიოსის თხოვნით ზევსმა მეხით დაამსხვრია ოდისევსის ხომალდი. ტრინაკრიის ამ ძროხების გარდა, რამდენიმე ნახირი ჰყავს ჰელიოსს, თითოეულში სამას ორმოცდაათი ხარი და ძროხაა. იმ ნახირს, რომელიც სიცილიაზეა, ჰელიოსის ასულები ფაეთუსა და ლამპეტია მწყემსავენ, მაგრამ საუკეთესო ხარ-ძროხა ჰელიოსს ერითეიას კუნძულის საძოვრებზე ჰყავს მიშვებული.

ჰელიოსის სამფლობელო კუნძული როდოსია. მოხდა ისე, რომ როდესაც ზევსი კუნძულებსა და ქალაქებს უნაწილებდა ღმერთებს, დაავიწყდა მზე-ღმერთისათვისაც ეწილადებინა რაიმე, და ჰელიოსი რომ მოაგონდა, შეწუხებულმა წამოიძახა თურმე, ვაიმე, ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დავიწყოო.

— არა, ბატონო, — თავაზიანად უთქვამს ჰელიოსს, — დღეს შევნიშნე, რომ მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში ზღვიდან ახალი კუნძული ამოდის. თუ ნებას დამრთავ, მე სავსებით კმაყოფილი ვიქნებოდი ამ კუნძულის მფლობელობით.

მაშინ ზევსმა უხმო ბედისწერის ქალღმერთ ლაქესისს და ამცნო თავისი ნება — თუკი ზღვის ზედაპირზე მსგავსი ახალი კუნძული გამოჩნდებოდა, მას სურდა იგი ჰელიოსისათვის ებოძებინა. როდესაც კუნძული როდოსი ამოვიდა წყლის სიღრმეებიდან, მზე-ღმერთმა იგი საკუთარ სამფლობელოდ გამოაცხადა. ნიმფა როდასაგან მას აქ შეეძინა შვილები — შვიდი ვაჟი და ერთი ასული.

ჰელიოსის საბრძანებელი იყო კორინთოსიც. პოსეიდონი ედავებოდა ამ მიწას მზე-ღმერთს, მაგრამ წართმევა ვერ მოუხერხა. ჰელიოსის შემდეგ კორინთოსს მართავდა მისი ვაჟი აიეტი, რომელიც შემდგომში კოლხთა ლეგენდარული მეფე გახდა.

ჰელიოსს თაყვანს სცემდნენ კუნძულ როდოსზე. აქ მზე-ღმერთის საპატივცემულოდ როდოსელებმა ააგეს ვეებერთელა ქანდაკება, რომელსაც თავზე მანათობელი გვირგვინი ედგა.

ჰელიოსის სამფლობელო იყო კუნძული სიცილიაც, რომელიც ზევსმა ტიტანის სამფლობელოს მოგვიანებით მიუმატა.

ჰელიოსს მრავალი შეყვარებული ჰყავდა, მაგრამ მისი სასიყვარულო საქმეები უსიამოვნებებით იყო სავსე. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ მზე-ღმერთმა აფროდიტესა და არესის სიყვარული აფროდიტეს ქმარს, ჰეფესტოს ამცნო. ჰელიოსის ერთ-ერთი სასიყვარულო ეპიზოდი დაკავშირებულია ოკეანოსის ასულ კლიტიესა და სპარსეთის მეფის, ორქამოსის ასულ ლევკოთეასთან. ლამაზლაწვება ლევკოთეას მშვენიერებამ ისე მოხიბლა მზე-ღმერთი, რომ ჰელიოსი მასთან შესაუღლებლად არაფერს მოერიდა — ლევკოთეას დედად, ევრინომედ გარდაისახა და ასული ასე შეაცდინა. ეჭვიანობამ გონი დააკარგვინა კლიტიეს, რომლის საყვარელიც იყო ადრე ჰელიოსი. მან მეფე ორქამოსს ლევკოთეასა და ჰელიოსის სიყვარულის ამბავი ამცნო, ორქამოსმა კი თავისი ასული ცოცხლად დამარხა. აღარ უყვარდა ჰელიოსს კლიტიე. მძიმედ განიცდიდა ამას ოკეანისი, უარს ამბობდა სასმელ-საჭმელზე და თვალს ვერ აშორებდა საყვარელ არსებას. ცრემლიანი თვალს აყოლებდა ხოლმე მზე-მეუფეს. მიწას მიეზარდა იგი და იქცა მზესუმზირად, რომელიც თავს მუდამ მზის მიმართულებით ატრიალებს.

მზე-ღმერთს მრავალი შვილი ჰყავდა. ოკეანოსის ასულ პერსეისისაგან კოლხეთის მეფე აიეტი, ჯადოქარი კირკე და პასიფაე — კრეტის მეფე მინოსის მეუღლე. ნიმფა კლიმენესაგან ჰელიოსს ვაჟი ფაეთონი და ოთხი ასული — ფოიბე, ჰელია, ეთერია და ლამპეტია შეეძინა, ხოლო ტრიტონის დისაგან, ნიმფა როდასაგან კი შვიდი ვაჟი — ჰელიადები, სახელგანთქმული ვარსკვლავთმრიცხველები. ერთ-ერთი მათგანი დანარჩენი ძმების ხელით დაიღუპა, რადგანაც მათ შეშურდათ ძმის არაჩვეულებრივი განსწავლულობა. მკვლელებმა სხვა კუნძულებსა და მცირე აზიას შეაფარეს თავი. უფროსი ძმა, რომელიც არ მონაწილეობდა მკვლელობაში, როდოსის მეფე გახდა და მისი შვილიშვილების სახელები როდოსის ქალაქებს ეწოდა.

## ფაეთონი მზის ეტლს ამსხვრევს

ყოველ დილით გამოჰყავს ზეცაზე ოქროსჩაჩქნიან მზე-ღმერთს ოქროს ეტლი. ერთადერთხელ დაირღვა დადგენილი წესრიგი ცაში. ერთადერთხელ არ გამობრძანდა ცის კაბადონზე ჰელიოსი. ეს ასე მოხდა.

ერთხელ ჰელიოსის ნათესავმა, ზევსისა და იოს ვაჟმა ეპაფოსმა დაცინვით უთხრა ფაეთონს:

— არ მჯერა, რომ შენ ჰელიოსის შვილი ხარ. ტყუის დედაშენი, ალბათ ვიღაც მოკვდავისაგან გაგაჩინა და ჰელიოსს დააბრალა ეს ამბავი!

იწყინა ფაეთონმა და თავისი შეურაცხყოფა დედას შესჩივლა. ნიმფა კლიმენემ წარბი შეიკრა, აღაპყრო ხელი და თავისი სიმართლის მოწმედ ჰელიოსს უხმო:

— ფაეთონ! ვფიცავ ჰელიოსს, რომელიც გვხედავს და რომელსაც ესმის ჩვენი, რომ მამაშენი მზე-ღმერთია! დაე, აღარ ვიხილო მისი სინათლე, თუკი ვტყუი! წადი მის სასახლეში და იგი დაგიდასტურებს ჩემს სიტყვებს!

ფაეთონი მაშინვე გაემართა ჰელიოსისაკენ. სწრაფად მიაღწია მან ჰეფესტოს მიერ ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი ქვებით შემკულ სასახლეს, შევიდა შიგ და დაინახა მბრწყინავი სმარაგდის ტახტზე მჯდომი მეწამულსამოსიანი მზე-ღმერთი, რომელსაც გარს ეხვივნენ დღეები, თვეები, საუკუნეები, ჰორები, წელიწადის დროები — გაზაფხული ყვავილთ გვირგვინით, ზაფხული თავთავთ კონებით ხელში, დაწურული მტევნებით მოთხვრილი შემოდგომა და ჭაღარათმიანი ზამთარი. შორით გაჩერდა ფაეთონი, ვერ გაუძლო მზის სხივებს. ჰკითხა ჰელიოსმა ფაეთონს:

— რამ მოგიყვანა ჩემთან, შვილო?

— ო, სამყაროს სინათლევ, — შესძახა ფაეთონმა. — ნუთუ შემიძლია მამა გიწოდო? დამიდასტურე, რომ მართლა მამაჩემი ხარ, ეჭვები რომ გამიქარწყლდეს.

ჰელიოსი მოეხვია შვილს და უთხრა:

— დიახ, შენ ჩემი შვილი ხარ და რომ აღარ დაეჭვდე ამაში, მთხოვე, რაც გინდა და, სტიქსის წყალს ვფიცავ, შევასრულებ შენს თხოვნას!

ფაეთონს თვალები გაუბრწყინდა ამ სიტყვების გაგონებისას. მაშინვე სთხოვა მამას იმ ოქროს ეტლის მართვის უფლება, რომლითაც ჰელიოსი სამყაროს უვლიდა გარს. შეძრწუნდა მზეღმერთი:

— უგუნურო, რასა მთხოვ! ნეტავი შემეძლოს ჩემი სიტყვების უკან დაბრუნება. მოკვდავი ხარ და მოკვდავისათვის მიუწვდომელს ელტვი. თვითონ ზევსსაც კი არ შეუძლია ჩემი ეტლი მართოს! შენი დაღუპვის მიზეზი არ მინდა გავხდე, შვილო. ჩვენი სისხლით ნათესაობა გინდა ირწმუნო, თავდებს თხოულობ, და ამ თავდებს მამობრივი შიშით მოგაგებ. რაც გინდა მთხოვე, არაფერზე გეტყვი უარს, ამას კი ნუ ისურვებ, სასჯელია და არა პატივი, სასჯელს თხოულობ ამით, ფაეთონ!

მაგრამ ფაეთონს არაფრის გაგონება არ სურდა. მან ხელები შემოხვია ჰელიოსს და შეევედრა, შეესრულებინა მისი თხოვნა.

მაშინ დამწუხრებულმა ჰელიოსმა წარმოთქვა:

— კარგი, შეგისრულებ დანაპირებს, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ სტიქსი დავიფიცე. შენ მიიღებ იმას, რასაც მთხოვ, მაგრამ მე შენ უფრო გონიერი მეგონე!

დიდებული მზე-მეუფე ვაჟს იქით გაუძღვა, სადაც მისი ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროს ეტლი იდგა. მოიყვანეს ჰელიოსის ამბროსიითა და ნექტარით ნაკვები მფრინავი რაშები, შეაბეს ისინი მზის მეუფის ეტლში, გაალო ჭიშკარი ვარდისფერლაწვება ეოსმა. წმინდა ნაყენით დაუზილა ჰელიოსმა სახე ვაჟს, მცხუნვარებას რომ არ დაეწვა და უკანასკნელი რჩევა მისცა:

— შვილო, არ გააჭენო ცხენები და სადავეები მაგრად გეჭიროს. ცხენები თვითონ გაიგნებენ გზას, გზა კი ზუსტად გველისა და საკურთხევლის თანავარსკვლავედებს შორის გადის. ძალიან მაღლა არ ახვიდე, რომ ზეცა არ დაწვა და ნურც ძალიან

ქვემოთ დაეშვები, თორემ ცეცხლი მთელს დედამიწას გადაბუგავს. ნურც მარჯვნივ გადაიხრები და ნურც მარცხნივ. დანარჩენი ბედისათვის მიმინდვია. მაგრამ იქნებ უკვე გადაიფიქრე, ეს გადაწყვეტილება ხომ სიკვდილით გემუქრება! დამითმე ეტლი, შვილო, ნუ დაიღუპავ თავს!

მაგრამ ფაეთონი მარდად შეხტა ეტლზე, მოზიდა სადავეები და მამას დიდი მადლობა გადაუხადა.

ცხენები ფლოქვებს სცემენ მიწას, ცეცხლი იფრქვევა მათი ნესტოებიდან. მიაქროლებენ ისინი ფაეთონს ცის ციცაბო გზაზე. უჩვეულოდ მსუბუქია მათთვის ჰელიოსის ეტლი, რომელიც ცარიელივით დაფამფალებს აღმა-დაღმა. და აი, გადაუხვიეს ცხენებმა ჩვეულ გზას და უგზო-უკვლოდ მიჰქრიან. ფაეთონმა არ იცის, საით უნდა მიმართოს ეტლი და ველარც ცხენებს მართავს. გადმოხედა დედამიწას ზეციდან, შემზარავმა შიშმა შეიპყრო და სახეზე ხელები აიფარა. ცხენებმა იგრძნეს, რომ მხედარმა ხელი გაუშვა სადავეებს და ისრებივით გაფრინდნენ. სწრაფად მიჰქრიან ისინი, ხან ზევით, ვარსკვლავების შორიახლო და ხან ქვემოთ, მიწასთან. დედამიწისაკენ დაეშვა მზის ეტლი. ალი მოედო ქვეყნიერებას. იღუპებიან ქალაქები, ლამის ადუღდნენ მდინარეები სიცხისაგან, მზის სხივებმა ჰადესშიც კი ჩააღწიეს. მაშინ ხმამაღლა შეჰყვირა შეწუხებულმა დედამიწამ:

— ო, უდიდესო ღმერთთა შორის, მეხთამტყორცნელო ზევსო! ნუთუ უნდა მოვკვდე, უნდა დაიღუპოს ყოველივე ცოცხალი, ნუთუ ყველაფერი ისევ ქაოსს დაუბრუნდება? ის მაინც გადაარჩინე, რაც ჯერ კიდევ არ დამწვარა! ო, ზევსო, მიშველე! მიშველე!

ზევსმა გაიგონა ქალღმერთ გეას განწირული ყვირილი, სტყორცნა მეხი და თავისი ცეცხლით ჩააქრო ხანძარი. მეხითვე დაამსხვრია ზევსმა ფაეთონის ეტლი. ჰელიოსის ცხენები კი სხვადასხვა მხარეს გადაიკარგნენ. მთელი ცა იყო მოფენილი ოქროს ეტლისა და ჰელიოსის ცხენების უნაგირთა ნამსხვრევებით, ფაეთონი კი, რომლის კულულებსაც უკვე ცეცხლი ჰქონ-

და მოდებული, ვარსკვლავივით ჩავარდა მდინარე ერიდანის ტალღებში და ის აქ ნიმფებმა მიაბარეს მიწას. დამწუხრებული ჰელიოსი მთელი დღე არ გამოჩენილა ლაჟვარდოვან ცაზე. მხოლოდ ხანძარი ანათებდა დედამიწას.

ფაეთონის საბრალო დედა, ნიმფა კლიმენე დიდხანს ეძებდა ვაჟს და ბოლოს მდინარე ერიდანის ნაპირას მიაგნო მის საფლავს. დიდხანს დასტიროდნენ ფაეთონს კლიმენე და მისი ოთხი ასული, ჰელიადები. მათი გლოვა იმდენად დიდი იყო, რომ მტირალი ჰელიადები ღმერთებმა ალვის ხეებად აქციეს. დგანან ისინი ერიდანის ნაპირებზე, მათი ცრემლები ცივ წყალში ჩაედინება და გამჭვირვალე ქარვებად იქცევა.

დიდად წუხდა მეგობრის დაღუპვას კიკნოსიც. შორს გაისმოდა მისი გლოვა ერიდანის ნაპირებზე. ამის გამო ღმერთებმა იგი თეთრ გედად გადააქციეს. მას შემდეგ წყალში, ტბებსა და მდინარეებში ცხოვრობს კიკნოსი და ეშინია ფაეთონის დამღუპველი ცეცხლისა.

## მთვარე-სელენე

კუპრივით შავმა ცხენებმა გამოაქროლეს ეტლი ზეცაზე. ეს ქალღმერთი-ღამე, ბნელი ნიქსი გამობრძანდა ცის კაბადონზე სასეირნოდ. შეჰხარიან მას აისის ქალღმერთ ეოსისა და ტიტან ასტრევსის ვაჟები — ვარსკვლავები და გზას უნათებენ. მთელი ღამის განმავლობაში მოგზაურობს ნიქსი მშვენიერ მთვარე-ქალღმერთ სელენესთან ერთად. ძლიერი თეთრი ხარები არიან შებმულნი სელენეს ეტლში. დიდებულია სელენე. იგი თეთრ სამოსელშია გამოწყობილი და ნამგალა მთვარის გამოსახულებით აქვს გვირგვინი შემკული. მისი სხივები ვერცხლისფერ ნაკადებად ილვრებიან დედამიწაზე. არასოდეს იგვიანებს თეთრი დედოფალი-მთვარე ცის კაბადონზე გამოჩენას. ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა, მაშინ, როდესაც ზევსის ბრძანებით სელენემ დრო მისცა ჰერაკლეს, გიგანტებზე ადრე მოეწყვიტა ჯადოსნური ბალახი, რომელიც მათ უკვდავებას მიანიჭებდა.

ტიტანების, ჰიპერიონისა და თეიას შვილი, ჰელიოსისა და ეოსის და, ლამაზლაწვება სელენე ღვთაებრივი მშვენიერებით არის შემკული. მაგრამ შორს არის მისგან ბედნიერება. მწუხარება სუფევს მის გულში.

ერთხელ, ერთ მშვიდ, ნათელ ღამეს, როდესაც სელენემ ლატმოსის მთაზე გადმოაფრქვია თავისი სხივები, შემთხვევით ძირს დაიხედა და იხილა მძინარე ჭაბუკი, საოცარი სილამაზის მწყემსი ენდიმიონი, ნიმფა ქალიკესა და ზევსის (ან მეფე აეთლიოსის) შვილი. ერთბაშად გაუთბო ცივი გული ქალღმერთს ყმაწვილის საოცარმა სილამაზემ. დაეშვა დედამიწაზე სელენე, ეამბორა და მთელი ღამე სინაზით უცქერდა ჩაძინებულ ვაჟს.

ახალგაზრდა ენდიმიონის სიყვარულით აღენთო გული სელენეს და თავზარი ეცემოდა იმის გაფიქრებისას, რომ ოდესმე სატრფოს სიკვდილი გამოაცლიდა ხელიდან. მეტად დარდობდა ამას ქალღმერთი. სწორედ ამ დროს მოჰკრა მან თვალი უჩვეულო თხას, საოცრად თეთრი ჩლიქები რომ ჰქონდა და ეშმაკურად უბრწყინავდა თვალები. ეს თხა მართლაც არ იყო ჩვეულებრივი – იგი თხად გარდასახული ტყის ღმერთი პანი იყო, რომელიც სელენესთან შეუღლების სურვილს ჰყავდა შეპყრობილი. მიუახლოვდა ქალღმერთი მის წინ თვინიერად გაჩერებულ თხას და ზურგზე შეაჯდა. თხამ სელენე ტყისაკენ გააქროლა და შეეუღლა დარდისაგან თითქმის უგრძნობელს.

სელენემ ენდიმიონის უკვდავად ქცევა მოიწადინა. იგი ვედრებით მივიდა ზევსთან, რათა ყოვლისშემძლეს ამ ჭაბუკისათვის მარადიული სიყმაწვილე შეენარჩუნებინა. მთვარის ქალბატონის გულმხურვალე თხოვნა ყურად იღო უზენაესმა მეუფემ და სამარადისოდ დააძინა ენდიმიონი.

მაინც მწუხარეა სელენე. როდესაც კარიის მხარეს მიაღწევს, ეშვება იქ, ლატმოსის მღვიმეში, სადაც განისვენებს მშვენიერი ვაჟი, მძინარე ენდიმიონი. ეფერება, სასიყვარულო სიტყვებს ეჩურჩულება, მაგრამ ჭაბუკს არ ესმის მისი და ამიტომ არის სევდიანი სელენეს სხივები ასე ფერმკრთალი.

## მონადირე ორიონი

ირმების ჯოგი გაფანტულა ტყეებში. უდარდელად დაკუნტრუშებენ პატარა ნუკრები, ბალახს ძოვენ ქორბუდა ირმები. აგერ, ერთი მათგანი მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადახტა. უეცრად ჰაერშივე ფერდში მოხვდა ისარი და განგმირული დაეცა მიწაზე, მდინარის ნაპირას. ეს ორიონი გამოსულა სანადიროდ, გოლიათი და შესანიშნავი მონადირე.

ორიონი ძლევამოსილი ოლიმპიელი ღმერთის, პოსეიდონისა და მინოსის მომხიბლავი ასულის, ევრიალეს ვაჟი იყო. მამამ მას ზღვის ფსკერზე ან, როგორც სხვები ამბობენ, ზღვის ზედაპირზე სიარულის უნარი მიანიჭა.

ზოგნი უარჰყოფენ ორიონის ღვთაებრივ წარმომავლობას და ამბობენ, რომ იგი უბრალო მეფუტკრის, ბეოტიურ გირეაში მცხოვრები ჰირიოსისა და გეას შვილი იყო. ისინი მოგვითხრობენ, რომ უკვე საკმაოდ დაბერებული იყო უშვილო ჰირიოსი, როდესაც მას ზევსი, ჰერმესი და პოსეიდონი ეწვივნენ სტუმრად. საოცრად ხელგაშლილი და გულუხვი სტუმართმოყვარეობა ესიამოვნათ ღმერთებს და ჰკითხეს მასპინძელს, როგორ საჩუქარს ინატრებდა. ამოიოხრა მოხუცმა და მიუგო, რომ მრავალი წლის განმავლობაში მას უდიდეს ნატვრად ჰქცეოდა ვაჟის მამობა, ეს კი უკვე დიდი ხანია შეუძლებელი გამხდარიყო მისი მეტისმეტი სიბერის გამო. ღმერთებმა ერთმანეთს გადახედეს, გაიღიმეს და რჩევა მისცეს ჰირიოსს, შეეწირა მსხვერპლად ხარი, მისგან გაკეთებული ტიკი საკუთარი შარდით აევსო და თავისი ცოლის საფლავში ჩაემარხა. ასეც მოიქცა მოხუცი და ცხრა თვის თავზე ცოლის საფლავზე პატარა ვაჟი იპოვა.

სასიამოვნო გარეგნობის ვაჟკაცი დადგა ორიონი, მზერას ვერ აშორებდნენ მნახველები. ერთ მშვენიერ დღეს მან თვალი მოჰკრა ენით აუწერელი სილამაზის ქალწულ მეროპეს, ქიოსის მეფის, ოინოპიონის ასულს და უსაზღვროდ შეუყვარდა იგი. ერთი გული ჰქონდა ორიონს, მაგრამ ასიც რომ ჰქონოდა, დაუფიქრებლად მიუძღვნიდა სასურველ ასულს ყოველ მათგანს. ასულის ხელი

სთხოვა მეფეს ვაჟკაცმა. ქალის მამამ ორიონს აღუთქვა შვილის მიცემა, თუკი გმირი კუნძულს ველური ცხოველებისაგან გაათავისუფლებდა. შეასრულა დავალება ორიონმა, თანაც ყოველ საღამოს ნადავლის ტყავები მოჰქონდა სატრფოსათვის. მაგრამ როდესაც ოინოპიონის მიერ დაპირების შესრულების ჟამი დადგა, უეცრად ქალის მამას მთის მწვერვალებიდან დათვებისა და ლომების ღმუილი მოესმა და ამის გამო უარი უთხრა სასიძოს ქალის მიცემაზე. ზოგნი ამბობდნენ, ოინოპიონმა იმიტომ არ გააყოლა შვილი ორიონს, რომ თავის ასულზე თავად იყო შეყვარებული.

ასე იყო თუ ისე, ნაწყენი ორიონი ერთ ღამეს ოინოპიონის ღვინით დათვრა, შეამტვრია მეროპეს საძინებელი და აიძულა ასული, სარეცელი გაეზიარებინა მასთან. ასეთმა საქციელმა განარისხა ქალის მამა და სთხოვა დიონისესა და მის სატირებს კიდევ უფრო დაეთროთ ვაჟი. მათ გონის დაკარგვამდე ასვეს ღვინო ჭაბუკს, რის შემდეგაც ოინოპიონმა თვალები დასთხარა ორიონს და ზღვის ნაპირას მარტო დატოვა.

მეორე დილით ჭაბუკი გონს რომ მოეგო, მიხვდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ რაღას იზამდა. ნუგეშად ერთი რამ ჰქონდა დარჩენილი: წინასწარმეტყველების მიხედვით, თუკი იგი მიაღწევდა ადგილს ოკეანოსთან, საიდანაც მზე-ღმერთი ამოდიოდა, თვალისჩინი დაუბრუნდებოდა.

დაბრმავებულმა ხელის ცეცებით მიაგნო პატარა ნავს, შესცურა ზღვაში, ყური მიუგდო კიკლოპების ჩაქუჩების ხმას და კუნძულ ლემნოსამდე ასე მიაღწია. თვალებდათხრილი უმწეო გოლიათის დანახვაზე ჰეფესტოს ცრემლი მოადგა თვალს. მან საშველად უხმო კედალიონს, ნაქსოსელ მოკვდავს, რომელიც მისი აღმზრდელიც იყო და მჭედლობის საქმის მასწავლებელიც. დიდი ხნის წინ კედალიონს თავად ჰერამ ჩააბარა ჩვილი ჰეფესტო აღსაზრდელად, ახლა კი იგი თავის აღზრდილს ემსახურებოდა ლემნოსის სამჭედლოში.

ჰეფესტომ ორიონს მეგზურად გაატანა კედალიონი, რომელსაც უსინათლო გმირისათვის აღმოსავლეთის გზა უნდა ეკარნახა. მხრებზე შეისვა ფეხმტკივანი კედალიონი გოლიათმა

და მზისკენ მიმავალ გზას დაადგა. დედამიწის უკიდურეს აღმოსავლეთში ორიონი მზის ღმერთს, ჰელიოსს შეხვდა. თავი ასწია, რომ მზის სხივები მის დაბრმავებულ თვალებს მოხვედროდა და თვალისჩინი ასე დაიბრუნა.

იხილა ორიონი ეოსმა და გული მისი სიყვარულით აევსო. კუნძულ დელოსს ეწვივნენ შეყვარებულები, მაგრამ ოინოპიონზე შურისძიების წყურვილმა არ მოასვენა ორიონი და ეოსიცა და დელოსიც დაატოვებინა.

პირველ რიგში კუნძულ ქიოსს ეწვია ორიონი, მაგრამ მეროპეს მამა ვერსად იპოვა – იგი მიწისქვეშ დამალულიყო და შიშით კანკალებდა. მაშინ ორიონი კრეტისაკენ გაემართა, რადგან ოინოპიონს შეეძლო თავი შეეფარებინა მეფე მინოსთან, რომელიც მას პაპად ერგებოდა. აქ შეხვდა იგი ქალღმერთ არტემისს. თავდავიწყებით შეუყვარდა ორიონი ზეციერ ქალღმერთს. არტემისმა დაარწმუნა გმირი, დაენებებინა თავი შურისძიებისათვის და გული ნადირობით გაეხალისებინა.

ამის შემდეგ ორიონი, როგორც მონადირე, არტემისის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. ქალღმერთს ისე შეუყვარდა გმირი, რომ მასზე დაქორწინებაც კი განიზრახა. აპოლონისათვის ეს ამბავი მეტად უსიამოვნო იყო. მას ეშინოდა, რომ როგორც ეოსი ვერ აღუდგა წინ ორიონის სიმშვენიერეს, ასევე შეიძლებოდა დამართოდა მის დასაც და მრავალჯერ სცადა დაპირება გადაეთქმევინებინა, მაგრამ ამაოდ. არტემისს თავდავიწყებით უყვარდა ორიონი და მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მისი ცოლობა. მაშინ აპოლონი შეშინდა, რომ მისი დის სიწმინდეც ისეთივე საეჭვო გახდებოდა, როგორც ეოსისა, და ორიონის მოსაკლავად გეას ვეებერთელა მორიელი გააგზავნინა.

ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც ისრებით მოკლა ორიონმა მორიელი და ვერც ხმლით. მაშინ ჭაბუკმა გაიფიქრა, რომ მორიელი წყალში ვერ შეჰბედავდა და ზღვაში გადაეშვა. დელოსისაკენ გაემართა იგი იმის იმედით, რომ იქ ქალღმერთი ეოსი დაიფარავდა. ზოგნი ამბობენ, რომ მას ფეხით სურდა ზღვა გადაელახა,

ზოგნი კი ამტკიცებენ, რომ იგი ჩვეულებრივად, ცურვით აპირებდა დელოსამდე მიღწევას. ასე იყო თუ ისე, იმ დროს, როდესაც ორიონს წყლის ზემოთ მხოლოდ თავი უჩანდა, აპოლონმა დაანახა იგი თავის დას და თანაც დააყოლა:

— ეს შავი არსება, ორტიგიასთან ზღვის ზედაპირზე რომ მოჩანს, არამზადა კენდაონის თავია, რომელმაც ერთ-ერთი შენი ჰიპერბორეელი ქურუმი ქალი შეაცდინა. შეძლებ მოახვედრო ისარი?

კენდაონი ორიონის ბეოტიური მეტსახელი იყო, მაგრამ არტემისმა ეს არ იცოდა. ეწყინა ქალღმერთს აპოლონის დაცინვა, კარგად დაუმიზნა და ერთი ისრით განგმირა სატრფო. მცირე ხანში ორიონის სხეული ტალღებმა ნაპირზე გამორიყეს. მიხვდა ქალღმერთი თავის საბედისწერო შეცდომას და მრავალი ცრემლიც დაღვარა. გულმოკლული ორიონისათვის სიცოცხლის დაბუნების თხოვნით მივიდა მკურნალობის ღმერთ ასკლეპიოსთან. ასკლეპიოსი დათანხმდა და დიდი წვალებით კვლავ შთაბერა სული ორიონს, მაგრამ ზევსის მეხმა ღვთაებრივი ექიმიცა და მისი მეშვეობით მკვდრეთით აღმდგარი ორიონიც ერთად გამოასალმა სიცოცხლეს. მწუხარე არტემისმა სატრფო ვარსკვლავებს შორის მოათავსა, სადაც იგი გამოჩნდება ხოლმე როგორც ლომის ტყავით შემოსილი მახვილიანი გოლიათი, რომელსაც გვერდით მისდევს ძაღლი სირიოსი და რომლის წინაც პლეიადები დაფრინავენ.

## პლეიადები და ჰიადები

პლეიადებისა და ჰიადების თანავარსკვლავედები ადრე მოკვდავი ქალწულები იყვნენ. პლეიადები, შვიდი მშვენიერლაწვება ასული, ოკეანისმა პლეიონემ შვა ატლასისაგან არკადიაში, კილენეს მთაზე. ღმერთების დარნი იყვნენ ალკიონე და მეროპე, კელენო და ელექტრა, სტეროპე, ტეგეტე და მაია. ისინი ღმერთების შეყვარებულები გახდნენ (სამი — ზევსის, ორი — პოსეიდონისა და ერთიც — არესის) და მხოლოდ მეროპე შეეუღლა მოკვდავს —

სისიფოსს. ზევსს ტეგეტესაგან შეეძინა ლაკედემონი, მაიასაგან კი ჰერმესი. პოსეიდონს კელენომ ლიკოსი უშვა, ალკიონემ კი ირიეოსი და ჰიპერენორი.

ლამაზები იყვნენ პლეიადები, მათი სიმშვენიერით მოიხიბლა მონადირე ორიონი და დაედევნა ასულებს. იქით-აქეთ გაიფანტნენ შეშინებული ქალიშვილები, ღმერთებს უხმეს საშველად. უკვდავებმა შეისმინეს მათი თხოვნა და პლეიადები მტრედებად გარდასახეს, შემდეგ კი ზევსმა ისინი თანავარსკვლავედად აიყვანა ცაში. საოცარი სიძლიერით კაშკაშებს ექვსი და-ვარსკვლავი ზეცაზე. მხოლოდ მეშვიდეა ფერგამკრთალი, თითქმის უხილავია იგი, უმცროსი და — მეროპე. ამის მიზეზად ის მიაჩნიათ, თითქოსდა მეროპეს რცხვენოდეს, მოკვდავის ცოლობა რომ ხვდა წილად. სხვანი მეროპეს ნაცვლად ფერმკრთალ ვარსკვლავად ასახელებენ ელექტრას, ტროას სამეფო გვარის ფუძემდებლის, დარდანოსის დედას, რომელმაც ტროელები და მათთან ერთად თავისი შთამომავლები შეუბრალებლად გაწყვეტილნი იხილა.

ვარსკვლავებად აქცია ზევსმა პლეიონესა და ატლასის სხვა შვილებიც. შვიდი ასული, ჰიადები ჰყავდათ ატლასსა და პლეიონეს. ერთხელ ჰიადების ერთადერთი ძმა ჰიასი სანადიროდ წავიდა დაბურულ ტყეში. ლომები დაესხნენ თავს უბადლო მონადირეს. დიდხანს, თავგანწირვით ებრძოდა საზარელ ცხოველებს ჰიასი, მაგრამ ლომებმა იგი მაინც მოკლეს და უწყალოდ დაფლითეს. მწუხარებისაგან სული დალიეს ჰიადებმა. ზევსმა ისინი კუროს თანავარსკვლავედად გარდასახა. ყველაზე უფრო მკაფიოდ წვიმიანობის დროს ჩანან საბერძნეთის ცაზე მარად მწუხარე ასულები.

## ქარები და ღრუბლები

ოთხი მხარე აქვს დედამიწას, ოთხი მიმართულებისა არსებობს ქარი: ჩრდილოეთის — ბორეასი, სამხრეთის — ნამიანი ნისლის მომტანი ნოტოსი, დასავლეთის — ქართა შორის უსწრაფესი

ზეფიროსი (სამივენი ეოსისა და ასტრევსის შვილები არიან) და აღმოსავლეთის – ევროსი.

ორითიია, ათენის მეფის, ერეხთევსისა და პრაქსითეას ასული, ერთხელ ცეკვით ირთობდა თავს მდინარე ილისოსთან. ბორეასმა თვალი მოჰკრა მას, ერთბაშად გაჰხვია მუქი ფერის ღრუბლებში და მოიტაცა.

დიდი ხანი იყო, რაც ორითიია უყვარდა ბორეასს და, თუმცა ეს მისთვის მეტად რთული იყო, ცდილობდა სატრფოს წინაშე ადამიანურად, მშვიდად ესუნთქა. დიდი ხნის განმავლობაში სთხოვდა ხელს ბორეასი ქალის მამას, მაგრამ ერეხთევსი ფუჭი დაპირებებით თავიდან იცილებდა სასიძოს, თუმცაღა დასაწუნი თითქოს არაფერი ჰქონდა ახოვან, წვეროსან და გრძელთმიან ვაჟკაცს, გარდა იმისა, რომ მეტისმეტად ძლიერი იყო. ბოლოსდაბოლოს, ბორეასს მოთმინება გამოელია, ჩათვალა, რომ უკვე დიდი ხანი იყო, რაც უქმად კარგავდა დროს და ძალას მიმართა. თუმცა ზოგი ამბობს, რომ მან ორითიია მოიტაცა არა მაშინ, როდესაც ქალწული მდინარე ილისოსთან ცეკვავდა, არამედ როცა იგი თესმოფორიების დღესასწაულის დროს ხალხთან ერთად აკროპოლისისაკენ მიემართებოდა.

ბორეასმა ქალწული წაიყვანა თავის სამფლობელოში, თრაკიელი კიკონების ქალაქში, სადაც სიცივე და სიბნელე სუფევდა და ცოლად შეირთო. ჩრდილოეთის ქარს ორითიიასაგან ორი ფრთოსანი ვაჟი, ძეტესი და კალაისი შეეძინა და ორიც ასული: ქიონე, რომელმაც პოსეიდონისაგან ევმოლპოსი შვა და კლეოპატრა, მეფე ფინევსის მეუღლე.

საოცარი სანახავია ჩრდილოეთის ქარი – გველის კუდები აქვს ფეხების ნაცვლად. იგი ჰაემუსის მთის გამოქვაბულში ცხოვრობს, რომლის შვიდ ნაწილშიც არესს საკუთარი ცხენების თავლა აქვს მოწყობილი. ბორეასი საკუთარ სახლად მიიჩნევს მდინარე სტრიმონსაც.

ერთხელ, როდესაც ბორეასი გარდაისახა მუქფაფრიან ცხენად, იგი შეეუღლა თორმეტ ფაშატს დარდანოსის ვაჟის, ერიხ-

თონიოსის სამი ათასი ცხენიდან, რომლებსაც მდინარე სკამანდროსში უყვარდათ ბანაობა. თორმეტი კვიცი იშვა ამ კავშირისაგან. მათ შეეძლოთ, თავს გადავლებოდნენ სიმინდის ყანას და არ გაეთელათ იგი, შეეძლოთ, აგრეთვე, ჭენებით გადაელახათ ზღვის ტალღები. ბორეასს ცხენი-შვილები ერინიებისა და ჰარპიებისგანაც ჰყავდა.

ღვთაებრივი შვილები ჰყავდა დასავლეთის ქარ ზეფიროსსაც. ჰარპია პოდარგემ მას უკვდავი ცხენები უშვა, აქილევსის ერთგული ბალიოსი და ქსანთოსი, რომლებსაც ქარების მსგავსად ჰაერში ფრენა შეეძლოთ. ზოგნი ამბობენ, რომ ზეფიროსის შვილი იყო სიყვარულის ღმერთი ეროსიც, რომელიც დასავლეთის ქარს ღმერთების მაცნე ირისისაგან შეეძინა.

ერთხელ მეტად სამწუხარო ამბავი შეემთხვა ზეფიროსს. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სპარტის მიდამოებში ლაღობდა, ლამაზ ყმაწვილს, ჰიაკინთოსს მოჰკრა თვალი. ერთბაშად ჩაუვარდა იგი გულში ზეფიროსს, შეუყვარდა, მაგრამ მიახლოვება ვერ გაბედა, ხეებს უკან დაიმალა და სულგანაბული ადევნებდა თვალს მშვენიერ ჭაბუკს. ამ დროს აპოლონმა ჩამოირბინა შემაღლებული ბორცვი. მხიარული სიცილ-ხარხარით შეეჯიბრნენ ერთმანეთს აპოლონი და ჰიაკინთოსი დისკოს ტყორცნაში და ამით გულს უკლავდნენ შეუმჩნევლად დარჩენილ ზეფიროსს. აი, გასტყორცნა ჰიაკინთოსმა დისკო და შორს გადააგდო. საპასუხოდ აპოლონმაც ისროლა თავისი დისკო. ეჭვიანობით გაშმაგებულმა ზეფიროსმა სწრაფი ღონივრული დაბერვით მიზანს ააცილა აპოლონის ნატყორცნი. დისკო შემთხვევით შუბლში მოხვდა ჰიაკინთოსს და თვალის დახამხამებაში გამოასალმა სიცოცხლეს. გადაფითრებული იდგა სამალავში თავისი ნამოქმედარით შეშფოთებული ზეფიროსი, გადაფითრებული მივარდა აპოლონი ჰიაკინთოსს და მთელი თავისი სამკურნალო ოსტატობა გამოიყენა ყმაწვილისათვის სიცოცხლის დასაბრუნებლად. ამაო იყო ყველა მცდელობა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. აპოლონმა ჰიაკინთოსის

წამოყენება სცადა, მაგრამ საბრალო ყმაწვილს გადატეხილი ყვავილივით ჩამოუვარდა თავი. მაშინ შროშანად აქცია აპოლონმა ჰიაკინთოსი, დამწუხრებულმა ზეფიროსმა კი ცა შავი ღრუბლებით დაფარა და იქაურობას გაეცალა.

ათენში დემეტრეს სამლოცველოსთან ახლოს დგას ზეფიროსის ტაძარი, სადაც უამრავი ყვავილთა თაიგული და გვირგვინი არის მსხვერპლად შეწირული. სწორედ მათი მეშვეობით აჩვენებს მოკვდავებს ზეფიროსი, რომ მარად განუყოფელია ერთმანეთისაგან გაფურჩქვნა და ჭკნობა, დაბადება და გარდაცვალება, სიცოცხლე და სიკვდილი.

თბილიც არის და ცივიც დასავლეთის ქარი. თოვლი და წვიმა მოაქვს ყველა მხარეში, გარდა ფეაკების კუნძულისა, მაგრამ ქარებს შორის მაინც იგი ითვლება ყველაზე უფრო მშვიდად და სასურველად. ელისეს მინდვრებშიც დაჰქრის ზეფიროსი და სიგრილე მოაქვს აჩრდილებისათვის.

ხშირად ერთბაშად ჩამოწვება ხოლმე ჯანღი ზღვის ზვირთებზე. ეს სამხრეთის ჭაღარა ქარს, ფრთამალ ნოტოსს მოაქვს ნამიანი ნისლი შორი ქვეყნებიდან, შეარხევს ღრუბლებს, შეაჯახებს ერთიმეორეს და კოკისპირული წვიმით დაალტობს ქვეყნიერებას.

აღმოსავლეთის ქარი, ევროსი, ისეთივე ძლიერია, როგორც ნოტოსი, ზეფიროსი ან ბორეასი. მათთან ერთად ევროსს არაერთი ხომალდი ჩაუძირავს.

ქარები დახმარებასაც უწევენ ხოლმე მოკვდავებს. როდესაც ტროას ომის გმირმა, აქილევსმა თავისი მეგობრის, პატროკლეს ცხედრისათვის სამგლოვიარო კოცონი მოამზადა, ცეცხლი ვერ დაანთო – მაშინვე ქრებოდნენ უქარო ამინდში პაწაწინა ცეცხლის ალები. მაშინ აქილევსმა დიდი შესაწირავები უძღვნა და ლოცვა აღუვლინა ქარებს, ბორეასსა და ზეფიროსს, რომლებიც ძლიერი დაბერვით კოცონის გაჩაღებაში მიეხმარნენ გმირს.

ხშირად ლაღობს ოთხი ქარი ზღვასა და ხმელეთზე, მაცოცხლებელი სიგრილე მოაქვთ მათ დედამიწისათვის და

იალქანთა დაბერვით სასურველი ქვეყნის მიღწევაში ეხმარებიან ხომალდებს. ღრუბლებს ეთამაშებიან ხანდახან, ერთიმეორეს მიაჯახებენ ხოლმე ღრუბელთა ქულებს და ღმერთებსა თუ ხომალდებს მიამსგავსებენ.

მჟარველი ღრუბლებსაც ჰყავთ. ერთხელ, როდესაც ზეცაში ზევსის მიერ აყვანილმა იქსიონმა ჰერას შეცდენა მოიწადინა, ზევსმა მის მოსატყუებლად ღრუბლისაგან ჰერას ორეული, ნეფელე შექმნა. შეცდა გმირი. ჰერას ნაცვლად ნეფელეს შეეუღლა და მისგან კენტავრებიც შეეძინა.

ღრუბელთ-ქალბატონ ნეფელეს ბრძანებით არის მოწმენდილი ცის კაბადონი ან ღრუბლები ფარავენ ზეცას.

თუმცა კი ცივი ჩანს ღრუბელი, ქალღმერთ ნეფელეს დიდი სიყვარულიც შეუძლია. მას გულში ჩაუვარდა ბეოტიელი მეფე ათამასი, რომლისგანაც შეეძინა ქალ-ვაჟი, ფრიქსოსი და ჰელე. დიდხანს ვერ გაძლო ქალღმერთმა დედამიწაზე და მალე ზეციურ საბრძანებელს დაუბრუნდა. თუმცა კი ფრიქსოსი და ჰელე მამასთან იზრდებოდნენ, ნეფელეს არ მიუტოვებია შვილები და როდესაც მათი მსხვერპლად შეწირვის საფრთხე დადგა, გადაარჩინა კიდეც (ამ მითს შეგიძლიათ გაეცნოთ წიგნში „არგონავტები“).

## ზევსისა და ოლიმპიელთა გარემომცველნი

თორმეტი დიდი ღმერთის გარდა ოლიმპოსზე დავანებულნი არიან სხვა ღვთაებანიც, რომლებიც მხარში უდგანან და სამყაროს მართვაში ეხმარებიან ოლიმპიელებს.

## მართლმსაჯულების ქალღმერთი თემისი

ურანოსისა და გეას ასული, მართლმსაჯულების ქალღმერთი თემისი ზევსის მეუღლე იყო. თუმცა კი შემდეგ უზენაესი ღმერთი ჰერაზე დაქორწინდა, მშვენიერი ტიტანისი ოლიმპოსზე დარჩა და ეხმარება ყოფილ მეუღლეს წესრიგის დამყარებაში როგორც ზეცად, ისე დედამიწაზე, სადაც იგი განსაკუთრებით

სტუმრებსა და უძლურებს მფარველობს. ეს მშვენიერი ქალღმერთი ტიტან იაპეტოსის ცოლიც იყო და მისგან გონიერი და მოხერხებული პრომეთე შეეძინა (მის შესახებ მოგითხრობთ წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები").

თემისი მისნობის მადლით იყო დაჯილდოვებული. თავდაპირველად მას დელფოს სამისნოში ადიდებდნენ. შემდეგ მან სამისნო თავის დას, ფოიბეს გადასცა, რომელმაც იგი თავის შვილიშვილს, აპოლონს არგუნა წილად.

თემისი დედამიწაზე ზევსთან ერთად ადევნებს თვალყურს წესრიგსა და კანონიერებას. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იგი არეოპაგოსს. დედ-მამას ქვეყნად კანონიერების დაცვაში ეხმარებიან შვილებიც, სამი ჰორა (წლის დროის ქალღმერთი), რომლებიც ადამიანთა საქმეებზე ზრუნავენ და სამი მოირა (ბედისწერის ქალღმერთი), რომლებიც ადამიანებს მრავალ კარგსა და მრავალსაც ცუდს მიაგებენ.

## ჰორები დროს მართავენ

თემისისა და ზევსის ასულები არიან წლის დროთა სამი ქალღმერთი, ჰორები. ისინი აწესრიგებენ ადამიანთა ცხოვრებას და თვალყურს ადევნებენ მის კანონზომიერ მდინარებას, რაც მათი სახელებიდანაც ჩანს: ევნომიე („კეთილკანონიერება"), დიკე („სამართლიანობა") და ეირენე („მშვიდობა"). ისინი მოსავლისა და ბუნების მაცოცხლებელი ძალების მფარველებიც არიან და ამიტომ მათ ათენელები აუქსოსს („ზრდა"), თალოსს („გაფურჩქვნა") და კარპოსს („მწიფე ნაყოფი") უწოდებენ.

ჰორები ბედისწერისა (მოირები) და მართლმსაჯულების (თემისი) ქალღმერთებთან ერთად მარად ზევსის გარემოცვაში იმყოფებიან – სამყაროს მართვაში ეხმარებიან მას. მათ ევალებათ, აგრეთვე, ოლიმპოსის ღრუბლიანი ჭიშკრის დარაჯობა. ჰერას ეტლსა და ცხენებსაც ისინი უვლიან. ჰორები ზევსთან ახლოს სხედან ხოლმე ოქროს ტახტებზე, მღერიან და ფორ-

მინგსს აჟღერებენ. როდესაც აფროდიტე ან სხვა რომელიმე ოლიმპიელი ქალღმერთი დედამიწაზე ჩასვლას დააპირებს, ჰორები და ქარიტები ღვთაებრივ სამოსელს აცმევენ მას, ოქროს სამკაულებით უმკობენ გულ-მკერდსა და მკლავებს და გაზაფხულის ყვავილების სურნელოვან ნელსაცხებლებს აპკურებენ. ჰორებმა შეამკეს ღმერთების მიერ შექმნილი პანდორაც – ყვავილთა გვირგვინი დაადგეს თავზე მომხიბლავ ქმნილებას.

ნელ-ნელა მიდიან დღეები, თვეები, წლები. დროს ითვლიან ჰორები.

## ევრინომე და ქარიტები

ოკეანოსის ასულ ევრინომეთი მოიხიბლა ზევსი და სიყვარულით დაუკავშირდა მას. ამის შედეგად ქვეყანას მოევლინნენ კეთილისმყოფელი ქალღმერთები – ქარიტები, რომლებიც სიკეთის, ბედნიერებისა და მარადიული სიყმაწვილის სიმბოლოებად იქცნენ: აგლაიე („ბრწყინვალება“), ევფროსინე („კეთილგონიერება“) და თალიე („გაფურჩქვნა“). ცნობილია კიდევ ერთი ქარისი, მჭედლობის ღმერთის, ჰეფესტოს მეუღლე. როდესაც თეტისი კოჭლ ღმერთთან მივიდა, რათა შვილისათვის ახალი ფარის გამოჭედვა ეთხოვა, მას სიყვარულით დახვდა სინაზით აღსავსე ნორჩი ქალღმერთი, რომელმაც ერთბაშად მოხიბლა აქილევსის დედა. მშვენიერებით ყველაზე უფრო ცნობილი იყო დებს შორის უმცროსი ქარისი. დიდი ხანი იყო, რაც ჰიპნოსს იგი გულში ჰყავდა ჩავარდნილი და ბოლოს ჰერამ ღმერთს სასურველზე დაქორწინების ნება მისცა.

ქარიტები შემოქმედი ღვთაებები არიან. პანდორას შექმნაში აფროდიტესთან, ათენასთან, პეითოსთან და ჰორებთან ერთად ქარიტებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ოლიმპოსის მთის მწვერვალზე ცხოვრობენ ქარიტები მუზებთან და ჰიმეროსთან („სურვილი“) ერთად და დროს დღესასწაულებსა და მხიარულებაში ატარებენ. ნელსურნელებას აპკურებენ თავიანთ ბრწყინვალე სამოსელს ქარიტები, ყვავილთა

გვირგვინებით შემკულნი ჟრიამულით ფერხულს უვლიან ჰორებთან. ჰარმონიასთან, ჰებესა და აფროდიტესთან ერთად. მათთან ერთად ცეკვავს არტემისიც, აპოლონი კი კითარაზე უკრავს და მას მუზები აყოლებენ ხმას. ძალიან უყვართ აფროდიტე ქარიტებს. ერთხელ, როდესაც იგი ტროელი ანქისესის სანახავად უნდა დაშვებულიყო ზეციდან იდას მთაზე, ქარიტებმა მას თავიანთი ხელით ჩააცვეს უმშვენიერესი ტანისამოსი და გასაოცარი სილამაზის ოქროს სამკაულებით შეამკეს.

ქარიტებისგან მომდინარეობს ყველაფერი მშვენიერი, რაც კი არსებობს დედამიწის ზურგზე. მაღლა ცაში აქვთ მათ ტახტი აპოლონ პითიასის ტახტთან ახლოს და იქიდან ასხამენ ხოტბას ყოვლის შემოქმედს, ზევსს. ბრწყინვალებას აძლევენ ისინი ყველა დღესასწაულს და ამიტომ მათ გარეშე ოლიმპიელები ნადიმს არ მართავენ. ქარიტებთან ერთად მღეროდნენ მუზები კადმოსისა და ჰარმონიას, პელევსისა და თეტისის ქორწილებზე. ქარიტების გარეშე ოლიმპიურ საქმეებს არა აქვთ არც სიმშვენიერე და არც ბრწყინვალება და ამიტომ ისინი მარად ზევსის გარემოცვაში არიან.

## მუზები

უკვდავთა და მოკვდავთა მეუფე ზევსს ხანდახან დასვენებაც ესაჭიროება. ღმერთებთან ერთად ნადიმის დროს მას გვერდით უზის ცხრა ასული, ცხრა მუზა, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ხელოვნებით ასიამოვნონ მამასა და უზენაეს მეუფეს. ლირით ხელში დგას ლირიკული პოეზიის მფარველი მუზა ერატო („სასიამოვნო“), ლირიკული სიმღერითა და ფლეიტით ართობს ზევსს მუზა ევტერპე („მომხიბლავი“). ქაღალდის გრაგნილითა და საწერი კალმით ხელში უსმენენ დებს ეპიკური პოეზიისა და ცოდნის მუზა კალიოპე („კეთილხმოვანი“) და ისტორიის მუზა კლიო („დიდებისმომნიჭებელი“). ტრაგიკული ნიღაბი უკეთია სუროშემოხვეულ მელპომენეს („მომღერალი“) სახეზე. იგი დაფიქრებული უცქერის გაღიმებულ, კომიკურ-ნიღბიან



ჰადესის მცველი, გველისბეწვიანი კერბეროსი ჰერაკლემ მიიყვანა მეფე ევრისთევსთან, რომელიც შიშისაგან დაიმალა. წყლის სასმისი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. პარიზი. ლუვრი.



ღმერთების მაცნე ირისი დგას ზევსისა და ჰერას წინ. ცალ ხელში ღვინის ხაპი უჭირავს, მეორეში – ფიალა. წითელფიგურული ამფორა. დაახლ. ძვ.წ. 500 წ. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.



„საიქიოს მუზა“ – სირენა.
ვერცხლისაგან დამზადებული წყლის
სასმისი, ძვ.წ. V ს. თესალონიკის
არქეოლოგიური მუზეუმი.



მებორნე ქარონი და ჰერმესი. ძვ.წ. V ს.
თეთრი ლეკითოსი.



ვარდისფერლაწვება ქალღმერთი ეოსი ეტლით მოგზაურობს ცაზე მზე-ღმერთ ჰელიოსთან ერთად. ყმაწვილი, რომელიც ეოსის რაშთა წინ მოჩანს, უნდა იყოს ფოსფოროსი – ვარსკვლავი, რომელიც ანათებს ცაზე განთიადისას. კრატერი. ძვ.წ. IV ს-ის დასასრული. მიუნხენი. სახელმწიფო ანტიკური კოლექცია.



*მზე-ღმერთი ჰელიოსი. ქანდაკებაზე მოჩანს ნახვრეტები, რომლებზეც ამაგრებდნენ ხოლმე ლითონის სხივებს. მარმარილოს ქანდაკების ფრაგმენტი. ძვ.წ. 220-180 წწ. როდოსი. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*მთვარე-სელენეს ფრთოსან რაშთა ეტლს წინ მიუძღვის ჰერმესი. სელენეს თავთან ბრწყინავს ვარსკვლავი და ნახევარმთვარე – მისი სიმბოლო. ბეოტიური წითელფიგურული კრატერი. ძვ.წ. IV ს. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*ჩრდილოეთის ქარი ბორეასი იტაცებს ორითიიას. წითელფიგურული სტამნოსი. დაახლ. ძვ.წ. 440 წ. ბაზელი. ანტიკურობის მუზეუმი.*



მართლმსაჯულების ქალღმერთი თემისი რამნუსის ტაძრიდან. მარჯვენა ხელში უნდა სჭეროდა ფიალა, მარცხენაში კი – სასწორი. დაახლ. ძვ.წ. 280 წ. ხაირესტრატოსის ნამუშევარი.

ჰორები აწესრიგებენ ადამიანთა ცხოვრებას და თვალყურს ადევნებენ მის კანონზომიერ მდინარებას. მათ ხელში უჭირავთ ტოტები ბროწეულებით, რაც ნაყოფიერების სიმბოლოა. წითელფიგურული კილიქსი, დაახლ. ძვ.წ. 500 წ. ბერლინი, სახელმწიფო მუზეუმები.





მუზებს ხელში უჭირავთ ორმაგი ავლოსი და პანდურა. შუათანა მუზა მალავს თავის საკრავს. რელიეფი ქანდაკებათა კვარცხლბეკიდან. დაახლ. ძვ.წ. 320 წ. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



მშვენიერი ქარიტები ცეკვავენ აპოლონის კითარის ხმაზე და მღერიან მუზებთან ერთად. იქვე მოჩანს ბუნების ღვთაება პანი. რელიეფი. ძვ.წ. V ს-ის დასასრული. კოსი. არქეოლოგიური მუზეუმი.



ზოგნი ამბობენ, რომ მუზები ცხოვრობენ პიერიაში, სხვანი კი მათ საცხოვრებელ ადგილად პარნასოსს ან ჰელიკონის მთას ასახელებენ. სურათზე გამოსახული მუზა ჰელიკონის მთიდან აფრქვევს კითარის ჰანგებს. აქვეა ბულბული, მუზების საყვარელი ფრინველი. თეთრი ლეკითოსი. მიუნხენი. ანტიკური კოლექციების მუზეუმი.

მუზა თალიესა („ლხინი, სიუხვე“) და მხიარულ დებს და მშვიდად ესაუბრება ჰიმნური პოეზიის მუზა პოლიჰიმნიასა („მრავალჯერ ნადიდები ჰიმნებით“) და ასტრონომიის მუზა ურანიას („ციური“), ხელში რომ ცის თაღი და ფარგალი უკავია. ცდილობს ღრუბლები განუდევნოს შუბლიდან და ზევსის წინაშე მხიარულად ცეკვავს მუზა ტერფსიქორე („ცეკვის მოყვარული“) ლირითა და პლექტრონით ხელში. აქვეა ხელოვნებათა ღმერთი აპოლონიც, მუზების ფერხულს ხელმძღვანელობს იგი და მათ ახალ-ახალ ცეკვა-სიმღერას ასწავლის.

ზევსისა და მნემოსინეს ასულებს, პიერიაში დაბადებულ ცხრა მუზას უმცროს ოლიმპიელ მუზებს უწოდებენ. მათ განასხვავებენ უფროსი მუზებისაგან, ურანოსისა და გეას ასულებისაგან, რომლებიც მხოლოდ სამნი არიან. თუმცა კი მუზები ხელოვნებისა და მუსიკის მფარველები არიან, მათი თაყვანისცემა მომღერლებს ან მოცეკვავეებს არ შემოუღიათ. პირველად მათ გოლიათმა ალოადებმა, ოტოსმა და ეფიალტესმა მიუტანეს მსხვერპლი ჰელიკონზე და მათი რიცხვი და სახელებიც განსაზღვრეს: მელეტე („გამოცდილება“), მნემე („მახსოვრობა“) და აოიდე („სიმღერა“).

მრავალი შვილი ჰყავდათ მუზებს. მუზა კალიოპეს ზევსისაგან (ზოგი ვერსიით კი თალიეს აპოლონისაგან) შეეძინა კორიბანტები, ეაგროსისაგან კი ორი შესანიშნავი მომღერალი: ორფევსი და ლინოსი, აგრეთვე თრაკიელი მეფე რესოსი, დიომედესმა რომ მოკლა ტროას ომში. მუზა მელპომენესა და მდინარის ღმერთ აქელოოსის შვილები იყვნენ ქალჩიტა სირენები, თავიანთი სიმღერით რომ იზიდავდნენ ადამიანებს და შემდეგ შთანთქავდნენ ხოლმე.

მკაცრნი და ულმობელნი არიან მუზები მათ მიმართ, ვინც შეჯიბრებაში გამოწვევას გაუბედავს. ნიმფა არგიოპემ მუსიკოს ფილამონისაგან შვა თრაკიელი მომღერალი თამირისი. ორფევსთან ერთად მას ეპიკური პოეზიის ერთ-ერთ მამამთავრად მიიჩნევდნენ. არაჩვეულებრივად ლამაზ ყმაწვილს, თამირისს, კი-

თარაზე გასაოცარი დაკვრა შეეძლო და ამ ხელოვნებამ მრავალი გამარჯვება მოაპოვებინა პითიურ თამაშობებში. ერთხელ, მორიგი გამარჯვების შემდეგ, გახარებულმა მომღერალმა წამოიძახა:

— ახლა სიამოვნებით შევეჯიბრებოდი თავად მუზებსაც კი, და თუკი გავიმარჯვებდი, ყოველ მათგანთან შეუღლების უფლებას მოვითხოვდი, დამარცხების შემთხვევაში კი მივცემდი ყველაფერს, რის წაღებასაც მოისურვებდნენ ჩემგან!

განრისხდნენ მუზები, რაღა თქმა უნდა, გაიმარჯვეს თამირისზე და თავხედობისათვის წაართვეს ხმა, თვალის სინათლე და კითარაზე დაკვრის ხელოვნებაც (თამირისის შესახებ უფრო დაწვრილებით გიამბობთ წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები"). ჰიბრისისათვის მუზებმა სირენებიც დასაჯეს.

ჰელიკონზე ცხოვრობენ ოლიმპიელი მუზები, ზევსის ასულები და ხოტბას ასხამენ ღმერთთა ყველა თაობას — გეასა და კრონოსს, ოკეანოსსა და ჰელიოსს, ზევსსა და მის შთამომავლობას. ისინი უკავშირებენ ერთიმეორეს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, მფარველობენ მუსიკოსებსა და მომღერლებს, გადასცემენ მათ თავიანთ ნიჭს და ეხმარებიან ღვთაებრივ ნაწარმოებთა შექმნაში. მუზები რჩევებსაც აძლევენ ადამიანებს, აქებენ კანონებსა და კანონიერებას და ადიდებენ ღმერთების კეთილ საქმეებს.

განუყოფელნი არიან მუზები ოლიმპიური სამყაროს წესრიგისა და ჰარმონიისაგან, ამიტომაც არიან ისინი ზევსის გარემოცვაში და ეხმარებიან უზენაეს მეუფეს დედამიწის გალამაზება-გამშვენიერებაში (მუზების შესახებ ბევრ საინტერესოს შეიტყობთ წიგნიდან „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები").

## ნიკე – გამარჯვების ქალღმერთი

წარმოუდგენელია ზევსი გამარჯვების ქალღმერთ ნიკეს გარეშე. ოკეანოსის საზარელი ასულის, სტიქსისა და ტიტან კრიოსის

ვაჟის, პალასის ასულია ფრთოსანი ნიკე, მაგრამ ტიტანებისა და ღმერთების ბრძოლის დროს მან ზევსის მხარე დაიკავა. მარად თან ახლავს ნიკე ზევსსა და ბრძენ ათენას და ამიტომაც არიან ისინი მარად გამარჯვებულნი. ოლიმპიის ზევსის ტაძარში ფიდიასის მიერ გამოქანდაკებულ ზევსს მარჯვენა ხელისგულზე ოქროსა და სპილოს ძვლისგან გამოკვეთილი ნიკე ესვა. მისი ტახტის ყოველ ფეხთანაც მოცეკვავე ნიკე იყო გამოსახული. ათენას უწოდებდნენ ათენა ნიკიასაც. ნიკე გამოისახება ხოლმე როგორც ფრთებით შემკული ქალღმერთი, რომელსაც გვირგვინი უკავია გამარჯვებულის თავზე.

## სიყმაწვილის ქალღმერთი ჰებე

ზევსსა და ჰერას თვალწარმტაცი სილამაზის ქალიშვილი ჰყავთ, ჰებე, არესისა და ილითიიას და. თავად სიყმაწვილის ქალღმერთი, ჰებე არასოდეს ბერდება და ყოველთვის სასიამოვნო შესახედია. მოსწონდათ ღმერთებს მისი სიმშვენიერის ცქერა და ამიტომაც სთხოვეს, მერიქიფეობა გაეწია ხოლმე მათთვის სუფრასთან. დიდხანს იყო ჰებე ღმერთების მერიქიფე. გულს სიხალისით უვსებდა იგი ღმერთებს და უკვდავთა ნადიმებზე მარად მხიარულება სუფევდა. ჰებე ღმერთებსაც ეხმარებოდა, თუკი მათ რაიმე გაუჭირდებოდათ ხოლმე – დიომედესის მიერ დაჭრილ არესს, ომის ღმერთს, მან მოჰბანა და შეუხვია ჭრილობები. ჰებე დედასაც ეხმარება. იგი უმზადებს ხოლმე ჰერას ეტლს, როდესაც უზენაესი დედოფალი ოლიმპოსიდან დედამიწაზე დაშვებას დააპირებს. ხშირად ცეკვავს იგი ნადიმის დროს ქარიტებსა და ჰორებთან, ჰარმონიასა და აფროდიტესთან, ეროსთან ერთად, როდესაც აპოლონი და მუზები უკრავენ და მღერიან.

როდესაც ჰერაკლე გამოეთხოვა მოკვდავთა სამყაროს, ზევსმა მას უკვდავება მიანიჭა და ზეცად აღაზევა. ზევსის მეუღლე, ჰერა, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში სდევნიდა გმირს, იძულებული გახდა შერიგებოდა მას და ამის ნიშნად ჰერაკლესათვის თავისი ასული, ჰებე მიეთხოვებინა.

ჰერაკლესაგან ჰებეს ორი ვაჟი შეეძინა, ალექსიარესი და ანიკეტოსი. ნაზად უყვარს თავისი მეუღლე ჰებეს. ქალღმერთმა ჰერაკლეს ხათრით ქმრის ძმისწულ იოლაოსს ახალგაზრდობა დაუბრუნა, რათა მას შესძლებოდა ევრისთევსის წინააღმდეგ ებრძოლა და დაეცვა ჰერაკლეს შვილები.

დიდხანს იყო ჰებე ღმერთების მერიქიფე. ბოლოს ზევსმა ეს საქმე გადააბარა თავის საყვარელ ჭაბუკს, ტროელ მეფისწულ განიმედესს, რომელიც მოკვდავთა შორის ულამაზეს ყმაწვილად ითვლებოდა. ჰებე მაინც ზევსის გარემოცვაში დარჩა და ღმერთების ლხინში ისევე ღებულობდა მონაწილეობას, როგორც ადრე.

## ღმერთების მაცნე ირისი

ქალღმერთი ირისი ზღვის სამყაროს შვილია, თავმასისა და ოკეანის ელექტრას ასული. ირისი და ჰერმესი ღმერთების მაცნეები არიან. ეს მათ სამოსელზევე ეტყობათ. მოკლე ქიტონით, ხელში კვერთხითა და სანდლებზე ფრთებით, ზევსის ბრძანების თანახმად ისინი მოკვდავთა და უკვდავთა სამყაროს ერთმანეთს უკავშირებენ. სამივე სამყაროს კარი ღიაა მათთვის. ჰერმესი ადამიანთა აჩრდილებს აცილებს ჰადესისაკენ, ირისს კი სტიქსის წყალი ამოაქვს მიწისქვეშეთიდან, როდესაც რომელიმე ღმერთი ფიცის დადებას მოისურვებს. ძველებს სჯეროდათ, რომ ჰერმესი ზევსის მაცნე იყო, ირისი კი — ჰერასი. იმასაც ამბობენ, რომ ჰერმესს მამაკაცებთან აგზავნიდნენ ხოლმე, ირისს კი — ქალებთან.

ყველგან შეუძლია შესვლა ირისს. ამიტომ ზოგჯერ არა მხოლოდ ზევსი, არამედ სხვა ოლიმპიელი ღმერთებიც გზავნიან ხოლმე მას სასურველ ადგილას. მაგალითად, სწორედ ირისს გაატანეს ქალღმერთებმა ქრთამი — ყელსაბამი ილითიიასთან, რათა მას სწრაფად დაეხსნა ლეტო სამშობიარო ტკივილებისაგან. ირისს თვითონაც ჰყოლია შვილი: ზოგიერთები სიყვარულის ღმერთ ეროსს ირისისა და ქარ ზეფიროსის ვაჟად მიიჩნევენ.

ზოგჯერ მოკვდავებსაც შეუძლიათ დაინახონ, როგორ ეშვება ცის კაბადონიდან დედამიწაზე ცისარტყელას ღვთაება ირისი. ჰერმესისაგან განსხვავებით, რომელიც მეტად ხშირად ხვდება ღმერთებსა და მოკვდავებს დედამიწაზე, ირისი მუდამ ოლიმპოსზე ცდილობს ყოფნას, რათა ზევსს საშუალება ჰქონდეს, სწრაფად გაგზავნოს იგი მოკვდავებთან თუ უკვდავებთან.

## ზევსს ცაში აჰყავს განიმედესი

მოკვდავთა შორის ულამაზესი იყო ყმაწვილი განიმედესი, ქალაქ ტროას დამაარსებლის, ტროსისა და ნიმფა კალიროეს ვაჟი. ამბობენ, რომ განიმედესი ქალღმერთმა ეოსმა მოიტაცა და ცაში აიყვანა. ზევსმა მასთან იხილა მომხიბლავი ყმაწვილი და ეოსს წაართვა იგი. ზოგნი კი თვლიან, რომ როცა იდას მთაზე მამისეული ფარის მწყემსი განიმედესი იხილა ზევსმა, გადაწყვიტა, თავისი სარეცლის მოზიარედ გაეხადა, ვეებერთელა არწივად გარდაისახა და ჭაბუკი ცაში აიტაცა.

მეტად წუხდა მეფე ტროსი უსაყვარლესი შვილის დაკარგვას, დილიდან ღამემდე თვალწინ ედგა ვაჟის აჩრდილი და ღმერთებს პასუხს სთხოვდა. მაშინ ზევსის ბრძანებით ჰერმესი გაეშურა ტროსთან და დანაკარგის სანაცვლოდ ჰეფესტოს მიერ გამოჭედილი შესანიშნავი ოქროს ყურძენი და ორი ჯადოსნური ცხენი აჩუქა. თავისი შვილის ამბავი დაწვრილებით გამოჰკითხა მას მეფემ. მოუთხრო ჰერმესმა, რომ უკვდავი და უბერებელი გახდა განიმედესი, რომ იგი, ღიმილიანი, ღმერთების სუფრასთან დგას და ნექტარსა და ამბროსიას აწვდის მათ.

ჰერა შეურაცხყოფილი დარჩა განიმედესის გამოჩენით საკუთარ სასახლეში. მან ღმერთების მერიქიფის, საკუთარი ასულის, ჰებეს დამცირებად მიიღო ეს ამბავი, მაგრამ თავისი ჭირვეულობით მხოლოდ განარისხა ზევსი, რომელმაც საპასუხოდ განიმედესის გამოსახულება მერწყულის ზოდიაქოდ აქცია.

*ᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲐᲜᲘ*

## ᲛᲝᲘᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲔᲜ ᲑᲔᲓᲡ

სამნი არიან ბედის ქალღმერთები, ერებოსს რომ უშვა ნიქსმა. თეთრ სამოსში გამოწყობილან კლოთო („ბედისწერის განმსაზღვრელი"), ლაქესისი („მრთველი") და ატროპოსი („გარდაუვალი"). მათგან ატროპოსი ყველაზე უფრო დაბალია და გამხდარი, მაგრამ ყველაზე უფრო საშინელი. ლაქესისი ბავშვის დაბადებამდე განსაზღვრავს ხოლმე მის ბედს, კლოთო მისი ცხოვრების ძაფს ართავს, ხოლო ატროპოსი გარდაუვლად აახლოვებს მომავალს. მოირების და-ძმები არიან თანატოსი („სიკვდილი"), ჰიპნოსი („ძილი"), ნემესისი („შურისგება") და ერისი („განხეთქილება").

ზევსს, რომელიც სასწორზე სწონის ადამიანთა სიცოცხლეს და თავის გადაწყვეტილებას ბედის ქალღმერთებს ამცნობს, შეუძლია შეიცვალოს შეხედულება და ცოცხალი დატოვოს ის, ვინც მოესურვება. თავად ადამიანებსაც შეუძლიათ გარკვეულწილად მართონ თავიანთი ბედი და თავიდან აიცილონ ხოლმე საფრთხე. ამიტომაც ახალგაზრდა ღმერთები დასცინიან ბედის ქალღმერთებს და ხშირად მოაგონებენ ხოლმე მათ, როგორ დაათრო ერთხელ ისინი უგონოდ აპოლონმა, რათა თავისი მეგობარი ადმეტოსი ნაადრევი სიკვდილისაგან გადაერჩინა.

სხვანი ამბობენ, რომ ზევსი თავად არის მოირათა განსჯის ობიექტი, რომ მან თავადაც არ იცის საკუთარი მომავალი. ამბობენ, აგრეთვე, რომ ზევსი, ცდილობს რა შეიტყოს ბედისწერა, ოქროს სასწორზე სწონის ადამიანთა სიცოცხლეს.

ეს იმიტომ ხდება, რომ ზოგნი მოირებს დიდი ქალღმერთის, ანანკეს („აუცილებლობა") შვილებად მიიჩნევენ, რომელიც მსოფლიო ჯარას ართავს და რომლის წინააღმდეგ ვერც ერთი ღმერთი ვერ გაბედავს გალაშქრებას.

ზევსი მჭიდროდ არის დაკავშირებული მოირებთან. მას და აპოლონს მოირაგეტესებს („მოირათა წინამძღოლებს") უწოდე-

ბენ, თავად ზევსს კი — მორიოსს და ბედისწერის აღმსრულებელს, რადგანაც მან იცის ის, რაც არის ბედისწერით განსაზღვრული და ისიც, რაც არ არის. ათენში, ოლიმპიელი ზევსის ტაძარში ზევსის ქანდაკების თავს ზემოთ მოირათა გამოსახულება იყო მოთავსებული, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ ბედისწერა მხოლოდდამხოლოდ ამ უზენაესი ღვთაების ხელშია.

## ატე

მავნე ქალღმერთია ზევსის სწრაფი ასული ატე. მას შეუძლია გონი დაუბინდოს არსებას. უეცრად მოახვევს იგი თავის მსხვერპლს უჩინარ საბურველს და განსჯის უნარს აკარგვინებს. არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ ზევსსაც კი დაუბინდა გონება ქალღმერთმა ჰერას ბრძანებით. მომავალი გმირის, ჰერაკლეს დაბადების მოლოდინში მეტად გახარებული იყო ზევსი. აჰა, დაეწყო სამშობიარო ტკივილები ჰერაკლეს დედას, ალკმენეს და უზენაესმა მეუფემ ყველას გასაგონად გამოაცხადა ღმერთების შეკრებაზე, რომ ჩვილი, რომელიც იმ დღეს დაიბადებოდა ზევსის შთამომავალთაგან, მიკენისა და მისი მეზობელი ხალხების მბრძანებელი გახდებოდა. შეკრთა ჰერა, შეიჭმუხნა წარბები. ეჭვიანმა ჩუმად ანიშნა ქალღმერთ ატეს, გონი დაებინდა ზევსისათვის და მშვიდი ღიმილით მოსთხოვა მეუღლეს, დაედო ფიცი იმის შესახებ, რომ ის, ვინც იმ დღეს პირველი დაიბადებოდა პერსევსის სასახლეში, უზენაესი მეფე გახდებოდა. ზევსს ეჭვიც არ აუღია არაფერზე, ისე დაიფიცა. მაშინ ჰერამ შეაყოვნა ჰერაკლეს დაბადება და დროზე ორი თვით ადრე მოავლინა ქვეყნად უსუსური ევრისთევსი, რომელზეც დამოკიდებული შეიქნა ჰერაკლე დაბადების შემდეგ. განრისხებული ზევსი მიხვდა, რომელი ღვთაების ბრალიც იყო ეს ყოველივე, არ დააყოვნა შურისგება და ატე ზეციდან დედამიწაზე ჩამოაგდო. მას შემდეგ, ამ ავ ქალღმერთს მხოლოდ ადამიანების მტრობაღა შეუძლია.

## შმაგი ლისა

ქალღმერთი ლისა სიშმაგის ღვთაებაა. ურანოსის სისხლისა და ნიქსისაგან ნაშობი, ატესავით უბინდავს იგი გონებას მიწიერ და ზეციურ ქმნილებებს. ძალიან უყვარდა ჰერაკლეს თავისი სათნოებით აღსავსე მეუღლე, მაგრამ როდესაც ჰერამ უბრძანა ლისას, სიშმაგე მოევლინა ამ გმირისათვის, ბოროტი ქალღმერთი ღრუბლებიდან დედამიწაზე დაეშვა და ცნობიერების დამკარგველი რისხვით აავსო ჰერაკლეს გონება. საშინელი იყო ჰერაკლეს სიშმაგე. გამოენთო იგი საყვარელ მეუღლესა და შვილებს, რომლებიც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა, უწყალოდ დახოცა ისინი და მათთან ერთად ძმის, იფიკლესის, ორი ვაჟიც (რის თაობაზეც მოგითხრობთ წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“).

## ჰიბრისი

ქალღმერთი ჰიბრისი უსაზღვრო თავხედობის განსახიერებაა. ატესა და ლისას მსგავსად, იგიც უბინდავს გონს ღმერთებსა და მიწიერ ქმნილებებს. საბრალოა არსება, რომელსაც იგი ზვიადობას ჩაუნერგავს გულში. ღუპავს მას ამით, რადგან უჩენს დაუძლეველ სურვილს, გაუტოლდეს ღმერთებს და აჯობოს კიდეც მათ.

კოროსის, სიმაძღრის ქალიშვილია ჰიბრისი, რაც სიმბოლურად მიანიშნებს იმაზე, რომ კოროსს ყოველთვის ჰიბრისი მოსდევს. ათენში ჰიბრისსა და ანაიდეიეს, რომელიც უსირცხვილობის განსახიერებას წარმოადგენდა, ერთი საერთო ტაძარი ეძღვნებოდათ. ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ ჰიბრისი უსირცხვილობას სდევდა თან და უსირცხვილობა — ჰიბრისს. სწორედ ამიტომ სჯიდნენ ასე მკაცრად ღმერთები ადამიანებს, რომელთაც ქალღმერთი ჰიბრისი თავისი სენის შესაყრელად გაიმეტებდა. ღმერთები ამპარტავან ადამიანს ართმევდნენ იმას, რითიც იგი ამაყობდა, ზოგჯერ სიცოცხლესაც კი. ჰიბრისმა დაღუპა ნიობე, არაქნე, თამირისი, სატირი მარსიასი. ქალღმერთმა ლეტომ

ნიობეს შვიდი ქალიშვილი და შვიდი ვაჟი დაუხოცა, რომლებითაც ნიობე ასე ძალიან ამაყობდა. მომღერალ თამირისს მუზებმა ხმა, თვალის სინათლე და დაკვრის ნიჭი წაართვეს, სატირ მარსიასს აპოლონმა ცოცხლად გააძრო ტყავი, ღმერთებმა ფრინველებად აქციეს კეიკოსი და ალკიონე, რომლებიც, თავიანთი ცოლქმრული ბედნიერებით გოროზნი, ერთმანეთს ზევსსა და ჰერას უწოდებდნენ.

## შურისმაძიებელი ნემესისი

ნიქსის ასულია შურისძიების ქალღმერთი ნემესისი, სამართლიანი და დიკესავით აუცდენელი (რაზეც მისი ეპითეტი „ადრასტეა" მეტყველებს). ცალ ხელში ვაშლის ტოტი უჭირავს ქალღმერთს, მეორეში კი ბორბალი. პატარა, მაგრამ მშვენიერი ირმებით შემკული ვერცხლის გვირგვინი ადგას ნემესისს თავზე, წელზე კი მათრახი აქვს ჩამოკიდებული, რაც მის შურისმაძიებლურ ფუნქციებზე მიუთითებს. ყურადღებით აკვირდება იგი ადამიანთა შორის კეთილდღეობის განაწილებას. ხანდახან კი, ღვთაებრივი და დაუწერელი კანონების დამცველი, თავის რისხვას დაატეხს თავს მათ, ვინც სამართლიანობას უგულებელყოფს. ნემესისი მყისვე იმახსოვრებს ყოველ უსამართლობას და სამაგიეროს შურისგებას არ აყოვნებს. მისი შურისძიება აუცდენელია და ყოველ დამნაშავეს ელოდება. ქალღმერთი არ ურისხდება მხოლოდ ღმერთების საყვარელ ჰიპერბორეელებს (ამ მითიური ხალხის შესახებ მოგითხრობთ წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები").

ტროას ომის მიზეზს, ელენეს, როგორც კაცობრიობისათვის ღმერთების შურისგების სიმბოლოს, ნემესისის ასულად ასახელებენ. ზოგი მითის მიხედვით, ზევსს მოეწონა ნემესისი და მასთან შეუღლება მოიწადინა. გაექცა ქალღმერთი უკვდავთა და მოკვდავთა მბრძანებელს და ბატად ქცეულმა დამალვა სცადა. მაშინ ზევსი გედად გარდაისახა და უმალ დაეწია სასურ-

ველს. მცირე ხანში ნემესისმა საოცარი სილამაზის კვერცხი დადო. ეს კვერცხი იპოვა მწყემსმა და სპარტის დედოფალს, ლედას მიართვა. ამბობენ, რომ ელენე სწორედ ამ კვერცხიდან მოევლინა ქვეყანას.

მთელს საბერძნეთში სცემდნენ თაყვანს შურისძიების ქალღმერთს. მისი ყველაზე უფრო ცნობილი ტაძარი კი მდებარეობდა მარათონთან ახლოს, რამნუსში, სადაც ფიდიასის მიერ გამოქანდაკებული ღვთაებრივი ნემესისი იდგა.

## ტიქე

შემთხვევის ქალღმერთია ტიქე. ეს მშვენიერი ოკეანისი ჰადესის მეუღლის, პერსეფონეს თანამგზავრია. იგი ცხოვრების ცვალებადობასა და არამდგრადობას განასახიერებს. ბედსაც განსაზღვრავს ტიქე და ამით ბედისწერის ქალღმერთებს ემსგავსება. იგი მოირებს უეცარ დიდ ბედნიერებას გაამეტებინებს ხოლმე მოკვდავთათვის. ამიტომაც უყვართ მათ ტიქე, შემთხვევის ქალღმერთი და ყველაზე უფრო სასურველად მიაჩნიათ მისი წყალობა.

ზოგჯერ ტიქე ადამიანებს იმასაცართმევს, რაც მათ გააჩნიათ. ხანდახან იგი თავის რისხვას ატეხს თავს იმ ადამიანებს, რომლებიც ადრე ტიქეს გულმოწყალებით სარგებლობდნენ, შემდეგ კი ტრაბახობდნენ თავიანთი სიმდიდრით და არ მიჰქონდათ მსხვერპლი ღმერთებისათვის. ნემესისი აკარგვინებს მათ იმასაც, რისი მფლობელნიც ისინი ადრე იყვნენ.

# *დაბადებისა და მკურნალობის ღვთაებანი*

## მელოგინეთა ღვთაება ილითიია

მშობიარობის ღვთაებად ითვლება ზევსისა და ჰერას ასული, ქალღმერთი ილითიია. დედის მსგავსად, მასაც მელოგინე ქალთა დახმარება და ტკივილების შემსუბუქება აკისრია. მშობიარეებთან ჰერა თავის ქალიშვილს გზავნის ხოლმე და დახმარების აღმოჩენას ავალებს.

ყოველთვის დროულად აკითხავს ილითიია მელოგინეებს, მხოლოდ რამდენჯერმე შეაყოვნა იგი ზეციერთა დედოფალმა. ეჭვიანმა ჰერამ მშობიარობის ქალღმერთი დროულად არ გაუშვა ალკმენესთან, რომელსაც ზევსისაგან გმირი ჰერაკლე უნდა შეს-ძენოდა. კარგა ხანს დააგვიანა ჰერამ იგი, და როდესაც ტკი-ვილებისაგან ღონემიხდილი ალკმენე უკვე სიკვდილის პირამდე იყო მისული, უზენაესი დედოფალი შეშინდა და, ბოლოსდაბო-ლოს, დართო ნება ილითიიას, ქალის საშველად წასულიყო.

ქალღმერთ ლეტოზე კიდევ უფრო გამწყრალი იყო ჰერა. ილითიია აქაც დიდხანს შეაყოვნა მან და ლეტომ აპოლონი ისე შვა, რომ მშობიარობის ქალღმერთი საერთოდ არ მისულა მის მისახმარებლად. ზოგნი ამბობენ, რომ ქალღმერთებმა ილითიიას ქრთამად ყელსაბამი მიართვეს და აპოლონი მხოლოდ ამის შემ-დეგ მოევლინაო ქვეყანას.

არა მხოლოდ ძლიერ ტკივილებს უგზავნის ილითიია მელო-გინე ქალებს, იგი ათავისუფლებს კიდეც ამ ტანჯვისაგან მშობი-არეებს, და ამიტომაც არის, რომ ისინიც მუდამ მას უხმობენ საშველად.

## მკურნალი ღმერთი ასკლეპიოსი

მკურნალობისა და ექიმთა ღმერთი ასკლეპიოსი აპოლონის შვილია. უდედოდ გაიზარდა ობოლი ყმაწვილი.

როდესაც მშვენიერმა დაფნემ უარჰყო აპოლონის სიყვარუ-ლი და ამის გამო დამწუხრებული ღმერთი უკან ბრუნდებოდა, გზად შემოხვდა ლამაზლაწვება, ნათელთვალება ნიმფა კორონი-სი, ლაპითების მეფის, ფლეგიასის ასული და იქსიონის და. კო-რონისი ხშირად ბანაობდა ხოლმე თესალიის ტბა ბოიბეში და სწორედ იქითკენ მიემართებოდა იმჟამად. დაფნეს მიამსგავსა თვალწარმტაცი ასული სინათლის ღმერთმა, შეუყვარდა და შეეუღლა კიდეც.

არ დარჩა კორონისი აპოლონის ერთგული, უღალატა მან ოქროსკულულებიან ღმერთს და ამის გამო სიცოცხლეს გამოე-

სალმა. დიდი ხანი იყო, რაც კორონისს არკადიელი მეფისწულის, ისქოსის ტრფობა ედო გულში. ერთხელაც, როდესაც უკვე აპოლონის ვაჟს ატარებდა მუცლით, კორონისი მარტო დარჩა სახლში – აპოლონი დელფოში გაისტუმრა და ისქოსს თავის თალამოსში შეუძღვა. თეთრი ყვავი, რომელიც აპოლონს კორონისის სადარაჯოდ ჰყავდა დატოვებული, მყის გაემართა პატრონთან და ღალატი შეატყობინა. მაგრამ აპოლონმა ეს ამბავი უკვე იცოდა მისნობის მეშვეობით. იგი განურისხდა ყვავს და დაწყევლა იმისათვის, რომ მან არ ამოსთხარა თვალები ისქოსს, როდესაც ეს უკანასკნელი მის სატრფოს მიუახლოვდა. ამ წყევლის გამო ყვავი ერთბაშად გაშავდა და მას შემდეგ მთელი მისი შთამომავლობა შავი ფერისა იბადება. შეურაცხყოფილმა აპოლონმა არტემისს შესჩივლა თავისი შერცხვენა. არტემისმა სამაგიერო გადაუხადა კორონისს და ისრებით მოკლა თავისი ძმის მოღალატე. ისქოსი კი თავად აპოლონმა განგმირა ისრით: შემდეგ, როდესაც სამგლოვიარო კოცონზე ცეცხლმოდებული ქალის გვამს უცქერდა, აპოლონი სინანულით აღივსო, მაგრამ გვიანღა იყო. კორონისის სული უკვე გაემართა ჰადესისაკენ. ჰერმესს უხმო შეწუხებულმა ღმერთმა. ჰერმესმა მკვდარი კორონისის წიაღიდან ამოიყვანა ჯერ კიდევ ცოცხალი ჩვილი ასკლეპიოსი და მამას გადასცა.

აპოლონმა ვაჟი აღსაზრდელად სიბრძნით გამორჩეულ კენტავრ ქირონს მიაბარა. ქირონმა სხვა ყველაფერთან ერთად ასკლეპიოსს მკურნალობის ხელოვნებაც შეასწავლა, თანაც ისე კარგად, რომ მოსწავლემ მასწავლებელს ბევრად აჯობა ოსტატობაში და ექიმთა მფარველი ღმერთის სახელიც დაიმკვიდრა. ასკლეპიოსს მკურნალობის ხელოვნებას მამამისი აპოლონიც ასწავლიდა.

ასკლეპიოსს დიდი სიმდიდრე ჰქონდა ხელთ – მას ათენამ პერსევსის მიერ მოკლული გორგო მედუზას სისხლი გადასცა. ღვთაებრივი ექიმი გორგოს მარცხენა ნაწილისაგან გამონადენ სისხლს ადამიანთა დაღუპვისათვის იყენებდა, ხოლო მარჯვენა ნაწილისაგან გამონადენს კი – სიცოცხლის გადასარჩენად. ამ სისხლითა და

გასაოცარი ცოდნით ასკლეპიოსი არა მხოლოდ საუკეთესოდ კურნავდა ავადმყოფებს, არამედ სიცოცხლესაც კი უბრუნებდა გარდაცვლილებს. მან, მაგალითად, გააცოცხლა ლიკურგოსი და კაპანევსი, ტინდარევსი და ჰიმენი, თესევსისა და ამორძალთა დედოფალ ანტიოპეს ვაჟი ჰიპოლიტოსი. მან სიცოცხლე დაუბრუნა, აგრეთვე, კრეტის მეფე მინოსის პატარა ვაჟს, გლავკოსს, რომელიც თაგვს გამოეკიდა, მაგრამ თაფლით სავსე კასრში ჩავარდა და დაიხრჩო. არ დაურჩა კმაყოფილი ასკლეპიოსს მეფე მინოსი და მოსთხოვა, ესწავლებინა მისი ვაჟისათვის მისნობის ხელოვნება. იძულებული გახდა ასკლეპიოსი, აესრულებინა მეფის ნება, შემდეგ კი უბრძანა მეფისწულს, ჩაეფურთხებინა მისთვის პირში. ამან გლავკოსს დაავიწყდა ყველაფერი, რაც კი ღმერთს მისთვის ესწავლებინა. მოკვდავთა გაცოცხლებით გაბრაზებულმა ჰადესმა ასკლეპიოსს ზევსთან უჩივლა, რომ აპოლონის ვაჟი მას მიცვალებულთა სულებს ართმევდა. ამასთან ასკლეპიოსს მოშურნეებმა დააბრალეს, თითქოს იგი ადამიანთა გაცოცხლებისათვის ქრთამს იღებდა. ზევსმა სამართლიანად ჩათვალა მიწისქვეშეთის მეუფის საჩივარი, რადგანაც გარდაცვლილთა გაცოცხლება დედამიწაზე ზევსის მიერ დაწესებულ კანონსა და წესრიგს არღვევდა. განრისხებულმა მეხთამტყორცნელმა ასკლეპიოსს მეხი ესროლა და სიცოცხლეს გამოასალმა სწორედ მაშინ, როდესაც არტემისის ცხარე ცრემლებითა და მხურვალე თხოვნით გულშეძრულმა ასკლეპიოსმა, ის-ის იყო, ორიონს სიცოცხლე დაუბრუნა. საყვარელი შვილის მკვლელობით აღშფოთებულმა აპოლონმა კრონოსის ვაჟს სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ კიკლოპები ისრებით ამოუხოცა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ზევსმა მოგვიანებით გააცოცხლა ასკლეპიოსი, და მისი ხატი, სიჯანსაღის მომცემი გველით ხელში, ვარსკვლავებს შორის მოათავსა გველისმჭერის თანავარსკვლავედის, „ორფიუქოსის“ სახელით.

ასკლეპიოსს ხუთი შვილი დარჩა, ორი ვაჟი – პოდალირიოსი და მაქაონი, და სამი ქალიშვილი – ჰიგიეა („ჯანმრთელობა“), იასო („მკურნალობა“) და პანაკეა („გამოჯანსაღება“). ყო-

ველი მათგანი, მამის მსგავსად, სახელგანთქმული ექიმი იყო. პოდალირიოსი და მაქაონი, როგორც ელენეს ხელის მთხოვნელები, ტროას ომში მონაწილეობდნენ. დასავლეთ თესალიიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთ ეტოლიიდან მათ ოცდაათი გემი ჰყავდათ წამოყვანილი. პოდალირიოსმა და მაქაონმა მრავალი დაჭრილი განკურნეს ტროას ომში და თავადაც მონაწილეობდნენ ბრძოლებში მახვილითა და შუბით ხელში, რის გამოც მაქაონი პარისმა დაჭრა კიდეც. გამოჯანმრთელების შემდეგ იგი ამაძონთა დედოფალმა, პენთესილეამ განგმირა.

ასკლეპიოსის სახელზე ბერძნებმა მრავალი ტაძარი ააგეს, მათ შორის ყველაზე უფრო სახელგანთქმული სამლოცველოები, რომლებშიაც მთელი საბერძნეთის მოსახლეობა იყრიდა თავს, ეპიდავროსსა და კუნძულ კოსზე იყო მოთავსებული. აქ ასკლეპიოსის განსახიერება — გველი, რომელიც თავად ასკლეპიოსად ითვლებოდა, ღებულობდა სამსხვერპლო შესაწირავებს (ასკლეპიოსს ხომ სურვილისამებრ იოლად შეეძლო გველის სახის მიღება). კუნძულ კოსის ცნობილი ექიმები ასკლეპიოსის შთამომავლებად ითვლებოდნენ და მათ ასკლეპიადებს უწოდებდნენ.

## *მიწის ღვთაებანი*

### რეა-კიბელე

ოქროს ეტლით და ციხე-კოშკის ქონგურებივით დაკბილული გვირგვინით თავზე, მარად კორიბანტებით, კურეტებით, ლომებითა და ჯიქებით არის გარშემორტყმული ქალღმერთი რეა-კიბელე. მას სხვა სახელებიც აქვს — დინდიმენე, იდას მთის დედა, ღმერთების დიდი დედა, მაგრამ დანამდვილებით არავინ იცის, რა ჰქვია მას. თავის თანამგზავრთაგან ქალღმერთი სრულ მორჩილებასა და გიჟურ თავდავიწყებას მოითხოვს, რომლის დროსაც მისი ქურუმები ერთიმეორეს სისხლიან ჭრილობებს აყენებენ, ხოლო მისი ახალი მიმდევრები კი თავს ისაჭურისებენ კიბელეს ძის, ატისის თაყვანისცემის ნიშნად.

აი, რას გადმოგვცემენ მითები ღმერთების დედა კიბელეს ანუ აგდიტისის სიყვარულზე ატისისადმი, რომელიც თურმე არნახული სილამაზის ყმაწვილი ყოფილა. იმდენად ძლიერი იყო დედის სიყვარული საკუთარი შვილისადმი, რომ კიბელე ეწინააღმდეგებოდა მის დაქორწინებას მეფის ასულზე. სიშმაგეში შეიპყრო ჭაბუკი, თავი დაისაჭურისა და მოკვდა. სხვები კი ამბობენ, რომ იგი ნადირობის დროს ტახმა გამოასალმა სიცოცხლეს. მონანიების გრძნობამ აღავსო აგდიტისი და სთხოვა ზევსს, მარად ახალგაზრდა და უხრწნელი გაეხადა ვაჟის სხეული. ზევსმა შეუსრულა თხოვნა ქალღმერთს და ატისის სისხლისაგან გაზაფხულის ყვავილები და ხეები აღმოაცენა.

## კურეტები

ზევსის ჩვილობის ჟამს კუნძულ კრეტასთან გემით რომ გაეცურა ვინმეს, უსათუოდ გაიგონებდა ტიმპანების მხიარულ ხმაურს, შუბის ცემას ფარზე, ყვირილსა და ცეკვა-თამაშის ხმას. ეს კურეტები, ქალღმერთ გეას შვილები ჟრიამულობდნენ. კორიბანტებითან და კაბირებთან ერთად ისინი დიდ ქალღმერთ რეა-კიბელეს ეხმარებოდნენ პატარა ზევსის გაზრდასა და მისი ტირილის დაფარვაში, რათა ზევსის მამას, კრონოსს, არ გაეგონა ჩვილის ხმა — უზენაეს მეუფეს შვილი ხომ უკვე კარგა ხანია გადაყლაპული ეგონა. თავს ევლებოდნენ ჩვილ ზევსს კურეტები. ტკბილად დაამახსოვრდა ზევსს თავისი კეთილი გამზრდელები, ბავშვობას რომ უმხიარულებდნენ და თავისი დაობლებული ვაჟი, დიონისე, აღსაზრდელად მათ მიანდო.

მრავალი კეთილი რჩევა მიუციათ კურეტებს ადამიანებისათვის, მაგრამ მათი ნამდვილი სახელები მაინც ვერავინ შეიტყო, რადგანაც ეს საიდუმლოს წარმოადგენდა. ამიტომაც აიგივებდნენ მათ კაბირებთან, დაქტილებთან და ჯადოსან ტელქინებთანაც კი. ზევსისა და დიონისეს გაზრდის შემდეგ კურეტები ათენას გარემოცვაში მოხვდნენ და ათენას ხშირად კურეტების ბელადსაც უწოდებდნენ ხოლმე. ამ ქალღმერთთან

ერთად კურეტები ადამიანებს ეხმარებოდნენ. მათ მოკვდავებს ასწავლეს ცხოველების მოთვინიერება, მეფუტკრეობა, სახლების აშენება. ზოგნი ამბობენ, თითქოს ზევსმა დალუპა კურეტები იმის გამო, რომ მათ ჰერას მხარე დაიჭირეს და მოიტაცეს ეპაფოსი, ზევსისა და იოს ვაჟი.

## კორიბანტები და კაბირები

კურეტებთან ერთად ზევსის აღზრდაში დიდ ქალღმერთ რეა-კიბელეს მისი თანამგზავრები, კორიბანტები და კაბირები ეხმარებოდნენ და, როგორც რეა-კიბელეს მუდმივი თანმხლები პირნი, ზოგი ვერსიით ესწრებოდნენ კიდეც ზევსის დაბადებას. კორიბანტები ითვლებოდნენ აპოლონისა და მუზა თალიეს, ხოლო კაბირები კი პროტევსის ასულ ნიმფა კაბიროსა და ჰეფესტოს შვილებად. კუნძულ ლემნოსზე ჰეფესტოს თაყვანისცემის ცენტრი იყო. ლემნოსის დედაქალაქს ჰეფესტია ერქვა, ქალაქთან ახლოს კი მდებარეობდა კაბირების ტაძარი.

კაბირებს, ისევე როგორც კორიბანტებსა და კურეტებს, დიდად სცემდნენ თაყვანს ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილსა და ფრიგიაში, აგრეთვე თებეში, მაგრამ მათი კულტი განსაკუთრებით გავრცელებული იყო ლემნოსზე და სამოთრაკიაში. „დიდი ღმერთების" მსახურება განსაკუთრებულ ნაზიარებლობას მოითხოვდა. ორფევსმა იცოდა მათი კულტის შესახებ და არგონავტებს ურჩია სამოთრაკეში შეჩერება და მისტერიებში მონაწილეობის მიღება. მეტად იდუმალი იყო მათი მსახურება და იკრძალებოდა საიდუმლოთა ჩვეულებრივი მოკვდავებისათვის გადაცემა. საიდუმლო იყო მათი სახელებიც და რაოდენობაც. არავინ იცის ზუსტად, რამდენნი არიან ისინი — სამნი, ექვსნი თუ შვიდნი. არც ის იცოდა ვინმემ, ვინ იყვნენ რეას თანამგზავრთაგან კურეტები, ვინ — კორიბანტები და კაბირები, და ვერ ასხვავებდნენ მათ ერთმანეთისაგან.

თუმცა კი ლემნოსზე იშვნენ, კაბირები ამ კუნძულზე არ დარჩენილან. მათ დატოვეს სამშობლო იმის გამო, რომ ლემნოსელმა



„სამოთრაკიელი ნიკე“ – გამარჯვების ფრთოსანი ქალღმერთი. დაახლ. ძვ.წ. 190 წ. პარიზი. ლუვრი.



სიყმაწვილის ქალღმერთი ჰებე ჰერმესთან და ათენასთან ერთად ღმერთების ერთ-ერთი შეკრების დროს ოლიმპოსზე. ცალ ხელში ყვავილი უჭირავს, მეორეში კი – ვაშლი. წითელფიგურული კილიქსი. დაახლ. ძვ.წ. 520 წ. ტარკვინია. ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი.



თხისჩლიქებიანი პანი. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.

ზევსი იტაცებს ულამაზეს მოკვდავს, ყმაწვილ განიმედესს. კორინთოსელი მოქანდაკე. დაახლ. ძვ.წ. 470 წ.





მკურნალ ღვთაება ასკლეპიოსს ხელში უჭირავს კვერთხი, რომელზეც არის შემოხვეული გველი — მისი სიმბოლო. რომაული ხანის ქანდაკება. როდოსის მუზეუმი.



ასკლეპიოსის ასული ჰიგიეია აჭმევს გველს. ბერძნული სამყაროს სამკურნალო ცენტრებში ეწეოდნენ უვნებლო გველების მოშენებას ამისთვის საგანგებოდ შემოზღუდულ ტერიტორიაზე. ახალი ცენტრის დაარსებისას გველები სხვა ტაძრების გველსაშენებიდან გადმოჰყავდათ.



ქალღმერთი ჰიგიეია. ძვ.წ. 360 წ. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



ასკლეპიონის ნანგრევები პერგამონში, რომელიც ანტიკურობის ერთ-ერთ უდიდეს სამკურნალო ცენტრს წარმოადგენდა.



*ნაყოფიერების ქალღმერთი და ცხოველთა ქალბატონი კიბელე მშვენიერ ატისთან ერთად. კიბელეს ცალ ხელში ტიმპანი უჭირავს, მეორეში კი კვერთხი. მის ფერხთითაა ლომი – მისი წმინდა ცხოველი. რელიეფი. დაახლ. ძვ.წ. 230 წ. ვენეცია. არქეოლოგიური მუზეუმი.*



*კურეტები მახვილებს ურტყამენ ფარებს, რათა გადაფარონ ჩვილი ზევსის ტირილი. მათ შორის მოჩანს თხა ამალთეა, რომელიც თავისი რძით კვებავს ზევსს. ქალი, რომელიც ზის მარცხნივ, შესაძლოა ქალღმერთი ნემესისი იყოს. ქანდაკების კვარცხლბეკის რელიეფი. დაახლ. ახ.წ. 160 წ. რომი. კაპიტოლიუმის მუზეუმი.*



კაბირები: კაბიროსი, მისი ვაჟი პაისი, პრატოლაოსი, მიტოსი და კრატეია. ბეოტიური შავფიგურული სკიფოსი. ძვ.წ. IV ს. ათენი. არქეოლოგიური მუზეუმი.



შურისგების ფრთოსან ქალღმერთებს, ერინიებს გველები აქვთ თმების ნაცვლად და ხელშიც გველები უჭირავთ. კრატერი. დაახლ. ძვ.წ. 340 წ. კარლსრუე. ბადენის მუზეუმი.



თანატოსისა და ჰერაკლეს ორთაბრძოლა. ჰერაკლე ერკინება სიკვდილის ღმერთს, რათა წაართვას ალკესტისი და დაუბრუნოს იგი მეუღლეს – თავის მეგობარ ადმეტოსს. წითელფიგურული პელიკა. ძვ.წ. 480-470 წწ. პარიზი. ლუვრი.



ძილის ღმერთ ჰიპნოსსა და სიკვდილის ღმერთ თანატოსს ბრძოლის ველიდან გამოაქვთ დაღუპული მეომრის გვამი. კილიქსი. ძვ.წ. 500-490 წწ. ბრიტანეთის მუზეუმი.

ქალებმა დახოცეს კუნძულის ყველა მამაკაცი. ერთადერთი, ვინც გადარჩა ცოცხალი, იყო დიონისეს ვაჟი, კუნძულის მეფე თოასი, რომელიც მისმა ასულმა, ჰიფსიპილემ იხსნა.

## იდას დაქტილები

საოცრად მოევლინნენ დიდი ქალღმერთის, რეა-კიბელეს თანამგზავრები, იდას დაქტილები („თითები") ქვეყნიერებას. როდესაც რეა ფეხმძიმედ იყო ზევსზე, მიწას ღრმად ჩასჭიდა ხელები მძიმე ტკივილების შესამსუბუქებლად და უეცრად მისი მარცხენა ხელიდან ხუთი ასული წარმოიშვა, მარჯვენიდან კი — ხუთი ვაჟი. ამის საპირისპიროდ, ზოგიერთები ამტკიცებენ, თითქოს დაქტილები ზევსის დაბადებამდე დიდი ხნით ადრე ცხოვრობდნენ იდას მთაზე და რომ ნიმფა ანქიალემ შვა ისინი დიქტეს გამოქვაბულში. სახელმორჭმულნი იყვნენ იდას დაქტილები. როგორც ერთნი ამბობენ, ისინი კუნძულ კრეტაზე ცხოვრობდნენ, სხვათა გადმოცემით კი — ფრიგიაში. მამაკაცი დაქტილები მჭედლები იყვნენ, მათ პირველებმა აღმოაჩინეს რკინის დამუშავების ხერხი. მათი დები კი, რომლებიც სამოთრაკეში სახლობდნენ, დიდ გაოცებას იწვევდნენ თავიანთი ჯადოსნობის ხელოვნებით. მათ ასწავლეს ორფევსს დიდი ქალღმერთის საიდუმლოებანი.

მამაკაცი დაქტილები, როგორც ამბობდნენ, იყვნენ კურეტები, რომლებიც ზევსს იფარავდნენ კრეტაზე. ამის შემდეგ ისინი ელისში გადავიდნენ და აქ კრონოსის ტაძარი ააგეს. მათი სახელები იყო: ჰერაკლე, პეონიოსი, ეპიმედესი, იასიოსი და აკესიდასი. ჰერაკლემ, რომელმაც გადმოიტანა ველური ზეთისხილი ჰიპერბორეელთაგან ოლიმპიაში, თავის ძმებს უბრძანა რბოლის მოწყობა. ასე დაფუძნდა ოლიმპიური თამაშობები. ამბობენ, აგრეთვე, რომ მან გამარჯვებული პეონიოსი ველური ზეთისხილის გვირგვინით შეამკო და რომ ამის შემდეგ მათ ზეთისხილის მწვანე ფოთლებზე ეძინათ. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. სიმართლე კი ისაა, რომ ზეთისხილის

ფოთლები არ გამოიყენებოდა გამარჯვებულის გვირგვინად მეშვიდე ოლიმპიადამდე, ვიდრე დელფოს ქურუმმა არ ბრძანა, ამ ხის ფოთლებით შეცვლილიყო ვაშლის ხის ფოთოლთა გვირგვინი, რომლითაც ადრე თავს უმკობდნენ გამარჯვებულ მოასპარეზეებს.

ფრიგიაშიც ცხოვრობდნენ დაქტილები, რომელთაგან სამი უფროსი ძმის სახელებია აკმონი, დამნამანევსი და კელმისი. ეს ოსტატები მთის ქალღმერთს, ადრასტეას ემსახურებოდნენ. კელმისმა ერთ მშვენიერ დღეს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა ღმერთების დედას, რეას. განრისხებულმა ქალღმერთმა უბრძანა დანარჩენ ორ დაქტილს, დაებათ კელმისი იდას მთაზე ურღვევი რკინის ბორკილებით და ამ მიზნით უმტკიცესი რკინა გამოაჭედინა. პრომეთესა და იქსიონის მსგავსადაა კელმისი შებორკილი. ანდაზასავით შემორჩა მის შესახებ გამონათქვამი „რკინაში ჩასმული კელმისი“, ანუ შებორკილი კელმისი.

## ნიმფები

ღმერთებით არის სავსე სამყარო, ღმერთები მფარველობენ ქვეყნიერებას და საკუთარი ღმერთი ჰყავს ყველაფერს – ტბას, ჭალას და ხეებსაც კი. ოლიმპიელთაგან განსხვავებით, ისინი მცირე ღვთაებანი არიან და მათ ნიმფებს, „ქალწულებს“ უწოდებენ. ეხმარებიან ნიმფები მოკვდავებს, შეუძლიათ უწინასწარმეტყველონ მომავალი ან განკურნონ ისინი. ნიმფები სხვადასხვაგვარნი არიან, მაგალითად, ოკეანოსისა და ტეთისის ასულებს ოკეანიდებს უწოდებენ, ნერევსისა და დორისის ქალიშვილებს – ნერეიდებს, წყაროების, რუების, ნაკადულებისა და მდინარეების მფარველი ქალღმერთები ნაიადები არიან, ტბებისა და ჭაობებისა – ლიმნადები, მთებისა – აგროსტიდები და ორესტიადები, ჭალებისა – ალსეიდები. თავისი სახელი აქვთ ხის ნიმფებსაც. მათ დრიადებსა და ჰამადრიადებს უწოდებენ. ეს ნიმფები განუყოფელნი არიან იმ ხეთაგან, რომლებშიაც ცხოვრობენ და რომელთაც მფარ-

ველობენ. როდესაც ხეებს ჭრიან, მათთან ერთად ნიმფებიც კვდებიან ხოლმე – ჰამადრიადები ხომ მოკვდავნი არიან. ზოგიერთ ხეს თავისი განსაკუთრებული სახის ნიმფა ჰყავს მფარველად, მაგალითად, იფნის ნიმფებს ნიმფა მელიებს უწოდებენ. მეტად ძველი ღვთაებანი არიან ნიმფა მელიები – ისინი ურანოსის სისხლისაგან იშვნენ.

ნიმფები არ ცხოვრობენ ოლიმპოსზე, ისინი დედამიწაზე ბინადრობენ, მაგრამ ღმერთების ბრძანებით ხანდახან მათ სასახლესაც ეწვევიან ხოლმე. მეტად ბრძენნი არიან ნიმფები და გონიერი დედები ხდებიან – ღმერთებთან შეუღლების შემდეგ ისინი ქვეყნიერებას გმირებს უზრდიან ხოლმე.

ნიმფათა განრისხება არ შეიძლება. მათ თავიანთი რისხვა შეუძლიათ სიგიჟის სახით დაატეხონ თავს მოკვდავებს (მათ ხომ ბაკქ ქალებსაც უწოდებენ). პირიქით, მიწიერი ქმნილებანი თაყვანს უნდა სცემდნენ ნიმფებს.

ნიმფათა სალოცავები, ჩვეულებრივ, გამოქვაბულებსა და მღვიმეებში, ტყეებსა და ჭალებში მდებარეობენ.

## პრიაპოსი

პრიაპოსი ბაღების, ნაყოფიერებისა და ხორციელი ტკბობის ღმერთია. აფროდიტესა და ზევსის ვაჟი ეჭვიანმა ჰერამ საშინლად დაამახინჯა და სიყვარულის ქალღმერთს შვილი ერთის ნაცვლად ორი ფალოსით მოავლენინა ამქვეყნად. ამის გამო აფროდიტემ ჩვილი პრიაპოსი მთებში მიატოვა, სადაც ბავშვი იშვილეს მწყემსებმა, სილენოსმა და სატირმა.

პრიაპოსი მფარველობს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს, საჭურისებსა და გარყვნილებს, მაჭანკლებსა და მამათმავლებს, მეთევზეებსა და მეზღვაურებს. მისი გამოსახულებანი იდგა ხოლმე გზებზე, საროსკიპოებსა და ნავსადგურებში, ტყეებსა და ბაღებში, მის სამლოცველოდ ითვლებოდა ყოველი სამზარეულო. პრიაპოსს მარად თან დაჰქონდა სიუხვის რქა, თირსოსი, ჩირაღდანი, ნიღაბი, საფულე, ბაღის ხელსაწყოები და მუსიკალური

ინსტრუმენტები, განსაკუთრებით კი ორმაგი ფლეიტა. მსხვერპლად პრიაპოსს უამრავი რამ ეწირებოდა: ყვავილების გვირგვინი, ხილი და ბოსტნეული, თაფლი, ლობიო, ღვინო, მოზვერები, თხები და კრავები, გოჭები, მტრედები და თევზები. მსხვერპლის სისხლი პრიაპოსის გამოსახულებას ესხურებოდა. მსხვერპლშეწირვა ხდებოდა მარტსა და ივნისში, პრიაპოსის დღესასწაულებზე, რომლებიც საყოველთაო მხიარულებითა და სექსუალური თავაშვებულობით ხასიათდებოდა.

ალვირახსნილ პრიაპოსს მრავალი ქალწული შეუცდენია, მათ შორის ნიმფა ლოტოსიც. მას სურდა, აგრეთვე, კერიის უმანკო ქალღმერთს, ტყეში მძინარე ჰესტიას შეუღლებოდა, მაგრამ ქალღმერთი ვირის უეცარმა ყროყინმა გამოაღვიძა და პრიაპოსმა არჩია, სწრაფად გასცლოდა იქაურობას. მას შემდეგ პრიაპოსს ეჯავრება ვირები და სიამოვნებს, როცა ამ ცხოველებს მის საპატივცემულოდ კლავენ.

პრიაპოსი მონაწილეობდა ხოლმე ნაყოფიერების სხვა ღმერთების, დემეტრეს, დიონისესა და კეთილი ქალღმერთის დღესასწაულებშიც.

## თხისჩლიქებიანი პანი

პრიაპოსის მსგავსად, პანიც არ არის ოლიმპიელი ღმერთი, იგი დედამიწაზე, არკადიის ტყეებში ცხოვრობს. პანი ტყეებისა და ჭალების, საძოვრებისა და მწყემსების ღმერთია, იგი მფარველობს მონადირეებს, მეთევზეებსა და მეფუტკრეებს. დიონისეს თანამგზავრი ეს მხიარული ღმერთი მუდამ ნიმფებითაა გარემოცული, ცეკვავს მათთან ერთად, მღერის და უკრავს თავის გამოგონილ სალამურზე, „სირინგსზე“. მას ნიმფა ექოსაგან ჰყავს ასეთივე მხიარული ქალიშვილი იამბე, რომელმაც თავისი ხუმრობებითა და სიცილით პერსეფონეს დაკარგვით დამწუხრებული დემეტრეც კი გაალიმა.

როდესაც პანი დაიბადა, დედამისმა, ნიმფა დრიოპემ შვილი პირველი დანახვისთანავე მიატოვა. მართლაც საშინელი სანახა-

ვი იყო თხისფეხებიანი, წვერებიანი, კუდიანი და რქიანი ახალშობილი. მაგრამ ბავშვის მამას, ჰერმესს მეტად ესიამოვნა ვაჟის დაბადება, აიტაცა შვილი ხელში და ოლიმპოსზე წაიყვანა ღმერთების გულის გასახალისებლად. პანის დაბადება ყველა ღმერთს გაუხარდა და მისი დანახვისას მხიარულად იცინოდნენ ხოლმე. მაგრამ პანი ოლიმპოსზე არ დარჩენილა, მან არკადიის ტყეებსა და მთებში არჩია დასახლება. აქ იგი ფარებს მწყემსავს და სალამურს აჟღერებს. მუსიკის ხმის გაგონებისთანავე ნიმფები მოირბენენ, ცეკვავენ და მხიარულობენ. როდესაც შუადღის პაპანაქება ჩამოდგება, პანი გამოქვაბულში ან დაბურულ ტყეში ისვენებს და მაშინ მისი მყუდროების დარღვევა მეტად საშიშია. მაგრამ როდესაც პანი არ არის გაბრაზებული, იგი მეტად კეთილგანწყობილია ადამიანთა მიმართ.

პანმა რამდენიმე ნიმფა შეაცდინა, მაგალითად, ექო და მუზების ძიძა ევფემე, რომელმაც მას უშვა კროტოსი, შემდგომ მშვილდოსნის თანავარსკვლავედად რომ იქცა. პანი ტრაბახობდა, აგრეთვე, რომ მას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა დიონისეს ყველა მთვრალ მენადასთან. პანს თავად სელენესთანაც კი გაუზიარებია სარეცელი. ეს ასე მოხდა: პანი თეთრი საწმისით შეიბურა და ამგვარად დამალა თავისი შავი ბალანი და თხის გარეგნობა. სელენემ გადაწყვიტა, მის ზურგზე შემჯდარს გაესეირნა და ყველანაირი სურვილის დაკმაყოფილების ნებაც მისცა.

თუმცა კი ოლიმპიელი ღმერთები დასცინოდნენ პანს უბრალოების გამო, მათ ბევრი რამ ისწავლეს ამ ღმერთისაგან, მაგალითად, აპოლონმა დათაფლული სიტყვებით მოხიბლა პანი და წინასწარმეტყველების ნიჭი სწორედ მისგან მიიღო, ჰერმესმა კი აიღო სალამური, რომელიც პანს დაუვარდა და როგორც თავისი გამონაგონი, ისე მიჰყიდა აპოლონს. პანი ზევსსაც კი დახმარებია ტიტანებთან ბრძოლაში.

ბერძნებს უყვარდათ პანი და მრავალი სალოცავი აუგეს მას. განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ისინი ამ ღმერთს არკადია-

ში, სადაც პანის წმინდა მთა მდებარეობდა. ცნობილია აგრეთვე პანის სახელგანთქმული ტაძრები ათენის აკროპოლისის ფერდობზე გამოქვაბულში და ფილეში (ატიკა), სადაც მას ნიმფებთან ერთად სცემდნენ თაყვანს.

პანს შეუძლია მტრებსა და თავისი მყუდროების დამრღვევებს „პანიკური შიში" ჩაუნერგოს გულში. ბერძნები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მარათონისა და სალამინის ბრძოლებში მათ სწორედ პანი დაეხმარა. ამიტომ მას ათენის აკროპოლისის გამოქვაბული მიუძღვნეს და ყოველწლიურად მის პატივსაცემად მართავდნენ ჩირაღდნებიან მსვლელობებს. როდესაც ფიდიპიდესი ათენიდან სპარტისაკენ მიდიოდა მარათონის ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად, არკადიის მთაზე პანმა სახელით უხმო ფიდიპიდესს და ჰკითხა, რატომ არ სცემდნენ პანს თაყვანს ათენელები, რომელთაც იგი ხშირად დახმარებია. მარათონის ბრძოლის შემდეგ, როდესაც სპარსელებს პანიკური შიში დაეუფლათ და გაიქცნენ, ბერძნებმა პანის საპატივცემულოდ ტაძარი ააგეს და თხისჩლიქებიან ღმერთს მსხვერპლშეწირვებითა და ჩირაღდნიანი პროცესიებით მიაგებდნენ პატივს. პანმა პანიკური შიში ჩაუნერგა გულში გიგანტებსაც, რომლებიც ღმერთებს ებრძოდნენ.

ერთი გადმოცემით, შეცდომით პანის სიკვდილის ამბავიც გავრცელებულა. მისი „გარდაცვალება" ბერძნებს მეზღვაურ თამუსისაგან შეუტყვიათ რომელსაც ღვთაებრივი ხმა შემოესმა ზღვიდან:

— თამუს, მანდ ხარ? როდესაც პალოდესს მიაღწევ, გამოაცხადე, რომ დიდი ღმერთი პანი მოკვდა!

თამუსს შეუსრულებია დანაბარები. ახალ ამბავს ზღვის ნაპირას კვნესითა და გლოვით შეხვედრიან.

## პანი და სირინგსი

პანის სიმახინჯისა მარტო დედას კი არ შეშინებია. ასე დაემართა ნიმფა სირინგსსაც. ამაყი იყო ნიმფა სირინგსი და ყველას სიყვარულს უარყოფდა. არტემისის მსგავსად, ნადირობა მისთვისაც უსაყვარლეს საქმეს წარმოადგენდა. ხშირად სირინგსი

არტემისიც კი ეგონათ ხოლმე, ისე მშვენიერი იყო ახალგაზრდა ნიმფა თავის მოკლე სამოსელში, კაპარჭით მხარზე და მშვილდით ხელში.

ერთხელ პანმა დაინახა სირინგსი და მასთან მიახლოვება მოიწადინა, მაგრამ სირინგსმა დაინახა თუ არა იგი, შეშინდა და მოკურცხლა. გარბის სირინგსი, მისდევს პანი. აგერ, უნდა დაეწიოს კიდევაც. უცებ სირინგსს წინ მდინარე გადაეღობა. სასოწარკვეთილმა ნიმფამ შველა სთხოვა მდინარეს. შეისმინა სირინგსის ვედრება მდინარემ და ქალიშვილი ლერწმად აქცია. მოირბინა პანმა, მოეხვია ასულს, მაგრამ ხელში ლერწამიღა შერჩა. დგას მწუხარე პანი, ნაღვლიანად ოხრავს. ჩუმად შრიალებს ლერწამი. მაშინ პანმა მოჭრა რამდენიმე ღერო, ერთმანეთზე სანთლით მიამაგრა და ტკბილხმოვანი სალამური გააკეთა. ქალიშვილის სახსოვრად პანმა საკრავს სირინგსი დაარქვა. მას შემდეგ სულ თან დააქვს სირინგსი პანს და დაკვრისას მშვენიერი ნიმფა აგონდება.

## როგორ შეეჯიბრა პანი აპოლონს

პანი მეტად ამაყობდა სირინგსზე კარგი დაკვრით, ისე რომ გულზვიადმა შეჯიბრზე თავად აპოლონიც კი გამოიწვია. კეთილხმოვანი ასპარეზობა მიდასის სამფლობელოში, ფრიგიაში, თმოლოსის მთაზე დაინიშნა (ეს სწორედ ის მიდასია, რომელსაც დიონისემ ყველაფრის ოქროდ ქცევის უნარი უბოძა, რის შესახებაც მოთხრობილია ჩვენი სერიის წიგნში „დიდი ზეციური ღმერთები“). შეჯიბრის მსაჯული ამ მთის ღმერთი იყო. აპოლონი მუსიკალურ ასპარეზობაზე მეწამული სამოსით, ოქროს კითარითა და დაფნის გვირგვინით გამოცხადდა. პანმა პირველმა დაიწყო შეჯიბრი. გაისმა მისი მწყემსური სალამურის უბრალო ხმები, შემდეგ კი აპოლონმა ჩამოჰკრა თითები კითარის ოქროს სიმებს და ღვთაებრივი ჰანგები მოჰფინა იქაურობას. რაღა თქმა უნდა, აპოლონის კითარის საუცხოო ჟღერას უბრალო სალამურის ხმები ვერ შეედრებოდა და თმოლოსის მთის

ღმერთმა გამარჯვება აპოლონს მიაკუთვნა. ყველა ადიდებდა აპოლონს. პანის უბრალო დაკვრას კი აქებდა მხოლოდ მიდასი, ორფევსის მოწაფე. გაბრაზდა მასზე აპოლონი, სტაცა ყურებში ხელი და მაგრად მოქაჩა. მას შემდეგ მეფე მიდასს ვირის ყურები ამოეზარდა, რომელთაც იგი გულმოდგინედ მალავდა ფრიგიული ქუდის ქვეშ; აპოლონის გამარჯვებით დამწუხრებულმა პანმა კი დაბურულ ტყეს შეაფარა თავი.

რაც შეეხება მიდასს, ვირის ყურები ბოლოსდაბოლოს მისი სიკვდილის მიზეზი გახდა. დალაქმა, რომელიც მეფეს წვერს პარსავდა, შეამჩნია მიდასს ვირის ყურები, მაგრამ სიკვდილის შიშით ეს ამბავი ვერავის გაუმჟღავნა. რომ ველარ შესძლო გაუმხელელი საიდუმლოს შენახვა, დალაქი წავიდა ტყეში, ამოთხარა ორმო და ჩასჩურჩულა, მეფე მიდასს ვირის ყურები აქვსო. შემდეგ ორმოს მიწა დააყარა, შვებით ამოისუნთქა და მხიარული წავიდა შინისაკენ. მიდასისდა საუბედუროდ, ორმოდან ამოიზარდა ლერწამი. მან შრიალით ამცნო მთელს ქვეყნიერებას დალაქის ნათქვამი. როდესაც მიდასმა შეიტყო, რომ მისი სიმახინჯე აღარავისთვის იყო საიდუმლო, დალაქი სიკვდილით დასაჯა, შემდეგ კი ხარის სისხლი დალია და წამებით აღესრულა.

## შურისმაძიებელი ერინიები

ჰადესში ცხოვრობენ შურისგების ქალღმერთები, გეასა და ურანოსის სისხლისაგან შობილი ერინიები: ტისიფონე, ალექტო და მეგერა – ერინიები, რომლებიც ერებოსში იმყოფებიან და ბევრად უფრო ძველი ღვთაებები არიან, ვიდრე რომელიმე ოლიმპიელი. ზოგნი მათ ქალღმერთ ნიქსისა და ერებოსის შვილებად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ სწორედ ამიტომ არიან ისინი შავბედნი და ბოროტნი. ხშირად ამოდიან ერინიები ჰადესიდან დედამიწაზე ვინმეზე შურის საძიებლად ან სიგიჟის მოსავლენად, ან რაიმე სხვა ბოროტების ჩასადენად. ამბობენ, რომ ერინია ალექტომ, გორგოს შხამით ავსე-

ბულმა, ლათინების დედოფალ ამატეს გულში ნელ-ნელა, გველის სახით ჩაუღვარა ბოროტება და სიგიჟე მოჰგვარა, ხოლო რუტულების ბელადი ტურნუსი კი საბრძოლველად წააქეზა და სისხლისღვრა გამოიწვია.

საზარელი სანახავები არიან ერინიები, მათი დანახვისას მოკვდავებს ყალყზე უდგებათ თმა: ერინიებს გველის თმები, ძაღლის თავები, კუპრივით შავი სხეულები, ღამურას ფრთები და სისხლით სავსე თვალები აქვთ. ამ მოხუცი ქალების პირიდან სისხლი წვეთავს, ხელში კი ანთებული ჩირაღდანი და სპილენძის ლურსმნებიანი მათრახი უკავიათ. ამ მათრახით წამებით კლავენ თავიანთ მსხვერპლს გულბოროტი ქალღმერთები.

ერინიებს ევალებათ, მოისმინონ ჩივილი ახალგაზრდისა ხანდაზმულ ადამიანზე, ბავშვისა — მშობელზე და ასე შემდეგ. ისინი მოსვენებას არ აძლევენ და ხშირად შეუსვენებლივ დასდევენ დამნაშავე ადამიანს ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში. დედის მკვლელობის გამო ერინიები დიდხანს სდევნიდნენ ორესტეს და მკაცრად ეკამათებოდნენ ჭაბუკის ქომაგებს — ათენასა და აპოლონს. ამ ქალღმერთებმა ორესტე ჭკუიდან შეშალეს, და არეოპაგოსის სასამართლოს შემდეგ ძლივძლივობით მოხდა მათი შერიგება ათენასა და აპოლონთან. ამის შემდეგ ერინიებს ევმენიდები — კეთილი ქალღმერთები ეწოდათ, და თავადაც კანონიერების მფარველ ქალღმერთებად იქცნენ.

## ჰიპნოსი და თანატოსი

ჰიპნოსი და თანატოსი, ძილისა და სიკვდილის ღმერთები, ქალღმერთ ნიქსის ვაჟები არიან. ჰიპნოსი, ძილის ღმერთი, კეთილგანწყობილია ადამიანთა მიმართ. იგი მშვიდ დასვენებას ჰგვრის მოკვდავებს და თავისი ულმობელი ძმის, თანატოსისაგან განსხვავებით, მოკვდავების სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს. პირველი ამშვიდებს ადამიანებს, მეორე კი თავისი ულმობელობით ისევე საზარელია ზეციერთათვის, როგორც მოკვ-

დავებისათვის. ჰიპნოსისა და თანატოსის დები არიან მოირები და ქალღმერთები: ერისი და ნემესისი.

კიმერიელთა ქვეყანაში ბინადრობს ჰიპნოსი, აქვეა მისი მთვლემარე და მარად მდუმარე სამფლობელო, რომელშიაც ვერ აღწევენ ჰელიოსის სხივები. აქ არის ლეთეს წყალიც, მახსოვრობას რომ აკარგვინებს ადამიანს და მინდვრის ბალახი, რომლიდანაც ქალღმერთი ნიქსი მიძინების წვენს გამოსწურავს და ქვეყნიერებას აპკურებს. ამ სიჩუმის საბრძანებელში, მღვიმის შუაგულში, შავი ფერის ხის სარეცელზე წამოწოლილა ჰიპნოსი, ასვენებს ჭაბუკი გადაღლილ ფრთებს. მის გარშემო თვლემენ ზმანებანი, უთვალავნი რიცხვით.

მთელ სამყაროზე შეუძლია ჰიპნოსს განავრცოს თავისი ძალაუფლება. უხმაუროდ დააბიჯებს იგი დედამიწაზე ყაყაჩოებით ხელში და ძილს ჰგვრის ქვეყნიერებას. ალერსიანად ეხება უკვდავთა თუ ადამიანთა თვალებს და ღრმა ძილში ახვევს მათ. ძლევამოსილი ღმერთია ჰიპნოსი, ვერავინ უმკლავდება მას. თუკი ჰიპნოსმა მოისურვა, თავად მეხთამტყორცნელი ზევსიც კი ვერ შეიკავებს თავს თვლემისაგან და ძილს მიეცემა, სულაც რომ არ სურდეს დაძინება.

ერთხელ კუნძულ ლემნოსზე ჩავიდა ჰერა და სთხოვა ჰიპნოსს, ძილი მოეგვარა უზენაესი მეუფისათვის, სანამ თვითონ ჰერაკლეს წინააღმდეგ ჩაფიქრებულ ავ ზრახვებს მოიყვანდა სისრულეში. ბრძანების ტოლია ცის დედოფლის თხოვნა. შიშით დათანხმდა ჰიპნოსი ჰერას, მიაგნო ზევსს, თბილად ჩაეღვარა სხეულში და თვალები მიალულინა. ამასობაში ჰერამ ილიონიდან შინ მიმავალ ჰერაკლეს ზღვაზე ქარტეხილი დაატეხა თავს და მისი ხომალდი შორს გასტყორცნა. როდესაც ზევსს გამოეღვიძა და მომხდარი იხილა, გაშმაგდა. განრისხებული, ელვითა და მეხით ხელში, გრგვინვითა და ჭექა-ქუხილით ეძებდა შიშისაგან ფერწასულ და აკანკალებულ ჰიპნოსს, რომელმაც დედასთან, ღამის ქალღმერთ ნიქსთან ჰპოვა თავშესაფარი. ვერა შეჰკადრა რა ნიქსს ზევსმა და თავი მიანება ჰიპნოსს. სამა-

გიეროდ, ურჩობისათვის ჰერა ცაზე ჩამოკიდა და ფეხებზე გრდემლები მიაბა.

გავიდა ხანი და ტროას ომის დროს ჰერამ ხელმეორედ სთხოვა ჰიპნოსს ზევსის დაძინება. უზენაეს დედოფალს ბერძენთა მხარეს სურდა გადაეხარა ბრძოლის სასწორი. ამ სამსახურისათვის ჰეფესტოს მიერ გამოჭედილ, გასაოცარი ოსტატობით შესრულებულ ტახტს ჰპირდებოდა მას ჰერა. დიდხანს უარობდა ჰიპნოსი, დიდხანს სთხოვდა ჰერა. ბოლოს ზევსის მეუღლემ ჰიპნოსს აღუთქვა, რომ ცოლად გაატანდა უმცროს ქარიტს, პასიფაეს, რომლის სიყვარულსაც ჰიპნოსი კარგა ხანია გულით ატარებდა. გაუხარდა ჰიპნოსს, დააფიცა ჰერა სტიქსის ფიცით და გულმშვიდად შეუსრულა სურვილი.

უვნებელია ძილის ღვთაება და უძლეველი. მოკვდავების სიყვარულით სარგებლობს იგი, განსხვავებით თავისი ძმის, სიკვდილის ღვთაება თანატოსისაგან, რომელიც სახილველადაც კი საზარელია. ეს არის შავ სამოსში გამოწყობილი არსება, რომელსაც ხმალი უჭირავს ხელში. ბედისწერასავით გარდაუვალი და დაუმარცხებელია თანატოსი. როდესაც სიცოცხლის ჟამი დაუმთავრდება ადამიანს, სიკვდილის ღმერთი დაუპატიჟებლად ეწვევა მოკვდავს, ნელ-ნელა უახლოვდება თავის მსხვერპლს თანატოსი. სიცივეს აფრქვევენ მისი ფრთები. უჩუმრად აჭრის ხმლით თმის კულულს და მასთან ერთად სულსაც ამოართმევს სხეულიდან. მხოლოდ ორმა მოკვდავმა შეძლო სიკვდილის დამარცხება, ჰერაკლემ და სისიფოსმა. საფლავებს შორის დამალული ჰერაკლე დაელოდა თანატოსის მოსვლას, სძლია სიკვდილის ღმერთს და იხსნა თავისი მეგობრის, ადმეტოსის მეუღლე ალკესტისი დაღუპვისაგან (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით გიამბობთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“).

თანატოსს სძლია სისიფოსმაც, მაგრამ არა ძალით, როგორც ჰერაკლემ, არამედ მოხერხებით. მან შებორკა სიკვდილის ღვთაება და ტყვეობაში ჰყავდა სამი წელი, რომელთა გან-

მავლობაშიც აღარავინ კვდებოდა. შეწუხდა მიწისქვეშეთის მბრძანებელი, რადგან აღარავინ სწირავდა მსხვერპლს, და ეს ამბავი ზევსს შესჩივლა. ჰადესის თხოვნით, ზევსმა სიკვდილის ღმერთის დასახსნელად თავისი ვაჟი არესი გაგზავნა. დიდი გაჭირვებით შეძლო ომის ღმერთმა, დაეხსნა ტყვეობიდან თანატოსი, რომელმაც პირველ მსხვერპლად თავისი მტანჯველი სისიფოსი წაიყვანა ჰადესისაკენ.

ჰიპნოსი და თანატოსი ხანდახან ღმერთების დავალებებსაც ასრულებენ ხოლმე. ზევსის ბრძანებით, აპოლონმა ტროაში დაღუპული სარპედონის გვამი ჰიპნოსსა და თანატოსს გადასცა ლიკიაში გადასატანად.

# კომენტარები

①

წყაროები და ვარიანტები. ოკეანოსის შესახებ მითების გადმოცემისას ჩვენ ვეყრდნობოდით ჰესიოდეს „თეოგონიას" (133,346-370,382-403,507-518,775-806), აპოლოდოროსსა (I,2,1) და ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეს" (284-396). ჰომეროსი და ჰესიოდე ოკეანოსს და ტეთისს ღმერთების წინაპრებად მიიჩნევდნენ. ჰესიოდე ოკეანოსს უწოდებს ურანოსისა და გეას ვაჟს („თეოგონია", 133), ჰომეროსი კი θεῶν γένεσις-ს („ღმერთების პირველწყაროს") და ყოველივე არსებულის მშობელს („ილიადა", XIV,200-210). აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, ოლიმპოსის პირველი მეუფეები იყვნენ ოფიონევსი და ევრინომე (I,503-506). გვიანდელი წყაროები ოფიონევსსა და, ზოგ შემთხვევაში, ნერევსს ერთმანეთთან აიგივებენ (ვატიკანის მითოგრაფოსები, I,204). ტეთისის შესახებ ცნობებს ვხვდებით ჰესიოდეს „თეოგონიაში" (136,337-346,364).

მითს სტიქსისა და მისი ფიცის შესახებ გადმოგცემთ ჰესიოდეს „თეოგონიის" მიხედვით (361,382-403,775-806). სტიქსს ჰიგინუსი მიიჩნევს ნიქსისა და ერებოსის ასულად (მითების შესავალი, 1), აპოლოდოროსი კი მის შვილთა რიცხვს უმატებს პერსეფონეს (I,3,1). ჰომეროსის ჰიმნებში სტიქსი ფიგურირებს იმ ნიმფათა და ქალღმერთთა შორის, რომლებიც ჰადესის მიერ პერსეფონეს მოტაცებისას დემეტრეს ასულთან ერთად თამაშობდნენ მინდორში (V,424). მეტისის შესახებ მოთხრობილია ჰესიოდესა („თეოგონია", 359) და აპოლოდოროსთან (I,2,1).

კლიმენესა და მისი ვაჟების შესახებ ვეყრდნობოდით ჰესიოდეს „თეოგონიას" (134,351,507-518). არსებობს ვერსიები, რომლებიც კლიმენეს ჰელიოსის ცოლად და ფაეთონის დედად ასახელებენ (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები", II,19). აპოლოდოროსი ატლასს, მე-

ნოიტიოსს, პრომეთესა და ეპიმეთეს იაპეტოსისა და ოკეანოსის ასულ ასიას ვაჟებად თვლის (I,2,2-3), მაშინ როცა ადრეული წყაროების, მაგალითად, ესქილეს მიხედვით, პრომეთეს დედა ქალღმერთი თემისია (ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთე", 18). რაც შეეხება ატლასს, ცნობილია ამ სახელის მქონე ორი მითოლოგიური პერსონაჟი: იაპეტოსისა და კლიმენეს ძე (პრომეთეს ძმა), და პოსეიდონისა და კლეიტოს ვაჟი. პირველი ტიტანია, მეორე კი ატლანტიდის მეფე. პოსეიდონმა კუნძულ ატლანტიდაზე მეფობა გაუყო თავის ვაჟებს და მათ შორის იყო ატლასიც, პოსეიდონის უფროსი ვაჟი. პოსეიდონისა და ატლასის სამფლობელოს, ატლანტიდის შესახებ მხოლოდ გვიანდელი ცნობები არსებობს. ეს მითი გადმოცემულია პლატონის „ტიმეოსსა" (25a) და „კრიტიასში" (108e,114a...). ჩვენს წიგნში მითები ამ ორი ატლასის შესახებ გაერთიანებულად არის წარმოდგენილი.

ატლასის მოტყუებას ჰერაკლეს მიერ მოგითხრობთ აპოლოდოროსის (II,5,11) მიხედვით. ზოგი ვერსიის თანახმად, გმირმა პერსევსმა ატლასს მოკლული გორგო მედუზას თავი აჩვენა და კლდედ აქცია (ოვიდიუსის „მეტამორფოზები", IV,627-661). ატლასს მითები ჰესპერიდების, ჰიადების, შვიდი პლეასის (ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი", 619; ფსევდო-ერატოსთენე, 23; ჰიგინუსის „მითები", 192) და ნიმფა კალიფსოს მამად მიიჩნევენ (ჰომეროსის „ოდისეა", I,52-54). ატლასის მოტყუების შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები".

ჰესპერიდების შესახებ მრავალი ავტორი მოგვითხრობს. ჩვენ ვეყრდნობოდით აპოლონიოს როდოსელის („არგონავტიკა", IV,1396-1430), აპოლოდოროსის (II,5,11), ევრიპიდესა („ჰერაკლე", 394) და ფსევდო-ერატოსთენეს თხზულებებს (3). ჰესიოდე ჰესპერიდებს ღამის – ნიქსის შვილებად მიიჩნევს („თეოგონია", 211,215...), დიოდოროსი კი – ნიმფა ჰესპერისის ასულებად (IV,27). მათი რიცხვი ავტორთა მიხედვით სამი, ოთხი ან შვიდია: ეგლე, ერითია, ჰესტია, ჰესპერა, ჰესპერია, ჰესპერუსა, არეთუსა.

ლადონის შესახებ მითის გადმოცემისას ვეყრდნობოდით ჰესიოდეს („თეოგონია", 333-336), აპოლონიოს როდოსელსა (IV,1397-1405) და აპოლოდოროსს (II,5,11). ზოგი ავტორის მიხედვით, ლადონი ტიფონისა და ექიდნეს შვილია და ასი თავი აქვს (აპოლოდოროსი, II,5,11; ფერეკიდესი, ჰესიოდეს სქოლიონები) ან ფორკისისა და კეტოს ვაჟია (ჰესიოდეს „თეოგონია") ან მიწიდან იშვა (პეისანდროსი). ავტორთა ერთი ნაწილი მოგვითხრობს, რომ ლადონი მედეამ გრძნეულებით დააძინა და ჰესპერიდები ვაშლებად

აქცია, სხვანი კი გადმოცემენ, რომ ჰესპერიდებმა თვითონვე შეაპარეს ძილისმომგვრელი წამალი ლადონს და თავად მიართვეს ვაშლები ჰერაკლეს. მიმნერმოსის თანახმად, ჰესპერიდების ბალში ისვენებს მზე თავისი ყოველდღიური მოგზაურობის შემდეგ.

ქირონის შესახებ მითებს გადმოგცემთ აპოლოდოროსისა (I,2,4) და აპოლონიოს როდოსელის მიხედვით (I,552-558; II,1231-1241). ქირონის მიერ პელიონის იფნისაგან დამზადებული სახელგანთქმული შუბით პელევსის დასაჩუქრებისა და პრომეთესადმი თავისი უკვდავების გადაცემის შესახებ მოგვითხრობს აპოლოდოროსი (II,5,4; III,13,5). ამავე ვერსიით, ჰერაკლემ ქირონის გარშემო შეკრებილ კენტავრებს სტყორცნა ისარი, რომელმაც ერთ-ერთი კენტავრის მხარში გაიარა და ქირონს მუხლში ჩაესო. სხვა გადმოცემით, ქირონი ასე დაიჭრა: როდესაც იგი თავისი სტუმრის, ჰერაკლეს მოწამლულ ისრებს ათვალიერებდა, ერთ-ერთი მათგანი ხელიდან გაუვარდა, ფეხზე დაეცა და დაჭრა.

ნერევსისა და ნერეიდების შესახებ მითის გადმოცემისას გამოვიყენეთ ჰესიოდეს „თეოგონია" (233-264) და აპოლოდოროსი (I,2,7; II,5,11). ზოგი ვერსიის მიხედვით, თეტისმა თავად უარყო ზევსის ყურადღება ჰერას სიყვარულისა და პატივისცემის გამო, რადგან იგი ჰერას აღზრდილი იყო (ჰესიოდე, ფრაგმ. 80; ჰომეროსის „ილიადა", XXIV,59).

გალატეასა და პანის ვაჟის, აკისის ამბავს მოგითხრობთ ჰესიოდესა („თეოგონია", 250) და ოვიდიუსის მიხედვით („მეტამორფოზები", XIII,750-897). პოლიფემოსის უარყოფილი სიყვარული გვიანდელ, ელინისტურ ლიტერატურაში ირონიზებული იდილიის სახით არის წარმოდგენილი (თეოკრიტოსი, XI).

ამფიტრიტეს შესახებ მოგითხრობთ მეორე თავის კომენტარებში.

თავმასის შესახებ ცნობებს გადმოგცემთ ჰესიოდეს მიხედვით („თეოგონია", 237,265-267). ზოგი მითი თავმასის დედად თეტისს ასახელებს (აპოლოდოროსი, I,2,6; ორფიკული ფრაგმენტები, 114,117), ხოლო მეუღლედ კი – ოძომენეს (ჰიგინუსი, „მითები", XIV,47,16).

ჰარპიების მითებს წარმოგიდგენთ ჰესიოდეს („თეოგონია", 267), აპოლონიოს როდოსელისა (II,179-300) და ვერგილიუსის („ენეიდა", VI,289) თანახმად. ჰარპია პოდარგესა და ზეფიროსის შვილების, ღვთაებრივი ცხენების შესახებ მოგითხრობთ ჰომეროსის „ილიადა" (XVI,148-151). სტესიქოროსი პოდარგეს ასახელებს დიოსკურების ცხენების, ფლოგევსისა და ჰარპაგოსის დედადაც.

ფორკისისა და კეტოს მითისათვის ვეყრდნობოდით ჰესიოდეს („თეოგონია“, 237,270-274,295-297,333-336). ზოგი ვერსია ფორკისს ნიმფა თოოსას მამად და პოლიფემოსის ბაბუად წარმოადგენს (ჰომეროსი, „ოდისეა“, I,69-73). სხვა ვარიანტები ფორკისს სკილას მამადაც მიიჩნევენ. რაც შეეხება კეტოს, მას ტიფონის მეუღლედაც აცხადებენ.

გრაიების მითს გადმოგცემთ ჰესიოდესა („თეოგონია“, 270-274) და აპოლოდოროსის (II,4,2) მიხედვით. იხილეთ, აგრეთვე, ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ (IV, 772-777), რომელშიაც ორი გრაიაა მოხსენებული.

გორგონების მითისათვის დავეყრდენით შემდეგ წყაროებს: ჰომეროსი („ოდისეა“, XI,633-635), აპოლოდოროსი (II,4,2-3), ჰესიოდე („თეოგონია“, 270-286,333...), ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, IV,779-802) და ევრიპიდე („იონი“, 989). სხვა ვერსიების მიხედვით, გორგო ქალღმერთ გეას ასული იყო და იგი ათენამ გიგანტომაქიის დროს მოკლა. არსებობს გადმოცემა გორგოს ჰიბრისის შესახებაც: გორგო იმდენად ამაყობდა თავისი მშვენიერებით, რომ ათენას გაეჯიბრა, რის გამოც ქალღმერთმა იგი ურჩხულად აქცია.

ქრისაორისა და გერიონის მითების შესახებ გადმოგცემთ ჰესიოდეს „თეოგონიას“ თანახმად (278-309).

ფრთოსანი ცხენის, პეგასოსის შესახებ მოგითხრობთ შემდეგ ავტორთა მიხედვით: ჰესიოდე („თეოგონია“, 276-286,325), პინდარე („ოლიმპიური ოდები“, XIII,63...) და პავსანიასი (IX,31,3).

ქიმერას მითისათვის გამოვიყენეთ ჰესიოდეს „თეოგონია“ (319-325), აპოლოდოროსი (I,9,3) და ჰომეროსის „ილიადა“ (VI,179-182). ქიმერას სიკვდილი გადმოცემულია ლისიასის მიხედვით.

ექიდნეს მითს გადმოგცემთ ჰესიოდესა („თეოგონია“, 295...) და აპოლოდოროსის თანახმად (II,1,2). ზოგი ვერსია მას ქრისაორისა და ოკეანოსის ასულ კალიროეს ქალიშვილად ასახელებს, ზოგი კი ოკეანოსის ასულ სტიქსისა და პეირასის შვილად, ან გეას ასულად ტარტაროსისაგან (პავსანიასის გადმოცემით, ეპიმენიდე კრეტელი). არისტოფანეს მიხედვით, ექიდნე ასთავიანი ურჩხულია.

ორთავიანი ძაღლის, ორთროსის შესახებ ცნობებს ვხვდებით ჰესიოდეს „თეოგონიასა“ (293,326) და აპოლოდოროსთან (II,5,10). სხვა ვერსიით, ორი ძაღლის თავის გარდა ორთროსს კიდევ გველეშაპის შვიდი თავი ჰქონდა (ცეცე, სქოლიონები ლიკოფრონისათვის, 653).

ჰერაკლეს მიერ ნემეას ლომის მოგუდვის შესახებ გადმოგცემთ შემდეგ ავტორთა თანახმად: აპოლოდოროსი (II,5,1), თეოკრიტოსი (იდილია XXV,211...), დიოდოროსი (IV,11) და ევრიპიდე („ჰერაკლე", 153,359...). ნემეას ლომი, სხვა ვერსიით, საშინელი კრუნჩხვებით შვა სელენემ და იგი დაუვარდა ნემეასთან ახლოს, მთა ტრეტოსზე, ორშესასვლელიან გამოქვაბულში. ნემეას ლომი სელენემ საკუთარ ხალხს გამოუგზავნა, რადგანაც ისინი მსხვერპლს აღარ სწირავდნენ მას (ჰესიოდეს „თეოგონია", 327...; სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „ენეიდასათვის", VIII,295; ჰიგინუსი, „მითები" 30; თეოკრიტოსის იდილია XXV,200...). სხვანი კი ამბობენ, რომ ჰერას სურვილით, სელენემ შექმნა ლომი ზღვის ქაფისაგან და რომ ირისმა შებოჭა იგი თავისი ქამრით და ნემეას მთებში ჩაიყვანა.

ლერნეს ჰიდრას შესახებ ვეყრდნობოდით შემდეგ ავტორებს: ევრიპიდე („ჰერაკლე", 420...), აპოლოდოროსი (II,5,2), დიოდოროსი (IV,11), ჰიგინუსი („მითები", 30), ჰესიოდე („თეოგონია", 313) და ევრიპიდე („იონი", 192). განსხვავებულია მისი თავების რაოდენობაც: ცხრა — ალკეოსთან და აპოლოდოროსთან, ორმოცდაათი — სიმონიდესთან, ასი — ევრიპიდესა და დიოდოროსთან. არის გადმოცემები, სადაც მათი რაოდენობა მხოლოდ 5, 6 ან 12-ია. აპოლონიოს როდოსელის მიხედვით, ლერნეს ჰიდრა იმდენად შხამიანი იყო, რომ დაიხოცნენ ბუზებიც კი, რომლებიც დაეხვივნენ გველ ლადონს, ჰერაკლემ რომ ჰიდრას სისხლში ამოვლებული ისრით განგმირა (IV,1404-1405).

კერბეროსის შესახებ მოგითხრობთ მესამე თავის კომენტარებში.

სფინქსის მითისათვის გამოვიყენეთ აპოლოდოროსი (III,5,8).

განმარტებები. ოკეანოსის (ოკეანეს) სახელს ავტორები სხვადასხვანაირად გამოთქვამენ: Ὠγήν, Ὠκεανός (ჰესიქიოსი), Ὠγενίδαι, Ὠκεανίδαι, Ὠγηνός (ფერეკიდესი), Ὤγενος, Ὠγένιος (პართენიოსი; ამ ეპითეტით სტიქსსაც ახასიათებდნენ). ზოგჯერ მას უკავშირებენ აღმოსავლურ სამყაროს, მაგალითად, პოულობენ საერთოს ამ სახელსა და აქადურ სიტყვა „უგინას" („რკალი") შორის. იმის გამო, რომ ოკეანოსი გარს უვლის დედამიწას, მას უკავშირებდნენ, აგრეთვე, ეპითეტ ἀψόρροος-ს („ის, ვინც საკუთარ თავში ჩაედინება"). ოკეანოსის სახელს მკვლევართა უმეტესი ნაწილი აძლევს „სიღრმეში მბრუნავის" ინტერპრეტაციას და ამას ხსნის იმით, რომ ამ ღმერთის ფუნქციებში შედის დედამიწაზე არსებული წყაროების, ჭებისა და წყალქვეშა მდინარეების მფარველობა. ამ სახელს ხსნიან, აგრეთვე, როგორც ὠκὺς νάω

(„სწრაფად ვცურავ“) ან კიდევ Ὀγύγης („უძველესი“), Ὠγενίδαι, Ὤγενος და Ὠγηνός კი მიუთითებენ სახელის არაბერძნულ წარმომავლობაზე. ოკეანესა და ზღვას ჰომეროსი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან. მისთვის ოკეანე დედამიწას ერტყმის გარს, ზღვა კი მოთავსებულია მის შიდა ნაწილში. ზღვის განსხვავება ოკეანისაგან ეფუძნებოდა იმას, რომ ბერძნებისთვის ოკეანე მტკნარი წყლის ნაკადი იყო, ხოლო ზღვა კი – მლაშე წყალი. მითების მიხედვით, ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობენ კიმერიელები, დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროზე – ეთიოპელები, სამხრეთში კი – პიგმეები, რომელთაც გამუდმებული ბრძოლა აქვთ წეროებთან. ქვემოდან ოკეანეს ემიჯნება მიწისქვეშეთი, ზემოდან კი – ზეცა. ამგვარად, ოკეანოსი (ოკეანე) ზეცისა და ჰადესის საზღვარია. ჰესიოდეს მიხედვით, ოკეანის წყლების ცხრა ნაწილი გარს უვლის დედამიწასა და ზღვას, მეათე კი – სტიქსი – მიწისქვეშეთში მიედინება („თეოგონია“, 786). იგი ოკეანოსს ახასიათებს, როგორც მეტად ძველ, ძალიან ძლიერ და კეთილგანწყობილ ღვთაებას, რომელიც იდუმალებითა და საოცრებებით არის გარემოცული. ინფორმაცია ოკეანოსის კულტის შესახებ მეტად მწირია და მიუხედავად ოკეანოსისადმი მიძღვნილი 83-ე ორფიკული ჰიმნის არსებობისა, ძნელია იმის მტკიცება, რომ ოკეანოსის კულტი ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში.

ოკეანოსის მეუღლის, ტეთისის ნაყოფიერებაზე მიუთითებს ქალღმერთის სახელი, რომელიც უკავშირდება ინდოევროპულ t-eta-ს („დედა“). იგი არის დედა ოკეანიდებისა, რომლებიც, უმეტესწილად, უძველესი ხთონური ღვთაებანი არიან. ოკეანიდებს შორის ჰესიოდეს კატალოგი მოიხსენიებს სტიქსსა და კალიფსოსაც, რომელიც, ძველი წარმოდგენით, მიწისქვეშეთის ერთ-ერთი ღვთაება იყო. ჰესიოდეს მიერ „თეოგონიაში“ ჩამოთვლილი 41 ქალღმერთიდან მიწისქვეშეთს უკავშირდებიან პლუტო, ადმეტე და კლიმენე, რომელთა სახელებიც სინამდვილეში ჰადესის ეპითეტების მდედრობითი სქესის ფორმას წარმოადგენენ. აჩრდილთა სამყაროს უნდა უკავშირდებოდნენ აგრეთვე პერსე და იდიია (კირკეს დედა და აიეტის მეუღლე). რაც შეეხება ოკეანიდების დანარჩენ სახელებს, მათი მნიშვნელობების უმეტესი ნაწილი წყლის სხვადასხვა ნიშან-თვისებას გულისხმობს (ოკეანოსისა და თეტისის შესახებ იხილეთ, აგრეთვე, ჩვენი სერიის წიგნი „ქაოსიდან კოსმოსამდე“).

სტიქსი უკვე ადრეული ხანის ლიტერატურასა და გადმოცემებშია წარმოდგენილი, როგორც ჰადესში მდებარე მიწისქვეშა

წყალი (ჰომეროსი, ჰესიოდე და ფერეკიდესი). მისი სახელის ეტიმოლოგია წარმომდგარია აპელატივიდან და სხვადასხვაგვარად იხსნება: ἡ Στύξ („საძულველი, გამყინავი წყალი"). ჰომეროსთან სტიქსის სახელი გვხვდება, როგორც Στυγοσύδωρ ანუ „საძულველი წყალი". პავსანიასის თანახმად, ეს სახელი პოეზიაში ჰომეროსის შემოტანილია. იგი ჩამოთვლის ფიცის სამ მოწმეს: ცას, მიწას და მიწისქვეშა სტიქსს. ჰესიოდესთან სტიქსი ოკეანის ერთ-ერთი, მეათე ტოტია, რომელიც მაღალი კლდიდან მიწისქვეშ ჩაედინება. სახელი სტიქსი ერქვათ ქალაქებს, წყაროებსა და მდინარეებს კ. როდოსზე და თესალიაში. ამ სახელს უწოდებდნენ, აგრეთვე, ეგვიპტეში მდებარე ჭაობს, სადაც, სენეკას გადმოცემით, ისიდამ ოსირისს მიაკვლია. სტიქსის სიკვდილის მომტან თვისებათა შესახებ აღნიშნავს ყველა ავტორი, რომელიც კი ახსენებს მას. სტიქსის დაფიცებისა ეშინოდათ თავად უკვდავებსაც კი, რადგანაც ფიცის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი მოკვდავებად უნდა ქცეულიყვნენ და სიკვდილიც უნდა განეცადათ (ჰესიოდე, 786). დროთა განმავლობაში გამოირკვა, რომ არკადიულ სტიქსს, რომელიც მითოლოგიური სტიქსის პროტოტიპს წარმოადგენდა, კარგი თვისებებიც გააჩნდა, კერძოდ, იგი ოქროსმომტანი იყო.

ატლასის სახე საკმაოდ გავრცელებულია ძველ ბერძნულ მითოლოგიაში. ჰომეროსი მას ὀλοόφρων-ს („მეტად ბრძენი", „ყოვლისმცოდნე") უწოდებს, ისევე როგორც მინოსსა და აიეტს. მოგვიანებით ამ სიტყვამ მიიღო უარყოფითი ელფერი და „ბოროტის", „სიკვდილის მომტანის" სინონიმი გახდა. ტიტანების შთამომავალი, ტიტანი ატლასი ცხოვრობს მსოფლიო ზღვაში, რომლის შუაშიც ბრუნავს მორევი. მას ჩვეულებრივ გამოხატავენ, როგორც ფეხზე მდგომ ან დაჩოქილ არსებას, რომელსაც ზეცის თაღი და ზოგჯერ მიწაც უკავია (οὐρανὸν καὶ γῆν ἀνέχων) თავით, მხრებით ან დაუღლელი ხელებით. იგი გაუტეხელი ბუნების სიმბოლოა. ზოგი მკვლევარი მას ხსნის, როგორც ცის უჩინარ ღერძს და ცოცხალ ძალას (ἀνάγκη ἔμψυχος „ცოცხალი აუცილებლობა"), რომელიც იკავებს ცის თაღს მიწაზე დაცემისაგან. ამ ასპექტში იგი ძალიან ჰგავს ხურიტული მითოლოგიის გიგანტს, უბელურის, რომელსაც სამყარო უკავია. როგორც ზღვის გოლიათი, ატლასი ზღვების სიღრმეებსაც იცნობს. მისი მეტსახელის ὀλοόφρων-ის განმარტება, როგორც „ვერაგისა", უკავშირდება დემონურ ბუნებას ზღვისა, რომელიც ყოველთვის იყო მიჩნეული ფარული სიბრძნისა და ცბიერების ადგილად. სხვა ავტორები მას თვლიან ლიბიელ მწყემ-

სად, ასტრონომად, რომელმაც შექმნა ცის თაღი, ფილოსოფოსად, ჰესიოდესა და ჰომეროსის წინაპარ ბრძენ მომღერლად და ა.შ.

ჰესპერიდების სახელის გამო (ἑσπέρα „საღამო“) ჰესიოდე მათ ბაღს ოკეანოსთან, ღამის საზღვართან ათავსებს. ჰესპერიდების ბაღი სამოთხის ყველა ნიშან-თვისებას ატარებს, ხოლო ვაშლის ხე მასში სიცოცხლის ხის სიმბოლო უნდა იყოს. მედეას მიერ ჰესპერიდების ვაშლებად ქცევა და საერთოდ, ვაშლებში ჰესპერიდების განხორციელება ამ მითის არქაულ საფეხურს უნდა წარმოადგენდეს. ჰესპერიდების ბაღში მოთავსებული ვაშლები ღმერთების საკვების ერთ-ერთი სახე უნდა იყოს, რომელიც, ამბროსიის მსგავსად, აკრძალული იყო მოკვდავთათვის. სწორედ ამიტომ დააბრუნა ისინი ათენამ უკან. საინტერესოა ვერსია, რომლის მიხედვითაც ჰესპერიდების ბაღში არა ოქროს ვაშლები, არამედ ოქროს ცხვრები იმყოფებოდნენ (μῆλον „ვაშლი“; „ცხვარი“). ეს ვარიანტი ჰესპერიდების მითს უახლოვებს კოლხეთის ბაღს, სადაც გველი იცავს ხეს, რომელზეც ცხვრის ოქროს ტყავი (ოქროს საწმისი) არის ჩამოკიდებული.

ლადონის სახელს უკავშირებენ ზმნას λάζεσθαι=λαμβάνειν და λάδων=λάβρος-ს („ხელს ვტაცებ“). ამას გარდა, ლადონს მიიჩნევენ ლათონადაც – λανθάνω=λάθων („დაფარული ვარ“), რადგანაც იგი დაფარულ ადგილს იცავდა. მას აიგივებენ არესის ურჩხულთან, რომელიც ოქროს საწმისს დარაჯობდა და ამ ასპექტში იგი ტიფონისა და ექიდნეს ვაჟს წარმოადგენს. მრავალია ლადონის, როგორც მითოლოგიური სახის, განსაკუთრებით კი ხეზე შემოგრაგნილი გველის თანხვედრა სხვა ქვეყნების გადმოცემებთან, გილგამეშიანთან თუ ძველ აღთქმასთან, რომელთა განხილვასაც აქ არ შევუდგებით.

ქირონის სახელი მიუთითებს დახელოვნებულ ხელებზე (ბერძნ. χεῖρ „ხელი“). იგი იმ არქაულ ღვთაებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც კავშირი დაამყარეს გმირთა სამყაროსთან და შემთხვევით გმირებისავე ხელით იღუპებიან. ქირონის გვარის გამოყვანა დედისაგან – ფილირიდი (ფილირე ბერძნულად ნიშნავს „ცაცხვს“) მის აშკარა ვეგეტატიურ წარმოშობას ამჟღავნებს. ქირონის მიერ პრომეთესადმი უკვდავების გადაცემა (აპოლოდოროსი, II,5,4) გვიანდელი გადმოცემა უნდა იყოს – პრომეთე ისევე უკვდავი იყო, როგორც ქირონი.

ნერევსს ჰომეროსი უწოდებს γέρων-ს („მოხუცი“), მაგრამ სახელით არსად მოიხსენიებს. უმეტეს შემთხვევებში ნერევსი წინასწარმეტყველებს, თუმცა კი ზოგჯერ ზღვაზე ქარტეხილებს ტეხს

და აცხრობს. იგი ზრდის აფროდიტეს. ნერევსი, პროტევსის მსგავსად, ძველი ზღვის დემონის არქაულ სახეს წარმოადგენს, ბუნების ძალას, რომელსაც შეეძლო აეტეხა ქარტეხილები, გადაეადგილებინა კუნძულები, ებრძოლა ურჩხულებთან. თავისი სახეცვალებადობის უნარით ის საშიში და მოუწყვლადი იყო, იმდენად რომ მხოლოდ ჰერაკლემ გაბედა შებრძოლებოდა მას. ნერევსი უფრო ცნობილია, როგორც ნერეიდების მამა. ავტორთა მიერ წარმოდგენილი ნერეიდების სახელები და რაოდენობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. ნერეიდების სახელთა უმეტესობა წარმოადგენს ეპითეტს ან უკავშირდება ზღვას, მაგალითად, კუმო, კუმოდოკე, კუმოთოე – Κυμώ („ტალღა"), ჰიონე – Ἠιόνη („სანაპირო"), გალენე – Γαλήνη („მშვიდი ზღვა"), აქტაიე – ἀκτή („ზღვის ნაპირი"), ნესაიე – νησαῖη („კუნძულისა"), სპეიო – σπεῖος („გამოქვაბული"), გლავკე – γλαυκή („მოლურჯო ფერისა"). ნერეიდები არიან, აგრეთვე, ნემერტესი – νημερτής („უტყუარი"), პროტო – πρῶτος („პირველი"). ნერეიდებს ხშირად პატივს მიაგებდნენ პოსეიდონთან და ამფიტრიტესთან ერთად. თეტისსა და ამფიტრიტეს თავიანთი საკუთარი საკულტო ცენტრები ჰქონდათ. ამფიტრიტეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ნერეიდების დედასაც და როგორც პოსეიდონის მეუღლეს. ნერეიდებს შორის ჰომეროსი, ჰიგინუსი, ჰესიოდე და აპოლოდოროსი ასახელებენ დორისსაც.

ჰარპიები, არქაული წინარეოლიმპიელი ღვთაებანი, უკავშირდებიან სტიქიონებსა და სიბნელეს. ამაზე მეტყველებს ჰარპიების ურთიერთობა ქარებთან, მათი საკუთარი და ზოგადი სახელები: ჰარპიები (ბერძ. ἁρπάζω „ვტაცებ ხელს, ვიტაცებ"). საინტერესოა ჰარპიების კავშირი ცხენებთან. სხვა ხალხთა მითოლოგიებში სტიქიონებისა და ქარების ღმერთები ცხენებად გამოისახებოდნენ.

ფორკისისა და კეტოს შვილები, შვილიშვილები და მათი კავშირები სხვა ღვთაებებთან მათ წარმოადგენენ წყლის სტიქიის ძალთა განსახიერებად. „ოდისეა" იცნობს ფორკისს, როგორც „ზღვის მეუფეს" ან „ზღვის მოხუცს". ერთ-ერთი მითის თანახმად, ფორკისი იყო სარდინიისა და კორსიკის მეფე, რომელიც საზღვაო ბრძოლის დროს ატლასმა დაამარცხა და დაახრჩო, რის შემდეგაც კუნძულელები მას პატივს მიაგებდნენ, როგორც ზღვის ღვთაებას. ფორკისს თაყვანს სცემდნენ ევბეის სრუტეში, კეფალენიასა და აქაიის არიმნიაში.

გრაიების (ბერძ. „მოხუცები") კავშირი გორგო მედუზასა და პერსევსის მითთან მათ ღრმა სიძველეზე მიუთითებს. ამაზე მეტყ-

ველებს, აგრეთვე, გრაიების წარმოდგენა ზღვის ღვთაებების, ფორკისისა და კეტოს ან კიდევ პონტოსისა და გეას შვილებად. ჰესიოდე ასახელებს გრაიების მხოლოდ ორ სახელს: პემფრედო და ენიო. გრაიებს ზღვის ღვთაებათა ფუნქციები გააჩნდათ, პემფრედო შიშს ჰგვრიდა მეზღვაურებს ქარტეხილების დროს, ენიო ძრწოლით აღავსებდა (φρίσσειν ἐναύω „ძრწოლას ვგვრი“) დაღუპულ ხომალდთა მსხვერპლებს და მათ თავზარდამცემ ყვირილს იწვევდა, რაც შეეხება დინოს, იგი საშინელი მორევი იყო (δινέω „ბრუნვა, ტრიალი“). მითების მიხედვით, გრაიებს გედების სახება ჰქონდათ. გრაიების გედებად გამოსახვა კვლავ ზღვას უკავშირდება, რადგანაც გედი ზღვის ფრინველს წარმოადგენს, სიბრძნის სიმბოლოა და ბედის წინასწარმეტყველება შეუძლია. პერსევსის მიერ გრაიებისათვის კბილისა და თვალის წართმევა ნიმფათა გზის შესატყობად ძალიან ჰგავს ზღვის ღვთაებების, პროტევსისა და ნერევსის იძულებით წინასწარმეტყველებას.

სიტყვა „გორგო“ ბერძნულად ნიშნავს „ამაზრზენს“ (γοργός). ჰომეროსის გმირთათვის არსებობდა არა სამი, არამედ ერთადერთი გორგო, რომლის აჩრდილიც ბინადრობდა ჰადესში („ოდისეა“, XI,633-635). გორგო მედუზას გამოსახულება გამოიყენებოდა ავი სულების დასაფრთხობად. პავსანიასის მიხედვით, გორგო მედუზას თავის გამოსახულება არგონავტების ხომალდის ცხვირზე სწორედ ამ მიზნით იყო მოთავსებული. ტეგეაში მდებარე ქალღმერთ ათენას ტაძარში აჩვენებდნენ რამდენიმე თმის ღერს გორგოს თავიდან, რომელიც თითქოს ათენამ უწყალობა ამ ქალაქს მტრებისაგან დასაცავად. გორგო მედუზას პარალელი შეიძლება დაეძებნოს შუმერულ-აქადურ მითოლოგიაში. მითში გილგამეშის შესახებ, გილგამეში თვალს არიდებს ურჩხულ ხუვავას, რომელსაც სიკვდილი მოაქვს მზერით და ძირში ჭრის კედარს, რაც ხუვავას სიკვდილს იწვევს.

პეგასოსის სახელი (πηγή „წყარო“) უკავშირდება გადმოცემას, რომლის მიხედვითაც იგი იშვა ოკეანოსის სათავესთან, მისი დედის, გორგო მედუზას მკვლელობის ჟამს. სხვა ვერსიით, მისი სახელი მომდინარეობს სიტყვიდან πηγός (πήγνυμι) „ძლიერი [ცხენი]“. პეგასოსთან ერთად იშვა ქრისაორი, თუმცა კი ამ სახელს პეგასოსის ეპითეტადაც მიიჩნევენ. ისევე, როგორც სფინქსი, პეგასოსი უკავშირდება ძველ აღმოსავლეთს. ასურულ მითოლოგიაში მრავლადაა დადასტურებული ფრთოსანი ცხენის გამოსახულებები. მიკენურ პერიოდში იგი არ არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, მისი სახე საბერძნეთში ბნელი წლების დროს უნდა იყოს მოსული

ასურეთიდან, როგორც კულტურული იმპულსი. პეგასოსის უძველესი ტიპი იყო უფრთო. მაგალითად, ძვ.წ. VII ს. მელოსის თიხის რელიეფზე გამოსახულია ფრთიანი ბელეროფონტესი და უფრთო პეგასოსი. პეგასოსის სახე, როგორც ჩანს, ხელოვნებასთან უფრო იყო დაკავშირებული, ვიდრე მითოლოგიასთან. ჰომეროსი მას საერთოდ არ ახსენებს. შესაძლოა პეგასოსს ჰქონოდა არა ზოგადბერძნული, არამედ ადგილობრივი მნიშვნელობა. ჰომეროსთან ფრთები მარტო ირისს აქვს, ისინი არ გააჩნია არც ერთ სხვა მითოლოგიურ პერსონაჟს. ჰესიოდეს დროიდან ფრთოსანი პეგასოსი პანელინური მოვლენაა.

ქიმერას სახელი Χίμαιρα მომდინარეობს „თხის" აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან χίμαιρα. ამიტომაც, მითებში მის შესახებ საუბრისას ძირითადი აქცენტი თხაზეა გადატანილი, თუმცა კი იგი აღწერილია, როგორც სამსახოვანი. ქიმერა წარმოადგენდა სამნაწილიანი წლის კალენდარულ სიმბოლოს, რომლის სეზონური ემბლემებიც იყო ლომი, თხა და გველი. გადმოცემებით იგი მხოლოდ ბელეროფონტესს უკავშირდება. იშვიათად, იგი ცალკეც გამოიხატება და მის გამოსახულებას იყენებდნენ გორგოს ნიღბის ნაცვლად, რათა უბედურება აეშორებინათ თავიდან.

ექიდნეს სახელი Ἔχιδνα მომდინარეობს „გველის" აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვიდან ἔχιδνα. იგი წინარეოლიმპიური ღვთაებაა. გმირების მიერ ექიდნასა და მისი შთამომავლობის დამარცხება ტერიომორფიზმზე ოლიმპიური მითოლოგიის გამარჯვებას წარმოადგენს.

ორთავიანი ორთროსი იყო სირიუსი, ძაღლ-ვარსკვლავი, ათენელთა ახალი წელი. პოლუქსის მიხედვით, იბერიაში, სადაც ორთროსს უწოდებდნენ გარგეთელს (შესაძლებელია მას დავუკავშიროთ ქართული გერგეტი), ამ ძაღლის სახელზე სამლოცველო იყო აგებული (პოლუქსოსი, „ონომასტიკონი", V,46). ზოგნი „ორთროსს" (ὄρθρος „დილა") კერბეროსის ეპითეტად მიიჩნევდნენ („დილისა", ან „მარად-საგუშაგოზე-მდგომი").

ნემეას ლომის მკვლელობასა და მის ტყავს უკავშირებენ გარკვეულ რიტუალებს, რომლებიც ავი სულების განდევნისა და განწმენდისათვის სრულდებოდა. ამგვარადვე ხსნიან იმ ფაქტსაც, რომ გამოსახულებებზე ჰერაკლეს ლომის ტყავი ჯავშნის ზემოდან აცვია.

ლერნეს ჰიდრა იყო წყლის შხამიანი გველი (პავსანიასი). ზოგი ელინისტური ეპოქის ვერსიის მიხედვით, მისი თავების ცენტრში მოთავსებული იყო გველის ან ქალის თავი. ლერნეს ჰიდრას მითს,

ძირითადად, ორგვარად განმარტავენ: როგორც წყაროსთან დაკავშირებულ დრაკონთან ბრძოლას და როგორც კატასტროფების გამომწვევ გველს, რომელსაც ტბის ჰიდრას ნიშან-თვისებები გააჩნია. ტბებს ჩვეულებრივ უკავშირებენ მიწისქვეშა სამყაროში ჩასასვლელს (შდრ. აქერონის ტბა). ამიტომ, ჰერაკლეს მიერ ტბის ლერნეს ჰიდრას დამარცხება შესაძლოა ნიშნავდეს მის მიერ სიკვდილის დამარცხებას.

სფინქსი (ევრიპიდე, „ფინიკიელი ქალები“, 45-49; სქოლიონები ევრიპიდეს „ფინიკიელი ქალებისათვის“, 1760), მითის მიხედვით, ჰერას ბრძანებით მოევლინა თებეს, საპასუხოდ იმისა, რომ ხორციელი სიამოვნების მოყვარულმა ლაიოსმა შეაცდინა ყმაწვილი ქრისიპოსი. სფინქსის დედ-მამად ზოგან ორთროსი და ექიდნე არიან დასახელებულნი და ურჩხულის უფრო ძველი სახელი – ფიქსია წარმოდგენილი (ჰესიოდეს „თეოგონია“, 319-327). სფინქსი ბეოტიაში, ფიკიონის მთაზე ცხოვრობდა. იგი ახრჩობდა და შთანთქავდა ხოლმე თავის მსხვერპლს, რაზეც მეტყველებს მისი სახელი (Σφίγξ), რომელიც ზმნა σφίγγω-დან („ვახრჩობ, [ხელს] ვუჭერ“) არის ნაწარმოები. ამ მითის მიხედვით, ოიდიპოსის გმირობა მის მახვილგონიერებასა და სიბრძნეში კი არა, არამედ სფინქსის იარაღით დამარცხებაში გამოიხატებოდა (პავსანიასი, IX,26,2). არსებობს ცნობა ესქილეს სატირული დრამის „სფინქსის“ შესახებ, სადაც ტყის ღვთაება სილენოსი თავად სფინქსს უსვამს შეკითხვას: „რა მიჭირავს ზურგს უკან, ცოცხალი არსება თუ მკვდარი?“ იმდენად, რამდენადაც სილენოსს ხელში პაწაწინა ჩიტი ეკავა, რომლისთვისაც ყოველ წამს შეეძლო ადვილად მოეგრიხა კისერი, სფინქსს სწორი პასუხის გაცემის საშუალება არ რჩებოდა და ამიტომ თავი დამარცხებულად უნდა ეღიარებინა.

②

წყაროები და ვარიანტები. პოსეიდონის შესახებ დავეყრდენით ჰომეროსს („ილიადა“, I,398-400; VIII,210-211; XIII,10-31; XIV,384-388; XV,185-199,212-217; „ოდისეა“, I,68-79; 380-381; XIII,162-164), ჰესიოდეს („თეოგონია“, 453-457), ოვიდიუსს („მეტამორფოზები“, XI,206...), აპოლონიოს როდოსელსა (III,1240) და აპოლოდოროსს (II,5,9), ლაომედონისა და მისი მუქარის შესახებ კი – ჰომეროსის „ილიადას“ (XXI,444-460). აიაქს ოილევსის ძის დაღუპვის თაობაზე მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „ტროას ომის შემდეგ“.

მითი ამფიტრიტეს მოტაცების შესახებ გადმოვეცით ჰესიოდეს („თეოგონია“, 930), ჰიგინუსისა („პოეტური ასტრონომია“, II,17) და ფსევდო-ერატოსთენესის (31) თანახმად. აპოლოდოროსის მიხედვით, ბენთესიკიმე იყო აღმზრდელი ევმოლპოსისა, რომელსაც დედამისი ქიონე დახრჩობას უპირებდა, რათა მამისაგან დაემალა თავისი კავშირი პოსეიდონთან (III,15,4). ერთ-ერთი მითის თანახმად, პოსეიდონს ამფიტრიტეს ნახვამდე თეტისზე სურდა დაქორწინება, მაგრამ შეაჩერა წინასწარმეტყველებამ, რომლის თანახმადაც, ამ ქალღმერთის მიერ შობილი ვაჟი მამაზე მრავალგზის ძლიერი უნდა გამხდარიყო.

პოსეიდონის შვილების შესახებ მითების გადმოცემისას დავეყრდენით პინდარეს („პითიური ოდები“, VI,50), პავსანიასსა (VIII,25,3-5) და აპოლოდოროსს (III,6,8). სარპედონის შესახებ ცნობები გვხვდება აპოლოდოროსთან (II,5,9), ამიკოსის შესახებ – აპოლონიოს როდოსელთან (II,1-3), ორიონის, ალოადების, სკირონის, ანთეოსის, პოლიფემოსისა და ბუსირისის, ბელოსის, აგენორის, არეიონისა და მინოტავროსის შესახებ – აპოლოდოროსთან (II,5,11; III,1,1; III,6,8; III,1,3-4; „ეპიტომა“, I,2), კიკნოსსა და კერკიონზე მოგვითხრობს ჰიგინუსი („მითები“, 157,187), ქრისაორსა და პეგასოსზე – ჰესიოდე („თეოგონია“, 280-283), პელიასსა და ნელევსზე – ჰომეროსი („ოდისეა“, XI,241-254), თესევსზე – პავსანიასი (I,17,3), ევფემოსზე, ერგინოსსა და ანკევსზე – აპოლონიოს როდოსელი (I,179-189). პოსეიდონის მიერ ცხენების შექმნისა და დემეტრესთან შეუღლების შესახებ მოგითხრობთ პავსანიასისა (VIII,25,4) და აპოლოდოროსის თანახმად (III,6,8). მელანიპესა და პოსეიდონის მითი ევრიპიდეს დაკარგულმა ტრაგედიამ „შებორკილმა მელანიპემ“ შემოგვინახა (ჰიგინუსის „მითები“,186). სხვა ვერსიით, მელანიპე იყო ნიმფა, ამფიქტიონის ვაჟის, ითონოსის შვილის მეუღლე და ბეოტოსის დედა (პავსანიასი, IX,1,1).

ლამიას შესახებ მითი გადმოცემულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: დიოდოროს სიცილიელი (XX,41); პლუტარქე („ცნობისმოყვარეობის შესახებ“, 2), სტრაბონი (I,2,8), პავსანიასი (X,12,1), სვიდა და ჰესიქიოსი, ევსტათიოსის კომენტარები ჰომეროსისათვის (1714).

ჰალიროთიოსის შესახებ იხილეთ აპოლოდოროსი (III,14,2). სხვა ვერსიით, ჰალიროთიოსი პოსეიდონმა გაგზავნა ათენას წმინდა ზეთისხილის მოსაჩეხად, მაგრამ ნაჯახი, რომლითაც მან ხის მოჭრა დაიწყო, ხელიდან გაუვარდა ჭაბუკს და სასიკვდილოდ დაჭრა იგი (სქოლიონები არისტოფანეს „ღრუბლებისათვის“, 1005).

ქალაქებზე მეუფეებისათვის პოსეიდონის ბრძოლის შესახებ მრავალ ავტორთან ვხვდებით ცნობებს. მათგან უმნიშვნელოვანესია პლუტარქე („სიმპოსიაკა", IX,6), ჰიგინუსის „მითები" (164) და პავსანიასი (II,1,6;15,5;22,5;30,6). იხილეთ აგრეთვე ჰეროდოტე (VIII,55), აპოლოდოროსი (III,14,1) და ავგუსტინე („უფლის ქალაქის შესახებ", XVIII,9). ათენასთან დავისას ატიკაში წყაროს აღმოცენება გადმოცემულია ოვიდიუსთან („მეტამორფოზები", VI,75-77), პოსეიდონისა და ჰელიოსის დავა- პავსანიასთან (II,1, 6), ხოლო პოსეიდონის მიერ ჰერასათვის არგოსის წართმევის მცდელობა – პავსანიასთან (II,15,5). პავსანიასის მიხედვით, ათენასა და პოსეიდონს ზევსმა ათენის მფლობელობის თანაბარი უფლებები მიანიჭა, რის გამოც ათენელები ადიდებდნენ ათენა პოლიასსა და მეფე პოსეიდონს, ხოლო მათ ფულზე გამოსახული იყო სამკაპი და ათენას თავი (II,30,6). ათენასა და პოსეიდონის დავის შესახებ მოთხრობილი იყო ჩვენი სერიის წიგნში „დიდი ზეციური ღმერთები".

ამიმონეს შესახებ მითი გადმოცემულია ორი ავტორის, აპოლოდოროსისა (II,1,4) და ჰიგინუსის („მითები", 169) მიხედვით.

პროტევსის ქვეთავისათვის გამოყენებულია ჰომეროსის „ოდისეა" (IV,351-574), ვერგილიუსის „გეორგიკა" (IV,387), ესქილე (ფრაგმენტი 212) და ფილოსტრატოსი „სურათები" (II,17,10). სხვა ვერსიით, პროტევსი ეგვიპტოსის ვაჟია (აპოლოდოროსი, II,1,5) და ფსამათეს მეუღლე (ევრიპიდე, „ელენე", 6) და მემფისში მეფობს. ევრიპიდე („ელენე", 1-20), ლიკოფრონი (112) და ჰეროდოტე (II,112,121) მითს წარმოადგენენ ისე, თითქოს ნამდვილი ელენე ეგვიპტეში ჰყავდა პროტევსს დამალული, ხოლო პარისს ერგო მხოლოდ მისი აჩრდილი, რადგანაც ზევსმა თუ ჰერამ მას ნამდვილი ელენე შეუცვალეს. მენელაოსისა და პროტევსის მითი დაწვრილებით იქნება გადმოცემული ჩვენი სერიის წიგნში „ტროას ომის შემდეგ".

ქარიბდისის, სკილასა და გლავკოსის მითები მოთხრობილია ოვიდიუსის „მეტამორფოზებისა" (XIII,730-737,900-968; XIV,1-69) და ჰომეროსის „ოდისეას" (XII,85-100,245-250) მიხედვით. სხვა ვერსიები სკილას მშობლებად არა ფორკისს, არამედ კრატეისს, ჰეკატეს, ექიდნეს და სხვა მითოლოგიურ პერსონაჟებს ასახელებენ. ცეცეს გადმოცემით, სკილა ურჩხულად აქცია ამფიტრიტემ, რომელმაც შეიტყო, რომ მისი ქმარი პოსეიდონი მას სკილასთან ღალატობდა და ჯადოსნური ბალახი ჩაყარა იქ, სადაც სკილა ჩვეულებრივ ბანაობდა ხოლმე (სქოლიონები ლიკოფრონისათვის, 45,50). ერთ-ერთი ვერსია, ძირითადი მითისაგან განსხვავებით, გლავკოსის ნაცვლად ტრიტონს ასახელებს. სხვა გადმოცემით, სკი-

ლა იყო ფორკისის ასული, იგი მოკლა ჰერაკლემ, მამამ კი მას კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე. სხვა ვარიანტებით, გლავკოსი რომელიღაც წყარომ გახადა უკვდავი ან იგი ზღვაში გადაეშვა მელიკერტესის სიყვარულის გამო, რომელმაც მცირე ხნით მასზე ადრე იცვალა სახე ზღვის ღვთაება პალაიმონად. სკილასა და ქარიბდისს შორის ოდისევსის გავლის ამბავს მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „ტროას ომის შემდეგ".

ტრიტონის მითისათვის გამოყენებულია ჰესიოდე („თეოგონია", 930-933), აპოლოდოროსი (I,4,6) და აპოლონიოს როდოსელი (IV,1551-1586,1756-1758). ტრიტონისა და არგონავტების მითი გადმოცემულია ჩვენი სერიის წიგნში „არგონავტები".

სირენების შესახებ მოგითხრობთ ჰომეროსისა („ოდისეა", XII,158-200) და აპოლონიოს როდოსელის თანახმად (IV,892-898, 900-919). სირენების მშობლებად ასახელებენ მუზა ტერფსიქორეს (აპოლონიოს როდოსელი, IV,892-898), აქელოოსისა და მელპომენეს, კალიოპეს ან სტეროპეს ქალიშვილს ან თავად სტეროპეს (აპოლოდოროსი, I,3,4; 7,10), ან კიდევ ზღვის ღმერთ ფორკისს. ერთ-ერთი გადმოცემა მათ წარმოადგენს, როგორც დაბადებულებს ხთონეს (დედამიწის) მოტეხილი რქიდან ჩამოწვეთილი სისხლის წვეთებისაგან. პართენოპეს მითი წარმოდგენილია სტრაბონთან (I,2,13;18).

პლანქტებსა და სიმპლეგადებზე ცნობებს ვხვდებით აპოლონიოს როდოსელთან (IV,860), ჰომეროსის „ოდისეასა" (XII,61-72) და აპოლოდოროსთან (I,9,22 და 25).

ეოლოსის შესახებ მოგითხრობთ ჰომეროსის („ოდისეა", X,1-75), ოვიდიუსის („ჰეროიდები", XI), ჰიგინუსის („მითები", 238), დიოდოროს სიცილიელის (V,8), ვერგილიუსისა („ენეიდა", I,52-143) და პავსანიასის თანახმად (X,38,2). ზოგი ვერსიით, მაკარევსსა და კანაკეს ჰყავდათ ქალიშვილი ამფისე, რომელიც შემდეგ აპოლონს შეუყვარდა.

ტელქინების შესახებ მითებს გადმოგვცემს სტრაბონი (X,37; 19; XIV,2,7). სხვა მითების თანახმად, როდა ამფიტრიტეს ქალიშვილია (იხ. ამფიტრიტეს განმარტებანი). დიოდოროსის თანახმად, ტელქინ კაფეირას პოსეიდონის აღზრდაში თალასას (ზღვის) შვილები და ადგილობრივი მაცხოვრებლები ეხმარებოდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ტელქინები კუნძულიდან განდევნეს ჰელიოსის შვილებმა, ხოლო ჰალიას მეუღლე იყო ჰელიოსი. სხვა ვარიანტის თანახმად, კეაში მცხოვრები ტელქინები ისრებით ამოხოცა აპოლონმა, ან მეხით ზევსმა, რათა თავიდან აეცილებინა მათი

გრძნეული ავი თვალი. ტელქინების მშობლებად ასახელებენ პლუტოსსა და გეას, ტარტაროსსა და ნემესისს, ხანდახან კი მათ ერინიების მსგავსად ურანოსის სისხლისაგან შობილებად წარმოადგენენ. ზოგი წყაროს მიხედვით, ტელქინთა რაოდენობა სამი იყო, ზოგი კი მათ ხალხად მიიჩნევს. მითები ტელქინების სახელებსაც მოიხსენიებენ: ქრისოსი (ოქროსი), არგიროსი (ვერცხლისა) და ქალკოსი (სპილენძისა), ან ლიკოსი, სკელმისი და დამნამენევსი, ან მილასი – წისქვილის გამომგონებელი, დემონაქსი თუ დამონი – ტელქინების მმართველი, ან ანტაიოსი, მეგალესიოსი, ორმენოსი, ლიკოსი და სიმონი. იხილეთ აგრეთვე ქვეთავი „მზე-ღმერთი ჰელიოსი“ და მასზე დართული განმარტებანი.

განმარტებები. პოსეიდონის სახელში (მიკენური Ποσειδάων, დორიული Ποτειδάν) ორ ნაწილს გამოჰყოფენ: წოდებითი ბრუნვის *Ποτει („მეუფე“, „მეუღლე“, შდრ. πόσις) და Δᾶς (მიწის ძველი სახელი, შდრ. Δήμητηρ), ანუ „მეუფე ან მეუღლე მიწისა“, რაც ეთანხმება მის ეპითეტს γαιήοχος („მიწისმპყრობელი“) (ზოგი მკვლევარი უარყოფს Δᾶς-ის კავშირს მიწასთან). პოსეიდონის მიწასთან კავშირი დასტურდება იმით, რომ აპოლონის კულტამდე დელფოში პოსეიდონს თაყვანს სცემდნენ გეასთან ერთად. უძველესი წარმოდგენა პოსეიდონის შესახებ უკავშირდება ნესტით გაჯერებული მიწის ნაყოფიერებასა და ნაყოფიერების ინდოევროპულ ღვთაებას, რომელიც გამოისახებოდა ცხენის ან ხარის სახით. პოსეიდონს სწირავენ ხოლმე დიდ სამსხვერპლო ხარებს, ხოლო პოსეიდონ ჰიპიოსის („ცხენების მეუფის“) კულტი საყოველთაოდ იყო გავრცელებული საბერძნეთში. მას ჰყავს ცხენთა საკუთარი რემები (პავსანიასი, VIII,14,5,7...), იგი გამოისახება, როგორც მხედარი და მას თაყვანს სცემენ ეტლთა სრბოლით. ნიშანდობლივია ქალაქ ონქესტოსის ჩვეულება. აქ ეტლების ასპარეზობისას დაღუპული მხედარი პოსეიდონის მსხვერპლად ითვლებოდა (ჰომეროსის ჰიმნი აპოლონს, 230-8). ზოგიერთი მითი პირდაპირ უწოდებს პოსეიდონს „ცხენების მამას“ და გადმოსცემს, რომ პოსეიდონმა თავისი თესლი რომელიღაც კლდეს დაანთხია, რის შედეგადაც წარმოიშვა რაში. ამის გამო მას თესალიაში თაყვანს სცემდნენ როგორც პოსეიდონ პეტრაიოსს („კლდეების პოსეიდონს“). ამას გარდა, იგი არის ცხენების, პეგასოსისა და არეიონის მამა, ხოლო არეიონის მამა პოსეიდონი გახდა მას შემდეგ, რაც ულაყად ქცეული შეეუღლა ფაშატ ცხენად გარდასახულ ქალღმერთ დემეტრეს. პოსეიდონი ცხენებით ასაჩუქრებდა მათ, ვინც

უყვარდა. მისი ნაწყალობევი ცხენებით მოიტაცეს პელოფსმა ჰიპოდამია, იდასმა კი მარპესა. უკვდავი ცხენები, ქსანთოსი და ბალიოსი მიუყვანა საჩუქრად პოსეიდონმა პელევსსა და თეტისს ქორწილზე და ეს ცხენები შემდეგ მემკვიდრეობით აქილევსს დარჩა. თავად პოსეიდონის დაბადებაც კი ცხენს უკავშირდება. მისი გაჩენისას რეამ შვილის მამას, კრონოსს, ცხენი მიართვა საჭმელად (პავსანიასი, VIII,8,2). ცხენებთან პოსეიდონის კავშირზე მეტყველებენ მითები, რომელთა მიხედვითაც, პოსეიდონი ტრაბახობდა, რომ აღვირი და თავად ცხენებიც კი მისი შექმნილნი იყვნენ. ამაზე მიუთითებს აგრეთვე მისი სასიყვარულო ურთიერთობა კენტავრ ქირონის შვილიშვილ მელანიპესთან („შავი ფაშატი"). როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, ცხენი-პოსეიდონის კულტი საბერძნეთში ანატოლიიდან შემოვიდა ძვ.წ. XVI საუკუნეში.

კუნძულებზე ბერძენთა დასახლებასთან ერთად პოსეიდონი განუყოფლად დაუკავშირდა ზღვის სივრცეებსაც, მაგრამ რუდიმენტის სახით მაინც შეინარჩუნა ეპითეტები, რომლებიც მიუთითებენ მის კავშირზე მიწასთან: ἐννοσίγαιος და ἐνοσίχθων-„მიწისმრყევლი" (ჰომეროსის „ოდისეა", V,366) და γαιήοχος „მიწისმპყრობელი" (I,68). მისი ეპითეტია აგრეთვე Ἀσφάλιος („უსაფრთხოების [ან სიმყარის] მომცემი") – ამ სახელით აუგეს მას ტაძარი როდოსელებმა კუნძულ თერაზე მიწისძვრის შემდეგ. მითოსი გვიხატავს, თუ როგორ ანგრევს პოსეიდონი თავისი სამკაპით კლდეებს (მაგალითად, აიაქს ოილევსის ძის შემთხვევაში). მან სამკაპით დაამსხვრია ოლიმპოსსა და ოსას მთებს შორის მდებარე კლდეც, ისე რომ ზღვას, რომელიც თესალიას ფარავდა, გადმოდინება შესძლებოდა (ჰეროდოტე, VII,129,4). პოსეიდონს უკავშირებდნენ ბუნებრივ კატასტროფებსაც, მაგალითად, სპარტაში ძვ.წ. 464 წელს მომხდარ მიწისძვრას (თუკიდიდე, I,128,1). როცა ძვ.წ. 373 წელს მიწისძვრის დროს კორინთოსის ყურესთან ორი ქალაქი, ჰელიკე და ბურა წყალმა დაფარა, ხალხმა ეს ამბავი პოსეიდონის სამსხვერპლოს მიმართ ჩადენილ შეცოდებას დაუკავშირა (დიოდოროსი, 15,49; პავსანიასი, VII,24... ჰერაკლიდეს ფრაგმენტები, 46). მიწისძვრის დროს უმღერიან პოსეიდონ პეანს („მკურნალს, მხსნელს") და უხმობენ შელოცვებით მას, როგორც პოსეიდონ ასფალეიოსს („უსაფრთხოების მომცემი").

ნელ-ნელა პოსეიდონის გავლენის სფეროს ჩამოშორდა მიწა და ეს ღმერთი თავისი მეორეული ფუნქციით, წყლის სტიქიონის მეუფედ დამკვიდრდა. პოსეიდონზე, როგორც წყლის სტიქიონის მეუფეზე, მეტყველებს ეპითეტი κρήνουχος („წყაროთა მპყრობელი")

და მისი მოხსენიება პოსეიდონ პროკლისიასტად („წყალდიდობის მომვლენი“). ამ სახელით აუგეს პოსეიდონს არგოსში ტაძარი იმის სამახსოვროდ, რომ ჰერასთან მისი დავის დროს არგოსელთაგან უარყოფილმა პოსეიდონმა მათ ზღვის ვეებერთელა ზვირთები მოუვლინა (პავსანიასი, II,22,5. ტროიძენის დაბლობის დატბორვა ძვ.წ. XIV ს-ით თარიღდება). აკროპოლისზე ერეხთევსის სამლოცველოში თაყვანს სცემდნენ მლაშე წყაროს, რომელიც თითქოს პოსეიდონის სამკაპის დარტყმით იყო მოვლენილი. მიუხედავად პოსეიდონის დამარცხებისა ძლევამოსილ ათენასთან, ტროიძენში ადიდებდნენ „მეფე“ პოსეიდონს (პავსანიასი, II,30,6). იქვე არის პოსეიდონ ფიტალმიოსის ტაძარი იმ უნაყოფობის სამახსოვროდ, რომელიც მოუვლინა პოსეიდონმა დედამიწას, გააჯერა რა იგი ზღვის მარილით და აგრეთვე სამახსოვროდ იმ წყალობისა, რომლითაც მან შეწყვიტა თავისი მრისხანება (II,32,8). პოსეიდონს უკავშირებენ გმირულ სამყაროსაც – იგი ეუღლება ტიროს, რომლისგანაც იბადებიან პელიასი და ნელევსი, ბრძენი ნესტორის მამა (ჰომეროსის „ოდისეა“, XI,241-254). ზღვის ღმერთების მსგავსად, პოსეიდონსაც შეუძლია სახის შეცვლა, მაგრამ ამას გარდა, მას ძალუძს სხვასაც უცვალოს გარეგნობა. მაგალითად, მან თავისი შეყვარებული ალოპე წყაროდ აქცია (ჰიგინუსი, „მითები“, 187), ხოლო მესტრასა და თავის შვილს, პერიკლიმენოსს სახის ცვლილების ჯადოსნური უნარი მიანიჭა (ოვიდიუსის „მეტამორფოზები“, VIII,739-873; XII,556-572; აპოლოდოროსი, I,9,9).

პოსეიდონი განსაკუთრებით მეთევზეების დამხმარე და მეუფეა. ამიტომ, მოქანდაკეები და მხატვრები მას ხელში აჭერინებენ რომელიმე თევზს, ხშირად დელფინს. მეთევზეთა შორის ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს თევზი თინუსი, რომლის დაჭერის დროსაც გამოიყენებოდა სამკაპა ბარჯი, პირველი თევზი კი პოსეიდონს ეწირებოდა მსხვერპლად. ქარტეხილები ზღვაზე პოსეიდონის ნების გამოვლენა იყო. როცა ძვ.წ.480 წელს შტორმმა თესალიაში მძიმედ დააზარალა სპარსეთის ფლოტი, ბერძნებმა პოსეიდონს სამადლობელო მსხვერპლი შესწირეს, ზღვაში ჩაუსხეს სამსხვერპლო სასმელი და ამის შემდეგ თაყვანს სცემდნენ, როგორც პოსეიდონ სოტერს („მხსნელს“). მათ პოსეიდონს არტემისიონის კონცხზე დიდი ქანდაკებაც აუგეს.

ოლიმპიელი პოსეიდონის არქაული ნიშან-თვისებები გამოხატულებას ჰპოვებენ მის მძვინვარე და შლეგ ზნეში, რომლითაც იგი ცდილობს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას. იგი თავს ზევსის თანასწორად მიიჩნევს და როგორც მასზე უფროსს (ჰესიოდე,

„თეოგონია“, 456), სურს ძალაუფლების ხელში ჩაგდება უფროსობისდა მიხედვით, ან, სხვა ვერსიით, როგორც მასზე უმცროსს (ჰომეროსი, „ილიადა“ XV,182) თავისი მძვინვარე ხასიათის გამო უკანონოდ სწადია ზეციერთა მბრძანებელი გახდეს, რისთვისაც იგი მონაწილეობას ღებულობს ზევსის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში. პოსეიდონი თავნებაც არის. იგი მარტო მიდის ოლიმპიელთა ნების წინააღმდეგ – ათი წლის განმავლობაში უგზო-უკვლოდ ახეტიალებს ოდისევსს.

პოსეიდონის სამფლობელოს, ატლანტიდას შესახებ არსებული გადმოცემა გვიანდელია. იგი არ არის წარმოდგენილი არც ერთ ძველ ბერძენ მწერალთან ან მითოგრაფოსთან. მისი პირველი მოხსენიება უკავშირდება პლატონს, რომლის შემდეგაც ამ თეორიამ ფართო გავრცელება ჰპოვა. გადმოცემით, ატლანტიდა იყო დიდი კუნძული ჰიბრალტარის დასავლეთ ნაწილში, რომელიც მიწისძვრამ დაანგრია და ზღვაში ჩაძირა.

B-ხაზოვანი ფირფიტები პოსეიდონს პილოსის ერთ-ერთ მთავარ ღმერთად მიიჩნევენ. ცნობა ამის შესახებ შემორჩენილია „ტელემაქიაშიც“: ზღვის სანაპიროზე ნესტორ პილოსელის გამოჩენისას პოსეიდონს დიდ მსხვერპლს სწირავენ. ამას უნდა ემყარებოდეს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც მცირეაზიელი იონიელები ნესტორის პილოსიდან არიან წარმოშობილნი. პოსეიდონისადმი მიძღვნილი პილოსის ცენტრალური სიწმინდე მოთავსებული იყო განცალკევებულ ადგილას მიკალეს მთაზე, სადაც, როგორც „ილიადა“ მიუთითებს, ხარების მსხვერპლშეწირვა ხდებოდა. პოსეიდონის კავშირს პილოსთან ხაზს უსვამს გენეალოგიური მითიც. მასში პოსეიდონი დასახელებულია პელიასისა და ნელევსის მამად, რომლებიც თესალიური იოლკოსისა და პილოსის მეფეები იყვნენ. მის ვაჟებად ასახელებენ, აგრეთვე, ეოლოსსა და ბეოტოსს, ეპონიმებს მხარეებისა, სადაც პოსეიდონს განსაკუთრებით სცემდნენ თაყვანს. პოსეიდონთან დაკავშირებული ეპონიმებია, აგრეთვე, პოტეიდაია ქალკიდიკეში და პოსეიდონია-პესტუმი ქვემო იტალიაში. პოსეიდონი მჭიდროდ უკავშირდება ათენსაც. მითის მიხედვით, იგი იყო მამა თესევსისა, რომელიც, როგორც ათენის მეფე, ათენის წესრიგსა და ერთიანობას უწყობდა ხელს. მითები პოსეიდონს უკავშირებენ აგრეთვე ათენის პირველ მეფეს, ერეხთევსს, რომელიც კულტში პოსეიდონთან არის იდენტიფიცირებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივეს ერთი და იგივე საკურთხეველი ემსახურებოდა, ტაძარსა და ტემენოსს (ღმერთისადმი მიძღვნილ წმინდა მიწას) ერეხთეიონის სახელი შემორჩა. აშკარაა,

რომ საერთობერძნულმა ღმერთმა ლოკალური მამამთავრების კულტი შეავიწროვა და ნაწილობრივ განდევნა კიდეც.

პოსეიდონის სამკაპი და ზევსის მეხი თავდაპირველად ერთი და იგივე იარაღი უნდა ყოფილიყო – წმინდა, ორმხრივ ალესილი ნაჯახი ლაბრისი. განსხვავება მათ შორის მაშინ წარმოიშვა, როდესაც პოსეიდონი ზღვის, ზევსი კი ცისა და ჭექა-ქუხილის ღმერთი გახდა, ანუ როცა კრონიდთა მიერ სამყაროს განაწილების მითი ჩამოყალიბდა.

პოსეიდონი იყო ძველი ხთონური ღვთაება, რომელიც ფლობდა უნივერსალურ ძალაუფლებას. მოგვიანებით, გმირულ საფეხურზე იგი განდევნა ოლიმპიელთა მოთავემ, პატრიარქალურმა ღვთაებამ, ზევსმა. ამის შემდეგ მას უკვე აღარ დაუკავებია ის მაღალი მდგომარეობა, რომელიც ადრე ეკავა და დარჩა უცვლელ ოპოზიციაში ოლიმპოსის მიმართ.

ამფიტრიტეს სახელი მიანიშნებს დედამიწის გარემომცველი ზღვის დინებაზე. მეცნიერთა შორის მისი სახელის შესახებ მრავალი სხვადასხვაგვარი მოსაზრება არსებობს. ზოგს იგი მიაჩნია ნაწარმოებად ბერძნული სიტყვიდან ἀμφιτίθημι („ვიცვამ“), ზოგი კი ამ სიტყვის მეორე ნაწილს τρίζω/τρύζω („ვხმაურობ“, „[ზღვას] ვაქაფებ“) ძირების შემცველად თვლის და ამავე ფუძის მქონე ტრიტონის სახელს უკავშირებს. ჰომეროსი „ილიადაში“ ამფიტრიტეს არ ახსენებს, სამაგიეროდ „ოდისეაში“ წარმოადგენს საკმაოდ ხშირად, თუმცა კი იგი აქტიური პერსონაჟი არც აქ არის. ამფიტრიტე განსხვავდება თავისი ქმედებით ალსავსე ქმრისაგან. იგი ემსგავსება ალეგორიას ზღვისა, როგორც სამყაროს ელემენტისა. ამფიტრიტე „ოდისეაში“ იგივდება ზღვასთან, აქ ზღვის ტალღის ნაცვლად ნახსენებია ამფიტრიტეს ტალღა (κῦμα Ἀμφιτρίτης). იგი ზრდის და უვლის ზღვის საოცრებებსა და ურჩხულებს და მათი მეშვეობით ძრწოლით ავსებს მეზღვაურებს. ამფიტრიტეს ეპითეტებად გვხვდება ἁλὸς βασίλεια („ზღვის დედოფალი“), κλυτή („სახელგანთქმული“), ἀγάστονος („ძლიერ მკვნესარი“) და κυανῶπις („ლურჯთვალება“) (შდრ. პოსეიდონის ეპითეტი κυανοχαίτης „ლურჯკულულებიანი“). ჰომეროსი ამფიტრიტეს ნათესაურ კავშირებზე არაფერს ამბობს. ჰესიოდე მას ნერევსისა და დორისის, აპოლოდოროსი კი ოკეანოსისა და თეტისის ასულად ასახელებს. არეიონისა და პოსეიდონისადმი მიძღვნილ ჰიმნში მას ნერეიდების დედა ეწოდება, ისე რომ აქ ოკეანოსის ასულ დორისის ნაცვლად ნერევსის ცოლად ოკეანისი ამფიტრიტე გამოდის. ოკეანიდები და ნერეიდები, ისევე როგორც ოკეანოსი და ნერევსი, მითებსა

და ლიტერატურაში ხშირად ირევა ერთმანეთში. ოკეანიდებისა და ნერეიდების სახელები ხშირად იდენტურია ჰესიოდეს კატალოგებშიც.

ამფიტრიტე და თეტისი ნერეიდებს შორის გამორჩეულნი არიან. მათ მიჰყავთ ნერეიდების ქორო, და ამფიტრიტე დებთან ისე იქცევა, როგორც ზღვის დედოფალი. ამფიტრიტე „ოდისეაში" დახასიათებულია, როგორც καλὴ Ἀλοσύδνη („ზღვის მშვენიერი ასული"), ეს ეპითეტი კი ამ პოემაში თანაბრად ეწოდება ხოლმე თეტისს და სხვა ნერეიდებს. მეცნიერთა აზრით, თეტისი, ამფიტრიტე და ნერეისი სამსახოვანი მთვარის ქალღმერთის, როგორც ზღვის მმართველის, სახელებია. იმდენად, რამდენადაც პოსეიდონი ეოლიელთა ღვთაებრივ მამად ითვლებოდა, სწორედ იგი უნდა მიჩნეულიყო ქმრად ამ ქალღმერთისა, რომელ სახეშიც არ უნდა ეპოვა მას გამოხატულება. ნერეისი ნიშნავს „სველს", ამფიტრიტე კი – „მესამე ელემენტს", რადგანაც ზღვა მოიაზრება პირველ ელემენტად, ხოლო ამ ზღვაზე არსებული ჰაერი – მეორედ. ამფიტრიტეს შვილებიც ტრიადის წევრებს ემსგავსებიან: ტრიტონი არის ბედნიერი ახალი მთვარე, როდა – სავსე, ხოლო ბენთესიკიმე – საშიში ძველი მთვარე.

როგორც პოსეიდონის ცოლი, ამფიტრიტე მეტად პატივდებულია. ჰომეროსის ჰიმნებში იგი უზენაეს ღმერთებთან ერთად აპოლონის დაბადებას, სხვა ვერსიებით კი პოსეიდონთან ერთად ათენას შობასაც ესწრება. ამფიტრიტეს სახელად ზოგჯერ წარმოდგენილია Ποσειδωνία ან Ποσειδώνη, ანუ, როგორც პოსეიდონის სახელის მდედრობითი სქესის ფორმის სახელები (შდრ. დოდონეში ზევსის ცოლს ერქვა დიონე – მიკენური ტექსტების Di-wi-ja, რომელიც ზევსის სახელის მდედრობითი სქესის ფორმაა).

ამფიტრიტეს საბერძნეთის მრავალ მხარეში სცემდნენ თაყვანს. მას, პოსეიდონსა და ნერეიდებს მეზღვაურები ერთად სწირავდნენ მსხვერპლს. ტაძარი და დღესასწაულები ტენოსში ამფიტრიტეს საზიარო ჰქონდა პოსეიდონთან. აქვე იდგა ტელესიასის მიერ ჩამოსხმული ვეება ქანდაკებები. მას თაყვანს სცემდნენ ლესბოსზეც, სადაც პოსეიდონს – ხარს, ხოლო ამფიტრიტესა და ნერეიდებს პენთელიდების სამეფო გვარის ახალგაზრდა ქალს ცოცხლად უგდებდნენ ზღვაში. ამფიტრიტე გამოისახება როგორც ნერეისი, მაგრამ სამეფო ატრიბუტებით, ლამაზ ქალად, რომელსაც თავზე სველი თმები და ზოგჯერ ბადეც აქვს, საფეთქლებთან კი – კიბორჩხალას მარწუხები, და ამხედრებულია ზღვის ცხოველებზე ან ზის ეტლზე, რომელშიაც ისინი არიან შებმულნი.

პოსეიდონისა და მელანიპეს მითის საფუძველში დევს მიტოვებული და გადარჩენილი ტყუპების ფართოდ გავრცელებული სიუჟეტი. მითში ტოტემიზმის კვალიც შეინიშნება: პოსეიდონი მეცხენეთა და ცხენთა ღმერთია, ხოლო მელანიპეს სახელი კი ითარგმნება, როგორც „შავი ფაშატი".

პროტევსი მითოლოგიაში ზღვის ღვთაებად (δαίμων θαλάσσιος) არის წოდებული. მიუხედავად იმისა, რომ მისი კულტის კვალი არ დასტურდება, მას მაინც ზღვის ღმერთად მიიჩნევდნენ (თეოკრიტოსი). ტელემაქიის მიხედვით, პროტევსი, როგორც ἅλιος γέρων νημερτής („ზღვის მართლისმთქმელი მოხუცი"), დაჯილდოვებულია ზღვის ღმერთების ყველა ატრიბუტით, მაგრამ პოსეიდონის მსახურად (ὑποδμώς) მოიხსენიება. ჰეროდოტესთვის იგი ეგვიპტელი მეფეა, მისი სახელი კი წარმოადგენს ტიტულს „პა-რუტი" („ფარაონი"). პროტევსი მოკვდავია ევრიპიდესათვისაც – πάντων σωφρονέστατος βροτῶν („ყველა მოკვდავზე უფრო ბრძენი"). ვერსიათა სხვაობის გამო გამოჰყოფენ პროტევსის სახელის მქონე ორ პირს, ზღვის ღვთაებასა და ეგვიპტელ მეფეს, თუმცა კი მითების უმეტესობა მათ ერთ პერსონაჟად წარმოადგენს. პროტევსის საცხოვრებელ არეალად ძველ ბერძნებს მიაჩნდათ ქალკიდიკეს რეგიონი, ანდა კუნძული ფაროსი ნილოსის შესართავთან. პროტევსის სახელი (Πρωτεύς, πρῶτος „პირველი", „პირველდაბადებული"), ასევე მისი სახეცვალებადობის უნარი, საფუძველს იძლევა, მასში დანახულ იქნას მატერიის პირველსახე, ყველა სხვა მატერიის მშობელი – წყალი. ფილოსოფოსებს პროტევსი წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც „პირველი" ღვთაება, რომლის დაბადებაცა და არსებობაც დამოუკიდებელი იყო სხვა პირველქმნილი არსებებისაგან. სტოიკოსები პროტევსში ხედავდნენ ეიდოთეას („ფორმის ქალღმერთი") მიერ გაფორმებულ მატერიის ალეგორიას (სქოლიონები ჰომეროსის „ოდისეასათვის", IV,384).

სკილასა და ქარიბდისს მკვლევარები ათავსებენ ბოსფორთან, ლაკონიკეს სამხრეთ ნაწილში – ტენარონთან ან სიცილიის სრუტეში. სკილასა და ქარიბდისის ურჩხულებად გარდასახვის მითები ეტიოლოგიურ გადმოცემებს ჰგავანან, რომლებიც ცდილობენ ახსნან, თუ როგორ დაუკავშირდნენ ეს პერსონაჟები წყლის სტიქიას.

გლავკოსი, როგორც ზღვის ღმერთი, გამოისახებოდა ვეშაპად ან ადამიანად, რომელსაც სხეულის ქვედა ნაწილზე წყალმცენარეები და ნიჟარები ჰქონდა მიკრული. მას უფრო ხშირად ხატავდნენ ხოლმე მელიკერტესთან ან ზღვის სხვა ღვთაებებთან ერთად. მეზღვაურებს სწამდათ, რომ ნათელმხილველობითა და მისნობით

სახელგანთქმულმა აპოლონმა ეს უნარი სწორედ მისგან მიიღო და დარწმუნებულნი იყვნენ გლავკოსის მფარველობაში ზღვის ქარტეხილების დროს. ამასთან, თვლიდნენ, რომ ეს ღმერთი წელიწადში ერთხელ მაინც შემოივლიდა სამყაროს ყველა კუნძულსა და ნავსადგურს, რათა არავისაგან მოკლებოდა თაყვანისცემა. პატივისცემის ნიშნად, მას უწოდებდნენ „მოხუცს“ ან „ზღვის მოხუცს“ და მის სახელს არქმევდნენ ზღვის უბეებს, ისევე, როგორც ტრიტონის, ფორკისისა და ნერევსის შემთხვევაში. თუმცა კი გლავკოსის სახელი არ არის წარმოდგენილიჰომეროსსა და ჰესიოდესთან, მაგრამ მისი მითის ყველა ელემენტი – ჯადოსნური ბალახი, კირკეს გრძნეულება, წყალში გადახტომა – მიუთითებს იმაზე, რომ გლავკოსის მითი წინაბერძნულ სამყაროში იყო ჩამოყალიბებული.

ტრიტონის სახელი, პროტევსის მსგავსად, რიცხვითი სახელისაგან არის ნაწარმოები (τρίτος „მესამე“) და მას და ტრიტონს ერთი უძველესი ზღვის ღვთაების სხვადასხვა სახელებად მიიჩნევენ. ტრიტონის რიგის სახელები არაერთია ბერძნულ მითოლოგიაში, მაგალითად, Τριτογένεια, Ἀμφιτρίτη და ისინი წყალს უკავშირდებიან. ტრიტონს ძირითადად გამოსახავდნენ ისეთ სცენებში, სადაც წარმოდგენილი იყო მხიარული დღესასწაულები და სასიყვარულო ბედნიერების ამსახველი სურათები მშვიდ ზღვებში. მისი ფუნქციები ზღვის დასის წარმომადგენელთა შორის, ხმელეთზე დიონისეს ფუნქციების ანალოგიური იყო. გარდა მხიარულების შემოტანისა, ამ სცენებში ტრიტონი აუწყებს ცოცხლებს იმ სიხარულის შესახებ, რომელიც გარდაცვლილს ნეტართა კუნძულებზე ელოდება მეორე ცხოვრების ჟამს. ტრიტონის მიმართ სრულდებოდა იგივე მსხვერპლშეწირვები და მაგიური ქმედებები, როგორიც სხვა ზღვის ღმერთების მიმართ, მაგრამ ღვინის მსხვერპლშეწირვას ტრიტონის მიმართ, რაც უკავშირდება აგრეთვე დიონისეს თაყვანისცემის გავრცელებას, მივყავართ იმ ცნობილ გადმოცემასთან, რომლის თანახმადაც ტრიტონს უყვარდა ღვინო და იტაცებდა ქალებს, რომლებიც ზღვაში დიონისური ორგიებისაგან განსაწმენდად ჩადიოდნენ, და რომ ამის გამო დიონისე შეებრძოლა მას და დაამარცხა, ანდა მოკლა კიდევაც. დიონისესა და ტრიტონის სასიკვდილო შუღლის შესახებ მოთხრობილია პავსანიასთან. მისი მოწმობით, დიონისეს თაყვანისმცემელნი ტანაგრაში ღმერთის სხეულივით ინახავდნენ ბალზამირებულ ვეშაპს. ისინი ჰყვებოდნენ, როგორ დაუგეს მათ მახე ტრიტონს: ზღვიდან სანაპიროზე ამოსული ტრიტონი დაათვრეს და ჩაძინებულს თავი წააცალეს.

სირენების სახელი Σειρῆνες, Σειρηδόνες ნიშნავს „მომაჯადოვებელს, დამხრჩობს". სირენების გარეგნული ფორმის პროტოტიპი უკავშირდება ანატოლიასა და შუამდინარეთს, სადაც სირენები გამოსახულნი არიან ქალის მკერდითა და ხელებით. წყაროები ჰომეროსის სირენების თავდაპირველ ადგილსამყოფელად თვლიან ქალკისის ევბეას. სირენები ძირითადად ჯგუფად მოიხსენიებიან, მაგრამ ზოგან მათი ცალკეული სახელებიც გვხვდება: თელქსიეპეა, იმეროპე, აგლაოპე, პეისინოე, პართენოპე, ლევკოსია და სხვ. (ჰესიოდე, ევსტათიოსი, აპოლოდოროსი). სასმისებზე სამი სირენა არის ხოლმე გამოსახული, მითებში კი მათი რაოდენობა განუსაზღვრელია. ლიკოფრონი პირველი ავტორია, რომელიც გადმოსცემს მითს სირენების სიკვდილის შესახებ. სირენების თვითმკვლელობას (ან კლდეებად გადაქცევას) „ორფიკული არგონავტიკა" და სტეფანოს ბიზანტიელი უკავშირებენ მათ დამარცხებას სიმღერაში ორფევსთან ან მუზებთან. სირენებს თავდაპირველად „სიკვდილის ანგელოზთა" ფუნქცია ჰქონდათ და მათ დამახასიათებელ ნიშან-თვისებას მსხვერპლის დახრჩობა წარმოადგენდა. მათ „საიქიოს მუზებს" უწოდებდნენ და სასაფლაო ქანდაკებებზე გამოსახავდნენ. ანტიკურობის კლასიკურ პერიოდში ველური ხთონური სირენები იქცევიან ტკბილხმოვან ბრძენ ქალჩიტებად, რომლებიც სხედან ქალღმერთ ანანკეს მსოფლიო ჯარას რვიდან ერთ-ერთ ციურ სფეროზე და თავიანთი სიმღერით სამყაროს დიდებულ ჰარმონიას ქმნიან (პლატონი, „რესპუბლიკა", X,617b). სირენებს ჰქონდათ თავიანთი საერთო კულტი. მათ ტაძარს სორენტოსთან ახლოს ათავსებდნენ. რაც შეეხება ცალკეულ სირენათა თაყვანისცემას, ლიკურგოსის მიხედვით, ნეაპოლში თაყვანისმცემლებს ერთ-ერთი სირენას, პართენოპეს „საფლავთან" მიჰქონდათ საჩუქრები და სისხლიანი შესაწირავი. ატიკელმა ნავარქოსმა (ფლოტის უფროსი) დიოტიმოსმა პართენოპეს საპატივცემულოდ მოაწყო რბოლა ჩირაღდნებით ხელში. ამის წყალობით ქალღმერთის კულტმა უფრო დიდი გავრცელება ჰპოვა და ბოლოს პართენოპე ქალაქ ნეაპოლის ეპონიმი-ქალღმერთი გახდა. არსებობდა, აგრეთვე, სხვა სირენების, ლევკოსიასა და ლიგეიას კულტებიც.

პლანქტები წარმოშობილია სიტყვისაგან πλάζομαι („დავეხეტები"). როგორც ჩანს, ისინი წარმოადგენენ მეტად ადრეულ ხანაში წარმოშობილ მეზღვაურთა ფანტაზიის ნაყოფს.

წარმოდგენა სიმპლეგადების (συμπλήσσομαι „ვეჯახები"), ვეებერთელა მთების შესახებ, რომლებიც ერთმანეთს ეჯახებიან, ფარ-

თოდ არის გავრცელებული სხვადასხვა ხალხების ზღაპრებში, როგორც ხმელეთზე არსებული მთები, ერთმანეთს რომ ეჯახებიან. ბერძნები სიმპლეგადებს ათავსებდნენ ჰერაკლეს სვეტებთან (თანამედროვე ჰიბრალტარი) და იტალიასა და სიცილიას შორის არსებულ სრუტეში ან ბოსფორის სრუტესთან (პინდარე).

ქარები თავდაპირველად ჰერას საკუთრებას წარმოადგენდნენ. მამაკაც-ღმერთებს მათი მართვის უფლება არ ჰქონდათ, რადგანაც ქარების ანუ გარდაცვლილთა სულების მართვა სიკვდილის ქალღმერთის პრივილეგიას წარმოადგენდა. დიოდოროსის მიხედვით, მოკვდავი ეოლოსი ხალხს იალქნების გამოყენებას ასწავლიდა და წინასწარ იცოდა, თუ როგორი მიმართულების ქარები იქროლებდნენ. ქარების ღმერთის რანგში ეოლოსი ჰომეროსმა აიყვანა. ეოლიური კუნძულები, რომელთაც თავიანთი სახელი მის საპატივცემულოდ მიიღეს, მოთავსებულია ისეთ მხარეში, რომელიც თავისი ძლიერი ქარებით არის ცნობილი.

ეოლოსის შვილებს შორის არსებული სასიყვარულო კავშირები, როგორც ჩანს, თავდაპირველად არ მიიჩნეოდა სისხლის აღრევად და საძრახისად. ამდენად, ეოლოსი და ენარეტე არ უნდა ყოფილიყვნენ მოკვდავები. ისინი თორმეტი შვილითურთ, შესაძლოა, ითვლებოდნენ ტიტანებად, რომლებიც შვიდ ციურ სხეულსა და წმინდა კვირის შვიდ დღეს განაგებდნენ. ამის დაშვება გარკვეულწილად ხსნის მათ განსაკუთრებულ მდგომარეობას და ღვთის დარ არსებობას მცურავი კუნძულის მიუდგომელ სასახლეში, სადაც არავინ ზრუნავს სასმელ-საჭმელსა და სამოსელზე და ამ სასახლის ყველა მცხოვრები ნეტარია და ბედნიერი – ეოლოსის ვაჟის სახელია მაკარევსი („ბედნიერი, ნეტარი"), „ნეტარს" კი მხოლოდ ღმერთებს უწოდებდნენ ხოლმე. ღმერთ ეოლოსის ადამიანად წარმოდგენა და მისი შვილების ყოფაქცევის კრიტიკული განხილვა რომაელ მითოგრაფოსებს ეკუთვნის.

ნეფელეს ორეულის შექმნას შეიძლება პარალელი დაეძებნოს ინდურ მითოლოგიაში: ციური ცეცხლის ღმერთის, ტვაშტარის ასული, სარანიუ გაექცა საძულველ ქმარს, ვივასვატს, და მას სანაცვლოდ დაუტოვა თავისი ორეული, რომელიც თვითონვე შექმნა.

ტელქინების ფუნქციებზე მიუთითებს მათი სახელი θέλγω („ვაჯადოვებ") (Θελγῖνες=Τελχῖνες). ტელქინების საცხოვრებელ ადგილად მითებში ყველაზე უფრო ხშირად გვხვდება როდოსი (რომელსაც ტელქინიდასაც კი უწოდებდნენ ხოლმე მათ საპატივცემულოდ) და კეა, ან კრეტა და კვიპროსი – მეტალურგიისა და მჭედლობის ცნობილი ცენტრები, ან ბეოტიის ტევმესოსი და

დელფო, სადაც მათი სახელობის დღესასწაულები „ტელქინიები“ იმართებოდა. მითები ჯადოსან ტელქინებს ახასიათებენ, როგორც გულკეთილებსა და დიდსულოვნებს, ან შურიანებს, გამთვალავებს, ავისმთქმელებს, ჯადოსნებს, ექიმბაშებსა და მომწამვლელებს (კალიმაქოსი, „მიზეზები“). ტელქინების მითში ჯადოქრობისა და მეტალურგიის ცოდნის გარდა, წინ წამოიწევა მათი ზღვის ღმერთებისათვის დამახასიათებელი სახეცვალებადობის უნარი და კავშირი ზღვის ღვთაებებთან, პოსეიდონთან, ოკეანოსის ასულ კაფეირასთან და ჰალია-ლევკოთეასთან. მითებში ტელქინები ზღვის შვილებად არიან დასახელებულნი და, შესაძლოა, თავდაპირველად ზღვის ღმერთებადაც მოიაზრებოდნენ. გარეგნული აღწერილობა მათ სელაპებს ამსგავსებს, მეტალურგიისადმი დამოკიდებულება კი უკავშირებს მჭედლობის ღმერთ ჰეფესტოს. ტელქინების მიერ გამოჭედილი კრონოსის ნამგალი და პოსეიდონის სამკაპი ისევე მიეწერება მათ, როგორც ჰეფესტოს. ტელქინების სახელები სკელმისი და დამნამენევსი ცნობილია სხვა მჭედლების, იდას დაქტილების სახელებადაც. ტელქინთა დაღუპვის მითი მეცნიერთა გამოკვლევების შედეგად ისტორიულ დასაბუთებას პოულობს. არქეოლოგთა მიერ დადგენილია, რომ ძვ.წ. XV საუკუნის შუა წლებში ტელქინების კუნძულთან ახლოს დიდი სეისმური და სხვა სახის ბუნებრივი კატასტროფები მომხდარა (თერას კატასტროფა). როდოსზე ამას ადასტურებენ გეოლოგებიც, რომლებმაც ეს კუნძული გამოიკვლიეს და დაასკვნეს, რომ მასზე მომხდარა წყალდიდობა, რომელსაც სხვა ბუნებრივი კატაკლიზმებიც სდევდა თან.

## ③

წყაროები და ვარიანტები. ჰადესის შესახებ მითების გადმოცემისას ჩვენ დავეყრდენით ჰომეროსის „ილიადას“ (V,395-403; VIII,367-369; IX,158-159,567-571; XV,187-193), „ოდისეას“ (X,488–XI,635; XI,571), ჰომეროსის ჰიმნებსა (V,404,430,445-447,489) და აპოლოდოროსს (II,7,3). იხილეთ, აგრეთვე, პავსანიასი (X,28,1), სტრაბონი (VIII,5,1;3,14), სქოლიონები პინდარეს „ისთმოსური ოდებისათვის“ (VI,32), ევრიპიდეს „ჰერაკლე“ (24) და სერვიუსის განმარტებანი ვერგილიუსის „ეკლოგებისა“ (VII,61). ჰერაკლეს მიერ თესევსის გათავისუფლების შესახებ მოთხრობილია აპოლოდოროსის „ეპიტომაში“ (I,23). ამ მითს უფრო დაწ-

ვრილებით გიამბობთ ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“.

პერსეფონეს შესახებ არსებული მითები გვხვდება ჰომეროსის ჰიმნებში (V,1-20,360-433,445-447), ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (912-914) და აპოლოდოროსთან (I,101-104). პერსეფონეს გველად ქცეული ზევსისაგან შეეძინა დიონისე-ძაგრევსი, რომელიც ტიტანებმა დაგლიჯეს (ორფიკული ჰიმნი, 46; ნონოს პანოპოლელი, „სიმღერები დიონისეზე“ V,562-570; VI,155-165). თესევსისა და პეირითოოსის ჰადესში ჩასვლისათვის იხილეთ აპოლოდოროსი (II,5,12), მისივე „ეპიტომა“ (I,24), ჰიგინუსი („მითები“, 79), დიოდოროს სიცილიელი (IV,26,63), ჰორაციუსი („ოდები“, IV,7,27), სენეკა („ფედრა“, 835...), ევრიპიდე („ჰერაკლე“, 619) და სქოლიონები არისტოფანეს „მხედრებისათვის“ (1368).

მითს ორფევსის ჰადესში ჩასვლის შესახებ მოგითხრობთ ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (X,1-73), ფსევდო-ერატოსთენეს (24), ჰიგინუსის „მითების“ (14,251), დიოდოროს სიცილიელის (IV,25), პავსანიასის (IX,30,3), ევრიპიდეს „ალკესტისისა“ (357) და მისი სქოლიონების მიხედვით.

სისიფოსის შესახებ ცნობებს ვხვდებით სოფოკლეს „ფილოქტეტესში“ (624-625), თეოგნიდესთან (701...), სქოლიონებში ჰომეროსის „ილიადასა“ (VI,153) და „ოდისეასათვის“ (XI,593-598). მითს ჰადესის დაჭრის შესახებ გადმოგვცემენ აპოლოდოროსი (II,7,3) და ჰომეროსი („ილიადა“, V,395-403). აპოლოდოროსის ვერსიით, ჰერაკლემ პილოსელებთან ბრძოლისას დაჭრა ჰადესი და მასთან ერთად ჰერაც, რომლებიც არესსა და პოსეიდონთან ერთად ნელევს პილოსელის მხარეზე იბრძოდნენ.

ჰადესის სამყაროს შესახებ იხილეთ ჰომეროსი („ოდისეა“, X,505,508; XI,487-491) და პავსანიასი (VI,25,2), ადგილმდებარეობისთვის – ჰომეროსის „ილიადა“ (VIII,365-369; XX,61-65); ერებოსისა და ტარტაროსისათვის – „ილიადა“ (VIII,13-16) და „ოდისეა“ (XI,564); მიწისქვეშა მდინარეების შესახებ – ჰომეროსის „ოდისეა“ (XI,513-514); ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI,548-551); ლეთეს წყლის, ქარონისათვის – ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI,295-330); მსაჯულებისათვის – „ოდისეა“ (XI,568-571) და პლატონის „გორგიასი“ (524a); ჰადესში დასჯილებისათვის, ტანტალოსისა და ტიტიასისათვის – „ოდისეა“ (XI,576-600); დანაიდებისათვის – ჰიგინუსი („მითები“, 168), ხოლო იქსიონისათვის კი – პინდარე („პითიური ოდები“, II,21-48 სქოლიონებით). აჩრდილთა სამეფოს აღწერისა და სასჯელთა გრადაციებისათვის – ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI თავი); ელისეს

მინდვრებისათვის – ჰომეროსის „ოდისეა“ (IV,561-569), ნეტართა კუნძულებისათვის – ჰესიოდეს „სამუშაონი და დღენი“ (166-173), ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI,638-650), აპოლოდოროსი (III,X,1) და პინდარეს „ოლიმპიური ოდები“ (II,54-88); ელისეს მინდვრებისა და ტარტაროსის დაყოფისათვის – ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI,540-543).

ჰეკატეს შესახებ მოგითხრობთ ჰომეროსის ჰიმნების (V,52-62), ჰესიოდეს „თეოგონიის“ (421-452), ოვიდიუსის „მეტამორფოზების“ (VII, 177-183), ორფიკული ჰიმნებისა (I) და თეოკრიტოსის (II) თანახმად.

ქარონისთვის იხილეთ ვერგილიუსის „ენეიდა“ (VI,201-211,295-303,385-397,403-416).

კერბეროსის შესახებ დავეყრდენით შემდეგ ავტორებს: ჰომეროსი („ილიადა“, VIII,367... „ოდისეა“, XI,623), ჰესიოდე („თეოგონია“, 306-313,769-774), აპოლოდოროსი (II,5,12), ვერგილიუსი („ენეიდა“, VI,417-423) და ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, VII,406-419). ჰესიოდეს მიხედვით, კერბეროსს 50 თავი ჰქონდა. სხვა ვერსიით, ჰერაკლემ კერბეროსი მიწის ზედაპირზე აიყვანა მრუმე გამოქვაბულის, აკონოსის გზით (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები“, VII,409...; გერმანიკუსის კომენტარები ვერგილიუსის „გეორგიკებისათვის“, II,152; პავსანიასი, III,25,4; IX,34,4). ჰერაკლეს მიერ კერბეროსის ცისქვეშეთში აყვანის მითი გადმოცემული იქნება ჩვენი სერიის წიგნში „ასპარეზზე გამოდიან გმირები“.

განმარტებები. ჰადესის სახელები ''Αιδης, ''Αδης (ძველი და პოეტური ფორმები: 'Αΐδης, დორიული 'Αΐδας და ''Αις), და Αϊδονεύς მიღებულია ზმნიდან α-ἰδεῖν და ნიშნავს „უხილავს, ან მას, ვინც უხილავს გაგხდის“, ან ნაწარმოებია სიტყვიდან ἀΐδιον „მარადისობა“, ან χάδω-დან (χανδάνω) „მოვიცავ“, ან ἀΐδης ან αἰΐδης-დან, რომელიც სიტყვა αἶα-დან და ამგვარად γαῖα-დან („მიწა“) მომდინარეობს. ადგილ ჰადესს ჰქვია ჰაიდუ ἀΐδου („ჰადესისა“ ანუ „ჰადესის სახლი“), და მომდინარეობს ბერძნული ნათესაობითი ბრუნვისაგან, რომელიც კუთვნილებას გამოხატავს.

ჰადესის უხილავობა დაკავშირებულია მის უჩინმაჩინის ჩაჩქანთან. ჰომეროსი „ილიადაში“ მას დიდ ჯადოსნურ ძალას მიაწერს და ჰადესის ჩაჩქანს უწოდებს, ადრე კი იგი კიკლოპთა საკუთრება იყო. ჰადესი აჩრდილთა სამყაროს მეუფის ერთ-ერთი სახელია და დემეტრესადმი მიძღვნილი ჰიმნის ავტორი მას πολυώνυμος-ს „მრავალსახელიანს“ უწოდებს.

ბერძენთათვის ჰადესი წარმოადგენდა სიკვდილის ძრწოლისმომგვრელ ღმერთს, რომელიც ყველაფერ ცოცხალს სდევნიდა. მისი სახელის წარმოთქმა ადამიანისათვის უბედურების მომტანად ითვლებოდა და ამიტომაც ჰადესს რაც შეიძლება იშვიათად ახსენებდნენ (პლატონი, „კრატილოსი“, 403a). ჰადესის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მას ევფემისტურ სახელებს უწოდებდნენ, როგორიცაა Ἄναξ κρατερὸς πολυδέγμων („ძლიერი და სტუმართმოყვარე მეუფე“), Ἄναξ ἐνέρων და ἐνέροισιν ἀνάσσων („მიწისქვეშა სამეფოს მცხოვრებთა მბრძანებელი“), Πολυσημάντωρ („ვინც ყველაზე ხელმწიფობს“), Εὔβουλος („გონიერი“), Κλιμένος („სახელგანთქმული“), Πολυδέγμων („სტუმართმოყვარე“), στυγερός Πολυδέγμων („საზარელი სტუმართმოყვარე“). ბოლო ორ ეპითეტში ის აზრი იყო ჩადებული, რომ ყველა მოკვდავი ბოლოსდაბოლოს ჰადესის სტუმარი ხდება, რადგან სიკვდილს ვერავინ გაექცევა. ამის გამო ჰადესის საბრძანებელი იყო Εὐρυπυλής („ფართოჭიშკრებიანი“), ხოლო ჰადესს კი უწოდებდნენ Πλούτων („მდიდარი“), როგორც უთვალავი ადამიანის სულისა და მიწაში არსებული აურაცხელი სიმდიდრის მეპატრონეს. ეს ეპითეტი ჰადესის ხთონურ წარმომავლობას უსვამს ხაზს. დემეტრესა და პერსეფონეს მსგავსად ჰადესიც მფარველობდა თავთავთა ზრდას და აქედან მომდინარეობდა მისი სიმდიდრეც. ცხენები, რომლითაც ჰადესმა პერსეფონე მოიტაცა, ღვთაებრივნი იყვნენ და უსწრაფესნი და ამის გამო მას უწოდებდნენ Ἀΐδης κλυτόπωλος („თავისი ცხენებით სახელგანთქმულ ჰადესს“). დროთა განმავლობაში ადამიანთა წარმოდგენაში აჩრდილთა მეუფის საზარელი სახე ნელ-ნელა გაფერმკრთალდა და მისი სახელები, რომლებიც მიწისქვეშეთის მეუფის ძლევამოსილებასა ან სისასტიკეზე მიუთითებდნენ, შეერქვათ გმირებს, მაგალითად ადმეტოსს („დაუმორჩილებელი“) ან ნელევსს („სასტიკი“). გვიანდელმა ანტიკურმა ლიტერატურამ ჰადესის პაროდიულ-გროტესკული სახეც კი შექმნა (ლუკიანოსი, „საუბრები აჩრდილთა სამეფოში“).

ჰადესის ეპითეტი πυλάρτης („ჭიშკრისმკეტელი, ჭიშკრის მცველი“) მომდინარეობს შემდეგიდან: თუმცა კი ჰადესს ცივ და უგულო ღვთაებად მიიჩნევდნენ, არავინ ახასიათებდა მას, როგორც უსამართლოსა და ბოროტს, ამდენად მისი „სახლი“ არ იყო ჯოჯოხეთი, მაგრამ იყო ციხე, ხოლო ჰადესი კი მეციხოვნე, ანუ ჭიშკრისმკეტელი. ამ ფუნქციის გამომხატველია მისი გამოსახვა გასაღებებით ხელში. ის, რომ ჰადესის მიერ დაკეტილი მიწისქვეშეთის სამყაროდან ჯერ არც ერთი აჩრდილი არ გაქცეულა

(სისიფოსიც კი – მან ჰადესის ნებართვით დატოვა მიწისქვეშეთი), ჰადესს საძულველ ღმერთად აქცევდა და ამიტომ მას ახასიათებდნენ, როგორც στυγερός-ს („საძულველი").

უკუნი სიბნელე და მდუმარებაა ჰადესის სამფლობელოში და ჰადესსაც მისი საბრძანებლის მსგავსად უწოდებდნენ: ἴφθιμος („ძლევამოსილი"), πελώριος („საზარელი"), κρατερός („ძლიერი"), μέλας („ბნელი"), ἔννυχος („ღამეული"), παγκοίτης („ყველაფრის სიმშვიდეში მომყვანი") და ა.შ. ამგვარი დახასიათება წარმოადგენს მას, როგორც შემაძრწუნებელ, მოძალადე და ბნელ არსებას. მითის მიხედვით, იგი ცბიერიცაა, მან ტახტზე დაჯდომა შესთავაზა თესევსსა და პეირითოოსს, რომლებიც ტახტს ზედ მიეზარდნენ. მიწისქვეშა ღვთაებათა ცბიერებას ხაზს უსვამს აქადური მითოლოგია. გადმოცემაში ადაპას შესახებ, ეამ (ენქიმ) ადაპას მიწისქვეშეთში ჩასვლის წინ სხვა დარიგებებთან ერთად ურჩია, არ მინდობოდა ცის ღმერთ ანუს, არ მიეღო მისგან საჩუქრები, არ დაწოლილიყო და არ ეჭამა მის მიერ შემოთავაზებული სასმელ-საჭმელი, რადგანაც, ეას განმარტებით, ღმერთები ცბიერები არიან, მათი საჩუქრები კი დამღუპველია.

ჰადესს უწოდებენ მიწისქვეშეთის ზევსსაც Ζεὺς καταχθόνιος (ჰომეროსის „ილიადა", IX,457), რაც ხაზს უსვამს მის აბსოლუტურ ძალაუფლებას თავის სამეუფოში. მიკენში თაყვანს სცემდნენ ზევსს ხთონიოსსა და გეა ხთონიას და ნაყოფიერებას შესთხოვდნენ მათ. აქ ჰადესის ატრიბუტი იყო ორკაპა კვერთხი, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იგი მეორე ღმერთია სამყაროში, მნიშვნელობით ზევსის თანასწორი (შდრ. პოსეიდონის სამკაპი და ზევსის მეხი არესის შუბითურთ). უნდა აღინიშნოს, რომ ჰადესისა და გველის თაყვანისცემა მეტად წააგავს ერთმანეთს. ორკაპად მოიხსენიება ხოლმე გველიც, რადგანაც მისი ენა ორად არის გაყოფილი, მისი სახელის ხსენება ჰადესის სახელის მსგავსად ტაბუირებული იყო და იგი, ისევე როგორც მიწისქვეშეთის მეუფე, ხთონურ არსებას წარმოადგენდა (გავიხსენოთ, აგრეთვე, ასკლეპიოსის წარმოდგენა გველად).

ჰადესს უწოდებდნენ, აგრეთვე, პოტეიდაონსაც, რაც პოსეიდონის სახელის დორიულ ვარიანტს წარმოადგენს. ჰადესს ამ სახელით თაყვანს სცემდნენ არა მხოლოდ იმ რეგიონებში, რომლებიც ზღვიდან იყო დაშორებული, როგორიცაა, მაგალითად, ტერიტორია ბეოტიისა და თესალიის ან არკადიის სიღრმეში, არამედ ზღვასთან ძალიან ახლოსაც, ტენარონთან, სადაც პოსეიდონის ტაძარიც არსებობდა.

მისტიური სექტების წევრები ჰადესს მოუხმობდნენ განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელებით, მაგალითად, ძაგრევსით („დიდი მონადირე"), რომელსაც ორფიკოსები დიონისეს მეორე ჰიპოსტასად და ადამიანებისადმი კეთილგანწყობილ ღმერთად მიიჩნევდნენ. ცნობილია მათ მიერ ოქროს ფირფიტებზე შესრულებული წარწერები, რომლებიც შეიცავდნენ რჩევებს, თუ როგორ უნდა გაევლოთ აჩრდილებს დაბრკოლებებით აღსავსე გზა და მიეღწიათ ჰადესამდე.

თუმცა კი ცოლი ჰყავს, ოიკოსი ანუ ოჯახი ჰადესს არა აქვს. ეს აზრი უნდა მოდიოდეს იმ გავრცელებული შეხედულებიდან, რომ ჰადესი უნაყოფოა, თუმცა კი გვიანდელი ტრადიცია მის ქალიშვილებად ფურიებს წარმოადგენს (სერვიუსის განმარტებანი ვერგილიუსის „ენეიდაზე", I,86).

პელასგური რელიგია აღიარებდა ხთონური ღმერთების ტრიადას. ეს ტრიადა შედგებოდა ორი ქალღმერთის, დემეტრესა და კორესაგან, და ერთი ღმერთის, ჰადეს-პლუტონისაგან. დემეტრესა და კორეს კულტის ხასიათის წარმოსადგენად ელევსინის მისტერიები საკმაო მასალას იძლევა, მაგრამ ჰადეს-პლუტონის შესახებ ცნობები მეტად მცირეა. ჰადესის კულტთან დაკავშირებით პავსანიასი მოიხსენიებს მის ტაძარს ელისში და წერს, რომ ელეელები ერთადერთნი იყვნენ, ვინც მას თაყვანს სცემდა (6,25,2). ეს პატივისცემა გამოწვეული იყო იმით, რომ ჰადესმა დახმარება გაუწია ელიურ პილოსს, რომელსაც ჰერაკლე ავიწროვებდა და ამ ბრძოლაში დაიჭრა კიდეც (აპოლოდოროსი, II,7,3). პილოსის ტაძარი წელიწადში ერთხელ იხსნებოდა სიმბოლოდ იმისა, რომ ადამიანი ერთხელ კვდება. ეს იყო ერთადერთი სალოცავი, სადაც ჰადესს მისივე სახელით სცემდნენ თაყვანს. მას უფრო ხშირად დემეტრესა და კორესთან ერთად მიაგებდნენ პატივს, თუმცა კი მსხვერპლს არ სწირავდნენ. ჰადესს დემეტრესა და კორესთან ერთად ტრიფილოსის პილოსთან, მინთეს მთასთან ჰქონდა ტაძარი და ტემენოსი (წმინდა ჭალა). სიწმინდეები, სადაც პლუტონსა და კორეს ერთად სცემდნენ თაყვანს, ავადმყოფთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. ისინი მოინახულებდნენ ხოლმე მათ ტაძარს და მათგან მოელოდნენ განკურნებას. აფროდისიის ერთ-ერთ ტაძარში იყო პლუტონისა და კორეს ქურუმი, რაც ამ ორი ღმერთის კულტების თანაარსებობაზე მეტყველებს. ჰადესის ტაძარში მასთან ერთად პატივს მიაგებდნენ ათენას, რაც წინ წამოსწევს თქმულებას, რომლის მიხედვითაც ეს ქალღმერთი ცოცხალ არსებებს გორგო მედუზას სისხლით კლავდა.

ჰადესის მიერ მინთეს („პიტნა“) მოტაცების სიუჟეტი მომდინარეობდა ალბათ იქიდან, რომ დასაფლავების წეს-ჩვეულებებში გახრწნის სუნის დასაფარავად გამოიყენებოდა პიტნა და მასთან ერთად როზმარინი და მურტი. ქერის სასმელი, რომელსაც სვამდა დემეტრე ელევსინში, ასევე პიტნით იყო შეზავებული.

კორეს („გოგონა“, „ქალწული“), ანუ პერსეფონეს სახელები ანტიკურ მწერლობაში წარმოდგენილია, როგორც Περσέφασσα, Φερσεφόνα, Φερσεπόνη, Φερρέφαττα (ატიკურ დიალექტში), Πηριφόνα და ა.შ. პერსეფონეს სახელს ჰყოფენ ორ ნაწილად: ერთის მხრივ, Φερσε/Περσε და Πηρε/Φερρε, რომლიდანაც Πηρε უნდა წარმოადგენდეს ἀρχι-ს („მთავარი“) ანალოგიას. სახელის მეორე ნაწილი, φασσα კი გამოჰყავთ fāt-yă-დან და უახლოვებენ φονη-ს (φόνος „მკვლელობა“). ზოგი მკვლევარი პერსეფონეს სახელს სემიტურ Paratsaphon-ს უახლოვებს. ფუნქციურად და სახელის მიხედვით მას უკავშირებენ, აგრეთვე, ეტრუსკულ fersu-ს, სადაც იგი სიკვდილის დემონია. პერსეფონეს სახელის შემოკლებულ ვარიანტს, პერსეისს აიგივებენ ხოლმე ჰეკატესთან, რაც მიწისქვეშეთთან მის კავშირს უსვამს ხაზს. პერსეფონეს სახელი ცნობილია მიკენური სამყაროსათვის, როგორც pe-re-sa, ხოლო მინოსურისათვის, როგორც da-pu-ri-to-jo po-ti-ni-ja, მისი მეორე სახელი „კორე“ კი როგორც ko-ro-we-wi-jo.

პერსეფონეში მჭიდროდ არის გადახლართული ძველი ხთონური ღვთაებისა და კლასიკური ოლიმპიური ქალღმერთის ნიშან-თვისებები. იგი საკუთარი ნების წინააღმდეგ მართავს ჰადესს, მაგრამ, ამასთან ერთად, მასში თავს გრძნობს კანონიერ და ბრძენ მბრძანებელად და ისეთივე საშიშია, როგორც მისი მეუღლე. თუმცა იგი ულმობელია („ილიადა“, IX,457), მაგრამ მაინც ეხმარება ჰადესში ჩამოსულ გმირებს და არ შეუძლია დედამიწისა და თავისი მშობლების დავიწყება. როგორც ხთონური ზევს-გველის მეუღლე, პერსეფონე მიეკუთვნება ღრმა არქაიკას, როდესაც ზევსი ჯერ კიდევ აჩრდილთა სამეფოს „მიწისქვეშა“ ღვთაებას წარმოადგენდა. ზევს ხთონიოსისა და პერსეფონეს ამ კავშირის რუდიმენტს წარმოადგენს ზევსის სურვილი, რომ ჰადესმა მოიტაცოს პერსეფონე ასულისა და დედამისის ნების საწინააღმდეგოდ. ჰომეროსი პერსეფონეს ახასიათებს, როგორც ἀγαύη-ს („საოცარი, კეთილშობილი, დიდებული“) ან ἐπαινή-ს („საზარელი“), რაც ამ ქალღმერთის ორ ასპექტს, მარცვლეულთა ქალღმერთსა და მიცვალებულთა დედოფალს უკავშირდება. ეს ორი ასპექტი

ერთ სახეში შერწყმულია იმდენად, რამდენადაც კორე არის მარცვალი, რომელიც უნდა ჩავიდეს მიწაში, ანუ მოკვდეს იმისათვის, რომ ახალმა მარცვალმა გაიხაროს. ჰადესის როლი პერსეფონეს მოტაცების მითში ამბივალენტურია: იგი შეიძლება იტაცებდეს კორეს ქორწინებისათვის, ან სიკვდილისთვის, ან ორივესთვის ერთად. ჰადესის მიერ მოტაცება და მასთან ქორწილი ძველად სიკვდილის მეტაფორებს წარმოადგენდა. ქალღმერთის გაუჩინარება, რასაც ნაყოფიერების წყვეტა ახლავს თან, და უკან დაბრუნება მეტად გავრცელებული მოტივია სხვა ქვეყნების გადმოცემებში, განსაკუთრებით ცნობილია ახლო აღმოსავლეთის, კერძოდ, შუმერულ-ბაბილონური ინანა-იშთარისა და ხეთური ტელეფინუს მითები. ამავე ქარგაზეა აგებული ადონისისა და პერსეფონეს მითიც: აფროდიტეს თხოვნით პერსეფონემ ჰადესში დამალა ჩვილი ადონისი, მაგრამ შემდეგ აღარ მოისურვა მისი დაბრუნება სიყვარულის ქალღმერთისათვის, რის შემდეგაც ზევსმა ადონისს წლის მესამედის აჩრდილთა სამეუფოში გატარება გადაუწყვიტა. პერსეფონეს მოტაცებამ, ჰადესში ჩაყვანამ და უკან დაბრუნებამ საფუძველი მისცა ელევსინის მისტერიების წარმოშობას, რომელშიაც მის თაყვანისმცემლებს ქალღმერთის მკვდრეთით აღდგომისა სჯეროდათ და საკუთარი სიცოცხლის განახლების იმედით იყვნენ გამსჭვალულნი. ელევსინის მისტერიებს გარდა, პერსეფონეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიონისე-ძაგრევსის ორფიკულ კულტშიც. გველად ქცეული ზევსისაგან იგი შობს ძაგრევსს (ორფიკული ჰიმნი, 46; ნონოს პანოპოლელი, „სიმღერები დიონისეზე“ V,562-570; VI,155-165), რომელსაც შემდგომ ტიტანები დაფლეთენ.

პერსეფონეს კულტი გავრცელებული იყო მთელ საბერძნეთში, განსაკუთრებით კი ელევსინში, მეგარაში, თებეში, სიცილიასა და არკადიაში. პერსეფონეს ცალკე არ სცემდნენ თაყვანს, მას პატივს მიაგებდნენ ხოლმე უფრო ხშირად დემეტრესთან, ზოგჯერ კი, როგორც ტრიადის წევრს, ჰადესთან და დემეტრესთან ერთად. მისი სამსხვერპლო ცხოველებია ძროხა, ცხვარი და ღორი, მაგრამ უფრო ხშირად მას მსხვერპლად სწირავდნენ ხოლმე ყვავილებსა და ხილს, განსაკუთრებით კი ბროწეულს, ნაყოფიერების სიმბოლოს.

მითოგრაფოსებისათვის მეტად რთული საქმე იყო ბერძენ ხალხთა იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ არსებული მრავალი და სხვადასხვაგვარი წარმოდგენის ერთ კონკრეტულ გადმოცემად გაერთიანება. მრავალფეროვანი იყო სიკვდილისშემდგომი

ცხოვრების აღწერაც. ჰომეროსის მიხედვით, სული „ფსიქე" (ψυχή „სუნთქვა"), ტოვებდა ადამიანს სიკვდილის ჟამს და ჩადიოდა ჰადესის სახლში. ამის შემდეგ გარდაცვლილთა აჩრდილები ცხოვრობდნენ საფლავებში, მიწისქვეშა გამოქვაბულებსა თუ ნაპრალებში, სვამდნენ ზედაშესა და სისხლს და კეთილად განეწყობოდნენ მათ მიმართ, ვინც მსხვერპლი შესწირა. მიცვალებული სურვილისამებრ ამოდიოდა საფლავიდან, დახეტიალობდა თავის საფლავთან ახლოს და გამვლელებს აშინებდა. აქ გარდაცვლილებს შეეძლოთ მიეღოთ გველის, ღამურას, თაგვის სახე, გარდა ადამიანის სახისა. ამ წარმოდგენას უარყოფდა სხვა ვარიანტი, რომლის თანახმადაც გარდაცვლილთა სულებს შეეძლოთ კვლავ გამხდარიყვნენ ადამიანები, თუკი ისინი შევიდოდნენ ლობიოში, თხილ-კაკალსა და თევზში, რომლებსაც მათი მომავალი დედები შეჭამდნენ. მსგავსი შეხედულება ჰქონდათ ორფიკოსებს, რომლებიც აღიარებდნენ სულთა გადასახლების თეორიას და მიიჩნევდნენ, რომ შესაძლებელი იყო გადასახლების პროცესის გარკვეული კონტროლი შესაბამისი შელოცვების გამოყენებით.

ზოგი ვარიანტის თანახმად, გარდაცვლილთა სულები მიემართებიან შორს, ჩრდილოეთისაკენ, სადაც არასოდეს ანათებს მზე, და ხანდახან ბრუნდებიან კიდეც უკან გამანაყოფიერებელი წვიმების სახით. ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ, სხვა გადმოცემები მიიჩნევენ, რომ მიცვალებულთა აჩრდილები მიდიან შორს, დასავლეთისაკენ, სადაც მზე ჩადის ოკეანეში და არსებობს აჩრდილთა სამყარო, რომელიც მეტად ჰგავს ჩვეულებრივს. მსგავსი წარმოდგენა არსებობდა მეფე-ქურუმთა სულებზე, რომლებიც, ზოგი ვერსიის თანახმად, ხილული ფორმით ცხოვრობდნენ მიცვალებულთა კუნძულებზე.

თუმცა კი მითებში ჰადესის სამყაროს აღწერილობა მრავალფეროვანია, უმეტეს მათგანში ხაზგასმულია მდინარის (მდინარეების, ტბისა თუ წყაროს) არსებობა. აღსანიშნავია მდინარეთა მნიშვნელობების მსგავსება: სტიქსი „საძულველი", აქერონი „მწუხარების ნაკადი", კოკიტოსი „მკვნესარე", ლეთე „დავიწყება" და პირიფლეგეთონი „მოგიზგიზე". ზოგიერთი მდინარე გეოგრაფიულ დადასტურებას პოულობს, ზოგი კი ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს. მდინარე სტიქსის სახელით არკადიაში ცნობილი იყო პატარა წყარო, რომლის წყალიც მომწამვლელად ითვლებოდა. ლეთე, აქერონი და კოკიტოსი გამოგონილი სახელებია, რომელთა მეშვეობითაც მითოგრაფოსები სიკვდილის სამყაროს დახასიათებას ცდილობდნენ. შეთხზულია აგრეთვე პირიფლეგეთონიც,

რომელიც უკავშირდება კრემაციას ან გადმოცემას, რომლის მიხედვითაც ცოდვილები ლავის ნაკადებში იწვებიან.

მდინარეებთან, კერძოდ კი ლეთესა და მახსოვრობის მდინარესთან, მითების თანახმად, შავი და თეთრი ალვის ხეები იდგა. პირველნი სიკვდილის ქალღმერთს ეძღვნებოდნენ, მეორენი კი – პერსეფონეს, როგორც აღორძინების ქალღმერთს, ან ჰერაკლეს მისი გმირული ქმედებებისათვის იმქვეყნიურ სამყაროში. ორფიკული ფირფიტები არ ასახელებენ მახსოვრობის მდინარესთან მდგარ ხეს. რაც შეეხება ლეთეს წყალთან მდგარ თეთრ კვიპაროსს, გადმოცემა მის შესახებ ბერძენი ხალხის ყოფაში უნდა ჰპოვებდეს საფუძველს: ბერძნები მიიჩნევდნენ, რომ თეთრი კვიპაროსი არ ფუჭდებოდა და ამიტომ მისგან სკივრებსა და კუბოებს ამზადებდნენ. სტიქსსა და პირიფლეგეთონს შესაძლებელია პარალელი დაეძებნოს ინდურ მითოლოგიაში. ისინი ემსგავსებიან საზარელ, ცეცხლოვან და სისხლიან მდინარე ვაიტარანის, რომელიც დედამიწასა და აჩრდილთა სამეფოს მიჯნავს ერთმანეთისაგან (შდრ. ოკეანოსი).

ჰადესის სამყაროსთან დაკავშირებულ მითებში ხშირად ნახსენებ მცენარე ასფოდელოსის თესლსა და ფესვებს თავდაპირველად გარდაცვლილთა სულებს სწირავდნენ მსხვერპლად. იგი ფართოდ იყო გავრცელებული საბერძნეთის ყველა კუთხეში, გარდა არკადიისა, და მარცვლეულ მცენარეთა ფართო გავრცელებამდე საყოველთაოდ გამოიყენებოდა, მითუმეტეს, რომ კარგად ხარობდა უნაყოფო კუნძულებზეც კი.

მიწისქვეშეთის სამეფოს ამსახველი ანტიკური პოეზია („მინიასი", „ნოსტები" და სხვ.) მსმენელს ხიბლავდა გმირთა უცნაური თავგადასავლებით, იმით, რომ გმირები ცდილობდნენ ჩაეღწიათ საფრთხით, ჰადესის მცველებითა და მიწისქვეშეთის ღმერთებით აღსავსე აჩრდილთა სამეფოში და ხერხითა თუ ღონით დაემარცხებინათ მასში არსებული ბოროტი ქმნილებანი. ჰერაკლეს გმირობებმა და მათთან ერთად ჰადესისა და კერბეროსის დამარცხებამ იგი ხალხის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საყვარელ გმირად აქცია.

მიწისქვეშეთის ბერძნული სამყარო პარალელს ჰპოვებს ეგვიპტურთან. ამ მხრივ საყურადღებოა ეგვიპტური მითი სატნი-ჰემუასისა და მისი ვაჟის, სა-ოსირისის შესახებ. როდესაც სატნი-ჰემუასი და სა-ოსირისი მიწისქვეშა სამყაროს ეწვივნენ, იხილეს ღმერთების სამსჯავრო და სასწორი, რომელზეც უკვდავები მიცვალებულთა მიერ სიცოცხლეში ჩადენილ სიკეთესა და ბოროტებას წონიდნენ – ცალ მხარეს დებდნენ მიცვალებულის

გულს, მეორეზე კი ქანდაკებას სიმართლის ქალღმერთის, მაატისა, რომელსაც გარდაცვლილი შემოჰყავდა სასამართლო დარბაზში. სასწორის ჩვენებას იწერდა ღმერთი ტოთი, ანუბისი კი ღმერთების განაჩენს აცხადებდა. თუკი ღმერთები ჩათვლიდნენ, რომ ადამიანის მიერ ჩადენილი კეთილი საქმეები ბოროტს სჭარბობდა, ცაზე აგზავნიდნენ მას; თუკი მისი სიკეთე ბოროტებას უტოლდებოდა, მის სულს მომნანიებელ სულებთან ათავსებდნენ; დასასჯელი ადამიანის სულსა და სხეულს კი ნაწილებად გლეჯდა მკვდართა სამეფოს პატრონის ძაღლი (შდრ. კერბეროსი), რათა მას აღარასოდეს დაბრუნებოდა სიცოცხლე (შდრ. სამი გზის გასაყარზე მდებარე ღმერთების სამსჯავრო). აქვე იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ შეწვდომოდნენ მათ თავთან ჩამოკიდებულ პურსა და წყალს, რადგანაც სხვები მათ ფეხქვეშ ორმოს უთხრიდნენ (შდრ. ტანტალოსის მითი).

მიწისქვეშეთში ჰადესისა და პერსეფონეს შემდეგ ყველაზე დიდი უფლებები აქვს ქალღმერთ ჰეკატეს. ძველი ხთონური ღვთაება, ტიტანების ასული ჰეკატე სიბნელის, ღამეული ზმანებებისა და ჯადოქრობის ქალღმერთია. ზოგი მეცნიერის ვარაუდით, მისი სახელი ნიშნავს შორით მსროლელს, ზოგი მას (Ἑκάτη) აწარმოებს რიცხვითი სახელისაგან ἑκατόν („ასი“). მის ფუნქციებში შედის ადამიანების დახმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მონადირეობაში, მწყემსვაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში – სასამართლო, სახალხო კრებები, კამათში შეჯიბრება, ომი და ბავშვებისა და ახალგაზრდობის მფარველობა. მიუხედავად ამისა, იგი ბერძენთა თვალში მაინც ამაზრზენი და შემაძრწუნებელი ქალღმერთია.

ჰეკატე ერთნაირად უკავშირდება დღისა და ღამის და, შესაბამისად, ცისა და მიწისქვეშეთის სამყაროებს. მას უწოდებენ „ციურს“ (ურანია), აგრეთვე „გადაულახავს“ ან „უძლეველს“ და „ღამეულს“, ხთონიას, რომელიც საფლავებს შორის დადის და მათგან გარდაცვლილთა აჩრდილები გამოჰყავს. ჰეკატე აერთიანებს ცოცხალსა და მკვდარ სამყაროებს. იგი მთვარის ქალღმერთის ფუნქციებსაც ატარებს და როგორც მთვარე, სამსახოვანია: ცაზე – უმანკო არტემისია, მიწაზე – სელენე, მიწისქვეშ კი ჰეკატე, სიბნელის ქალღმერთი. არტემისის მსგავსად, ჰეკატეც მონადირეა და მას ძაღლების ხროვა დაჰყვება თან, მაგრამ ჰეკატეს ნადირობა ბნელი, ღამეული ნადირობაა მიცვალებულთა, მიწისქვეშა სამყაროს აჩრდილთა შორის. ჰეკატე უახლოვდება დემეტრეს – დედამიწის

მაცოცხლებელ ძალას და პერსეფონეს – მიწისქვეშა სამყაროს განსახიერებას. მის გამოსახულებებს დგამდნენ გზაჯვარედინებზე და ყოველი თვის ბოლოს აქვე სწირავდნენ მსხვერპლად ἑκαταῖα-ს („შესაწირავს"), კვერცხს, ხახვსა და ა.შ.

ჰეკატეს სახეში შერწყმულია გმირული მითოლოგიისა და არქაული დემონიზმის სამყარო. ჰეკატე მცირეაზიული წარმოშობის ქალღმერთია (ჰეკატეს შესახებ იხილეთ ჩვენი სერიის წიგნები „ქაოსიდან კოსმოსამდე" და „დიდი ზეციური ღმერთები").

ქარონის სახელი ბერძნული წარმომავლობისაა და „სიხარულის მიზეზს" აღნიშნავს. ეს სახელი და მისი მსგავსი ქაროპსი და ქაროპისი საბერძნეთში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. მათ არქმევდნენ როგორც გოგონებს, ისე ვაჟებსაც (ასე, მაგალითად, ცნობილია „ქრონიკები"-ს ავტორი, ლოგოგრაფოსი ქარონ ლამფსაკოსელი). სამივე მათგანი მიწისქვეშეთთან იყო კავშირში: ქაროპისი ბეოტიური მიწისქვეშეთის ღმერთის სახელი იყო, ქაროპსის სახელით თაყვანს სცემდნენ ჰერაკლეს ლაფისტიოსის მთებთან, საიდანაც, გადმოცემის მიხედვით, ჰერაკლეს სული ჰადესში ჩავიდა, ქარონს კი ჰადესის პირქუშ მებორნეს უწოდებდნენ. ეს სამივე სახელი აშკარად ევფემისტურია და უფრო ეპითეტს წააგავს, ვიდრე ნამდვილ სახელს.

ქარონი ჰომეროსის პოემებში ნახსენები არ არის. „ოდისეაში" პენელოპეს საქმროთა სულების ჰადესში ჩასვლა გამორიცხავს სულთა გადამყვანი ჰერმესის გარდა ნებისმიერი სხვა პირის მონაწილეობას აჩრდილთა მიწისქვეშეთში ჩაყვანაში. როდესაც ჰერმესმა მიაღწია ოდისევსის სასახლეს და იპოვა მიწაზე დაყრილი, სასიკვდილოდ დაჭრილი საქმროები, დაუძახა მათ სულებს და ისინიც მყისვე შეგროვდნენ მის გარშემო. ღმერთი მათ სათავეში ჩაუდგა და ჰადესისაკენ წაიყვანა ისე, რომ გზად ქარონი არსად შეხვედრია. მიუხედავად ამისა, ჩანს, რომ ლოკალური წარმოდგენები ქარონის შესახებ გავრცელებული იყო არქაული ხანის საბერძნეთში: ეპოსში „მინიასი" ქარონი დასახელებულიც არის და წარმოდგენილიცაა თავისი ფუნქციის შესრულებისას. ასევე არის დახატული იგი პოლიგნოტოსის მიერ ძვ.წ. V ს-ში.

აჩრდილთა მოხუცი გამცილებელი მოგვიანებით გაიაზრებოდა, როგორც სიკვდილი (აპულეუსი), რამაც თანამედროვე ბერძნულ ენაშიც ჰპოვა თავისი გამოვლინება – ახალბერძნული სიტყვები χάροντας და χάρος „სიკვდილს" აღნიშნავენ. ეს კი ადასტურებს იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც ქარონს „სიკვდილის ანგელოზად" მი-

იჩნევდნენ. ქარონი გამოისახებოდა როგორც შავი ფრინველი, თავის მსხვერპლს რომ თავს დასტრიალებს, წინამძღოლი გარდაცვლილთა გუნდისა, რომელსაც ზეცაში მიუძღვის, ან კიდევ როგორც წვეროსანი, საშინელი, ქუდიანი და თმააბურძგნული არსება, რომელსაც ხელთ ნიჩბებიანი ნავის საჭე უპყრია.

დიოდოროსი ეგვიპტურ მითოლოგიაში მიუთითებს მენავეს, რომელსაც პატარა ტბის მოპირდაპირე ნაპირზე გემით გადაჰყავდა ყოველი ადამიანის გვამი, სანამ მათ მიწას მიაბარებდნენ. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ეგვიპტელები ამ გადამყვანს ქარონს უწოდებდნენ (1;92;96). მენავე, სახელად ნემთი, მართლაც არის დადასტურებული ეგვიპტურ მითოლოგიაში. იგი ფიგურირებს ჰორისა და სეთის ბრძოლის მითში, სადაც ღმერთების სასტიკი გაფრთხილების მიუხედავად, ნემთი გამოართმევს ქრთამს – ოქროს ბეჭედს – მოხუც ქალად ქცეულ ისიდას, ჩასვამს ნავში და მიწისქვეშა მდინარეზე გადაიყვანს. სხვა მხრივ, ქარონს უკავშირდება ეტრუსკთა მიწისქვეშეთის ღმერთი, რომელიც შიშს ჰგვრიდა ადამიანებს, რადგანაც ავისმომასწავებელი, ცხვირმოკაკული და ფრინველის ფეხებიანი იყო, ცალ ხელში დიდი გველი ეჭირა, მეორეში კი ორმხრივი ურო, როგორც სიკვდილის მომტანი იარაღი. მას წარმოადგენენ, როგორც უწვერულსა და ქალის მსგავს მახრჩობელა ღმერთს, რომელიც საფლავის კარებს იცავს. ეს ღვთაება არ ჰგავს ბერძენ ქარონს, არც ბერძნული პანთეონის სხვა რომელიმე პერსონაჟს, გარდა ჰერმეს ფსიქოპომპოსისა, მაგრამ მისი სახელი „ქარუნი“ მეტად ემსგავსება ბერძნულ ქარონს. მიწისქვეშა მდინარე, მენავე და მიწისქვეშა სამყაროს მცველი შუმერულ-აქადურ მითოლოგიაშიცაა დადასტურებული, კერძოდ მითში ენლილისა და ნინლილის შესახებ.

კერბეროსის გარეგნობის აღწერისას განსაკუთრებით მრავალფეროვანია ცნობები მისი თავების რაოდენობის შესახებ. კერბეროსის სახელი პირველად გვხვდება ჰესიოდეს „თეოგონიაში“ (311), როგორც Κέρβερος ὠμηστήν, Ἀΐδεω κύνα χαλκεόφωνον Πεντηκοντακέφαλον („სისხლისმსმელი კერბეროსი, ჰადესის ორმოცდაათთავიანი მჭექარეხმიანი [სიტყვასიტყვით „სპილენძისხმიანი“] ძაღლი“). იგივე წყარო მას წარმოადგენს ტიფონივით მრავალი თავის მქონედ. ამავე წყაროში მოთავსებული სხვა, შედარებით უფრო ახალი ცნობის მიხედვით, იგი ერთთავიანია. იგივე ავტორი კერბეროსის ფუნქციების თაობაზე აღნიშნავს, რომ იგი ჰადესის სასახლის კარის მცველი იყო.

პინდარესთან, ისევე როგორც ჰორაციუსთან, საუბარია ასთავიან კერბეროსზე. მაშინ როდესაც ჰორაციუსის ინტერპოლაციაში გვხვდება უკვე ერთი თავი სამი ენით, სიმონიდესთან კი 50 თავი. ატიკური ტრაგედიის (სოფოკლე, ევრიპიდე) ზეგავლენით ბერძენ და შემდეგ რომაელ ხალხთა წარმოდგენაში კერბეროსის სამთავიანი ვარიანტი დამკვიდრდა და რომაულ ხანაში მას Tricerberus-ს უწოდებდნენ (ვატიკანის მითები). ზოგჯერ კერბეროსი სხვადასხვა ტიპის თავებით არის წარმოდგენილი, მაგალითად, მას წარმოადგენენ ხოლმე, როგორც ძაღლის, მგლისა და ლომისთავიანს. კერბეროსი ნახსენებია ოვიდიუსთან და მის სახელს ერთვის ეპითეტი Medusaeum monstrum („მედუზას ურჩხული"), თუმცა კი იგი მედუზას შვილი არ ყოფილა.

ჰომეროსთან კერბეროსი ორჯერაა წარმოდგენილი და ორივე შემთხვევაში ჰერაკლესთან დაკავშირებით. ჰადესისა და ჰერაკლეს ბრძოლისას იგი საერთოდ არ ჩანს არც ჰომეროსთან და არც პინდარესთან. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მითები, სადაც გადმოცემულია მისი მოტაცება ჰერაკლეს მიერ და სადაც ჰადესი არ ფიგურირებს. ერთ-ერთი ასეთი ვერსია კერბეროსს გერიონს უკავშირებს. ამ გადმოცემის მიხედვით, იგი იყო ერთი ჩვეულებრივი ძაღლი, რომელიც ძმა ორთროსთან ერთად იცავდა გერიონის ნახირს ტრიკარენიაში (Τρικαρηνία „ის, ვისაც სამი თავი აქვს"). როდესაც ჰერაკლემ ორთროსი მოკლა და გერიონის ხარები მოიპარა, კერბეროსიც წაიყვანა ევრისთევსთან. ევრისთევსმა კი ძაღლი ნახირის დასაცავად მწყემსებს გადასცა. ვინმე მოლოტოსს (Μολοττός „მოლოსელი") ისე მოეწონა ეს ძაღლი, რომ გადაწყვიტა, დაპატრონებოდა მას. იგი ესტუმრა ევრისთევსს და კერბეროსი სთხოვა. ევრისთევსმა იუკადრისა თხოვნა და უარით გაისტუმრა იგი. მაშინ მოლოტოსმა მოისყიდა მწყემსები, მოიპარა ძაღლი, დამალა ტენარონის გამოქვაბულში და მრავალი ძუკნა მიუყვანა გასამრავლებლად. ევრისთევსმა დანაკარგის შესახებ რომ შეიტყო, სასტიკად გაბრაზდა და ჰერაკლე გააგზავნა კერბეროსის მოსაძებნად. მთელი პელოპონესოსი მოიარა გმირმა, მაგრამ მის კვალსაც კი ვერსად მიაგნო. ბოლოს იპოვა გამოქვაბული, წაართვა მოლოტოსს კერბეროსი და ევრისთევსისაკენ გასწია. სხვა გადმოცემა კერბეროსს ასახელებს აიდონევსის, თესპროტების მეფის ძაღლად, რომელიც ქურდებმა მოიპარეს და დამალეს გამოქვაბულში, სადაც მას მიაკვლია ჰერაკლემ და წაუყვანა ევრისთევსს. აქ საინტერესოა კერბეროსის დაკავშირება აიდონევსთან,

რომელიც ჰადესის სახელის ვარიანტს წარმოადგენს. ერთ-ერთი ძველი ვერსიის თანახმად, კერბეროსი არ იმყოფებოდა მიწისქვეშა სამყაროში და თავადაც ურჩხული-ძაღლი კი არა, საშინელი გველი იყო. ეს გველი დაიბადა და გაიზარდა ტენარონში და მისი ნაკბენი მყისვე კლავდა ადამიანს, რის გამოც მას ჰადესის ძაღლს უწოდებდნენ. იგი ჰერაკლემ დაიჭირა და ევრისთევსს წაუყვანა.

კერბეროსის სახელისა და სახის წარმომავლობა ბოლომდე დადგენილი არ არის. ზოგ მეცნიერს ისინი გამოჰყავს სემიტურიდან, მაგრამ ლურსმულ ტექსტებში კერბეროსის ეკვივალენტი მაინცდამაინც მკვეთრად არ ჩანს და ერთადერთი, რაზედაც შეიძლება მხოლოდ შედარების დონეზე იყოს საუბარი, არის პალმირას ასურული რელიეფი. რაც შეეხება სხვა პარალელებს, ამ თვალსაზრისით საინტერესოა კლაძომენეს თიხის სარკოფაგი. მასზე გამოსახულია ორი ძუ ძაღლი და (გარდაცვლილი) ახალგაზრდა, რომელსაც ხელში ორი მამალი უჭირავს (ეს ორი ძაღლი შეესაბამება ინდურ წარმოდგენას ორი ჭრელი ოთხთვალა ძაღლის შესახებ, რომლებიც ინდურ მითოლოგიაში სიკვდილის წარგზავნილებად ითვლებოდნენ. ისინი იცავდნენ პიტრილოკას ანუ „წინაპართა სამყაროს". ერთ-ერთი მათგანის სახელს, შარბარას/შაბალას ანუ „ლაქებიანს" უკავშირებენ ბერძნულ კერბეროსს). მათგან დასაცავად მკვდრებს უჭირავთ ἀποτροπαῖα, თავდასაცავი თილისმა, რასაც შეიძლება შევადაროთ μελιτοῦττα („თაფლაკვერი"). ეს ორი ძაღლი, ჩანს, სიმბოლურად ორთავიანად იქნა წარმოდგენილი, ხოლო სამთავიანი კი გახდა ტრიადის საკრალური მნიშვნელობის გამო.

საინტერესო, მაგრამ მიუღებელია ნიკანდროსთან ერთ-ერთ პასაჟში ნახსენები კერბეროსის ჰადესის მცველ კერბეროსთან დაკავშირება. ნიკანდროსი ამ სახელით მდუმარე ბაყაყს ან კოპლებიან გომბეშოს მოიხსენიებს. ზოგი მეცნიერი თვლიდა, რომ კერბეროსი ასოცირებული იყო მიწისქვეშეთის სულების მეგზურ ძაღლისთავიან ღმერთ ანუბისთან, ან რომ თავდაპირველად იგი ძაღლისთავიანი ქალღმერთის, ჰეკატეს სიმბოლო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ეს ქალღმერთი გამოისახებოდა, როგორც ძუ ძაღლი.

კერბეროსს შეიძლება პარალელი მოეძებნოს ეგვიპტურ მითოლოგიაში, იხილეთ ზემოთ, ბერძენთა იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ არსებული წარმოდგენებისათვის დართული განმარტებები.

④

წ ყ ა რ ო ე ბ ი  დ ა  ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი. ეოსის მითის გადმოცემისას ჩვენ ვეყრდნობოდით ჰესიოდეს („თეოგონია", 371-374,378-382,984), ჰომეროსს („ილიადა", I,477; „ოდისეა", V,1...; XV,250; XXIII,244-246), ოვიდიუსსა („მეტამორფოზები", VII,661-714) და აპოლოდოროსს (III,12,4; I,4,4;6,1; 9,4). გავითვალისწინეთ სხვა წყაროებიც. ზოგი ვერსიით, ეოსი ჰელიოსის ასულია და არა – და. სხვაგან მას ნიქსის ან გიგანტ პალასის ასულად ასახელებენ. ვარიანტების თანახმად, ეოსმა პროკრისისაგან შვა ფაეთონი, რომლის სილამაზითაც მოიხიბლა აფროდიტე და ცაში აიყვანა.

ჰელიოსის მითებისათვის გამოვიყენეთ ჰესიოდე („თეოგონია", 371-374,956-958), პლატონი („კანონები",887e), ევრიპიდე („ჰეკაბე", 1068), ესქილე („მიჯაჭვული პრომეთე", 91), სოფოკლე („ელექტრა", 825), ჰომეროსის ჰიმნები (XXXI,9-14), ოვიდიუსი („მეტამორფოზები", I,755; II,1-30,106,340-366), ჰომეროსი („ოდისეა", XII,323,352-388), აპოლოდოროსი (I,4,6; 9,1; II,5,10), ჰიგინუსი („მითები", 52,152,154,156,183) და სხვ. ჰელიოსის შვილების შესახებ არსებული მსგავსი მითის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვეთავი „პოსეიდონის აღმზრდელი ჯადოქარი ტელქინები" და მასზე დართული განმარტებანი.

კლიტიესა და ჰელიოსის მითი მოთხრობილია ჰესიოდეს „თეოგონიასა" (352) და ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (IV,256-270) მიხედვით. სხვა ვერსიით, როდოსი ზევსის მიერ მიწების დანაწილებამდეც არსებობდა და როდესაც ჰელიოსმა მას საკუთარი უწოდა, იგი უბრალოდ ხელმეორედ ამოდიოდა წყლიდან (იხ. განმარტებანი ტელქინებზე).

ფაეთონის მითი გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზების" (I,751-II,366), ევრიპიდეს „ჰიპოლიტოსის" (737) და აპოლონიოს როდოსელის (IV,598) მიხედვით. ჰესიოდეს „თეოგონიაში" (984-986) იგი ეოსისა და კეფალოსის ვაჟადაც იწოდება.

სელენეს მითი მოთხრობილია ჰესიოდესა („თეოგონია", 371-374) და აპოლოდოროსის (I,7,5) მიხედვით, გათვალისწინებულია კალიმაქოსის ჰიმნი არტემისის მიმართ (249). ზოგი ვერსიით, სელენე წარმოდგენილია ზევსისა და ლეტოს ასულად, გიგანტ პალასის ან ჰელიოსის შვილად ან მეუღლედ, რომლისგანაც მას ჰორები შეეძინა. სხვა ვერსიით, ენდიმიონმა თავად არჩია ყოფილიყო მძინარე, მაგრამ უბერებელი და კარიაში ჰერაკლეას მცხოვრებლებმა მას ლატმოსის ახლოს ტაძარი აუგეს. რაც შეეხება ელისს,

აქ მისი მარადიული ძილის ამბავი სავსებით უცნობი იყო, ხოლო ოლიმპიაში მის საფლავს აჩვენებდნენ. ზოგი გადმოცემის მიხედვით, ენდიმიონს მარად სძინავს, რადგან ზევსის მიერ ზეცად აყვანილმა, მან ჰერაზე ძალადობა სცადა (სქოლიონები აპოლონიოს როდოსელისათვის, IV,57; სქოლიონები თეოკრიტოსისათვის, III,49). პავსანიასი მიანიშნებს, რომ სელენეს ენდიმიონისაგან 50 ასული ჰყავდა (V,1,5). ვერგილიუსის მიხედვით კი სელენე შეაცდინა პანმა, აჩუქა რა თოვლივით თეთრი კრავების ფარა (ვერგილიუსის „გეორგიკა", III,391-393). ზოგჯერ სელენეს პალასის ან ჰელიოსისა და ევრიფაესას ქალიშვილად მიიჩნევენ, მის ორ ასულად კი ასახელებენ ჰერსეს („ცვარს") და პანდიეს.

ორიონის მითისათვის ჩვენ დავეყრდენით შემდეგ ავტორებს: აპოლოდოროსი (I,4,3-5), ჰომეროსი („ოდისეა", V,121-124; XI,310), პართენიოსი („სასიყვარულო მოთხრობები", 20), ჰიგინუსი („მითები", 157 და 195; „პოეტური ასტრონომია", II,34), სერვიუსის განმარტებანი ვერგილიუსის „ენეიდასათვის" (I,539), ოვიდიუსი („ფასტები", V,537), სქოლიონები ჰომეროსის „ილიადასათვის" (XIV,296; XVIII,486) და ა.შ. სხვა ვერსიები ჰირიასის სტუმრად პოსეიდონის ნაცვლად არესს ასახელებენ. აპოლოდოროსი ორიონს მიწის შვილს (γηγενής) უწოდებს და ამდენად, გამორიცხული არ არის, რომ ორიონი გეას შვილად იყო ცნობილი, ისევე როგორც სხვა გოლიათები. უძველესი ჩანს მისი დაბადების ის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც იგი შობილია ხარის ტყავში დამალული სამი ღმერთის თესლიდან (არისტომაქოსი). ეს ელემენტი მის სიძლიერეზე მეტყველებს და ხსნის მის ზომა-წონასა და სიმაღლეს. ლიკოფრონის თანახმადაც ორიონს სამი მამა ჰყავს – ῥαίσει τριπάτρῳ φασγάνῳ Κανδάονος (კანდაონი არესისა და ორიონის მეტსახელი იყო). არის ვერსია, რომლის მიხედვითაც ორიონი მინოსის ასულ ევრიალესა და პოსეიდონის ვაჟია (ჰესიოდე, ერატოსთენესი), და ამდენად, სავარაუდოა, რომ ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მას ზღვის ფეხდაფეხ გადავლა შეეძლო, კრეტული წარმომავლობისა ჩანს. ორიონის სიკვდილის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს. ჰომეროსისა და კორინას თანახმად, ქალღმერთებს შეშურდათ, რომ ეოსს საყვარელი ჰყავდა და ორიონი დაღუპეს. ჩნდება ჰიბრისის მოტივიც: ფერეკიდესის მიხედვით, ორიონი ნადირობაში შეეჯიბრა არტემისს, ან კიდევ მასთან ერთად ნადირობდა კუნძულ ქიოსზე და პატივის აყრა მოუნდომა, რის გამოც ქალღმერთმა იგი სიცოცხლეს გამოასალმა. ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, არტემისმა ორიონი ეოსს შეაყვარა, რათა

თავისი საყვარლის, არესისაგან ჩამოეშორებინა, ან კიდევ ორიონის ნადირობამ კრეტაზე ქალღმერთი გეა შეაშინა, ყველა ცხოველი არ გაანადგუროსო, მორიელი გამოუგზავნა და მოკლა.

პლეიადების შესახებ მოთხრობილია ჰესიოდესა („სამუშაონი და დღენი“, 619) და ფსევდო-ერატოსთენესის (23) მიხედვით. ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, პლეიადები ვარსკვლავებად გარდაისახნენ დების – ჰიადებისა და ძმის – ჰიასის სიკვდილის გამო (ჰიგინუსი, „მითები“, 192). ზოგი ვარიანტით, ორიონი არა პლეადებს, არამედ მათ დედას, პლეიონეს ეტრფოდა. ერთ-ერთი ვერსიით, პლეიადები იყვნენ მტრედები, რომლებიც ამბროსიით კვებავდნენ პაწია ზევსს კრეტაზე და მადლიერმა ზევსმა ისინი თანავარსკვლავედად აქცია.

ჰიადების რიცხვი მერყეობს ორიდან შვიდამდე (ფსევდო-ერატოსთენესი, 14; ჰიგინუსის „მითები“, 192). გადმოცემით, ზოგი მათგანის სახელებია: ფაისილე, კორონისი, კლეეია, ფაიო და ეიდორე. ერთ-ერთი ვერსიით, ჰიადები დიონისეს აღმზრდელები იყვნენ, როდესაც იგი მთა ნისოსზე სახლობდა და ზევსმა ისინი ვარსკვლავებად გარდასახა (აპოლოდოროსი, III,4,3). ჰიგინუსის მიხედვით, დიონისეს აღმზრდელი მოხუცი ჰიადები მედეამ მარად ყმაწვილ გოგონებად აქცია („მითები“, 182).

ქარებისა და ღრუბელთა შესახებ მოგითხრობთ შემდეგ ავტორთა მიხედვით: აპოლონიოს როდოსელი (I,211-223), ოვიდიუსი („მეტამორფოზები“, I,264-267; VI,677), პავსანიასი (V,19,1), ჰომეროსი („ილიადა“, III,10; XX,219-229; XXI,334, სქოლიონები „ოდისეასათვის“, XIV,533), ჰეროდოტე (VII,189) და სხვ. ნოტოსის, ზეფიროსისა და ევროსის შესახებ იხილეთ ჰესიოდეს „თეოგონია“ (378-380), ჰომეროსის „ილიადა“ (II,145; XVI,148-51; XIX,415) და „ოდისეა“ (VII,119; IV,567), აპულეუსის „მეტამორფოზები“ (IV,35), ვერგილიუსის „ენეიდა“ (I,52-143) და პავსანიასი (III,19,5; I,37,2). ზეფიროსისა და ჰიაკინთოსის მითის შესახებ იხილეთ პავსანიასი (III,19,5) და აპოლოდოროსი (III,10,3; I,3,3). ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, თამირისს შეუყვარდა ულამაზესი ჭაბუკი ჰიაკინთოსი და ამით საფუძველი დაუდო სიყვარულს ერთი და იმავე სქესის არსებებს შორის (აპოლოდოროსი, I,3,3). ეროსს ზეფიროსის შვილად მიიჩნევს აპულეუსი („მეტამორფოზები“, IV,35). ჰერასა და ნეფელეს შესახებ იხილეთ სქოლიონები აპოლონიოს როდოსელისათვის (III,62), ჰიგინუსის „მითები“ (33 და 62), პინდარეს „პითიური ოდები“ (II,33-39 და სქოლიონები), ლუკიანოსი „ღმერთების საუბრები“ (6) და სქოლიონები ევრიპიდეს „ფინიკიელი ქალებისათვის“ (1185).

თემისის შესახებ გიამბობთ ჰესიოდეს „თეოგონიის" (135,901-906), ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთესა" (18,873) და „ევმენიდების" (2-8) თანახმად. პრომეთეს შესახებ მოგითხრობთ ჩვენი სერიის წიგნში „პრომეთე და ადამიანთა მოდგმა. მითიური ხალხები. ლეგენდარული მომღერლები. მისნები".

ჰორების შესახებ იხილეთ ჰომეროსის „ილიადა" (V,749-751; VIII,432-435).

ქარიტების მითისათვის დავეყრდენით ჰესიოდეს („თეოგონია",907-911). ზოგი ვერსიით, ქარიტები მზის ღმერთის, ჰელიოსისა და ეგლეს ასულები არიან (პავსანიასი, IX,35,3-5). სხვანი მათ მშობლებად ასახელებენ დიონისესა და აფროდიტეს, დედად – ჰერას, ევნომიეს ან ლეთეს. მათი წარმომავლობა და რიცხვი სხვადასხვა მითში სხვადასხვაა. მაგალითად, ჰომეროსი იცნობს ერთ ქარისს – ჰეფესტოს მეუღლეს („ილიადა", XVIII,382-392), ან უმცროს ქარისს – პასიფაეს, რომელსაც ჰერა ძილის ღმერთ ჰიპნოსს ჰპირდება ცოლად („ილიადა", XIV,267-269). ზოგჯერ ქარიტებად მოიხსენიებენ სხვა ნიმფებსაც: კლეტეს, ფაენასა და პეითოსაც. ზოგჯერ ქარიტებს ჰორებთან ერთად უწოდებენ აუქსოსს („ზრდა"), კარპოსს („მწიფე ნაყოფი"), თალოსს („გაფურჩქვნა") და ჰეგემონეს („ხელმძღვანელი") (პავსანიასი, IX,35,1-2).

მუზათა მითები გადმოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიის" (1-103, 915-917), ჰომეროსის ჰიმნების (III,429), პავსანიასის (IX,29,1-5), სტრაბონისა (X,3,7; 10) და აპოლოდოროსის (I,3,2-4) მიხედვით. ევსტათიოსის მიხედვით, მუზები დიონისეს აღმზრდელები იყვნენ (1816,4). დიოდოროსი კი მათ დიონისეს თანამგზავრებს შორის ასახელებს (IV,4). მუზების მიერ თამირისის დასჯა მოთხრობილია პავსანიასთან (IV,33,3 და X,7,2).

ნიკეს შესახებ მითი გადმოცემულია ჰესიოდეს „თეოგონიაში" (383...).

ჰებეს შესახებ იხილეთ ჰესიოდეს „თეოგონია" (921-923) და ჰომეროსის „ოდისეა" (XI,602-604), აგრეთვე აპოლოდოროსი (II,7,7). ოვიდიუსის მიხედვით, ჰებეზე ჰერა დაორსულდა მაშინ, როდესაც სალათის ფოთლებს შეეხო („ფასტები", V,225).

ირისის მითის შესახებ დავეყრდენით ჰესიოდეს „თეოგონიას" (775-806), ჰომეროსის ჰიმნებს (I,25-126), ალკეოსის ფრაგმენტებსა (8D) და სხვ.

განიმედესის შესახებ მოთხრობილია შემდეგი ავტორების მიხედვით: ჰომეროსი („ილიადა", V,266,640; XX,231-5), აპოლოდოროსი (II,5,9; III,12,2), ფსევდო-ერატოსთენესი (26), ვერგილიუსი („ენე-

იდა", I,28 სქოლიონებით; „გეორგიკები", III,304), ოვიდიუსი („მეტამორფოზები", X,155), ევრიპიდე („ორესტე", 1391 სქოლიონებით), ჰომეროსის ჰიმნი აფროდიტესადმი (202-17), პავსანიასი (V,24,1), აპოლონიოს როდოსელი (III,115 სქოლიონებით) და ჰიგინუსი („მითები", 224).

მოირების შესახებ მოთხრობილია შემდეგ ავტორებთან: ჰომეროსი („ილიადა", VIII,69; IX,411; XVI,434,441-3; XXII,209-214; XXIV,49; „ოდისეა", I,34), ორფიკული ჰიმნები (XXXIII), ჰესიოდე („თეოგონია", 211-225,901-906), სოფოკლე („ოიდიპოსი კოლონოსში", 705), პინდარე („ოლიმპიური ოდები", VIII,22), ესქილე („მიჯაჭვული პრომეთე", 511-518), პლატონი („რესპუბლიკა", X,14-16, 617b-e) და პავსანიასი (V,15,5;X,24). ჰესიოდე მოირებს ზევსისა და თემისის, მართლმსაჯულების ქალღმერთის შვილებად ასახელებს („თეოგონია", 901-906).

ატეს შესახებ იხილეთ ჰომეროსის „ილიადა" (IX,505-507; XIX,90-131). ჰესიოდეს „თეოგონიის" მიხედვით, ატე ერისის („განხეთქილება") შვილი და დისნომიას („უსამართლობა") ასული იყო.

ლისას მითი მოთხრობილია ევრიპიდეს „ჰერაკლეს" (815-874) მიხედვით.

ჰიბრისისათვის იხილეთ პინდარეს „ოლიმპიური ოდები" (XIII,10), თეოგნიდე (1174) და ბერძნული ანდაზების კრებული (IV,36).

ნემესისის მითი გვხვდება ჰესიოდეს („თეოგონია", 223), კალიმაქოსის („ჰიმნები", VI,56), პავსანიასსა (I,33,2-3) და აპოლოდოროსთან (III,10,7).

ტიქეს შესახებ დავეყრდენით პინდარეს („ოლიმპიური ოდები", XII,1-2), პავსანიასს (VII,26,8), არქილოქოსსა (ფრაგმენტი 8) და დემეტრესადმი მიძღვნილ ჰომეროსის ჰიმნს (V,420).

ილითიიას შესახებ მითებს გიამბობთ ჰესიოდეს („თეოგონია", 922), ჰომეროსის („ილიადა", XIX,119_), ჰომეროსის ჰიმნების (I,25-126) და კალიმაქოსის (IV,255-258) მიხედვით. ჰომეროსი რამდენიმე ილითიიას ასახელებს („ილიადა", XI,270).

ასკლეპიოსის შესახებ მოგითხრობთ აპოლოდოროსისა (III,10,1 და 3-4) და პინდარეს „პითიური ოდების" (III,5,8-53) მიხედვით. იხილეთ, აგრეთვე, სტრაბონი (IX,5,17; XIV,1,39), პავსანიასი (II,26,4-5;IX,36), ჰიგინუსის „მითები" (49 და 202) და „პოეტური ასტრონომია" (II,40), ოვიდიუსის „მეტამორფოზები", (II,599-632); ბერძნული წარწერები (IV,1,28), დიოდოროსი (V,74,6) და სხვ.; მედუზას სისხლის განაწილებისათვის – დიოდოროსი (V,74,6), აპოლოდოროსი (III,10,3), ევრიპიდე („იონი", 999-1007) და ტატიანუსი („ეპისტოლე ბერძნებს",

8). ასკლეპიოსის დედად აპოლოდოროსი არსინოეს ასახელებს (III,10,3). კორონისის მკვლელად ზოგი ვერსია აპოლონს მიიჩნევს (აპოლოდოროსი, III,10,3), მაქაონისა და პოდალირიოსის შესახებ იხილეთ (ჰომეროსის „ილიადა", II,729-733; IV,194,208-219; XI,518; პავსანიასი, III,26,10; ოვიდიუსი „მეტამორფოზები", II,605).

გლავკოსის გაცოცხლების მითი გადმოცემულია ჰიგინუსთან („მითები", 136), აპოლოდოროსთან (III,3,1-2; 10,3-4) და პავსანიასთან (I,43,5).

რეა-კიბელესთან დაკავშირებით იხილეთ ჰესიოდეს „თეოგონია" (453-486), ლუკრეციუსის „საგანთა ბუნებისათვის" (II,600-643) და ოვიდიუსის „ფასტები" (IV,179-372). ატისის შესახებ მითის ორ ვარიანტს იძლევა პავსანიასი (VII,17,9-12): პირველის მიხედვით, ატისი ორსქესოვანი ღვთაების აგდიტისის (პესინუნტისში ამგვარად უწოდებენ ღმერთების დედას) და მდ. სანგარიოსის შვილი იყო. მეორე ვერსიით კი, უცნობი ფრიგიელის შვილმა, ატისმა, რომელიც დაბადებიდანვე უნაყოფო იყო, ღმერთების დედის პატივსაცემად ლიდიაში წმინდა დღესასწაულები, ორგიები დააარსა, მაგრამ იგი ზევსის მიერ გამოგზავნილმა ტახმა იმსხვერპლა. ოვიდიუსის მიხედვით, ატისი არის კიბელეს საყვარელი, მისი ტაძრის ქურუმი, რომელმაც უმანკოების აღთქმა დაარღვია და ნიმფა შეიყვარა. კიბელემ დაღუპა ნიმფა, სიშმაგე მოუვლინა ატისს და ვაჟმა თავი დაისაჭურისა.

კურეტების შესახებ იხილეთ დიოდოროსი (V,65; 70,1), სტრაბონი (X,3,7). ერთ-ერთი მითის მიხედვით, წარმოშობით ევბეელი კურეტები ფრიგიაში დიონისეს აღზრდით იყვნენ დაკავებულნი (სტრაბონი, X,3,11-12).

კურეტებსა და კორიბანტებს ეძღვნებოდათ ორფიკული ჰიმნები (38, 39). ათენასა და კურეტების კავშირის შესახებ იხილეთ პროკლეს კომენტარები პლატონის „კრატილოსისათვის" (406d, გვ. 112).

კორიბანტებისა და კაბირების შესახებ მოთხრობილია აპოლოდოროსთან (I,3,4) და სტრაბონთან (X,3,19-20). კურეტების სახელი არაბერძნულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აპოლოდოროსის მიხედვით, ისინი აპოლონისა და მუზა თალიეს შვილებად ითვლებიან (I,3,4). ფერეკიდესი ნიმფა კაბიროსა და ჰეფესტოს შვილებად თვლის სამ ვაჟ კაბირს და სამ ასულ კაბირისს. აკუსილაოსის თანახმად, კაბირომ ჰეფესტოს უშვა აგრეთვე კამილოსი (კადმილოსი, კასმილოსი). ნონოსის მიხედვით, თრაკიელმა კაბირომ „ბრინჯაოს ცას", ჰეფესტოს, უშვა ორი კაბირი, ევრიმედონი და

ალკონი, რომლებიც მისტიური ცეცხლისა და მეტალურგიის ოსტატები იყვნენ.

იდას დაქტილების მითისათვის მნიშვნელოვანია შემდეგ ავტორთა ცნობები: დიოდოროს სიცილიელი (V,64), სოფოკლეს „ყრუ სატირები" დამოწმებული სტრაბონის მიერ (X,3,22), აპოლონიოს როდოსელი (I,509 და 1130), სქოლიონები აპოლონიოს როდოსელისათვის (I,1126), პავსანიასი (V,7,4...) და ოვიდიუსის „მეტამორფოზები" (IV,281). ოვიდიუსი კელმისს უწოდებს ფოლადის კელმისს. ფერეკიდესის მიხედვით, არსებობდა 32 „მარცხენა" დაქტილი და 20 – „მარჯვენა".

ნიმფების შესახებ იხილეთ სვიდას ლექსიკონი და ჰესიოდეს „თეოგონია" (187), ჰომეროსი („ილიადა", XX,4-12) და სოფოკლე („ანტიგონე", 1130), ნერეიდებისა და ოკეანიდებისათვის – ჰესიოდე (240-262,346-360) და პავსანიასი (VI,22,7; IX,3,9; X,5,5).

პრიაპოსის შესახებ დავეყრდენით სვიდას ლექსიკონსა (3) და ვერგილიუსს („ეკლოგები", VII,33). პრიაპოსის დედა იყო ერთ-ერთი ნიმფა (სქოლიონები თეოკრიტოსისათვის, I,21) ან აფროდიტე (პავსანიასი, IX,31,2). სხვა ვერსიის მიხედვით, დიონისესგან ფეხმძიმე აფროდიტე ადონისს შეეუღლა. ეჭვიანმა ჰერამ გრძნეულების მეშვეობით აფროდიტეს ბავშვი დაამახინჯა – პრიაპოსი ორი ფალოსით დაიბადა, რაც ორმაგი, დიონისესა და ადონისის მამობით აიხსნება (სქოლიონები აპოლონიოს როდოსელისათვის, I,932). ზოგი ვერსიით, ვირთან დაკავშირებული იყო არა ჰესტიას შეცდენის მცდელობის მითი, არამედ ნიმფა ლოტოსისა, რომელსაც შემდეგ პრიაპოსი გამოეკიდა და რომელიც ლოტოსის ყვავილად იქცა.

პანის შესახებ მითებისათვის იხილეთ: ლუკიანოსის „ღმერთების საუბრები" (XXII,43), ოვიდიუსის „მეტამორფოზები" (I,689-712; III,356-401), ფილარგორიუსის სქოლიონები ვერგილიუსის „გეორგიკისათვის" (III,392), სერვიუსის სქოლიონები ვერგილიუსის „გეორგიკისათვის" (I,16), აპოლოდოროსი (I,4,1), ჰიგინუსის „მითები" (224), ჰესიოდე (II,145) და სხვ. პანის მამებად ასახელებენ ზევსს, აპოლონს, კრონოსს და ა.შ., დედად კი თხა ამალთეას, ნიმფა ოინეისს ან პენელოპეს, ოდისევსის ცოლს, რომელმაც თითქოს პანი შვა თავისი ყველა თაყვანისმცემლისაგან ერთად, როდესაც ოდისევსი საომრად იყო წასული, ან ცხვრად ქცეული ჰერმესისაგან (აპოლოდოროსის „ეპიტომა", VII,38). მას თვლიან კრონოსისა და რეას ან ზევსისა და ჰიბრისის ან იდას მთის დიდი დედისა და სატირის შვილადაც (ჰომეროსის ჰიმნი პანს, 34...; თეოკრიტოსის „იდილიების" სქო-

ლიონები, I,3; ერატოსთენესის „ვარსკვლავად ქცევა", 27; ჰეროდოტე, II,145; სერვიუსის კომენტარები ვერგილიუსის „გეორგიკისათვის", I,16 და ევრიპიდეს „რესის" სქოლიონები, 30).

პანის შვილთა და საცრფოთა შესახებ გადმოცემულია ოვიდიუსის „მეტამორფოზებში" (III,356-401), ნიმფა სირინგსისა და პანის მითი ოვიდიუსის „მეტამორფოზებში" (I,689-712), ჰიგინუსის „მითებსა" (224) და „პოეტურ ასტრონომიაში" (II,21). თეოკრიტოსის „იდილიებში" პანი წარმოდგენილია, როგორც სალამურზე დაკვრის მწყემსური ასპარეზობების შემფასებელი და მსაჯული. იგი თვითონაც მონაწილეობს მათში. პანის და აპოლონის ასპარეზობის, „ვირის ყურებისა" და მიდასის სიკვდილის შესახებ იხილეთ ოვიდიუსის „მეტამორფოზები" (XI,146-179), სტრაბონი (I,3,21). პანის გამოცხადებისა და ბერძენთათვის გაწეული დახმარების შესახებ იხილეთ ჰეროდოტე (VI,105) და ესქილე („სპარსელები", 447-455), ხოლო პანის სამლოცველოთა შესახებ – პავსანიასი (VIII,36,8), ჰეროდოტე (VI,105) და მენანდრე („დისკოლოსი", 2,12,401). პანის გარდაცვალებისა და მეზღვაურ თამუსის შესახებ მოთხრობილია პლუტარქეს თხზულებაში „რატომ დუმან წინასწარმეტყველნი" (თავი 17, დამოწმებულია გრეივსის მიხედვით).

ერინიების შესახებ მითები მოთხრობილია შემდეგ ავტორთა მიხედვით: ჰომეროსი („ილიადა", IX,453-7; XV,204; XIX,259 და „ოდისეა", II,135; XVII,475), ჰესიოდე („თეოგონია", 184-186), ესქილე („ევმენიდები", 835), ევრიპიდე („ორესტე", 317), ორფიკული ჰიმნები (68,5), აპოლოდოროსი (I,1,4), აპოლონიოს როდოსელი (IV,1042-1043), ვერგილიუსი („ენეიდა", VI,280; VII,341-384;415-545;563-571). ერთ-ერთი ვერსიით, ერინიები ღამისა და ერებოსის შვილები არიან (ესქილეს „ევმენიდები", 69,321).

ჰიპნოსისა და თანატოსის შესახებ იხილეთ ჰომეროსი („ილიადა", XIV,230-291,354-360; XVI,666-683; „ოდისეა", XI,593...), სქოლიონები ჰომეროსის „ილიადასათვის" (VI,153), ჰესიოდეს „თეოგონია" (211-225,756-766), ოვიდიუსის „მეტამორფოზები" (XI,592-620), თეოგნიდე (701), პლატონის „ნადიმი" (179); სარპედონის შესახებ – ჰომეროსის „ილიადა" (XVI,419-683).

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ე ბ ი. ეოსი (ἕως „დილა, გარიჟრაჟი") ლათინური ავრორასა და ინდური უსჰასის იდენტურია. ეოსი სიცოცხლის წყაროს სიმბოლოა. იგი იბადება დილით, ამიტომ იგი ჰომეროსთან მოხსენიებულია, როგორც ἠριγένεια („ის, ვინც ადრე იბადება"). უფრო გვიანდელი ავტორები მოიაზრებენ ეოსს, როგორც საზღვარს დღესა და ღამეს შორის, დარაჯს. ეს ავტორები თვლიან,

რომ მას მზე გამოჰყავს ცაზე და ღამეს მიწისქვეშეთში გაამწესებს, ხოლო რადგანაც ეოსი ცაზე წინ უძღვის ჰელიოსს, ორფიკული ჰიმნები მას „ტიტანის შიკრიკს“ უწოდებენ. ჰომეროსისა და მის პოემებზე დართული ერთ-ერთი სქოლიონის მიხედვით, ეოსი უნდა ნიშნავდეს მთელ დილას შუადღემდე ან დღეს: ევრიპიდე და პავსანიასი მას λευκόπωλος ἡμέρα-ს („თეთრცხენებიან დღეს“) უწოდებენ. ეოსის შემობრძანებას დილის ნიავიც ახლავს თან, აქედან მომდინარეობს ეოსის დაკავშირება ასტრევსთან და ქარებთან, რომელთა ცოლიცა და დედაც არის იგი. ეოსის მეუღლედ ჰომეროსი თვლის ტითონოსს, ტროელ მეფისწულს, რომელსაც მარადგანმეორებადი დღის ალეგორიად მიიჩნევენ, რადგან აღმოსავლეთის ცაზე ეოსის გამოჩენისას ნაცრისფერი ბინდბუნდი, ანუ ტითონოსი „კვდება“. ტითონოსი ალბათ უკავშირდებოდა დღესა და წელიწადის დროებს ან ჩამავალ მზეს, რაზეც მეტყველებს მისი სახელის წარმომავლობა: Τιθωνός=τιθεωνο=didhyâna. თავდაპირველად ტითონოსი იყო სინათლის ღმერთი, კერძოდ „შუადღე“ (სქოლიონები ლიკოფრონისათვის, 18), „დღის დასასრულის დასაწყისი“ ან „უკვე ჩამქრალი სინათლე“ (სქოლიონები ჰომეროსის „ოდისეასათვის“, V,1). მეცნიერები გადმოცემას ტითონოსისა და ეოსის შესახებ მზის მითად მიიჩნევენ, ტითონოსს კი – მზის გმირად. რაც შეეხება მის დაბერებასა და სისუსტეს, ისინი ამას უკავშირებენ ციური სხეულების, განსაკუთრებით კი – მზისა და მთვარის შუქის კლებას. აღსანიშნავია მითის ის ელემენტი, რომლის მიხედვითაც ეოსი უძლურ ტითონოსს კეტავს საძინებელში, სადაც მას ჩვილივით პატარა საწოლში სძინავს. ეს უკავშირებს მას მითს დღის დასრულების შემდეგ ჰელიოსის ჰეფესტოს ხელით დამზადებულ საწოლში განსვენების შესახებ (მიმნერმოსის ფრაგმენტები). რაც შეეხება ოკეანოსს, რომელზეც ეს საწოლი დაცურავს, თავდაპირველად იგი ღრუბლიანი ზეცა უნდა ყოფილიყო, ხოლო მძინარე მზე კი – ძალის წართმევის სიმბოლო. ზოგი მეცნიერი ეოსს უკავშირებს აისის ინდურ ქალღმერთ უშასს, ხოლო ჰელიოსს კი – მზის ღმერთ სურიას. საინტერესოა, რომ უშასი მოიხსენიება, როგორც სურიას ცოლი, რომელიც, ჩვეულებრივ, მეუღლეს უკან მისდევს ხოლმე („რიგვედა“, VII,75,5).

ჰელიოსის ეპითეტები იყო ჰიპერიონი („ზემოთმავალი“) და ფოიბოსი („მანათობელი“). ჰიპერიონი და ჰელიოსი ჰომეროსისათვის ერთი და იგივე ღმერთია. გვიანდელი ავტორები კი ერთი ღმერთის ამ ორი სახელისაგან ორ პიროვნებას, მამასა (ჰიპერიონი) და შვილს (ჰელიოსი) ქმნიან. ჰელიოსის მეორე ეპითეტი ფოიბოსი დაუკავშირდა აპოლონს, რომელსაც მოგვიანებით მზის

ღმერთის ფუნქციები მიეწერა და რომელიც ჰელიოსის მსგავსად ისრებით – მზის სხივებით იყო აღჭურვილი. ჰელიოსს ეძღვნებოდა განსაკუთრებული სახის მსხვერპლშეწირვა კუნძულ როდოსზე: აქ ოთხ ცხენსა და ეტლს უშვებდნენ ზღვაში. ფაეთონის მითი და მზის ეტლის დამსხვრევაც შეიძლება მსგავს რიტუალებს უკავშირდებოდეს. ჰელიოსის უმნიშვნელოვანესი ეპითეტი იყო πάντα ἔφορων („ყოვლისმხედველი"), რადგანაც ცის სიმაღლიდან მას შეეძლო ყველაფერი ეხილა, პერსეფონეს მოტაცებაცა და არესისა და აფროდიტეს სასიყვარულო ურთიერთობანიც. ამის გამო ადამიანები მას მოუხმობდნენ მოწმედ და მის სახელს იფიცებდნენ, ბოროტების ჩამდენი კი ჰელიოსის შურისგების შიშით კანკალებდა. ორესტე, როდესაც კლავდა კლიტემნესტრას, მოწმედ იხმობდა ჰელიოსს, რომელსაც ნანახი ჰქონდა აგამემნონის მკვლელობა. კასანდრა კი ჰელიოსს შურისძიებას სთხოვდა მის მიმართ ჩადენილი უსამართლობისათვის. აქედან კარგად ჩანს, რომ ბერძნების წარმოდგენაში ჰელიოსი იყო უცოდველი და სამართლიანი, ადამიანთა ცხოვრებისა და ბედნიერების გადამრჩენელი. ამ თვისებათა გამო ჰელიოსს ქრონოსისა და ჰორების მამად მიიჩნევდნენ. ჰელიოსი იყო მაცოცხლებელი, ანუ ის, ვინც აძლევს და ართმევს სიცოცხლეს და ისიც, ვინც განწმენდს. სიცოცხლის მიცემასთან ერთად მას შეეძლო ემკურნალა კიდეც ადამიანებისათვის, წაერთმია ან დაებრუნებინა მოკვდავთათვის თვალისჩინი (მაგ. ორიონისათვის). ჰელიოსის თაყვანისცემა ბერძნებში გამოიხატებოდა ლოცვებით მისი ჩასვლისას და ამოსვლისას, ჰიმნებითა და უსისხლო მსხვერპლშეწირვებით, თაფლითა და საკმევლით. ჰელიოსს, მისი კოსმოლოგიური მნიშვნელობით, თაყვანს სცემდნენ, როგორც „კოსმოსის მეუფეს". ღმერთთა გენეალოგიებისა და მოწესრიგებული ოლიმპიური რელიგიის წარმოშობამდე, ჰელიოსი ზეცის მმართველად იგულისხმებოდა. დროთა განმავლობაში იგი დაიფარა სხვა მზე-ღმერთებით (აპოლონი, ზევსი, რომელსაც თავდაპირველად წარმოიდგენდნენ, როგორც ეთერს, ნათელ მასას, რომელიც ავსებს ზეციურ სივრცეს) და ჰელიოსის სახე ზეციურ სხეულებთან მიმართებაში ნელ-ნელა გაფერმკრთალდა. ჰელიოსის ცხენთა სახელები გვიჩვენებენ ღმერთის პირველად კავშირს ქარტეხილებთან და მეტეოროლოგიურ ფენომენებთან, სანამ მას ამ როლში ზევსი შეცვლიდა. ჰელიოსის ყველაზე უფრო ადრეული ინდოევროპული სახეა ახალგაზრდა ყმაწვილი, რომელიც სიბნელეს ეომება და რომლის საცხოვრებელი ადგილიც გამოქვაბულია. რაც შეეხება ღმერთისა და მისი ცხენების ბანაობას

ოკეანოსში, ეს იმ წარმოდგენის მაჩვენებელია, რომლის მიხედვითაც მზე ზღვიდან ჩნდება. მითი ჰელიოსისა და ნიმფა როდას სიყვარულის შესახებ ასახავს იმ ფაქტს, რომ კუნძული როდოსი იყო ჰელიოსის თაყვანისცემის უდიდესი ცენტრი და შესძლო შეენარჩუნებინა ეს ფუნქცია ძველი სამყაროს დასასრულამდე. მამის მიერ ლევკოთეას ცოცხლად დამარხვა წარმოადგენს გადმონაშთს თაყვანისცემის უძველესი ფორმისა, რომლისთვისაც ადამიანის მსხვერპლშეწირვა იყო დამახასათებელი.

სელენეს (σέλας „სინათლე, ნათება") მოძრაობა ცის კაბადონზე უძველეს ხალხებს წარმოედგინათ როგორც ფრენა ან როგორც ამხედრება ხარზე, ცხენზე, ვირზე, თხაზე, ირემზე და მამალზეც კი. ამის გამო, ისინი ითვლებოდნენ ქალღმერთის წმინდა ცხოველებად და ფუტკართან და ვერცხლთან ერთად მის სიმბოლოებს განასახიერებდნენ. ჰელიოსის ეტლის მსგავსად არსებობდა სელენეს ეტლიც, რომელშიც შებმულნი იყვნენ ხარები, ცხენები ან ირმები. ჰომეროსის ჰიმნში სელენეს მიმართ ნათქვამია, რომ დედამიწა და ჰაერი მის გარშემო ივსება მდიდარი ანარეკლით, როდესაც ქალღმერთი ადის თავის ეტლზე, მას შემდეგ, რაც დაიბანს ულამაზეს ტანს ოკეანის წყლებში, ჩაიცვამს ბრწყინვალე კაბას და გაიკეთებს ოქროს დიადემას. მთვარეს ადამიანები უკავშირებდნენ ჭკნობასა და ზრდას, ნაყოფიერებას, ქალის ბიოლოგიურ ციკლს, ჯანმრთელობასა და დაავადებებს, დაბადებასა და სიკვდილს. ამან გამოიწვია რწმენა იმისა, რომ სელენე გავლენას ახდენს ყველაფერზე, რაც კი დედამიწის ზურგზე ხდება. კლასიკურ ეპოქაში სელენესა და ჰელიოსის კულტი შეზღუდული იყო, რადგან ბერძნები ციური სხეულების თაყვანისცემას ბარბაროს ხალხთათვის დამახასიათებლად თვლიდნენ. ამიტომ მისი ფუნქციები დაეკისრა სხვა ქალღმერთებს, არტემისსა და ჰეკატეს, ფოიბესა და ლეტოს, აგრეთვე აფროდიტესა და ათენას, დემეტრესა და პერსეფონეს, კიბელესა და ისიდასაც კი, ისევე როგორც ჰელიოსის ფუნქციები – აპოლონს, ზევსსა და სხვა ღმერთებს. მთვარის კუთვნილება ღამისადმი, მცენარეთა მაგიისა და ქალური სექსუალობის გარდა, განაპირობებდა მის კავშირს მიწასთან, საფლავთან და მიცვალებულთა სამყაროსთან და მას ზოგჯერ ჰეკატესთან ერთად მიცვალებულთა ქალღმერთად მიიჩნევდნენ. მაგიური ხასიათის ტექსტების შემცველი პაპირუსების მიხედვით, მთვარეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ცის უდიდეს მმართველ ქალღმერთს.

ორიონის სახელს აწარმოებდნენ სიტყვიდან οὖριον („მშარდველი"). და მართლაც, ამ თანავარსკვლავედის გამოჩენისას და ჩასვ-

ლისას ხშირია წვიმები. მას უწოდებდნენ აგრეთვე ἀλεκτροπόδιον („მამლის ფეხსა“) და σκεπαρνέα („ორმაგ ცულს“), რადგანაც თანავარსკვლავედის მონახაზი ორმაგი ცულის გამოსახულებას წააგავს. გოლიათი ორიონის მიმართ ქალღმერთ ეოსის სიყვარულის მითი ასტრონომიული დაკვირვებებიდან უნდა იყოს წარმოშობილი. დილის ცაზე, როდესაც აისი ძალაში შედის, ორიონის თანავარსკვლავედი ფერმკრთალდება. ეს მოვლენა მითში გამოხატული იყო, როგორც ეოსის მიერ გმირის მოტაცება. მითის საფუძველი უნდა ყოფილიყო ორიონის სიმშვენიერე. რაც შეეხება ნადირობასა და სხვა ქმედებებს, ისინი გვიანდელ დანამატს უნდა წარმოადგენდნენ, მით უფრო, რომ ორიონის კულტი და მისი მნიშვნელობა საბერძნეთში დადგენილი არ არის. იგი არ არის დადასტურებული თავად ბეოტიაშიც კი, სადაც თქმულება მის შესახებ ყველაზე უფრო გავრცელებული იყო. ჰომეროსთან ორიონი მინიერიცაა (მას არტემისი კლავს) და ნახევრად ღმერთიც (როგორც დიდი ღმერთების მცირეთა მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების მაგალითს, ისე უყვება კალიფსო ჰერმესს ორიონის აღსასრულის ამბავს). გიგანტ ორიონის მხრებზე კედალიონის შესმა მეტად წააგავს ცნობილ ხურიტულ მითს მეხის ღმერთ თეშუბის წინააღმდეგ ულიქუმის ბრძოლის შესახებ: ქუმარბის ბრძანების თანახმად, ირშირას ღმერთები სამყაროს თაღის მტვირთველ გიგანტს, უბელურის, მხრებზე შეასვამენ ულიქუმის, რომელიც 15 დღეში ცამდე გაიზრდება და მზადაა საბრძოლველად. სამი მამის ყოლა ორიონის დიდ ფუნქციურ დატვირთვაზე მიუთითებს და პარალელს ჰპოვებს შუმერულ მითოლოგიასთან, სადაც სამი მამა (ენლილი, ნანარი და ენქი) ჰყავს ქალღმერთ ინანასაც.

პლეიადების სახელი ნაწარმოებია სიტყვა πελειάδες-იდან და ნიშნავს „ველურ მტრედებს“, ან πλέω-საგან („ცურავ“). ჰიადების სახელი კი მომდინარეობს სიტყვიდან ὕειν („წვიმს“). ვარსკვლავებად გარდასახვის მითების დიდი რაოდენობა გამოწვეული იყო მიწათმოქმედთა და განსაკუთრებით მეზღვაურთა ცხოვრებაში დროისა და სივრცის გაგებისათვის ციურ სხეულთა გამოყენების საჭიროებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მათთვის პლეიადებისა და ჰიადების თანავარსკვლავედთა გამოჩენა, რადგან ჰიადების გამოჩენა წვიმის მაცნე იყო, პლეიადებისა კი ზღვაში გეზის გასაგნებად იყო მნიშვნელოვანი.

ქარები ოთხნი არიან, იმდენნი, რამდენიც სამყაროს მხარეა. მათ ჰომეროსი წარმოადგენს ანთროპომორფულ ღმერთებად, რომლებიც სტუმრობენ თავიანთ ერთ-ერთ ძმასთან და ჭამენ და სვა-

მენ ღმერთების მაცნე ირისთან ერთად. ქარების წმინდა და საკრალური ცხოველები იყვნენ ცხენები, რომლებიც მათ მსხვერპლად ეწირებოდნენ და რომელთა სახესაც ისინი ხშირად ღებულობდნენ. „ოდისეაში" ქარები წარმოადგენენ უსულო სტიქიონებს, რომლებსაც მართავს ქართა მეუფე ეოლოსი. ჰესიოდე ქართა ოთხეულიდან ადამიანთა მიმართ კეთილგანწყობილ ტრიადას ქმნის (ზეფიროსი-ბორეასი-ნოტოსი) და მათ მშობლებად წარმოადგენს ასტრევსსა და ეოსს, რადგანაც ქარები ყველაზე უფრო ხშირად დილით ამოვარდებიან ხოლმე. ქარების საცხოვრებლად თვლიან თრაკიას, კავკასიონს ან ჩრდილოეთ მხარეებს. ბორეასს ათენელები განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ. ისინი ჩრდილოეთის ქარს თავიანთ სიძედ მიიჩნევდნენ და მას შემდეგ, რაც მან დახმარება გაუწია ბერძნებს მეფე ქსერქსეს საზღვაო ფლოტის დამარცხებაში, მათ ჩრდილოეთის ქარს მდინარე ილისოსის ნაპირზე მშვენიერი ტაძარი აუგეს.

წინაოლიმპიურ მითოლოგიაში თემისი უახლოვდებოდა გეას და მასთან ერთად გაიაზრებოდა ერთ მრავალსახელიან ღვთაებად. ოლიმპიაში ზევსისა და გეას ტაძრებთან თემისის სამსხვერპლოც იყო მოთავსებული (პავსანიასი). როგორც ოლიმპიელი ღვთაება, თემისი გეას შთამომავლად ითვლება და მართლწესრიგის ღვთაების სახით წარმოდგება ზევსის მეუღლედ.

ჰორების სახელი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ὥρα („წელიწადის დრო"). ატიკაში მათ თაყვანს სცემდნენ პანდროსოსთან ერთად აუქსოსის („ზრდა"), თალოსისა („გაფურჩქვნა") და კარპოსის („მწიფე ნაყოფი") სახელებით (პავსანიასი). ამ სახელებიდან კარგად ჩანს, რას მოელოდნენ ათენელები ჰორებისაგან. ჰორები მჭიდროდ უკავშირდებიან ქარიტებსა და ჰერას, რომელთან ერთადაც ისინი გამოსახულნი იყვნენ პოლიკლეტესის ერთ-ერთ ქანდაკებაში, ისინი უკავშირდებიან აგრეთვე არტემისსა და აფროდიტეს, და მათთან ერთად, დემეტრესა და პერსეფონეს, რომელსაც მიწისქვეშეთში ორი ჰორა და დიონისე ჩაჰყვნენ. ეს კავშირები ახასიათებენ ჰორებს, როგორც ვეგეტატიურ ღვთაებებს. ჰესიოდეს თანახმად, ჰორები მფარველობენ ადამიანთა საქმეებს. ამ ასპექტში დიკე, ევნომია და ეირენე არიან მართლწესრიგის დამცველები. მიუხედავად ამ ახალი ფუნქციებისა, ჰორებმა თავიანთი არქაულიცა და გვიანდელი მნიშვნელობებიც შეინარჩუნეს. პინდარე ჰორებს ახასიათებს, როგორც ἀγλαοκάρπους („მშვენიერნაყოფებიანი") და მათ პოლისის პოლიტიკური სტაბილურობისა და კეთილდღეობის გარანტს უწოდებს.

ქარიტები („წყალობა", „სიკეთე") აპოლონთან არიან დაკავშირებულნი. დელოსის ტაძარში ამ ღმერთის ხელისგულზე სამი ქარისია მოთავსებული. ისინი გამოსახულნი არიან აპოლონ პითიასის პერგამონის ტაძარში და ათენშიც, აკროპოლისის შესასვლელის წინ. ამ ქალღმერთებს პატივს მიაგებდნენ უფრო ბეოტიურ ორქომენოსში, პაროსსა და თასოსზე. ერთ-ერთი მითით, როდესაც პაროსზე ჩამოსული მეფე მინოსი მსხვერპლს სწირავდა ქარიტებს, მას შეატყობინეს მისი მემკვიდრის, ანდროგეოსის მკვლელობის შესახებ. მეფემ არ შეწყვიტა მსხვერპლშეწირვა, რათა უყურადღებოდ არ მიეტოვებინა ქალღმერთები, მაგრამ ფლეიტაზე დაკვრა შეაწყვეტინა და გლოვის ნიშნად გვირგვინი მოიხსნა თავიდან. მას შემდეგ პაროსელები ქარიტებს ფლეიტისა და გვირგვინის გარეშე სწირავენ მსხვერპლს. ჰეროდოტეს გადმოცემით, ქარიტების კულტი ბერძნებმა პელასგებისაგან გადმოიღეს. ქარიტები ნაყოფიერების ფუნქციით აღჭურვილი „აფროდისიული" ქალღმერთები იყვნენ, ხოლო აფროდიტე თავად ერთ-ერთი ქარისიც შეიძლება ყოფილიყო – ჰომეროსი „ილიადაში" ჰეფესტოს მეუღლედ აცხადებს ვინმე ქარისს, „ოდისეაში" კი მას აფროდიტეს უწოდებს. ქარიტების „აფროდისიულ" ხასიათზე მიუთითებს მათი ნელსურნელებასთან, მუსიკასა და გვირგვინებთან კავშირიც. რაც შეეხება მათ საპატივცემულო მსხვერპლშეწირვებს, რომლებიც სიმღერისა და გვირგვინების გარეშე სრულდება, ისინი ქარიტებს აკავშირებენ მიწისქვეშეთის ღმერთებთან. ამ ფუნქციით კი ისინი ბუნების ნაყოფიერებას უწყობდნენ ხელს – ერთ-ერთ ქარისს თალიეს („გაფურჩქვნა") უწოდებდნენ.

მუზების სახელი გამოჰყავთ ინდოევროპული ძირის ფუძისაგან *mont-ya (ლათ. mons „მთა") ანუ მთის ქალწული, ნიმფა, μένος („რისხვა"), μῦς („თაგვი"), ან კიდევ *month-ya („ზრუნვა, სწავლება"). მუზათა ხთონური ბუნების დამადასტურებელია მათი ტრიადული, „მწყემსური" და „მთიური" ბუნება, რომლითაც ისინი უკავშირდებიან ჰერმესს, მიცვალებულთა მწყემსს, აგრეთვე ის, რომ მათ სწირავდნენ მხოლოდ წყალს, რძესა და თაფლს, ისევე, როგორც მიწისქვეშეთის ღმერთებს. მნემოსინეს ასულებს (პავსანიასი ასახელებს სამ არქაულ მუზას: მნემეს, მელეტესა და აოიდეს) ძირითადად თაყვანს სცემდნენ, როგორც მახსოვრობისა და ცოდნის ქალღმერთებს.

ნიკე იხილეთ ქვემოთ, ატეს განმარტებებში.

ირისს ბერძნები თვლიდნენ ღმერთების მშვილდად ან ცისარტყელად – ღმერთებსა და მოკვდავებს შორის გადებულ ხიდად და

აქედან გამომდინარე, ირისი ღმერთების მაცნედ მოიაზრეს. ამიტომაც აქვს მას უფლება ჩავიდეს ყველგან, მიწისქვეშეთშიც კი. სირენებისა და სირიოსის მონათესავე ირისის სახელი მიუთითებს ქალღმერთის კავშირზე მზისა და ზღვის ღვთაებებთან. მას პატივს მიაგებდნენ პოსეიდონთან, ამფიტრიტესთან, ინო-ლევკოთეასა და ნერეიდებთან ერთად, რაც ზღვასთან მის კავშირზე მეტყველებს.

ჰებე (ἥβη – სიყმაწვილე) სიმწიფისა და აყვავების პერსონიფიკაციას წარმოადგენს. სტრაბონის თანახმად, ფლიუსის აკროპოლისში იგი განიმედესად იწოდებოდა, სიკიონში კი – დიად. ჰებე მეორეხარისხოვანი ღვთაებაა და მხოლოდ ღმერთების დამხმარე (მერიქიფეობის) ფუნქცია აკისრია, ისე რომ იგი არც დედამიწისა და არც ოლიმპოს ცხოვრებაში ღებულობს გადამწყვეტ მონაწილეობას. ჰებეს განსაკუთრებით კ.კოსზე სცემდნენ თაყვანს. მიუხედავად იმისა, რომ ჰებეს კულტში გამოსახულებები არ არის დადასტურებული, შემორჩენილია მისი ქანდაკება მეგარადან, გამოსახულებები ჰერაიონის ვერცხლის საკურთხეველზე, სასმისზე, სადაც მისი და ჰერაკლეს ქორწილია გამოსახული.

მითი განიმედესის შესახებ პოპულარობით სარგებლობდა საბერძნეთსა და რომში. იგი ამართლებდა ჰომოსექსუალიზმს. ამ დრომდე სექსუალური გადახრები დაშვებული იყო მხოლოდ როგორც ქალღმერთის თაყვანისცემის უკიდურესი ფორმა, როდესაც კიბელეს ქურუმები ისაჭურისებდნენ თავს და ქალის ტანისამოსს ატარებდნენ. ამ სიახლის შემომღებად აპოლოდოროსი თამირისს ასახელებს.

ბედი-მოირა ბერძენთა თავდაპირველი წარმოდგენების მიხედვით განხორციელებული იყო რომელიმე მატერიალურ საგანში, ფეტიშში, რომელიც ატარებს ადამიანურ პოტენციალს. ასე, მაგალითად, მელეაგროსის მოირა დაკავშირებული იყო სამსხვერპლო კოცონიდან დარჩენილ მუგუზალთან, რომელიც გმირის დედამ გადამალა. მოგვიანებით დედამ, განრისხებულმა მელეაგროსის მიერ ბიძის, მისი ძმის მკვლელობით, გამოიღო მუგუზალი და ჩააგდო ცეცხლში, რითაც შვილის მტანჯველი სიკვდილი გამოიწვია (აპოლოდოროსი). შემდეგ ეს მაგიური ძალა ცალკე ღვთაებად იქცა, რომელიც ადამიანს ამა თუ იმ ხვედრს არგუნებს წილად და მის ცხოვრებას განსაზღვრავს (დაბადებამდე ან დაბადებისას, როგორც ეს ფოლკლორშია). მოირა ბნელი, უხილავი ძალაა. მას არ გააჩნია გარკვეული ანთროპომორფული სახე და მისი გამოსახვა ანტიკურ ხელოვნებაში იშვიათია. ოლიმპიური მითოლოგიის განვითარებისას ნელ-ნელა ჩამოყალიბდა წარმოდგენა

ერთი (ჰომეროსის „ილიადა", V,613), ორი (პავსანიასი, X,24,4) ან სამი მოირას შესახებ (ყველაზე უფრო გავრცელებული). დელფოში ბედის მხოლოდ ორ ქალღმერთს სცემენ თაყვანს – დაბადებისა და გარდაცვალებისა, რომლებიც გამოისახებოდნენ ბედის წიგნით ხელში.

ატე, ლისა, ნიკე და ჰიბრისი პერსონიფიცირებული აბსტრაქტული ცნებებია. ისინი არასოდეს ყოფილან ღმერთები და მათი მითოლოგიზაცია ჰომეროსისა და ჰესიოდეს დამსახურებაა. მიუხედავად იმისა, რომ ნიკეს ტაძრებიც ეძღვნებოდა და მისი ქანდაკებები საკმაოდ ხშირია ანტიკურობაში, ნიკეს მაინც შერჩა აბსტრაქტულობის ელფერი.

ნემესისი (νεμεσάω „სამართლიანი გულისწყრომა, შურისგება" ან νεμώ „ვანაწილებ, ვყოფ") ჰომეროსისათვის მხოლოდ ადამიანური გრძნობის განსახიერებას წარმოადგენდა. ნემესისი, რომელსაც მისდევს ზევსი, მოიაზრებოდა, როგორც ნიმფა, რომელსაც ჩვეულებრივ ლედა ერქვა სახელად და აგრეთვე, როგორც ფილოსოფიური კონცეფცია ადამიანური ქედმაღლობისათვის ღვთაებრივი შურისგების შესახებ. ფილოსოფიურ ნემესისს თაყვანს სცემდნენ რამნუსში, სადაც, როგორც პავსანიასი წერს (I,33,2-3), სპარსელთა წინამძღოლმა ატიკის დაპყრობის აღსანიშნავად გადაწყვიტა თეთრი მარმარილოს მონუმენტის დადგმა, მაგრამ როდესაც სალამინთან სპარსული ფლოტის დამარცხება შეიტყო, სასწრაფოდ დატოვა ქალაქი, ხოლო ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა შემოტანილი თეთრი მარმარილო ლოკალური ნიმფა-ქალღმერთის, ნემესისის ქანდაკების ასაგებად გამოიყენეს. ნემესისის ეპითეტი იყო ადრასტეა („გარდაუვალი") (სტრაბონი, XIII,1,13). იგი წარმოადგენდა ზევსის დედობილის სახელსაც, რომელიც იფნის ქალღმერთი იყო.

ტიქეს სახელი ნიშნავს „შემთხვევითობას", იმას, რაც უცაბედად წილად ხვდა პიროვნებას. მისი სახე კლასიკურ მითოლოგიაში მეტად იშვიათია, რადგან იგი, ისევე როგორც დიკე („ბუნებრივი კანონი" ან „სამართლიანობა") და აიდოსი („სირცხვილი") ხელოვნური, ფილოსოფოსთა მიერ შემოტანილი ღვთაება იყო. ელინიზმის ეპოქაში ტიქე მკვეთრად უპირისპირდება ძველ წარმოდგენას ბედის გარდაუვალობის შესახებ.

ილითიიას თაყვანისცემა დადასტურებულია უკვე მიკენურ პერიოდში, ამნისოსის გამოქვაბულში, მისი სახელი (ბერძნ. εἰλείθυια) კრეტის კნოსოს სასახლეში ნაპოვნია, როგორც ἐλευθία, რაც ნიშნავს „მომსვლელს". ზოგჯერ ილითიიების რიცხვში ასახელებენ

ჰერასაც, როგორც ქორწინების მფარველს და არტემისსაც, როგორც ახალგაზრდების მფარველს.

ასკლეპიოსს ჰომეროსი ორჯერ ახსენებს და ორივე შემთხვევაში, როგორც ἀμύμονα ἰητῆρα-ს („შესანიშნავ ექიმს“) („ილიადა“, IV,194;XI,518). „ილიადისათვის“ ღვთაებრივი ექიმი იყო პეონი, რომელიც სამედიცინო დახმარებას უწევდა ღმერთებს (V,900). ასკლეპიოსს უძველესი ვერსიები თესალიურ წარმოშობას მიაწერენ („ილიადა“, II,729). სხვა ვარიანტები (ჰესიოდე, ფრაგმენტები, 50-54;59-60) მისი დაბადების ადგილად თესალიის ტბა ბოიბეს წარმოადგენენ, რომლის ნაპირზე მდებარე ქ.ლაკერეა ასკლეპიოსის დედის, კორონისის სამშობლოდ ითვლებოდა. ასკლეპიოსის სამშობლოს შესახებ არსებულ გადმოცემათა სიმრავლე და მათი ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათი განპირობებული იყო ასკლეპიოსთან გაიგივებული ან მის შვილებად თუ შვილიშვილებად ჩათვლილი ადგილობრივი მკურნალი გმირებისა თუ ღმერთების მრავალრიცხოვნებით. როდესაც ტრიკეს ადგილობრივი „გმირი ექიმის“, ასკლეპიოსის კულტმა ნელნელა უფრო და უფრო მეტი გავრცელება ჰპოვა, მრავალი მკურნალი ღმერთის ფუნქციებიც გაითავისა, შეირწყა წინაისტორიული ხანის ღმერთი Μαγνετῶν Χεῖρων („ჯადოსნური ხელების მქონე“) და გარკვეულწილად ქირონიც, ასკლეპიოსის მასწავლებელი, რომელმაც მცენარეებისა და მათი ფესვების სამკურნალო საშუალებებად გამოყენებით მედიცინას ჩაუყარა საფუძველი (პლუტარქე, „სიმპოსიაკა“, 3,1,3,647a), აგრეთვე ოროპოსის მკურნალი გმირი-ღმერთი ამფიარევსი, ტრიკეს ღმერთი მალო, ქალღმერთი ჰიგიეია და მარათონელი არისტომაქოსი. ასკლეპიოსს აპოლონთან ერთად სცემდნენ თაყვანს, იგი ითვლებოდა აპოლონის ჰიპოსტასად და მათ საერთო ტაძრები და ატრიბუტები ჰქონდათ (პავსანიასი, IV,31,10; II,10,3).

ტრიკელი ასკლეპიოსის შესახებ შემორჩა მოგონება, რომ იგი ოდესღაც ყოფილა უძველესი და ყველაზე სახელგანთქმული საბერძნეთში. სტრაბონი ახსენებს გერენიაში „ტრიკელი ასკლეპიოსის“ ტაძარს (IX,5,17;VIII,4,4), რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ეპიდავროსის ტაძრის გვერდით შედარებით შეუმჩნეველია, გვარწმუნებს ღმერთის ხთონურ ბუნებაში. ტრიკეს სალოცავი მდებარეობდა გამოქვაბულში ან სადღაც მიწის ქვეშ, სადაც სრულდებოდა წმინდა რიტუალები. ეს სამლოცველო არსებობდა ერთი პატარა წყაროს მახლობლად, რომლიდანაც, როგორც სჯეროდათ, კეთილისმოქმედი ღმერთი ადიოდა ზემო სამყაროში. წყაროს წყლები, რომლებსაც სამკურნალო თვისებებს მიაწერდნენ, ჩაედინებოდა პირდაპირ მდინარე ლეთეში. ლეთე („დავიწყება“) მოგ-

ვაგონებს რა მიწისქვეშეთს, გვაფიქრებინებს, რომ ამ მდინარის ნაპირას მდგომი ტაძარი ეძღვნებოდა ჰადესის რომელიმე ღმერთს. ამ ღვთაების მიწისქვეშეთისათვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებების მიუხედავად, სამზეოზე ამოსვლისას მორწმუნეთა დიდი სიყვარულისა და რწმენის გამო ეს ღმერთი კეთილი ხდებოდა, რაც მეტყველებს მის ორგვარ ფუნქციაზე. ჰადესის ღმერთები, რომლებსაც შეეძლოთ წაერთმიათ სიცოცხლე მოკვდავი არსებისათვის, შეეძლოთ მისი მონიჭებაც – კურნავდნენ რა დაავადებებს, ისინი ამით სიკვდილს უკუაგდებდნენ. გლავკოსის გაცოცხლების ორი ერთნაირი ვარიანტი გამცოცხლებლის ორი სხვადასხვა სახელით, პოლიიდოსითა და ასკლეპიოსით, მიუთითებს იმაზე, რომ პოლიიდოსი (πολυειδός „მრავალსახოვანი, მრავლისგანმცდელი" – პავსანიასი, ან πολύιδος „მრავლისმცოდნე" – აპოლოდოროსი) ასკლეპიოსის ეპითეტი უნდა ყოფილიყო, ხოლო მრავალსახოვანსა და მრავალსახელიანს (πολυώνυμος), ჩვეულებრივ, ჰადესს უწოდებდნენ ხოლმე. სახელი პოლიიდოსი შეიძლება ასკლეპიოსს პოსეიდონთანაც აკავშირებდეს. როგორც პლატონი ვარაუდობს, სახელ პოსეიდონში „ს"-ს ნაცვლად ორი „ლ" წარმოითქმოდა: პოლლეიდონი ანუ „მრავლისმხილველი" („კრატილოსი", 403a).

ასკლეპიოსის ხთონურობასა და მიწისქვეშეთთან კავშირზე მეტყველებს მის სიმბოლოდ გველის აღიარება და ისიც, რომ ეს ღმერთი თავადაც გველად მოიაზრებოდა. ქანდაკებებზე იგი მეტისმეტად წააგავდა ზევსს, მაგრამ მისი თაყვანისმცემლები მას ცნობდნენ გარშემო შემოხვეული გველით. როდესაც მისი სამლოცველო დაარსდა სიკიონში ძვ.წ. V საუკუნეში, „ეპიდავროსიდან ჯორების ურმით იქნა წამოღებული გველის მსგავსი ღმერთი". ცნობილია, რომ სანამ მას ტაძარს აუშენებდნენ, ღმერთს საკუთარ სახლში სოფოკლემ მისცა თავშესაფარი და ამან მას დიდი სახელი მოუტანა. ორკაპა ენის მქონე გველი ჰადესის სიმბოლოც იყო. მითი, რომლის მიხედვითაც ასკლეპიოსს შეეძლო ადამიანის გაცოცხლება გორგოს სისხლით, შესაძლოა იყოს მინიშნება იმაზე, რომ ძველად მკურნალობის დროს ექიმები აუცილებლად იყენებდნენ ხოლმე მაგიურ საშუალებებს. მეომარი ღვთაებანი (მაგ. არესი და ათენა) თავიდან მიწისქვეშეთის ღმერთებს წარმოადგენდნენ და სიკვდილი მოჰქონდათ სიკვდილისმომტანი გორგოთი (ათენას შემთხვევაში). მოგვიანებით ზოგიერთი ამ ღმერთის ფუნქცია შემოისაზღვრა საომარი ქმედებებით და ადამიანები მათ საშველად უხმობდნენ მხოლოდ ომისა და ბრძოლების დროს. სხვებმა მიიღეს სახე მკურნალი ღმერთებისა, რომელთა სამ-

ლოცველოებშიც ავადმყოფები განკურნებას ეძებდნენ. პირველადი საომარი ბუნება ჩანს გმირ ექიმთა სახელებიდან, რომლებიც ომის ან ბრძოლის შინაარსს შეიცავენ: ნიკომაქოსი („ბრძოლაში გამარჯვებული"), არისტომაქოსი („საუკეთესო მებრძოლი"), პოლემოკრატისი, ალექსანორი, მაქაონი და ა.შ. ეს ქმნილებები, რომლებიც ომის მოყვარულნი იყვნენ, გადმოცემით, კეთილგანწყობილნი იმის გამო გახდნენ, რომ ხალხმა მათი თაყვანისცემა დაიწყო.

ასკლეპიოსის სიკვდილი (იგი ზევსმა მეხით გამოასალმა სიცოცხლეს) უკავშირდება მის გმირულ და არა ღვთაებრივ ბუნებას, მით უმეტეს, რომ მას ადრე მსხვერპლს სწირავდნენ, როგორც გარდაცვლილ გმირს. თუმცაღა ელინისტურ და რომაულ ასკლეპიონებში ასკლეპიოსს თაყვანს სცემდნენ როგორც ღმერთს, მიჩნეულია, რომ მას ღვთაებრივი პატივი პირველად ეპიდავროსში, ძვ.წ. V ს-ში მიაგეს.

პოდალირიოსსა და მაქაონს თაყვანს სცემდნენ უმთავრესად თესალიაში, კარიასა და სამხრეთ იტალიაში. ასკლეპიოსის ასულებსა და ათენა პეონიას („მკურნალს") ეძღვნებოდა ოროპოსში, ამფიარევსის ტაძარში არსებული სამსხვერპლოს ერთი ნაწილი.

გლავკოსის თაფლში დახრჩობა მიანიშნებს იმას, რომ კრეტაზე თაფლი ბალზამირებისათვის გამოიყენებოდა. რაც შეეხება გლავკოსის მიერ ასკლეპიოს-პოლიიდოსისათვის პირში ჩაფურთხებას, მსგავსი სიუჟეტი აპოლონთან დაკავშირებით გვხვდება მითში, რომლის მიხედვითაც კასანდრამ არ შეუსრულა დანაპირები ღმერთს მისნობის ნიჭის მიღებისათვის. კასანდრას მითის მიხედვით, გადაფურთხებას არ წაურთმევია ქალისათვის წინასწარმეტყველების ნიჭი, მაგრამ დააკარგვინა თავის ნათქვამში მსმენელის დარწმუნების უნარი (ესქილე, „აგამემნონი", 1202-1212; დაწვრილებით ამის შესახებ იხილეთ ჩვენი სერიის წიგნი „დიდი ზეციური ღმერთები"). ნერწყვის საკრალურ მნიშვნელობას ხაზი ესმის ღმერთების წარმოშობის ხურიტულ ვერსიაში, რომლის მიხედვითაც ქუმარბიმ სამი ღმერთი – თეშუბი, არზანისი და თაშმიში გადმოაფურთხა და ასე შვა. მსგავსი დაბადება ხვდათ წილად აგრეთვე ეგვიპტელ ღმერთებსაც, შუსა და ტეფნუტს.

რეა-კიბელეს შესახებ არსებული მითების მცირე ნაწილია შემორჩენილი, რადგანაც ამ ქალღმერთის თაყვანისცემა მეტად გასაიდუმლოებული იყო. მასში შერწყმულია ორი ქალღმერთის, ზევსის დედის, რეასა და გარდაცვლილი და მკვდრეთით აღმდგარი ატისის შეყვარებულის, კიბელეს ორგიასტული ხასიათის კულტები.

ცნობილია, რომ კიბელეს თაყვანისცემა მომდინარეობს აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, კერძოდ ფრიგიიდან. საბერძნეთში მისი კულტი უცნობი იყო ძვ.წ. 700 წლამდე. ჰომეროსი და ჰესიოდე არ იცნობენ სხვა „ღმერთების დედას“, რეას, გეასა და თეტისის გარდა. „ღმერთების დედა“ პირველად ჰომეროსის XIII ჰიმნში ჩნდება. კიბელე-ატისის, აფროდიტე-ადონისისა და დემეტრე-პერსეფონეს მითები ასახავენ მარცვლეულის წლიურ ციკლს მისი დაჭკნობითა და ხელახალი აღორძინებით. ატისის დასაჭურისება (შდრ. ურანოსის მითი) კიბელეს თაყვანისცემის ერთ-ერთ ძირითად მომენტს წარმოადგენს. კიბელე საბერძნეთში ადრეული ეპოქიდანვე დაუკავშირდა დიონისეს თაყვანისცემას, რომელიც ასევე გამორჩეულად უყვარდა ხალხს. ბერძნულ სამყაროში კიბელეს კულტს მრავალი საერთო ჰქონდა გეას, დემეტრეს, აფროდიტეს, ათენასა და არტემისის თაყვანისცემასთან, შემდეგ იგი დაუკავშირდა ადრასტეასა და ნემესისს, ბოლოს კი გაიგივდა ქალღმერთ რეას კულტთან, რომელიც საბერძნეთის ოფიციალურ, ოლიმპიურ რელიგიაში ერთადერთი „ღმერთების დედა“ იყო. რეა-კიბელეს თაყვანისცემის ამგვარი გავრცელების შემდეგ მისი კულტი შემოღებული იყო რომშიც მეორე პუნიკური ომის დასასრულს, ძვ.წ. 204 წელს, აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის დროს. კიბელეს კულტი შეერწყა რომაულ წარმოდგენებს თესვისა და მკის ქალღმერთის, ოპსის შესახებ. მისი დღესასწაულები განსაკუთრებული ბრწყინვალებით გამოირჩეოდნენ იმპერიის დროს, როდესაც რელიგიური სინკრეტიზმი განსაკუთრებით განვითარდა და როდესაც კიბელეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ქალაქებისა და სახელმწიფოს კეთილდღეობის მფარველს.

კურეტები (Κούρητες „ჭაბუკები“), სტრაბონის ვერსიით (X,3,12), ათენასა და ჰელიოსის შვილები არიან. მათ ხშირად აიგივებდნენ კაბირებთან, დაქტილებთან და ტელქინებთან, ხოლო კურეტებისადმი მიძღვნილ დღესასწაულებს – სამოთრაკიულ და ლემნოსურ დღესასწაულებთან (სტრაბონი, X,3,19-20). როგორც ათენას შვილები, კურეტები კულტურული ფუნქციებით, ხოლო როგორც გეას ვაჟები ნაყოფიერების ფუნქციებით არიან დაჯილდოვებულნი. კორიბანტების კულტი მცირეაზიული წარმოშობისაა და ექსტატიკურ ხასიათს ატარებს. საბერძნეთში მისი გავრცელება უნდა ვივარაუდოთ არა უადრეს ძვ.წ. VII ს-ისა. კურეტები ნიშნავს აგრეთვე „ახალგაზრდებს“ ან „ახალგაზრდა მეომრებს“, რასაც ადასტურებს მითი ჩვილი ზევსის გარშემო კურეტების ფარით ხელში ცეკვის შესახებ. ფარები და საბრძოლო იარაღები დადასტურებულია იდას მთაზე, კურეტების

გამოქვაბულში, სადაც ყოველწლიურად დიდი კოცონებით აღნიშნავდნენ ხოლმე ზევსის დაბადებას, გარდაცვალებას და აღდგომას. ეფესოსში, სადაც კურეტები ლეტოს შთამომავლობას დარაჯობდნენ, ქურუმები უფროს კურეტს უწოდებდნენ „კურეტებს შორის ყველაზე უფრო კეთილმსახურს“. „ჰიმნში ზევსისადმი“, რომელიც ქვაზე იყო დაწერილი (ძვ.წ. III-II ს.) და აღმოჩენილ იქნა კრეტაზე, პალეკასტროსში, ზევს კრონიონი „დიდ კუროსად“ მოიხსენიება. ზევსისა და კურეტების კავშირი ჩანს სპარტის გიმნოპედიის დღესასწაულებიდანაც. აქ ყმაწვილები ცეკვავენ აპოლონთან, გოგონები კი – არტემისთან, არტემისი – ნიმფებთან, დიონისე – სატირებთან, აპოლონი ლირას აჟღერებს და მუზებთან ერთად უვლის ფერხულს, კურეტები კი ზევსთან ერთად ცეკვავენ. სახელი Κύρβαντες/Κορύβαντες გულისხმობს „მათ, ვინც ფერხულს უვლის“. კორიბანტები წარმოადგენენ იარაღით აღჭურვილ ვაჟთა ჯგუფს, რომელიც შეიარაღებულ ქალთა ჯგუფის, ამორძალების ანალოგიურად, თან ახლავს ქალღმერთს. ეს ელემენტი მოსული ჩანს ჩრდილოეთ მცირე აზიიდან, ფრიგიიდან, კიბელეს თაყვანისცემასთან ერთად, რომელსაც თან ახლდა ორგიასტული დღესასწაულები. მცირეაზიული ჩანს ქოროც, რომელსაც მონაწილენი მიჰყავდა ექსტაზის, ზიარებისა და კათარსისისაკენ. ასე აღწერს პლატონი კორიბანტების მისტერიას, κορυβαντιᾶν-ს. დღესასწაულების დროს მონაწილენი ტოვებდნენ ქალაქს და მუსიკის, ტიმპანებისა და კიმბალების, აგრეთვე მორწმუნეთა ყვირილის თანხლებით ადიოდნენ მთაზე. ეს ცერემონია, პინდარეს გადმოცემით, მეტად უახლოვდებოდა დიონისეს თაყვანისცემას, სადაც კორიბანტების დღესასწაული Κορυβαντισμός შეესაბამებოდა Βακχεῖα-ს. ბერძნული ტრადიცია დიონისეს უკავშირებს ფრიგიასა და ლიდიას, კიბელესა და კურეტ-კორიბანტთა თაყვანისცემის ადგილებს. დიონისე-ძაგრევსის მითში ზევსმა სწორედ კურეტებს დაავალა ჩვილის დაცვა ჰერას ავი ხრიკებისაგან. ევრიპიდეს მიერ გადმოცემულ კურეტების მითში რეა გაიგივებულია კიბელესთან, მისი თანამგზავრები კი კიბელეს თანმხლებ პირებთან. ზევსი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ კრეტულ გამოქვაბულში და რომელიც კურეტებთან მჭიდრო კავშირში იყო, არ იყო ბერძნული ზევსი, არამედ მინოსური წარმომავლობის ბუნებისა და მარცვლეულის ღვთაება, რომელიც ყოველწლიურად კვდებოდა და აღდგებოდა ხოლმე მკვდრეთით, ან ღვთაება, რომელიც ჩადიოდა მიწისქვეშეთში და უკანვე ბრუნდებოდა ისევე, როგორც პერსეფონე. კრეტელმა კუროსმა ბერძენი ზევსისაგან მიიღო უკვდავება და ასე გაექცა მარცვლეულის ღვთაებისათვის დამახასიათებელ სიკვდილსა და მკვდრეთით

ალდგომას. ბუნებისა და მარცვლეულის ღვთაებანი არიან „დიდი კუროსის“ თანამგზავრები, კურეტებიც. ისინი არიან δενδροφυεῖς, ცხოვრობენ ხეობებში ჯგუფ-ჯგუფად, 38-ე ორფიკული ჰიმნი მათ ახასიათებს, როგორც τροφέες („მარჩენალნი“), ὀλετῆρες („დამღუპველნი“), ὡροτρόφοι („ისინი, ვინც სიცოცხლეს ანიჭებენ წლის დროებს“) და φερέκαρποι („ნაყოფთა მომყვანნი“). კურეტები შეესაბამებიან ბერძნულ ნიმფებს, რომლებსაც κοῦραι-ს („ყმაწვილ გოგონებს“) უწოდებენ. ეს უკანასკნელნიც ბუნების სულები არიან, ცხოვრობენ მთებში, წყაროებში, ცეკვავენ და კვებავენ ადამიანებსა და ცხოველებს. კუროს-კურეტებისა და ნიმფა-კურაიების კავშირიდან გამომდინარეობს, აგრეთვე, კუროს კრონიონის (ზევსის) კავშირი კორესთან (პერსეფონესთან). როდესაც ჰადესმა მოიტაცა კორე, მას მიაცილებდნენ ნიმფები ისევე, როგორც კურეტები ახლავან თან ზევსს.

კაბირების (სემიტ. „დიდი ღმერთების“) კულტში ბევრი ელემენტია აღმოსავლური და ამიტომ მათ წარმოშობას მცირე აზიას უკავშირებენ. საბერძნეთში მათ თაყვანს სცემდნენ სამოთრაკიასა და იმბროსში, ყველაზე მეტად კი ლემნოსსა და თებეში. ლემნოსის მაცხოვრებლებს ბერძნები ტირსენიელებს უწოდებდნენ და ამგვარად აიგივებდნენ ეტრუსკებთან ან პელასგებთან. ლემნოსში კაბირების თაყვანისცემა მეტად შორეულ ეპოქას უნდა უკავშირდებოდეს. ეს კუნძული არა მხოლოდ კაბირების, არამედ ჰეფესტოს კულტის ცენტრიც იყო, ისე რომ ლემნოსის დედაქალაქს ჰეფესტია ეწოდებოდა. კაბირებისა და ჰეფესტოს ურთიერთკავშირს გენეალოგიური მითებიც უსვამენ ხაზს. ისინი მათ ჰეფესტოს ვაჟებად (პროტევსის ასულ ნიმფა კაბიროსაგან) ან შვილიშვილებად ასახელებენ (ჰეროდოტე, III,37) და თვლიან, რომ როგორც ჰეფესტოს შვილებს, მათ განსაკუთრებული სიბრძნე დაჰყვათ მემკვიდრეობით. ესქილეს „კაბირებში“ ლემნოსზე არგონავტების სტუმრად მიღებისას კაბირები ბერძენ გმირებს წარმოუდგებიან, როგორც შესანიშნავი ღვინის მსმელები (ესქილე, ფრაგმ. 95-97), და მართლაც, ლემნოსზე არსებულ კაბირების ტაძარში დიდძალი რაოდენობის ღვინის ფიალაა ნაპოვნი. ჰეფესტო და დიონისე ბერძნულ მითებში მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს. ეს კავშირი განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოდგენილი გროტესკულ მითში ოლიმპოსზე ჰეფესტოს დაბრუნების შესახებ, როდესაც მჭედლობის ღმერთს ღვინის ღვთაება მიუძღვის წინ. ეს კი მჭედელთა საგანგებო დღესასწაულებს უნდა უკავშირდებოდეს. ერთ-ერთი ლემნოსური ფიალა ეძღვნებოდა ღმერთს, რომელიც, როგორც ფიალას აწერია, „ხუმრობს ხოლმე“, რაც მიანიშნებს

გროტესკულ ელემენტზე კაბირთა კულტში. კაბირები ჰეფესტოსთან ერთად დიონისესაც უკავშირდებიან. ერთ-ერთი რომაელი მითოგრაფოსის მიხედვით, იმ ხუთ დიონისეს შორის, რომლებიც არსებობდნენ, ერთ-ერთი, კერძოდ თრაკიელი, კაბირების ვაჟია. პავსანიასის თანახმად, თებეს კაბეირონში დემეტრე კაბირაიამ დააარსა ინიციაციები კაბირ პრომეთესა და მისი ვაჟის, აიტნაოსისათვის (IX,25,5-9). ეს ხაზს უსვამს ანალოგიას თებელსა და ლემნოსელ მჭედელთა ჯგუფს შორის. ერთ-ერთ ფიალაზე გამოსახული იყო დიონისეს მსგავსი ღვინის დასალევად დახრილი წვეროსანი კაბირი და მისი ვაჟი პაისი („ბავშვი“). ამ ვაჟს ეძლვნებოდა ყველანაირი სათამაშო, უფრო ხშირად კი დაწინწკლული ფიალა, დიოსკურების პილოსი, რომელიც ასევე წმინდად ითვლებოდა. კაბირისა და მისი ვაჟის წინ დგას პატარა გროტესკული ფიგურა, რომელსაც აწერია პრატოლაოსი („პირველი ადამიანი“). ფიალას მეორე მხარეს ახატია მიტოსი და კრატეია, რომლებიც ალბათ კაბირის მშობლები უნდა ყოფილიყვნენ. ზოგი მითი კაბიროსს დედამიწაზე პირველ ადამიანად ასახელებს და გადმოცემს, რომ იგი ლემნოსზე იშვა. კაბირების დღესასწაულებზე ხარების შეწირვა და ღვინის სმა უმთავრესი ელემენტები უნდა ყოფილიყო. კაბირების ტაძართა საკურთხეველი მოთავსებული იყო წმინდა კომპლექსის ცენტრში. მოგვიანებით მის გარშემო აშენდა თეატრი, სადაც არა მხოლოდ დრამებს აჩვენებდნენ, არამედ ჰიეროფანტესების წმინდა ღვთისმსახურებასაც. საკურთხევლის უკან იდგა შენობა, საკმაოდ განსხვავებული ჩვეულებრივი ბერძნული ტაძრებისაგან. კაბირთა რიტუალების შესახებ მეტად მწირი ცნობებია შემორჩენილი. ცნობილია, რომ კაბირების კულტი გვიან ანტიკურობაში უახლოვდებოდა ორფიკულ საიდუმლოებებს, მისტერიულ ხასიათს ატარებდა და ნაზიარებლობას მოითხოვდა (სტრაბონი, X,3,19-20). ცერემონიებში მონაწილეობდნენ კაბირარქოსები, როგორც მთავარი ქურუმები და პარაგოგესები, რგორც მისტაგოგოსები. ინიციაციის შემადგენელი ნაწილი იყო დაბანა. მას, ვისაც ინიციაცია უნდა გაევლო, ტოტები და თვალსახვევი უნდა შემოეხვია და ამის შემდეგ დაერთვებოდა ნება, შესულიყო დემეტრე კაბირეას ჭალაში (პავსანიასი, IX,25,5). აღსანიშნავია, რომ ამ კულტში არსად იყო მინიშნება სიკვდილისშემდგომი ცხოვრების შესახებ.

დაქტილების სახელები სამჭედლო ხელოვნებასთან არიან დაკავშირებულნი და ამ ღმერთების სამჭედლო ფუნქციებზე მიუთითებენ: კელმისი („ვადნობ“), დამნამენევსი („ვათვინიერებ“) და აკმონი („გრდემლი“). დაქტილები ცხოვრობდნენ იდას მთაზე, მაგრამ

ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილია ორი იდას მთა, კრეტისა და ფრიგიისა, ტროას ახლოს მდებარე. კრეტელი დაქტილები იყვნენ 10, 52 ან 100. კრეტული გადმოცემით, რეამ ან ანქიალემ გამოქვაბულში, სადაც ზევსი იშვა, შეყარა მტვერი, რომელიც დაქტილებად იქცა. ფრიგიაში კი დაქტილების დედად ასახელებენ კიბელეს. აქ დაქტილების რიცხვი არის ექვსი ან, ზოგი ვერსიით, ექვსი მამაკაცი და ხუთი ქალი. მამაკაცებმა კრეტელებს ასწავლეს რკინის გამოყენება, ქალებმა კი „დიდი დედის“ მისტერიები. პავსანიასი აიგივებს მამაკაც დაქტილებს კურეტებთან, რომელთაგან ყველაზე უფროსმა, ჰერაკლემ, დააარსა ოლიმპიური თამაშობები. იდას დაქტილები ხშირად გაიგივებულნი იყვნენ კურეტებთან, კორიბანტებთან და ტელქინებთან. ვინაიდან მათ ფრიგიასა და კრეტას გარდა ათავსებდნენ სამოთრაკიასა და საბერძნეთის სხვა მხარეებშიც, ზოგი ვარიანტი აერთიანებს მათ საცხოვრებელ ადგილებს და გადმოსცემს, რომ ისინი იშვნენ ფრიგიის იდას მთაზე, მაგრამ შემდეგ დატოვეს ეს ადგილი და ბოლოს სამოთრაკიაში დასახლდნენ. არქეოლოგიური გათხრებისას არკალოქორისის კრეტულ გამოქვაბულში აღმოჩნდა ლითონის კარგად დამუშავებული ფირფიტები, ორლესული ცულები და ნახევრად დასრულებული ლითონის იარაღი, რომლებმაც დაადასტურეს იდას მთის მოსახლეობის მიერ ლითონის თაყვანისცემის ფაქტი. იდას დაქტილები (Ἰδαίοι Δάκτυλοι), ზოგი განმარტებით, უნდა ნიშნავდეს οἱ ἐν τῇ Ἴδῃ Δάκτυλοι ანუ ფრჩხილისოდენა, ჯუჯა არსებებს, რომლებიც ცხოვრობენ ტყეში, რასაც ადასტურებს სიტყვა Ἴδη („ტყე“) ჰეროდოტესთან. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თუ არ ჩავთვლით კელმისს, დამნამენევსსა და აკმონს, დაქტილები აღწერილნი არიან, როგორც მაღალი და ძლიერი არსებები. დაქტილების სახელები მიუთითებენ მათ საექიმო განსწავლულობაზე: აკესიდისი (ἄκος-ἀκέομαι „ვკურნავ“), იასიოსი (ἰῶμαι „ვკურნავ“), პაიონაიოსი (παιών „მხსნელი, მშველელი, მკურნალი“). რაც შეეხება მათ ფუნქციებს, პავსანიასის მიერ ნანახი დაქტილის, ჰერაკლეს ქანდაკება იდგა დემეტრეს ქანდაკებასთან ახლოს, რაც მიუთითებს დაქტილების კავშირზე დედა-ქალღმერთთან ანუ მათ სამსახურზე ადრასტეას ან რეა-კიბელეს მიმართ. ზოგჯერ ეს სამი დაქტილი იგივდება ტიტიასთან და კილენოსთან, რომებიც ემსახურებოდნენ მთის ადრასტეას, უკავშირდება მცირეაზიულ ქალღმერთ რეა-კიბელესა და ფრიგიას. ერთ-ერთი თეორიით, ტელქინებისა და იდას დაქტილების ფუნქციური დამთხვევა (ჯადოქრები, მკურნალები, ღმერთების შვილების აღმზრდელები) მომდინარეობს იქიდან, რომ ერთი და იმავე ტომის წარმომადგენელთა ნაწილი

(დაქტილები) წავიდა მცირე აზიისაკენ, მეორე ნაწილი კი (ტელქინები) – ცენტრალური საბერძნეთისა და კუნძულებისაკენ.

ნიმფები გამოისახებოდნენ, როგორც მშვენიერი გარეგნობის შიშველი ან ნახევრად შიშველი გოგონები. ისინი ვეგეტაციის ღვთაებანი იყვნენ და ზრუნავდნენ მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანთა გამოკვებაზე. ეს ჩანს იმ მითებიდან, რომელთა მიხედვითაც ნიმფები უმზადებენ საკვებს ღმერთების ჩვილ შვილებს და გმირებს, აგრეთვე მათი სახელებიდანაც: Ἐπιμηλίδες („ისინი, ვინც მფარველობენ ვაშლებს"), Μηλόβοσις („ის, ვინც კვებავს ცხვრებს") და სხვ. მარცვლეულთან მათი კავშირი ჩანს ნიმფა მელიების, დრიადებისა და ჰამადრიადების მითებიდან. როგორც მცენარეთა ღვთაებანი, ისინი „კვდებიან" და „ხელახლა იბადებიან". ნიმფები, რომლებიც ხშირად იწოდებიან კურაიებად („გოგონები"), კურეტების მდედრობით ვარიანტს წარმოადგენენ. კურაიებს კავშირი აქვთ კორე-პერსეფონესთან, რომელიც მარცვლეულის ღვთაებაა და კრეტელ კურეტებთან, რომლებიც თან ახლავან კრეტელ კუროს-ზევსს („ვაჟ-ზევსს"), რომელიც ჩადის მიწისქვეშ და უკან ბრუნდება.

ნიმფები არიან კუროსებისა და ადამიანთა აღმზრდელები. ნიმფების სახელი νυμφή აღნიშნავს აგრეთვე პატარძალს, რაც ამ ღვთაებათა უმანკოებაზე მეტყველებს. პინდარეს ერთი სქოლიონის მიხედვით „არც ერთი ქორწილი არ სრულდება ნიმფების გარეშე" (პითიური ოდები, 4,106). აქედან ჩანს ნიმფების მჭიდრო კავშირი ქორწინებასთან და მასთან ერთად ნაყოფიერებასა და ვეგეტაციასთან. ნიმფები, როგორც ვეგეტაციისა და ნაყოფიერების ქალღმერთები, უკავშირდებოდნენ პერსეფონეს, დიონისესა და ჰერმეს ხთონიოსს. ითაკზე მდებარე ნიმფათა გამოქვაბულის ჰომეროსისეული აღწერილობა ფილოსოფოსმა პორფირიოსმა ტრაქტატში „ნიმფათა გამოქვაბულის შესახებ" სიმბოლურად განმარტა, როგორც კოსმიური ძალების თავმოყრის ცენტრი. ზოგი მეცნიერი ნიმფებს ინდურ აპსარებს უკავშირებს.

პრიაპოსი თავდაპირველად ფალოსს აღნიშნავა. მისი კულტის ლოკალიზაცია ლამფსაკოსში (ტროადა) მეორადია, თავად წარმომავლობის ადგილი კი – დაუდგენელი. ლამფსაკოსელები მას თავიანთი ქალაქის დამაარსებლად აღიარებდნენ, მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებნი ამტკიცებდნენ, თითქოს იგი ქალაქიდან გაეძევებინოთ არნახული ზომის ფალოსის გამო (ერვიუსის სქოლიონები ვერგილიუსის „ენეიდასათვის", IV,111). პრიაპოსს თაყვანს სცემდნენ, როგორც ხის ნუერსა და ვირს (ოვიდიუსის „ფასტები", I,391-456; ჰიგინუსი „ასტრონომიული ესკიზები", II,23).

ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შემდეგ პრიაპოსის თაყვანისცემა გავრცელდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთშიც და დიონისეს კულტს დაუკავშირდა. წარმოიშვა მითი პრიაპოსის დიონისესა და ადონისისაგან (სხვა ვერსიებით, ზევსის ან ჰერმესისაგან) წარმომავლობის შესახებ. რომაულ ეპოქაში პრიაპოსის თაყვანისცემამ მწვერვალს მიაღწია. პრიაპოსი შევიდა რომაული ნაყოფიერების ღმერთების (პომონა, სილვანი და სხვ. რიცხვში და ფუნქციებშიც შეეზიარა მათ. გარდა იმისა, რომ იგი კეთილ სოფლელ ღვთაებად ითვლებოდა, იგი ბაღების მცველი გახდა (დიოდოროსი, IV,6,4), წყაროთა სისუფთავისა და მიწის სწორი გაყოფის მეთვალყურე (ტერმინუსის ფუნქცია). იგი ითვლებოდა „ბაკქოსის მასწავლებლად", ჰერაკლეს თანაშემწედ, სტოიკოსები მას მიიჩნევდნენ „მშობელი ლოგოსის" განსახერებად, ზღვისა და ხმელეთის შემქმნელად, მას აიგივებდნენ ეროსთან, პანთან და კეთილ დემონთან და „პანთეოსად", ყოვლისღმერთად მიიჩნევდნენ. პრიაპოსის ეპითეტები იყო „წმინდა", „მამა", „მეფე", „კეთილისმყოფელი და მფარველი", რომელსაც ფრესკაზე წარწერილი ლექსები და ავტორთა (კატულუსი, ჰორაციუსი, ვერგილიუსი, მარციალუსი) პოეტური ქმნილებები, ე.წ. პრიაპიები ეძღვნებოდა. იმპერიის ხანაში პრიაპოსის გამოსახულებანი მოთავსებული იყო ტყეებში, ბაღებში, ვენახებში, ნავსადგურებსა და საროსკიპოებში მთელი საბერძნეთის, იტალიის, გერმანიის, გალიის, დალმატიის, თრაკიის, აფრიკისა და ესპანეთის მასშტაბით. პრიაპოსის ყველაზე უფრო გავრცელებული იკონოგრაფიული ტიპია ფალოსის მსგავსი თავის მქონე მოხუცი (პრიაპოსის ერთ-ერთი ეპითეტია triphallus „სამი ფალოსის მქონე" – იგი ორი ფალოსით დაიბადა, მესამე ფალოსი კი მის თავეია), რომელსაც ცალი ხელით უჭირავს თავისი კალთა ან კალათი ბოსტნეულით, ხილითა და მწვანილით, მეორით კი ფალოსი. ამგვარისურათი გამოსახულია ტერაკოტის უამრავ ქანდაკებაზე, მარმარილოს რელიეფზე, გემაზე, ფრესკასა და ამულეტზე. პრიაპოსი გამოსახულია საფლავის ქვებზეც. მთელს ტერიტორიაზე გალიიდან ფრიგიამდე საკმაოდ გავრცელებული იყო ფალიკური ამულეტები და ქანდაკებები, რომლებზედაც გარდაცვლილნი პრიაპოსის სახით იყვნენ წარმოდგენილნი.

პანის ზოომორფიზმი ადასტურებს, რომ მისი თაყვანისცემა მეტად არქაული დროიდან მომდინარეობს. პანის სახელს თვლიან ნაწარმოებად ბერძნული სიტყვიდან παείν („მწყემსვა"), ან πάν („ყველა", ანუ „ის, ვინც ყველა ღმერთს მოეწონა"); ან ინდოევრო-

პული ძირისაგან pus, paus, („გამანაყოფიერებელი"), რაც შეესაბამება ამ ღვთაების ფუნქციებს და აახლოვებს მას დიონისესთან. ესქილე პანს ოლიმპიელი ღმერთების, ზევსისა და აპოლონის გვერდით ასახელებს („აგამემნონი", 56), რაც მეტყველებს ამ ღვთაების დიდ მნიშვნელობაზე. პანის სახე წარმოდგება არკადიული მწყემსი ღვთაებისაგან, რომლის თაყვანისცემაც კიბელესა და დიონისეს ორგიასტულ კულტებს დაუკავშირდა. პანის ორგიასტული კულტის ნაშთს წარმოადგენს მისი კავშირი სელენესთან, მენადებთან და სხვა ბუნების ღვთაებებთან. იგივეს ადასტურებს გენეალოგიური მითიც, რომლის მიხედვითაც პანი ჰერმესის შვილია, ჰერმესი კი ფალიკურ ღვთაებას წარმოადგენს. როგორც ორგიასტული კულტის მქონე სხვა ღმერთებს, პანსაც აქტიური კავშირი ჰქონდა მიწასთან. იგი ძველად ნაყოფიერების ღმერთი იყო და თხებისა და ცხვრების ფარებს უმრავლებდა ხალხს. მისი სახე წინაბერძნული მიწის ღვთაების სახეა, რომელიც თანდათანობით ბერძნულ ღმერთად გარდაიქმნა. როგორც მიწის ღვთაებას, პანს წინასწარმეტყველების უნარი ჰქონდა და, მითის მიხედვით, მან ეს ნიჭი შემდგომ მისნობით განთქმულ ახალგაზრდა ღმერთს, აპოლონსაც გადასცა. პანისა და აპოლონის მუსიკალური ასპარეზობა აიგივებს პანს მარსიასთან ან რომელიმე სატირთან ან სილენოსთან. თუმცა კი ღმერთია, პანის სიკვდილის გადმოცემა საკმაოდ ბუნებრივად ჟღერს სხვა მიწის ღვთაებათა გარდაცვალების ფონზე. როგორც მიწის ღმერთი, ადონისისა და პერსეფონეს მსგავსად, პანიც უნდა დაქვემდებარებოდა სიკვდილსა და ხელახალ აღმოცენებას. თამუსის მიერ პანის სიკვდილის გამოცხადების მითში (პლუტარქე), როგორც გრეივსი ვარაუდობს, ღმერთ თამუსის ცერემონიალური გლოვა: Θάμυς πάν-μεγας τεθνήκε „თამუსი ყოვლად დიდი (ღმერთი) მოკვდა!" ეგვიპტელმა ქურუმებმა არასწორად გაიგეს, ანუ როგორც „თამუს, დიდი პანი მოკვდა", ხოლო პლუტარქემ ირწმუნა ეს გადმოცემა და თავის თხზულებაში შეიტანა.

მითში მინიშნებულია მარათონისა და სალამინის ის ბრძოლები, რომლებიც ძვ.წ. 490 და 480 წლებში გაიმართა.

მიდასს მკვლევარები არცთუ უსაფუძვლოდ აიგივებენ მითასთან, მოსხების („ხბოს ხალხები" – ბერძ. μόσχος „ხბო") ანუ მუშკების მეფესთან. სიტყვა „მოსხები" უნდა უკავშირდებოდეს ხბოს, როგორც წმინდა წლის სულის კულტს. რაც შეეხება „ვირის ყურებს", გადმოცემა მათ შესახებ შესაძლოა წარმოშობილი ყოფილიყო ათენის კომიკურ დრამაში მიდასის, როგორც საზიზღარი გრძელი ყურების მქონე სატირის გამოსახვის გამო. თუმცა კი

გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ მიდასს ვირის სახით სცემდნენ თაყვანს – ეს ცხოველი დიონისეს წმინდა ცხოველად ითვლებოდა და ამ ღმერთმა ორი ვირი ცაზე ვარსკვლავებს შორის მოათავსა.

ერინიების სახელი ნიშნავს წყევლას, დასჯას, სიკვდილსაც კი და ეს კარგად გამოკვეთს მათ ფუნქციებს. ერინიები არიან ქალღმერთ ჰეკატეს თანამგზავრები. ისინი განასახიერებდნენ სინდისის ქენჯნას ტაბუს დარღვევის შემდეგ, რომლის მიხედვითაც დაუშვებლად მიიჩნეოდა წყენის მიყენება, დაუმორჩილებლობა ან ძალის გამოყენება დედის მიმართ. შემდეგ ერინიების სახეს დაემატა მიცვალებულთა უფლებების დამცველი ხთონური ღვთაებებისა და კოსმიური წესრიგის შემქმნელების ფუნქციები. ბერძნულ ნატურფილოსოფიაში, ჰერაკლიტესთან ერინიები წარმოდგენილნი იყვნენ, როგორც „სიმართლის დამცველნი“, რადგანაც მათი ნების გარეშე „მზეც კი ვერ გადავა თავის საზომს“ (B 94D).

ჰიპნოსსა და თანატოსს „თეოგონიაში“ ჰესიოდე უწოდებს საშინელ ღმერთებს (δεινοὶ θεοί) და მათ საცხოვრებელ ადგილად ტარტაროსს მიიჩნევს, ჰომეროსი კი – ლემნეს („ილიადა“ XIV, 230-231). თუკი ჰიპნოსს ბერძნები კეთილისმყოფელ ღმერთად თვლიდნენ, თანატოსს ისინი „საუკუნო ძილს“, ἄνακτα τῶν νεκρῶν („მიცვალებულთა მეუფეს“) და მრავალ სხვა უსიამოვნო ეპითეტს უწოდებდნენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ἰατρὸν νόσων („ავადმყოფობათა მკურნალს“, „ბოროტებისაგან დამხსნელს“) და სხვ. ეს ეპითეტები უმეტესწილად ჰადესის, ქარონის, ჰერმეს ფსიქოპომპოსის დასახასიათებლად გამოიყენებოდა. მათ ერთობლივ ფუნქციებზე მეტყველებს ისიც, რომ ჰიპნოსი და თანატოსი მეტად ძველ გადმოცემებში აისახებოდნენ, როგორც ქარები, რომლებსაც ერთად გადაჰყავთ მიცვალებული ჰადესში. ასე ხატავს მათ ჰომეროსი „ილიადაში“, სადაც ჰიპნოსსა და თანატოსს სარპედონი ტროას ბრძოლის ველიდან ლიკიაში გადაჰყავთ (XVI, 666-683). ხალხის მიერ სიკვდილის წინაშე არსებული დიდი შიშის გამო წარმოიშვა მითები, სადაც გმირი ორთაბრძოლაში ამარცხებს ხორციელად გამოსახულ თანატოსს ან ჭკუით სჯაბნის და ამგვარად დასცინის მას. ასეთები იყო ჰერაკლეს მიერ თანატოსისაგან ალკესტისის დახსნისა და მიწისქვეშეთში ჰადესის დაჭრის, აგრეთვე, სისიფოსის მიერ თანატოსის დატყვევებისა და ჰადესის მოტყუების მითები.

# სახელთა საძიებელი

ა

აგამემნონი 158
აგდიტისი 95, 154
აგენორი 25, 121
აგლაიე 79
აგლაოპე 132
აგრავლოსი 26
აგროსტიდები 98
ადაპა 138
ადმეტე 114
ადმეტოსი 86, 107, 137
ადონისი 141, 155, 168, 174, 175
ადრასტეა 98, 164, 168, 172
აეთლიოსი 25, 68
აელა 15
აელოპე 15
ავგუსტინე 122
ავრორა 156
ავსონოსი 8
აზია 10, 63, 170, 173
ათამასი 77
ათენა 8, 9, 12, 17, 23, 27, 28, 41, 43, 44, 45, 79, 83, 92, 95, 105, 112, 116, 118, 121, 122, 126, 129, 139, 154, 159, 166, 167, 168
ათენი 10, 24, 27, 28, 59, 74, 76, 78, 87, 88, 102, 119, 122, 127, 161, 162, 175
აიაქსი (ოილევსის ძე) 23, 120, 125
აიდონევსი 147
აიდოსი 164
აიეტი 62, 63, 114, 115
აიტნაოსი 171
აკასტოსი 13
აკესიდისი 97, 172
აკისი 15, 111
აკმონი 98, 172
აკონოსი 136
აკროპოლისი 27, 102, 126, 162, 163
აკუსილაოსი 154
ალექსანდრე მაკედონელი 174
ალექსანორი 167
ალექსიარესი 84
ალექტო 104
ალკეოსი 113, 152
ალკესტისი 107, 176
ალკიონე 72, 73, 89
ალკიპე 26
ალკმენე 91
ალკონი 155
ალოადები 25, 81, 121
ალოპე 126
ალსეიდები 98
ამატე 105
ამაძონი 94
ამიკოსი 25, 121
ამიმონე 20, 28, 29, 122
ამისოდაროსი 18
ამნისოსი 164
ამფიარევსი 165, 167
ამფისე 123
ამფიტრიტე 15, 23, 24, 34, 111, 117, 121, 122, 123, 128, 129, 163
ამფიქტიონი 121
ანაიდეიე 88
ანანკე 86, 132
ანატოლია 30, 125, 132
ანდროგეოსი 162

ანთემოესა 36
ანთეოსი 25, 121
ანიკეტოსი 84
ანკევსი 25, 121
ანტაიოსი 124
ანტიოპე 93
ანქიალე 172
ანქისესი 80
ანუ 138
ანუბისი 144, 148
აოიდე 81, 162
აორნოსი 52
აპოლოდოროსი 109, 110, 111, 112, 113, 116, 117, 120, 121, 122, 123, 126, 128, 132, 134, 135, 136, 139, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 163, 166
აპოლონი 22, 27, 34, 35, 41, 43, 71, 72, 75, 76, 78, 80, 81, 83, 86, 89, 91, 92, 93, 96, 101, 103, 104, 105, 108, 123, 124, 129, 131, 154, 155, 156, 157, 158, 159, 162, 165, 167, 169, 175
აპოლონიოს როდოსელი 109, 110, 111, 113, 120, 121, 123, 149, 150, 151, 153, 155
აპსარები 173
აპულეუსი 145, 151
არაქნე 88
არგიოპე 81
არგიროსი 124
არგო 35, 37, 38
არგოლისი 29
არგონავტები 12, 16, 25, 31, 32, 35, 36, 38, 77, 96, 118, 123, 170
არგოსი 28, 122, 126
არგუსი 19
არეთუსა 110
არეიონი 25, 121, 124, 128
არეოპაგოსი 26, 27, 78, 105
არესი 26, 50, 59, 63, 72, 74, 83, 108, 116, 135, 138, 150, 151, 158, 166
არზანისი 167
არიმნია 117
არისტომაქოსი 150, 165
არისტოფანე 112, 121, 135
არკადია 72, 92, 100, 101, 102, 115, 138, 141, 142, 175
არკალოქორისი 172
არსინოე 154
არტემისი 34, 43, 46, 71, 72, 80, 92, 93, 102, 103, 144, 149, 150, 159, 160, 161, 165, 168, 169
არტემისიონის კონცხი 126
არქილოქოსი 153
ასია 8
ასკლეპიადები 94
ასკლეპიოსი 13, 72, 91, 92, 93, 94, 138, 153, 154, 165, 166, 167
ასოპოსი 8
ასტერიე 55
ასტერონი 28
ასტრევსი 60, 74, 157, 161
ასფოდელოსი 52, 53, 143
ატე 87, 88, 153, 162, 164
ატიკა 27, 102, 122, 132, 161, 164
ატისი 94, 95, 154, 167, 168
ატლანტიდა 10, 27, 110, 127
ატლასი 8, 10, 11, 12, 24, 72, 73, 109, 110, 115, 117
ატროპოსი 86
აუქსოსი 78, 152, 161
აფრიკა 10, 174
აფროდიტე 36, 41, 42, 45, 59, 63, 79, 80, 83, 99, 117, 139, 141, 149, 152, 153, 155, 158, 159, 161, 162, 168
აქელოოსი 35, 81, 123
აქერონი 52, 120, 142
აქილევსი 13, 15, 16, 25, 54, 75, 76, 79, 125
აქტაიე 117
აქტეონი 43
აქტისი 44

ბ

ბაკქოსი 174
ბალიოსი 75, 125
ბელეროფონტესი 18, 119

ბელოსი 25, 121
ბენთესიკიმე 24, 121, 129
ბეოტია 43, 72, 77, 120, 133, 138, 160, 162
ბეოტოსი 25, 121, 127
ბიე 9
ბისალტია 30
ბოიბე 91, 165
ბორეასი 38, 61, 73, 74, 75, 76, 161
ბოსფორი 130
ბოსფორის სრუტე 133
ბუსირისი 25, 121
ბუტოსი 36

გ

გალატეა 15, 111
გალენე 117
გალია 174
განიმედესი 60, 84, 85, 152, 163
გარგეთელი 119
გეა 7, 9, 12, 16, 32, 66, 69, 71, 77, 81, 82, 95, 104, 109, 112, 118, 124, 138, 150, 151, 161, 168
გერგეტი 119
გერენია 165
გერიონი 8, 17, 18, 19, 112, 147
გერმანია 174
გერმანიკუსი 136
გველისმჭერის თანავარსკვლავედი 93
გიგანტი 67
გილგამეში 118
გირეა 69
გლავკე 117
გლავკოსი (ზღვის ღმერთი) 23, 31, 32, 33, 34, 122, 123, 130, 131
გლავკოსი (მინოსის ვაჟი) 93, 131, 154, 166, 167
გორგო 11, 16, 17, 25, 92, 110, 112, 117, 118, 119, 139, 166
გრაია 16, 17, 112, 117, 118

დ

დალმატია 174
დამნამენევსი 98, 124, 171, 172
დამონი 124
დანაისი 54, 135
დანაოსი 28
დარდანოსი 73, 74
დაფნე 91
დაქტილები 95, 97, 98, 155, 171, 172, 173
დელოსი 34, 71, 72, 162
დელფო 27, 78, 92, 124, 134, 164
დემეტრე 21, 25, 36, 46, 59, 76, 100, 109, 121, 124, 136, 137, 139, 140, 141, 144, 153, 159, 161, 168, 171, 172
დემონაქსი 124
დესმოტესი 25
დიდი დედა 172
დიკე 78, 89, 161, 164
დინდიმენე 94
დინო 16, 118
დიოდოროსი 110, 113, 121, 123, 125, 133, 135, 146, 152, 153, 154, 155, 174
დიომედესი 81, 83
დიონე 129
დიონისე 27, 70, 95, 97, 100, 101, 103, 131, 135, 139, 141, 151, 152, 154, 155, 161, 168, 169, 170, 171, 173, 174, 175, 176
დიოსკურები 13, 111, 171
დიოტიმოსი 132
დისნომია 153
დოდონე 129
დორისი 15, 98, 117, 128
დრიადები 98, 173
დრიოპე 100

ე

ეა 138
ეაგროსი 81
ეაკოსი 49, 53

ეგეოსის ზღვა 16, 96
ეგვიპტე 10, 44, 115, 122, 130, 143, 146, 148, 167, 175
ეგვიპტოსი 122
ეგინა 27, 113
ეგლე 12, 110, 152
ევბეა 117, 132
ევმენიდები 105
ევმოლპოსი 74, 121
ევნომიე 78, 152, 161
ევრიალე 17, 69, 150
ევრიბიე 9
ევრიდიკე 48, 49, 50, 58
ევრიმედონი 155
ევრინომე 8, 63, 79, 109
ევრიპიდე 110, 112, 113, 120, 121, 122, 130, 134, 135, 147, 149, 151, 153, 156, 157, 169
ევრისთევსი 12, 18, 58, 84, 87, 147, 148
ევრიტე 26
ევრიტიონი 18
ევრიფაესა 150
ევროპე 25, 30, 34
ევროსი 76, 151
ევსტათიოსი 121, 132, 152
ევტერპე 80
ევფემე 101
ევფემოსი 25, 121
ევფროსინე 79
ეთერია 63
ეთიოპელები 114
ეიდოთეა 29, 30, 130
ეიდორე 151
ეირენე 78, 161
ელეელები 139
ელევსინი 139, 141
ელენე 29, 54, 89, 90, 94, 122
ელექტრა 72, 73, 84
ელექტრიო 43
ელისეს მინდვრები 48, 53, 54, 76, 135
ელისი 97, 139, 149
ემპუსა 26, 49
ენარეტე 38, 40, 133
ენას დაბლობი 46
ენდეისი 13
ენდიასი 24
ენდიმიონი 25, 68, 149, 150
ენეასი 56, 57, 58
ენიო 16, 118
ენლილი 146, 160
ენქი 138, 160
ეოლია 38, 39, 129
ეოლოსი 25, 38, 39, 40, 41, 123, 127, 133, 161
ეოსი 59, 60, 61, 65, 67, 68, 71, 74, 85, 149, 150, 156, 157, 160, 161
ეოსფოროსი 59, 61
ეპაფოსი 64, 96
ეპიდავროსი 94, 165, 166, 167
ეპიმედესი 97
ეპიმეთე 8, 10, 110
ეპიმენიდე კრეტელი 112
ერატო 80
ერატოსთენესი 150, 156
ერგინოსი 25, 121
ერებოსი 53, 104, 109, 135, 156
ერეხთევსი 74, 126, 127
ერეხთეიონი 127
ერიდანი 67
ერითეია 62
ერითია 12, 17, 110
ერინია 47, 49, 55, 75, 104, 105, 124, 156, 176
ერისი 86, 153
ერიქსის მთა 45
ერიხთონიოსი 74
ეროსი 45, 46, 75, 83, 84, 174
ესპანეთი 174
ესქილე 110, 120, 122, 149, 152, 153, 156, 167, 170, 175
ეტოლია 94
ეტრუსკები 140, 170
ეფესოსი 169
ეფიალტესი 25, 81
ექიდნე 16, 18, 19, 20, 57, 110, 112, 116, 119, 120, 122
ექო 100, 101

ვ

ვაიტარანი 143
ვატიკანი 109, 147
ვერგილიუსი 111, 113, 122, 123, 134, 135, 136, 139, 150, 151, 152, 155, 156, 173, 174
ვივასვატი 133

ზ

ზევსი 7, 8, 9, 10, 11, 14, 18, 21, 22, 23, 25, 26, 27, 28, 32, 34, 37, 39, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 50, 54, 55, 56, 60, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 72, 73, 77, 78, 79, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 89, 90, 91, 93, 95, 96, 97, 99, 101, 106, 107, 108, 111, 122, 123, 126, 127, 128, 129, 135, 138, 140, 141, 149, 150, 151, 153, 154, 155,158, 159, 161, 164, 166, 167, 168, 169, 170, 172, 173, 174, 175
ზეფიროსი 16, 40, 61, 74, 75, 76, 84, 111, 151, 161

თ

თავმასი 15, 84, 111
თალასა 123
თალიე 79, 81, 96, 154, 162
თალოსი 78, 152, 161
თამირისი 81, 82, 88, 89, 152, 163
თამუსი 102, 156, 175
თანატოსი 49, 50, 51, 55, 86, 105, 106, 107, 108, 156, 176
თასოსი 162
თაშმიში 167
თებე 96, 120, 141, 170, 171
თევმესას ტაძარი 43
თეია 59, 61, 68
თელქსიეპეა 132
თემისი 77, 78, 110, 152, 153, 161
თეოგნიდოსი 135, 153, 156
თეოკრიტოსი 113, 130, 136, 150, 155, 156
თერა 35, 125, 134
თესალია 13, 91, 94, 115, 124, 125, 126, 127, 138, 165, 167
თესევსი 13, 24, 47, 57, 93, 121, 127, 134, 135, 138
თესპროტები 147
თეტისი 13, 15, 22, 32, 79, 80, 111, 117, 121, 125, 128, 129
თეშუბი 160, 167
თმოლოსი 103
თმოლოსის მთა 103
თოოსა 112
თრაკია 15, 21, 30, 74, 81, 154, 161, 171, 174

ი

იალისოსი 42
იამბე 100
იაპეტოსი 10, 11, 78, 110
იასიოსი 97, 172
იასო 93
იასონი 13
იბერია 119
იდა 97, 98, 155, 168, 172
იდას დაქტილები 134
იდას მთის დედა 94
იდასი 125
იდიია 8, 114
ითაკა 173
ითონოსი 121
ილითიია 83, 84, 90, 91, 153, 164
ილიონი 106
ილისოსი 74, 161
იმბროსი 170
იმეროპე 132
ინანა 160
ინანა-იშთარი 141
ინაქოსი 28
ინიციაცია 171
ინო 23
ინო-ლევკოთეა 163
იო 64, 96
იოლაოსი 20, 84
იოლკოსი 127
ირიეოსი 73

ირისი 9, 16, 75, 84, 85, 113, 119, 152, 161, 162, 163
ირშირა 160
ისთმოსის ყელი 27
ისიდა 115, 146, 159
ისქოსი 92
იტალია 10, 41, 127, 133, 167, 174
იფიკლესი 88
იქსიონი 49, 54, 77, 91, 98, 135

კ

კაბეირონი 171
კაბირარქოსი 171
კაბირეა 171
კაბირები 95, 96, 154, 168, 170, 171
კაბირო 96, 154, 170
კაბიროსი 171
კადმილოსი 154
კადმოსი 30, 54, 80
კალაისი 16, 38, 74
კალიმაქოსი 134, 149, 153
კალიოპე 80, 123
კალიროე 8, 17, 85, 112
კალიფსო 8, 110, 114, 160
კამეიროსი 42
კამილოსი 154
კანაკე 40, 123
კანდაონი 150
კაპანევსი 93
კარია 18, 68, 149, 167
კარპოსი 78, 152, 161
კასანდრა 23, 158, 167
კასმილოსი 154
კასტორი 13, 23
კატულუსი 174
კაფეირა 123, 134
კეა 133
კედალიონი 70, 160
კეიკოსი 89
კეკროფსი 28
კელენო (ერთ-ერთი პლეადათაგანი) 72, 73
კელენო (ჰარპია) 15
კელმისი 98, 155, 171, 172
კენდაონი 72
კენტავრი 13, 14, 77, 92, 111, 125
კენტავრის თანავარსკვლავედი 14
კერბეროსი 19, 31, 47, 48, 52, 57, 58, 113, 119, 136, 143, 144, 146, 147, 148
კერები 49
კერკიონი 25, 121
კეტო 12, 16, 18, 110, 112, 117, 118
კეფალენია 117
კეფალოსი 59, 60, 149
კეფისოსი 28
კვიპროსი 42, 133
კიბელე 94, 95, 154, 159, 163, 167, 168, 169, 172, 175
კითერა 42
კიკლოპი 15, 25, 44, 70, 93, 136
კიკნოსი 67, 121
კიკონები 74
კილენეს მთა 72
კილენო 172
კიმერიელები 106, 114
კირკე 33, 63, 114
კლაძომენე 148
კლეეია 151
კლეიტოსი 59, 60, 110
კლეოპატრა 74
კლეტე 152
კლიმენე 8, 10, 60, 63, 64, 67, 109, 110, 114
კლიო 80
კლიტემნესტრა 158
კლიტიე 63, 149
კლიტოსი 30
კლოთო 86
კნოსო 164
კოკიტოსი 52, 142
კოლხეთი 61, 116
კორე 139, 140, 141, 170, 173
კორიბანტები 81, 94, 95, 96, 154, 169, 172
კორინა 150
კორინთოსი 27, 62, 125
კორონისი 91, 92, 151, 154, 165
კოროსი 88

კორსიკა 117
კოსი 94, 163
კრატეია 171
კრატეისი 122
კრატოსი 9
კრეტა 42, 93, 95, 97, 133, 151, 164, 167, 169, 172, 173
კრიოსი 9, 82
კრონოსი 8, 9, 10, 13, 14, 21, 41, 43, 44, 54, 82, 93, 95, 97, 125, 134, 155
კროტოსი 101
კუმო 117
კუმოდოკე 117
კუმოთოე 117
კურაიები 170, 173
კურეტები 42, 94, 95, 96, 97, 154, 168, 169, 170, 172, 173
კუროს თანავარსკვლავედი 73
კუროსი 169, 170, 173

## ლ

ლაბრისი 128
ლადონი 11, 12, 16, 110, 111, 113, 116
ლათინები 105
ლაიოსი 120
ლაკედემონი 73
ლაკერეა 165
ლაკონიკე 130
ლამია 25, 26, 49, 121
ლამპეტია 62, 63
ლამპოსი 59
ლამფსაკოსი 173
ლაომედონი 22, 59, 120
ლაპითები 14, 54, 91
ლატინოსი 8
ლატმოსი 68, 149
ლაფისტიოსის მთები 145
ლაქესისი 62, 86
ლედა 164
ლევკე 48
ლევკოთეა 42, 63, 134, 159
ლევკოსი 55
ლევკოსია 132
ლეთე 52, 53, 106, 135, 142, 143, 152, 165
ლემნე 176
ლემნოსი 70, 96, 106, 168, 170, 171
ლერნეს ტბა 20
ლერნეს წყარო 29
ლესბოსი 129
ლეტო 34, 54, 84, 88, 91, 149, 159, 169
ლიბია 25, 35, 115
ლიგეია 132
ლიდია 154, 169
ლიკია 18, 43, 108, 176
ლიკოსი 73, 124
ლიკოფრონი 122, 132, 150, 157
ლიკურგოსი 93, 132
ლილიბეა 36
ლიმნადები 98
ლინდოსი 42
ლინოსი 81
ლიპარა 41
ლიპაროსი 39
ლისა 88, 153, 164
ლისიასი 112
ლოტოსი 100, 155
ლუკიანოსი 137, 151, 155
ლუკრეციუსი 154

## მ

მაატი 144
მაია 72, 73
მაკარევსი 40, 123, 133
მალეას კონცხი 14
მანტიასი 60
მარათონი 90, 102, 175
მარპესა 125
მარსიასი 88, 89
მარციალუსი 174
მაქაონი 93, 94, 167
მახსოვრობის მდინარე 143
მახსოვრობის წყალი 53, 54
მეგალესიოსი 124
მეგარა 163

მეგერა 104
მედეა 8, 58, 110, 116, 151
მედუზა 11, 17, 25, 92, 110, 117, 118, 139, 147
მელანიპე 25, 121, 125, 130
მელეაგროსი 163
მელეტე 81, 162
მელიკერტესი 23, 123, 130
მელოსი 119
მელპომენე 80, 81, 123
მემნონი 60
მემფისი 122
მენადა 101, 175
მენანდრე 156
მენელაოსი 29, 30, 122
მენოიტიოსი 8, 10, 109
მეროპე 69, 70, 71, 72, 73
მერწყულის ზოდიაქო 85
მესტრა 126
მეტისი 8, 9, 109
მიდასი 103, 104, 156, 175
მითა 175
მიკალე 127
მიკენი 87, 118, 124, 129, 138, 164
მილასი 124
მიმნერმოსი 111
მინთე 48, 139, 140
მინიასი 143, 145
მინოსი 25, 49, 53, 55, 63, 69, 71, 93, 115, 140, 150, 162, 169
მინოტავროსი 25, 121
მიტოსი 171
მნემე 81, 162
მნემოსინე 81
მოირა 78, 86, 90, 106, 153, 163, 164
მოლოსი 147
მოლოტოსი 147
მორიოსი 87
მოსხები 175
მუზა 35, 36, 79, 80, 81, 82, 83, 89, 96, 101, 123, 132, 152, 154, 162, 169
მშვილდოსნის თანავარსკვლავედი 101
მცირე აზია 127, 169

ნ

ნაიადა 48, 98
ნავპლიონი 29
ნავპლიოსი 29
ნანარი 160
ნაქსოსი 24, 27, 70
ნეაპოლი 37, 132
ნელევსი 121, 127, 135, 137
ნემეა 19, 113
ნემეას ლომი 19, 58, 113, 119
ნემერტესი 117
ნემესისი 86, 89, 90, 106, 124, 153, 164, 168
ნემთი 146
ნერევსი 14, 15, 23, 24, 31, 98, 109, 111, 116, 117, 118, 128, 131
ნერეისი 14, 15, 22, 24, 32, 34, 98, 111, 117, 128, 129, 155, 163
ნესაიე 117
ნესტორ პილოსელი 25, 126, 127
ნეტართა კუნძულები 54, 55, 61, 136
ნეფელე 77, 133, 151
ნიკანდროსი 148
ნიკე 9, 82, 83, 152, 162, 164
ნიკომაქოსი 167
ნილოსი 130
ნიმფა 17, 24, 26, 32, 34, 43, 46, 48, 62, 63, 64, 67, 68, 81, 85, 91, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 109, 110, 112, 118, 121, 152, 154, 155, 156, 159, 162, 164, 169, 170, 173
ნინლილი 146
ნიობე 88, 89
ნისოსი 151
ნიქსი 67, 86, 88, 89, 104, 105, 106, 109, 110, 149
ნონოს პანოპოლელი 154
ნოტოსი 61, 73, 76, 151, 161

ო

ოდისევსი 23, 31, 32, 36, 39, 40, 62, 123, 127, 145, 155

ოვიდიუსი 109, 110, 111, 112, 120, 122, 123, 126, 135, 136, 147, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 173
ოიდიპოსი 20, 120
ოინეისი 155
ოინოპიონი 69, 70, 71
ოკეანისი 8, 17, 46, 48, 63, 72, 84, 90, 98, 114, 115, 128, 129, 155, 159
ოკეანოსი 7, 8, 9, 10, 11, 13, 15, 52, 61, 63, 70, 79, 82, 98, 109, 110, 112, 113, 114, 116, 118, 124, 128, 132, 134, 143, 157, 159
ოკიპეტე 15
ოლიმპია 97, 150, 161
ოლიმპოსი 8, 9, 18, 47, 51, 59, 77, 78, 79, 83, 85, 99, 101, 109, 125, 128, 163, 170
ონქესტოსი 124
ოპსი 168
ორესტე 105, 158
ორესტიადები 98
ორთროსი 18, 19, 112, 119, 120, 147
ორითიია 74
ორიონი 25, 52, 59, 69, 70, 71, 72, 73, 93, 121, 150, 151, 158, 159, 160
ორმენოსი 124
ოროპოსი 165, 167
ორტიგია 72
ორფევსი 12, 35, 36, 48, 49, 50, 58, 81, 96, 97, 104, 132, 135
ორფიკოსები 139, 142
ორქამოსი 63
ორქომენოსი 43, 162
ოსა 125
ოსირისი 115
ოტოსი 25, 81
ოფიონევსი 109
ოძომენე 111

პ

პავსანიასი 112, 115, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 131, 134, 135, 136, 139, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 161, 162, 164, 165, 166, 171, 172
პაიონიოსი 172
პალაიმონი 123
პალეკასტროსი 163
პალენე 30
პალმირა 148
პალოდესი 102
პანაკეა 93
პანდორა 79
პანი 10, 15, 68, 100, 101, 102, 103, 104, 111, 119, 135, 141, 146, 150, 155, 156, 158, 161, 174, 175
პართენიოსი 113, 150
პართენოპე 37, 123, 132
პარისი 94, 122
პაროსი 162
პასიფაე 63, 107, 152
პატროკლე 76
პეგასოსი 17, 18, 25, 112, 118, 119, 121, 124
პეითო 79, 152
პეირასი 112
პეირითოოსი 47, 48, 57, 135, 138
პეისინოე 132
პელასგები 162, 170
პელევსი 13, 15, 80, 111, 125
პელიასი 121, 127
პელიონი 13, 14, 25, 111
პელოპონესოსი 147
პელოფსი 125
პემფრედო 16, 118
პენელოპე 145, 155
პენთელიდები 129
პენთესილეა 94
პეონი 51, 97, 165, 167
პერგამონი 162
პერიკლიმენოსი 126
პერსე 114
პერსევსი 11, 17, 44, 87, 110, 117, 118
პერსეისი 63, 140
პერსესი 55
პერსეფონე 36, 45, 46, 47, 48, 49, 50, 53, 55, 56, 90, 100, 109, 135,

137, 140, 141, 143, 144, 145, 158, 159, 161, 168, 169, 170, 173, 175
პესინუნტისი 154
პესტუმი 127
პიგმეები 114
პიერია 81
პილოსი 127, 135, 139, 171
პინდარე 112, 121, 133, 134, 135, 136, 147, 151, 153, 161, 169, 173
პირიფლეგეთონი 52, 142, 143
პიტრილოკა 148
პლანქტები 37, 38, 123, 132
პლატონი 127, 132, 135, 137, 149, 153, 154, 156, 166, 169
პლეიადები 72, 73, 151, 160
პლეიონე 72, 73, 151
პლექტრონი 81
პლუტარქე 121, 122, 165, 175
პლუტო 114
პლუტონი 124, 139
პოდალირიოსი 93, 94, 154, 167
პოდარგე 15, 16, 75, 111
პოლემოკრატისი 167
პოლიგნოტოსი 145
პოლიგონოსი 31
პოლიდევკესი 13, 23
პოლიიდოსი 166, 167
პოლიკლეტესი 161
პოლიფემოსი 15, 23, 25, 111, 112, 121
პოლიჰიმნია 81
პოლლეიდონი 166
პოლუქსოსი 119
პომონა 174
პონტოსი 14, 16, 17, 118
პორფირიოსი 173
პოსეიდონი 15, 17, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 32, 34, 39, 41, 42, 44, 62, 69, 72, 73, 74, 110, 117, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 134, 135, 138, 149, 150, 163, 166
პოსეიდონია 127
პოტეიდაია 127
პოტეიდაონი 138
პრატოლაოსი 171
პრაქსითეა 74
პრიაპოსი 99, 100, 155, 173, 174
პროკლე 154
პროკრისი 59, 60, 149
პრომეთე 7, 8, 10, 11, 14, 19, 50, 78, 82, 89, 98, 109, 110, 111, 116, 149, 152, 153, 171
პროტევსი 23, 29, 30, 31, 96, 117, 118, 122, 130, 131, 170
პროტო 117

რ

რადამანთისი 49, 53
რამნუსი 90, 164
რეა 13, 42, 44, 94, 96, 97, 98, 125, 155, 167, 168, 169, 172
რეა-კიბელე 95, 96, 97, 154, 167, 168, 172
რესოსი 81
როდა 24, 34, 42, 43, 62, 63, 123, 129, 159
როდოსი 41, 42, 43, 62, 63, 115, 125, 133, 134, 149, 158, 159
რომი 163, 168

ს

სა-ოსირისი 143
საბერძნეთი 27, 30, 45, 73, 90, 94, 114, 118, 124, 125, 129, 141, 143, 145, 160, 163, 165, 168, 170, 172, 173, 174
სალამინი 102, 164, 175
სალმიდესი 15
სამოთრაკე 96, 168, 170, 172
სანგარიოსი 154
სარანიუ 133
სარდინია 117
სარპედონი 25, 121, 156, 176
სატირი 28, 29, 70, 88, 89, 99, 155, 169, 175
სატნი-ჰემუასი 143
სეთი 146
სელენე 59, 67, 68, 101, 113, 144, 149, 150, 159, 175

სენეკა 115, 135
სერვიუსი 113, 134, 139, 150, 155, 156, 173
სვიდა 121, 155
სთენო 17
სიბილა 26, 56, 57, 58
სითონია 30
სიკიონი 43, 163, 166
სილენოსი 99, 120, 175
სილვანი 174
სიმონი 124
სიმონიდესი 113
სიმპლეგადები 31, 37, 38, 123, 132, 133
სირენა 35, 36, 37, 81, 82, 123, 132, 163
სირენათა კუნძული 35, 36
სირინგსი 100, 102, 103, 156
სირიოსი 72, 163
სირიუსი 119
სისიფოსი 49, 50, 51, 53, 73, 107, 108, 135, 138, 176
სიცილია 41, 62, 63, 130, 133, 141
სკამანდროსი 75
სკელმისი 124
სკილა 31, 32, 33, 34, 37, 122, 123, 130
სკირონი 25, 121
სორენტო 132
სოფოკლე 147, 149, 153, 155, 166
სპარსეთი 63, 126, 164
სპარტა 75, 102, 125, 169
სპეიო 117
სტეროპე 72, 123
სტეროპესი 123
სტეფანოს ბიზანტიელი 132
სტიქსი 8, 9, 42, 50, 52, 57, 65, 82, 84, 107, 109, 112, 113, 114, 115, 142, 143
სტოიკოსები 130, 174
სტრაბონი 123, 134, 152, 153, 154, 155, 156, 163, 164, 165, 168, 171
სტრიმონი 74
სტროფადის კუნძულები 16
სფინქსი 19, 20, 113, 118, 120
სურია 157

## ტ

ტენარონი 52, 130, 138, 147, 148
ტანაგრა 131
ტანტალოსი 53, 54, 135, 144
ტარტაროსი 45, 53, 54, 112, 124, 135, 136, 176
ტატიანუსი 153
ტეგეა 118
ტეგეტე 72, 73
ტევმესოსი 133
ტეთისი 7, 8, 9, 98, 109, 114
ტელეგონოსი 31
ტელესიასი 129
ტელეფინუ 141
ტელქინები 41, 42, 43, 95, 123, 124, 133, 134, 149, 168, 172, 173
ტელქინისი 41
ტემენოსი 127, 139
ტერმინუსი 174
ტერფსიქორე 35, 81, 123
ტეფნუტი 167
ტვაშტარი 133
ტითონოსი 59, 60, 157
ტინდარევსი 93
ტირსენიელები 170
ტისიფონე 104
ტიტანი 7, 9, 10, 21, 44, 45, 54, 55, 59, 60, 61, 63, 67, 68, 77, 78, 82, 83, 101, 110, 115, 133, 135, 141, 144, 157
ტიტიასი 54, 135, 172
ტიფონი 18, 19, 20, 110, 112, 116, 146
ტიქე 90, 153, 157, 164
ტოთი 144
ტრეტოსი 113
ტრიკე 165
ტრინაკრია 61, 62
ტრიტონი 21, 24, 31, 34, 35, 122, 123, 128, 129, 131
ტრიფილოსი 139
ტროა 22, 23, 73, 80, 81, 85, 89, 94, 107, 108, 120, 122, 172, 176

ტროადა 173
ტროიძენი 27, 58, 126
ტროსი 85
ტურნუსი 105

უ

უბელური 115, 160
ულიქუმი 160
ურანია 81
ურანოსი 7, 9, 41, 55, 77, 81, 88, 99, 104, 109, 124, 168
უსპასი 156
უშასი 157

ფ

ფაეთონი 59, 60, 63, 64, 65, 66, 67, 109, 149, 158
ფაეთუსა 62
ფაენა 152
ფაიო 151
ფაისილე 151
ფაროსი 29, 130
ფეაკები 23, 76
ფერეკიდესი 110, 113, 115, 150, 154, 155
ფიდიასი 83, 90
ფიდიპიდესი 102
ფიკიონი 120
ფილარგორიუსი 155
ფილე 102
ფილირე 13, 116
ფილოსტრატოსი 122
ფინევსი 15, 16, 38, 74
ფიტალმიოსი 126
ფიქსი 20, 120
ფლეგიასი 91
ფლიუსი 163
ფლოგევსი 111
ფოიბე 63, 78, 159
ფოიბოსი 157
ფორკისი 12, 16, 18, 110, 112, 117, 118, 122, 123, 131
ფოსფოროსი 61
ფრიგია 96, 98, 103, 104, 154, 168, 169, 172, 174
ფრიქსოსი 77
ფსამათე 122
ფსევდო-ერატოსთენესი 110, 121, 135, 151, 152
ფსიქე 142
ფურია 139

ქ

ქალიკე 68
ქალკიდიკე 30, 127, 130
ქალკისი 132
ქალკოსი 124
ქარიბდისი 31, 32, 34, 37, 122, 123, 130
ქარიკლო 13
ქარისი 8, 79, 80, 83, 107, 152, 161, 162
ქარონ ლამფსაკოსელი 145
ქარონი 48, 50, 52, 56, 57, 135, 136, 145, 146, 176
ქაროპისი 145
ქაროპსი 145
ქიმერა 18, 19, 112, 119
ქიონე 74, 121
ქიოსი 69, 71, 150
ქირონი 13, 14, 25, 92, 111, 116, 125, 165
ქრისაორი 17, 18, 112, 118, 121
ქრისიპოსი 120
ქრისონოე 30
ქრისოსი 124
ქსანთოსი 75, 125
ქსერქსე 161
ქუმარბი 160, 167

შ

შარბარა 148
შუ 167
შუამდინარეთი 132

ძ

ძაგრევსი 135, 139, 141, 169

ძელოსი 9
ძეთესი 16, 38, 74

ხ

ხთონე 123
ხუვავა 118

ჰ

ჰადესი 16, 21, 39, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 58, 66, 84, 90, 92, 93, 104, 108, 109, 114, 118, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 166, 170, 176
ჰაემუსის მთა 74
ჰალია 42, 123, 134
ჰალიროთიოსი 26, 121
ჰამადრიადა 98, 173
ჰარმონია 54, 80, 83
ჰარპია 15, 16, 36, 75, 111, 117
ჰებე 80, 83, 84, 85, 152, 163
ჰეგემონე 152
ჰეკატე 49, 55, 56, 122, 136, 140, 144, 145, 148, 159, 176
ჰეკატომბე 29
ჰეკატონხეირები 54
ჰელე 77
ჰელესპონტი 37
ჰელია 63
ჰელიადები 63, 67
ჰელიკე 125
ჰელიკონის მთა 18, 81, 82
ჰელიოპოლისი 44
ჰელიოსი 24, 27, 33, 34, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 66, 67, 68, 71, 82, 106, 109, 122, 123, 124, 149, 150, 152, 157, 158, 159, 168
ჰერა 8, 10, 11, 12, 14, 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 28, 30, 32, 38, 39, 41, 47, 48, 51, 54, 57, 58, 67, 70, 77, 78, 79, 83, 84, 85, 87, 88, 89, 90, 91, 96, 97, 99, 106, 107, 110, 111, 113, 117, 119, 120, 122, 123, 125, 126, 133, 134, 135, 136, 139, 143, 145, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 155, 161, 163, 165, 169, 172, 174, 176
ჰერაკლე 111, 113, 135
ჰერმესი 47, 50, 51, 52, 69, 73, 84, 85, 92, 101, 145, 146, 155, 160, 162, 173, 174, 175, 176
ჰეროდოტე 122, 125, 130, 151, 153, 156, 162, 170, 172
ჰერსე 150
ჰესიოდე 109, 110, 111, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 123, 126, 128, 129, 131, 132, 135, 136, 146, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 161, 164, 165, 168, 176
ჰესიონე 22
ჰესიქიოსი 121
ჰესპერა 12, 110
ჰესპერია 110
ჰესპერიდების ბაღი 11, 12, 14, 16, 116
ჰესპერისი 11, 12, 110, 111, 116
ჰესპერუსა 110
ჰესტია 21, 44, 100, 110, 155
ჰეფესტია 96, 170
ჰეფესტო 8, 61, 63, 64, 70, 79, 85, 96, 107, 134, 152, 154, 157, 162, 170, 171
ჰიადები 72, 73, 110, 151, 160
ჰიაკინთოსი 75, 76, 151
ჰიასი 73, 151
ჰიბრალტარი 133
ჰიბრისი 27, 82, 88, 112, 150, 153, 155, 164
ჰიგიეია 93, 165
ჰიგინუსი 109, 110, 111, 113, 117, 121, 122, 123, 126, 135, 149, 150, 151, 153, 154, 155, 156, 173
ჰიდრა 12, 14, 19, 20, 113, 119, 120
ჰიეროფანტესი 171
ჰიმენი 93
ჰიმეროსი 79
ჰიპერბორეელები 72, 89, 97
ჰიპერენორი 73
ჰიპერიონი 59, 61, 68, 157

ჰიპნოსი 49, 55, 79, 86, 105, 106, 107, 108, 152, 156, 176
ჰიპოდამია 125
ჰიპოკრენე 18
ჰიპოლიტოსი 93
ჰირიოსი 69, 150
ჰიფსიპილე 97
ჰომეროსი 109, 110, 111, 112, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 138, 140, 142, 145, 147, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 159, 160, 162, 164, 165, 168, 173, 176
ჰორაციუსი 135, 147, 174
ჰორები 61, 78, 79, 80, 83, 149, 152, 158, 161
ჰორი 146